



სამეცნიერო ჟურნალი „ხელისუფლება და საზოგადოება“  
(ისტორია, თეორია პრაქტიკა)“

Scientific magazine  
**AND SOCIETY**

**“AUTHORITY**

(History, Theory, Practice)“

Научный журнал “ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО

(История, Теория, Практика)“

№ 1

2006

**sagarTvelos teqnikuri universiteti**

ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტი სახელმწიფო  
მართვისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების დეპარტამენტის  
სამეცნიერო ჟურნალი

**GEORGIAN TECHNICAL  
UNIVERSITY**


**HUMANITARIAN-TECHNICAL FACULTY**

*Scientific magazine of Department  
of PUBLIC ADMINISTRATION and PUBLIC  
RELATIONS*

**ГРУЗИНСКИЙ ТЕХНИЧЕСКИЙ  
УНИВЕРСИТЕТ**

Гуманитарный-технический факультет  
Научный журнал департамента Государственного  
Управления и Общественных связей

**EISSN 1512-4029**



## სარედაქციო ჟოლეგია:

შოთა დოლონაძე

- მთავარი რედაქტორი

გიორგი ბალათურია

- მთავარი რედაქტორის მოადგილე

ოთარ ბარათურია

- ვასუნიშვილის მდივანი

ნაწარმო, მიტროპოლიტი აბრამი (გარემული),  
ვახტანგ გურული, თეიმურაზ თოღა, როინ  
მებრევილი, ქეთი ქოქრაშვილი, ოთარ ქოქრაძე,  
მანა ჩხეიძე



ჟურნალი ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „პრესისა  
და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ“.  
გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია  
ავტორი. გამოქვეყნებული მასალები გამოხატავს მხოლოდ  
ავტორთა პოზიციას და შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის  
შეხედულებებს.

### მისამართი:

საქართველო, თბილისი 0160 კოსტავას ქ.77, VI კორპუსი IX

სართული ტელ. 36.45.14

Kostava st., 0160 Tbilisi, Georgia. Tel. [995 32] 36.45.14

Mail: [DLPA@gtu.edu.ge](mailto:DLPA@gtu.edu.ge)

**ბარაკანის გაფორმება: ღვინო ბალათურია**

Jurnalის ელექტრონული ვერსია გამოქვეყნებულია misamarTze:

<http://www.gtu.ge/katedrebi/kat124/>

## სარჩივი

ჟურნალის სტუმარი)-----5

მიხეილ სააკაშვილი –  
პრეზიდენტობის 2 წელი – 24 თვე,  
24 შეკითხვა პრეზიდენტს!  
(სარედაქციო მასალა)-----7

თემურ თოდუა  
სახელმწიფო მართვის აზროვნების  
ისტორიიდან („კლასიკური“  
თეორიები) -----26

ოთარ ქოჩორაძე  
სივრცული ცნობიერება,  
როგორც სახელმწიფოებრივი  
აზროვნების საფუძველი -----37

ოთარ ბადათურია  
საერთო ნიადაგის თეორია –  
ქართული “სოლიდარული”  
სახელმწიფოებრივი  
მსოფლმხედველობის სათავეები-----57

როზა გაფრინდაშვილი  
ბიოლოგიურისა და სოციალურის  
დიალექტიკა და მორალური დილემა-----78

ქეთევან ხუციშვილი  
რელიგიური აქტიურობა ამერიკის  
შეერთებულ შტატებში-----87

კოტე აბულაძე  
საქართველო დიდი ტურიზმის  
მოლოდინში-----99

თემურ კოპალიანი  
სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმა  
საქართველოში-----108

ჯემალ ჯანაშია  
საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსში ცვლილებების და დამატებებს შესახებ  
(2006 წლის 10 აპრილის  
მდგომარეობით) -----122

შოთა დოდონაძე  
საქართველო ევროპის საბჭოში  
(ინგლისურ ენაზე) -----137

გიორგი ბაღათურია, ოთარ ბაღათურია  
სახელმწიფო მართვის კრიზისის  
მიზეზები დამოუკიდებელ საქართველოში  
(ინგლისურ ენაზე) -----149

სტუდენტური გვერდები-----163-192

თეონა ქათამაძე  
სახელმწიფოს როლი  
კულტურული მემკვიდრეობის  
დაცვაში-----163

გიორგი კიკნაძე  
სახელმწიფო პროტექციონიზმის  
როლი ქვეყნის ეკონომიკურ  
განვითარებაში-----175

გულდასმით საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებას ახალი, ფრიად საინტერესო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის – „ხელისუფლება და საზოგადოება – ისტორია, თეორია, პრაქტიკა“ – გამოცემას.

თანამედროვე საქართველოში, სადაც ენერგიულად მიმდინარეობს სახელმწიფოებრივი რეფორმებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების პროცესი, სასიცოცხლოდ აუცილებელ ამოცანად გვესახება სახელმწიფოს მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხებისა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების ასპექტების დაწვრილებითი განხილვა, როგორც თეორიული, ისე ისტორიული თვალსაზრისით. დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია ერთი მხრივ თვით ხელისუფლების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების, ხოლო მეორე მხრივ, სამოქალაქო თვითშეგნებისა და საზოგადოებრივი პასუხისგებლობის ფორმირებასთან დაკავშირებული პრობლემატიკის მეცნიერული განხილვა, ფართო სამეცნიერო მსჯელობა და სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

მიუხედავად საქართველოს სამეცნიერო პერიოდიკის საკმაოდ ფართო სპექტრისა, მაინც, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებული საკითხები პრაქტიკულად მეტად მწირედ განიხილება, ისიც მხოლოდ საგაზეთო წერილების დონეზე, რაც რა

თქმა უნდა ვერ დააკმაყოფილებს ვერც საზოგადოებისა და ვერც სამეცნიერო წრეებისა თუ პრობლემატიკის შესახებ

ახალ ჟურნალს სწორედ ასეთი მიზნები აქვს, რაც მისი სახელწოდებიდანაც კარგად ჩანს.

აღსანიშნავია, რომ ჟურნალი სამეცნიერო (სტატიები გამოქვეყნდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე), რაც უდავოდ ხელს შეუწყობს მის ფართოდ გავრცელებასა და საერთაშორისო სამეცნიერო პერიოდიკაში დამკვიდრებას.

ჟურნალი თანამედროვე საქართველოს წინაშე მდგარ მრავალ სამეცნიერო თუ პრაქტიკულ პრობლემატიკას ეხება, მისი თვალსაწიერი მეტად ფართოა. ამდენად იგი საკამათო საკითხებისგან თავისუფალი ვერ იქნება. ვფიქრობ, რედაქცია და ავტორები სიამოვნებით მიიღებენ საქმიან შენიშვნებს. ვიმედოვნებ, რომ ჟურნალის მეშვეობით განხორციელებული სამეცნიერო პოლემიკა ხელს შეუწყობს საქართველოში სახელმწიფო მართვის ეფექტიანობის ამაღლებასა და ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობის გააქტიურებას.

რამაზ ხურციე,  
პროფესორი, საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტის  
რექტორის მ.შ.

მიხეილ სააკაშვილი – პრეზიდენტობის  
2 წელი – 24 თვე,  
24 შეკითხვა პრეზიდენტს!

„გარდების რეგოლაციის“ შემდეგ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. შეიცვალა ძირითადად სასიკეთოდ. სამწუხაროდ, ცვლილებები ისეთი ტემპითა და თანმიმდევრობით არ მიმდინარეობს, რომ ყველას კმაყოფილებით ავსებდეს. ეს გასაგებია. ძნელია ძველი სტერეოტიპების დანგრევა, ბევრისათვის მტკივნეული რეფორმები, რომელიც თითქმის ყველა სფეროში მიმდინარეობს. ამდენად მრავლადაა კითხვებიც, რომლებიც ახალგაზრდობას, მათ შორის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებსაც აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვებზე საქართველოს პრეზიდენტის ბატონი მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლები დეტალურად პასუხობს, ისინი მაინც მეორდება. ჩვენ შევეცადეთ შეკითხვებიდან ამოგვეჩია სხვადასხვა სახის 24 შეკითხვა, რომლითაც სტუდენტები პრეზიდენტს მიმართავენ და ამ კითხვებზე პასუხები მის გამოსვლებში ამოვიკითხეთ.

**შეკითხვა პირველი:** როგორ გესმით აღმშენებლობის პოლიტიკა ისეთ ქვეყანაში როგორც არის საქართველო? ათვლის წერტილი, საიდან უნდა დაწყებულიყო? თუ უნდა დაიწყოს?

**პასუხი:** ყველაზე მოკლედ ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: დავიწყეთ ნანგრევებიდან. დავიწყეთ იქიდან, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, არსებობა დამთავრებული ჰქონდა; ჩვენ ქვეყანას წართმეული ჰქონდა ყველა ღირსება, ხოლო ხალხს - ყველა უფლება. დავიწყეთ უიმედობიდან, უპერსპექტივობიდან, უუფლებობიდან, უძღურებიდან, უსამართლობიდან, უდენობიდან, უფულობიდან, უხელფასობიდან, უპენსიობიდან, უწესრიგობიდან.

დავიწყეთ იქიდან, სადაც სახელმწიფოები და ერები არსებობას ასრულებენ. დავიწყეთ ძლიერ, წელში გამართულ, ღირსეულ საქართველოზე ოცნებით. დავიწყეთ რწმენით, რომ შეუძლებელი არაფერია, რომ ყველას ერთად ქვეყნის გადარჩენა და დაცვა, რომ

მისი უკუდამამოტრიალე ბედის ბორბლის გაჩერება და წალმა დატრიალება შეგვიძლია.

**შეკითხვა მეორე:** თქვენი აზრით რა თანამიმდევრული ქმედებათა განხორციელებაა საჭირო, რათა საქართველო უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდეს ძლიერ სახელმწიფოდ?

**პასუხი:** დღეს საქართველო სრულფასოვანი და სწრაფად განვითარებადი სახელმწიფოა. საქართველო სახელმწიფოა თავისი ყველა ატრიბუტით: კარგად გამართული და ეფექტიანი სახელმწიფო აპარატით; ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტებით; სწრაფი ტემპებით მზარდი საფინანსო მაჩვენებლებით; ხალხის სამსახურში მყოფი ძლიერი სამართალდამცავი სისტემით; ძლიერი, კარგად მოტივირებული, ასევე კარგად აღჭურვილი და გაწვრთნილი ჯარით; განახლებული და განახლებადი ინფრასტრუქტურით; ყველა სფეროში აქტიურად მიმდინარე რეფორმებით; აღმშენებლობისა და ზრდის აქამდე არნახული მაჩვენებლებით.

დღეს საქართველოს მთელს მსოფლიოში სცემენ პატივს - როგორც ქვეყანას, რომელიც საიმედო და პერსპექტიული პარტნიორია; როგორც ქვეყანას, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების თანამეგობრობის სრულფასოვანი წევრი ხდება; როგორც ქვეყანას, რომელიც განიხილება არა როგორც ცალკე ერთეული, არამედ როგორც ქვეყანა, რომელიც თავის გარშემო გეოპოლიტიკურ სივრცეს ქმნის.

ქვეყნის ბიუჯეტი ხუთჯერ გაიზარდა, რაც ეს რეალური ციფრებით აისახება. გაორმაგდა და დროულად გაიცემა პენსიები. გასტუმრებულია მრავალწლიანი საპენსიო და სახელფასო დავალიანებები. პირველად, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ცენტრალური ბიუჯეტიდან პირდაპირ დაფინანსებული თითქმის ყველა ხელფასი აღემატება საარსებო მინიმუმს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გამოკლებით, 2004 შედარებით, პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა გაიზარდა 23 პროცენტით, ხოლო 2003 წელთან შედარებით თითქმით 60 პროცენტით და ჩვენ ამ გზის მხოლოდ დასაწყისში ვიმყოფებით.

2005 წლის წინასწარი მონაცემებით, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ შარშან თითქმის 9 პროცენტი შეადგინა (2004 წელს 6,2 პროცენტი), რაც ძალიანი მაღალი მონაცემებია იმ პირობებში, როდესაც ნავთობი გამვირდა.

ინფლაციის გათვალისწინებით, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, 2002 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგდა და



ერთ სულ მოსახლეზე 1421 დოლარს გაუტოლდა. 2010 წლისათვის ერთ სულ მოსახლეზე მთლიან შიდა პროდუქტის ოდენობად 2400 დოლარია ნავარაუდები.

2009 წლის შემდეგ კი, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო ოგანიზაციების კატეგორიების მიხედვით, საქართველო ღარიბი ქვეყანა აღარ იქნება.

**შეკითხვა მესამე:** როგორია საქართველოს პრეზიდენტის პრიორიტეტები ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის მომდევნო 2 წლის მანძილზე

**პასუხი:** სიღარიბეს ერთხელ და სამუდამოდ დავტოვებთ წარსულში.

ეს ჩემი ერთ-ერთი მთავარი ამბიციია.

ჩვენ ის ხელისუფლება ვართ, რომელიც საქართველოს სიღარიბიდან გამოიყვანს და ამით უნდა ვიამაყოთ.

**შეკითხვა მეოთხე:** როგორ მოგაჩნიათ ქვეყანაში სადაც ოპოზიციურ აზრს დევნიან პერსპექტივა გამოჩნდება?

**პასუხი:** ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ოპოზიცია ხელისუფლების კრიტიკოსის ფუნქციას ასრულებდეს. მიმაჩნია, თავად ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის, რომ ოპოზიცია ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. ასეთ ხელისუფლებას აქვს რისკი, რომ მოდუნდეს, მოეშვას, ზოგიერთ ადამიანს აქვს მცდელობა, რომ გათავხედდეს და თავს გავიდეს, რაც ხელისუფლებისთვის ძალიან ცუდია. თუ რაიმე დაანგრევს ხელისუფლებას - სწორედ ასეთი ტენდენციის გაჩენა.

ოპოზიცია იმდენად მნიშვნელოვანი და საჭიროა საზოგადოების განვითარებისთვის, რომ ამ საკითხზე კამათიც ზედმეტია. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ თამაშის წესები დავიცვათ და იყოს ოპოზიცია, რომელიც ჩვენს გაკეთებულს გააკრიტიკებს - თუნდაც ხშირად ჩავთვალოთ, რომ დაუმსახურებლად გვაკრიტიკებენ.

ესეც დემოკრატიის დიდი მონაპოვარია.

მინდა, რომ ოპოზიცია აკრიტიკებდეს ჯანდაცვის, განათლების, სამართალდამცავი სტრუქტურების, თავდაცვის სისტემის რეფორმებს.

ასევე მსურს, რომ ოპოზიცია საგადასახადო ნორმების თაობაზე გვეკამათებოდეს. ოპოზიცია უნდა გვეკამათებოდეს ყველაფერთან დაკავშირებით, რაც პოლიკას შეეხება.

შესაძლოა ჩვენ მიგვაჩნდეს, რომ ეს პოლიტიკა სწორი და ჯერჯერობით წარმატებულია, მათ კი, შესაძლოა, მიაჩნდეთ, რომ ის წარუმატებელი და არასწორია.

ერთია კრიტიკა, მაგრამ მეორეა ჩავერთოთ საუბარში იმის თაობაზე, რომ ვიღაც ნამირალაა, მკვლელი, ბრუციანი (ეს მათი ტერმინია) და გაუნათლებელი, თუმცა ყველაზე განათლებული ჯგუფი, თუკი როდესმე შეგვხვდებოდა, თქვენს უმრავლესობასა და საქართველოს ხელისუფლებაშია წარმოდგენილი, პარლამენტის თავმჯდომარისა და სხვა ლიდერების მეთაურობით - ეს, უკვე, გემოვნების საკითხია. ამ თემებზე ერთმანეთს ელაპარაკონ, ხოლო თუ უნდათ, რომ საკუთარ თავს შეურაცხყოფა მიაყენონ - ფართო აუდიტორიასაც.

ჩვენ მზად ვართ, რომ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით ყველაზე მძაფრ კრიტიკასაც გავუძლოთ, დანარჩენი კი უნდა მოვითმინოთ, რადგან ეს მოუმწიფრობის, არაკომპეტენტურობისა და სისუსტის ნიშანია.

ჩენი საზოგადოება ძალიან გონიერია იმისათვის, რომ ამას ვერ მიხვდეს.

**შეკითხვა მეხუთე:** რა საშუალებებით და როდის დაემსგავსება საქართველო ევროპის დონის ქვეყნებს?

**პასუხი:** ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ქართული ეკონომიკა განვითარდეს.

უკვე დღეს, ქართული ეკონომიკა გამარტივებული კოდექსის, შემცირებული მაკონტროლებლების, ლიცენზირების გამარტივებული წესებისა და შემცირებული გადასახადების წყალობით, ჩვენს რეგიონში უკვე ერთ-ერთ ყველაზე ლიბერალურად ითვლება.

ამ მხრივ, პარლამენტმა ბევრი რამ გააკეთა. ნახევარი წლის წინათ, ჩვენს მიერ შემოტანილი იქნა საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც ლიცენზირების და ნებართვების სფეროს, ასევე სამეწარმეო კონტროლის მაქსიმალურ ლიბერალიზაციას ისახავდა მიზნად. მანამდე არსებული ლიცენზიებისა და ნებართვების, დაახლოებით, 60 პროცენტი გაუქმდა და სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის ფორმები მინიმუმამდე შემცირდა.

რა მივიღეთ შედეგად? - რა თქმა უნდა, კონტროლის არცერთი ფორმის გაუქმების გამო, არანაირი კატაკლიზმები არ მომხდარა, რადგან ყოველივე ეს უფუნქციო, ფურცლის გაცემაზე აგებული, მახინჯი, ბიუროკრატიული პროცედურები იყო. ამიტომ, მათ გაუქმებას არც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე და არც ქვეყნის უსაფრთხოებაზე არ უმოქმედია.

ერთადერთი მოხდა ის, რომ ზოგიერთ ადამიანს ბევრად ნაკლები კორუფციული შემოსავალი აქვს, ყველა დანარჩენი კი, თავს უკეთესად გრძნობს. ფულის კეთების საშუალება ბევრ ადამიანს მოვუსპეთ.

ამ მიმართულებით მუშაობის გაგრძელებას ვაპირებთ, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის განვითარებისათვის ლიცენზიები და ნებართვები ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი არ არის. დღეს მთავარი პრობლემები საბაჟო სისტემაში გვაქვს. პირველი ამათგან საბაჟო კანონმდებლობა და საბაჟო გადასახადების საკითხია.

არცერთი მსხვილი ინვესტორი არ შემოვა ქვეყანაში, სადაც შრომითი ურთიერთობის ყველა დეტალი მხოლოდ კანონით რეგულირდება და დასაქმებული კადრის სამუშაო პირობების თავად განსაზღვრისა და მასთან შეთანხმების საშუალება არ აქვს. შრომის კანონთა კოდექსის ახალ პროექტზე უკვე დიდი ხანია მიდის მსჯელობა საქართველოს პარლამენტშიც, თუმცა ხშირად, პარლამენტშიც და მედიაშიც, ამ თემის კომენტირებისას, არასწორი ინტერპრეტაცია კეთდება.

ფეხმძიმეთა შრომის უფლებების შელახვა ახალი პროექტის მიზანი არ არის და არც იქნება - ეს უფლებები დაცული იქნება ზუსტად ისე, როგორც დღემდე მოქმედ კანონმდებლობაშია. ასევე არ არის ამ პროექტის მიზანი შვებულების ხანგრძლივობაში რაიმე ნოვაციების შემოტანა.

ჩვენი მიზანია, შევქმნათ ყველა პირობა იმისათვის, რომ შრომითი ურთიერთობების საკითხები წყდებოდეს მხარეთა შეთანხმებით და ამით საშუალება მივცეთ როგორც დამსაქმებელს, ისე დასაქმებულს. მხარეებმა თავად განსაზღვრონ შრომითი ურთიერთობის ცალკეული საკითხები. უცხოელი ინვესტორების დაინტერესებას, რეალურად, მხოლოდ ასეთი შრომის კანონთა კოდექსით შევძლებთ.

**შეკითხვა მეექვსე:** როგორ წარმოგიდგენიათ საქართველო ათი წლის შემდეგ?

**პასუხი:** საქართველო არასოდეს ყოფილა თავისი საერთაშორისო მიზნების მიღწევასთან ასე ახლოს - ხელის მიწვდომაზე. სულ მალე საქართველო გახდება ცივილიზებული, დემოკრატიული სამყაროს სრულუფლებიანი და სხვებთან თანასწორი წევრი. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა ის, რასაც ერთი წლის წინათ, ვერ ვიტყვოდი - საქართველო ნატოს-თან ერთ ნაბიჯზეა.

თუ ყველაფერი ისე გაგრძელდება, როგორც დღეს მიდის, თუ ვერავინ ჩაგვითრევს რაიმე მძიმე პროვოკაციაში, საქართველოს და უკრაინას (თუმცა მე მხოლოდ საქართველოზე შემოიღია პასუხი ვაგო) ნამდვილად აქვს შანსი, რომ 2008 წელს ნატო-ს სრულფასოვანი წევრი ქვეყნები გახდეს, ხოლო წელს უკვე, შეგვიძლია ნატო-ს წევრობის ოფიციალური კანდიდატი გავხდეთ.

**შეკითხვა მეშვიდე:** რატომ იყიდება საქართველოში ყველაფერი? **პასუხი:** პრივატიზაცია, რეალურად, ინვესტიციების მოზიდვის საშუალებაა. აქამდე უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია პრივატიზაციამ.

2005 წელს პრივატიზებულია 816 ობიექტი და აქედან შემოსულმა თანხამ წინა წლების მაჩვენებლებს მნიშვნელოვნად გადააჭარბა. ზრდის დინამიკა ასეთია: 2003 წელს 11 მილიონი ლარი, 2004 წელს 38 მილიონი, ხოლო 2005 წელს 233 მილიონი ლარი. მთლიანობაში 2005 წელს სახელმწიფო ქონებისა და საწარმოებიდან, მათ შორის პრივატიზაციის გათვალისწინებით, მიღებულმა შემოსავალმა რეკორდული - 522 მილიონ 826 ათასი ლარი შეადგინა.

გასული წლების განმავლობაში ობიექტების „პრივატიზაცია“ ხდებოდა და მთელი ფულის კონკრეტული ადამიანების ჯიბეებში მიდიოდა.

2005 წელს პრივატიზებულ ობიექტებში მომდევნო 2 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 300 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია განხორციელდება.

**შეკითხვა მერვე:** ფასადების ღებვით და გზების დაგებით რამე გვეშველება?

**პასუხი:** ბოლო 25 წლის მანძილზე საქართველოში ერთდროული ინფრასტრუქტურული აღმშენებლობის ასეთი მასშტაბი არ ყოფილა. წელს და მომავალ წელს საქართველოში უფრო მეტ გზებს ავანშემთ, ვიდრე ”მდიდრულ” საბჭოთა დროში შენდებოდა.

მთელ ქვეყანაში იგება გზები და უმჯობესდება ინფრასტრუქტურა, შენდება ხიდები და 30 წლის განმავლობაში პირველად აშენდა გვირაბი, რომლის გახსნის პატივიც მე მერგო. ბოლო ორი წლის განმავლობაში ქვეყანაში დაიგო 500 კილომეტრი ახალი გზა, ხოლო სარეაბილიტაციო და პერიოდული შეკეთების სამუშაოები 4000 კილომეტრამდე გზის მონაკვეთზე განხორციელდა.

2004-2005 წლებში აშენდა და შეკეთდა 83 ხიდი, ლენტეხის, ონის, ამბროლაურის, დუშეთის, სენაკის, გარდაბნის, ქობულეთის

და სხვა რაიონებში. სარეაბილიტაციო სამუშაოები გრძელდება 40 ხიდზე.

პირველად მრავალწლიანი ნგრევებისა და სტიქიური უბედურებების შემდეგ კილომეტრობით ნაპირდამცავი ნაგებობები აშენდა იქ, სადაც ჩვენს მოსახლეობას წყალდიდობების საფრთხე ყველაზე მეტად ემუქრებოდა.

პირველად 70-იანი წლების შემდეგ ჩაქვი-მახინჯაურის მონაკვეთზე აშენდა ურთულესი კონსტრუქციის გვირაბი. სამეგრელოს რეგიონში აშენდა ზუგდიდი-წალენჯიხა-ჩხოროწყუ-სენაკის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის 87 კილომეტრიანი გზა, რომელიც სამეგრელოს დასახლებულ პუნქტებს შორის მანძილს მნიშვნელოვნად ამცირებს.

ეს ჩემი სიამაყეა.

2005 წელს, დაიწყო „შიდა სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების პროექტის“ განხორციელება. გზების სარეაბილიტაციოდ მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგ მიმართულებებზე: თბილისი-თიანეთი, ხევსურთი-სოფელი სიონი, საჯავახო-ჩხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი, ოზურგეთი-ნატანები.

გურიიდან აუცილებლად უნდა გავიდეთ ბათუმზე, მით უმეტეს, რომ თურქეთთან სავიზო რეჟიმს ვაუქმებთ და გადაადგილება თავისუფლად უნდა იყოს შესაძლებელი.

სულ მალე საქართველოში ყველა რაიონულ ცენტრთან მისასვლელი კარგი გზა იქნება და ახალი ტექნოლოგიებით სოფლის გზების შეკეთებას დავიწყებთ.

საგზაო მშენებლობაზე 2006-2008 წლებში ჩაიდება არანაკლებ 450 მილიონი ამერიკული დოლარისა, რის შედეგადაც თბილისი გორის მონაკვეთზე ევროპული ხარისხის ავტომაგისტრალი აშენდება. პირველი თანამედროვე ავტოსტრადის მშენებლობას ხაშურამდე ვამთავრებთ და, იმედი მაქვს, 2008 წლისთვის სამტრედია-ზესტაფონის მონაკვეთსაც დავასრულებთ.

საქართველოს ქალაქები ნათდება, შენდება და ლამაზდება. კეთილმოწყობის სამუშაოები ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში წელს უფრო დიდი მასშტაბებით მიმდინარეობს, ვიდრე ბოლო 15 წლის განმავლობაში. თბილისი და საქართველოს მნიშვნელოვანი ქალაქები ასეთი ლამაზი და განათებული არასოდეს ყოფილა. სრულიად ახალი ტიპის არქიტექტურული ნაგებობების

მშენებლობა უკვე დაწყებულია და კვლავაც დაიწყება. ჩვენი არქიტექტურა არ უნდა დარჩეს მეოცე საუკუნეში.

საქართველოს ჰყავს ძალიან ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერი არქიტექტორი და მათი შესაძლებლობებით საქართველო XXI საუკუნის თანამედროვე არქიტექტურით უნდა იწონებდეს თავს. გავა 500 წელი და ყველა იტყვის, რომ ამ ხალხის ეპოქაში ახალი თბილისი, ახალი ზუგდიდი, ახალი ბათუმი და კიდევ მრავალი რამ აშენდა.

ჩვენი ბავშვებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით აშენდა ასობით ახალი სპორტული მოედანი და სკვერი.

შეიქმნა გაცილებით უკეთესი პირობები რათა მათ თამაში, გართობა და ჯანსაღი ზრდა შეეძლოთ.

**შეკითხვა მეცხრე:** როდის შეიქმნება თავისუფალი სამუშაო ადგილები და როდის დასრულდება ეს სიდუხჭირე და დაიწყება აღმავლობა?

**პასუხი:** შარშან საქართველოში 54 ათასმა მეწარმემ დაიწყო საქმიანობა. მინდა გითხრათ, რომ ახალი მონაცემებით, 2006 წლის იანვრის შემდეგ მარტის დამლევამდე 16 ათასი ახალი მეწარმე და ფირმა დარეგისტრირდა. ეს ნიშნავს მინიმუმ 16 ათას ახალ სამუშაო ადგილს, თუმცა თითო მეწარმე კიდევ რამდენიმე ადამიანს ასაქმებს.

ეს რეალური მონაცემებია და არა უბრალოდ ციფრები.

საქართველოს ბიუჯეტში დაგეგმილზე 752 მილიონით მეტი შემოსავალი შევიდა, ხოლო წელს ჩვენი ბიუჯეტი, წინა წლებში დაგეგმილზე, მილიარდი ლარით გაიზარდება. ეს ნიშნავს, რომ აშენდება ახალი გზები, სკოლები, საბავშვო ბაღები, პოლიკლინიკები, სავადმყოფოები (მათ შორის რუსთავში), განათების ახალი სისტემები გვექნება და მთელი საქართველო განათდება, მივიღებთ ახალ ინვესტიციებს ენერგეტიკის, ჯანდაცვის სფეროებში, გვექნება ძლიერი ჯარი და თითოეული ადამიანისათვის უკეთესი პირობები შეიქმნება.

ამავე დროს, ამას უცხოელებიც ამჩნევენ, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ, რომელიც მთავარი შემფასებელია მთელ მსოფლიოში, აღნიშნა, რომ რეფორმების მიხედვით, მსოფლიოს მასშტაბით, დღესდღეობით, საქართველო მეორე ადგილზე იმყოფება, ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველ ადგილს იკავებს. ამერიკელების შეფასებით, საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი რამდენჯერმე

გაუმჯობესდა და ამ თვალსაზრისით, მსოფლიოს ქვეყნების აბსოლუტურ უმრავლესობას გავუსწართ.

საქართველოში სხვადასხვა სფეროების ელემენტარული პროფესიების წარმომადგენლების ნაკლებობაა, ჩვენ არ გვყავს შემდუღებლები, ზეინკლები, ხარატები, გზებისა და გვირაბების სპეციალისტები და სხვა. ეს პროფესიები საქართველოში უკვე აღარ არსებობს.

ამიტომ მომავალი წლისთვის ჩვენი დავალებით, მთელი საქართველოს მასშტაბით და იქ, სადაც უმუშევრების რაოდენობა ყველაზე დიდია (გლდანში, ვარკეთილში, ლილოში, ქუთაისში, ტყიბულში და სხვა რაიონებში), გადამზადების ცენტრები შეიქმნება.

ამ ცენტრებში უპირველეს ყოვლისა მოვამზადებთ ოსტატებს, რადგან საქართველოში ოსტატების ნაკლებობაა და შემდეგ ისინი მოამზადებენ ხალხს, რომელსაც სწავლისთვის სტიპენდიასაც დავუნიშნავთ.

**შეკითხვა მათე:** მიგაჩნიათ თუ არა მართებულად, რომ ამდენი უფასო სასაბუღალტრო გახსნა ქვეყანაში შეამცირებს მშვიდობა რაოდენობას? რატომ არ ემატება პენსიებს ის თანხა, რაც უფასო სასაბუღალტრო სჭირდება? საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფილ მოხუცს უფასო კვება აღარ დაჭირდება?

**პასუხი:** ხშირად გვესმის, სირცხვილია რომ ქვეყანაში შიმშილია და უფასო სასაბუღალტრო გახსნა დიდად სატრაბახო არ არის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ შიმშილი ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი არის. ძალზე ბევრი მშვიდი ადამიანი მყავს ნანახი ამერიკაშიც და რუსეთშიც. რუსეთის ტელევიზიით ნიშნის მოგებით ამბობენ-ხოლმე, რომ საქართველოში მშვიდობა ვაჭმევთ, მაგრამ ჩვენ შორის განსხვავება ისაა, რომ ჩვენ ვაჭმევთ, ისინი კი - არა.

ეს საზოგადოების სიმწიფისა და განვითარების ნიშანია და არა განუვითარებლობის.

ახალი საპენსიო კანონის მეშვეობით, საპენსიო სისტემაში წესრიგი დამყარდა და არსებული ქაოსი და განუვითარებლობა აღმოიფხვრა. სახელფასო და საპენსიო დავალიანებები თითქმის სრულად გავისტუმრეთ. 2 წლის წინათ ეს ბევრს სრულიად წარმოუდგენლად მიაჩნდა - პოპულისტებსა და უტოპისტებს გვარქმევდნენ.

ჩვენ შევძელით ის, რომ თუნდაც მცირედით, მაგრამ მაინც, სისტემატურად იზრდება პენსიები და ეს ზრდა სტაბილურია.

თქვენ იცით, რომ წელს პენსიები კიდევ 10 ლარით გაიზრდება; ის 2-3 ლარიანი განსხვავებებიც, რომელიც საპენსიო დავალიანებაშია, წლის ბოლომდე გასტუმრებული იქნება.

მთავარია, რომ სიღარიბის პროგრამა ავამოქმედოთ, რაც რეალურად მოგვეცემს საშუალებას თანხა მათ მივცეთ, ვისაც ეს, რეალურად, ყველაზე მეტად ჭირდება.

**შეკითხვა მეთერთმეტე:** თქვენი აზრით, თქვენი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის პერიოდისათვის, როგორი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა იქნება საქართველოში?

**პასუხი:** საქართველოს ხელახლა გაუჩნდა შანსი - ისე როგორც ოდესღაც გახდეს დიდი სახელმწიფო.

საქართველო შეიძლება გახდეს სახელმწიფო, რომელშიც ჩვენი შვილები იამაყებენ თავიანთი წარმომავლობით, მოქალაქეობით, საკუთარი პასპორტებით.

საქართველო შეიძლება გახდეს სახელმწიფო, რომელიც მეზობელი ქვეყნების პატივისცემისა და აღტაცების ობიექტად იქცევა.

ჩვენი ასეთი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პირველი ნიშნები უკვე სახეზეა.

საქართველო იქნება წარმატებული ქვეყანა.

**შეკითხვა მეთორმეტე:** რატომ ვერ აკონტროლებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს?

**პასუხი:** საქართველოში წელიწადნახევრის წინათ პოლიციის ნდობის რეიტინგი 5 პროცენტს შეადგენდა, 2005 წლისათვის კი პოლიციის ნდობის რეიტინგი, ამერიკელების გამოკითხვების მიხედვით, 75 პროცენტს აღემატება.

ასეთი მაჩვენებელი მხოლოდ სკანდინავიის ქვეყნებში, შვეციასა და ნორვეგიაში თუ არის და მსგავსი არც იტალიაში ყოფილა, არც საფრანგეთსა და გერმანიაში. ერთ წელიწადში ჩვენ მოვედით იქამდე, რომ პოლიციის ნდობის რეიტინგი, ჩვენი საზოგადოების მხრივ, 97 პროცენტია.

2 წლის წინათ, ეს მაჩვენებელი წარმოუდგენელ ზღაპრად მოგვეჩვენებოდა. დღეს ჩვენ კონკრეტული პრიორიტეტები გაგვაჩნია.

**შეკითხვა მეცამეტე:** როდის დაისადგურებს საქართველოში კანონის უხედავობა?

**პასუხი:** ჩვენ უნდა გვახსოვდეს, თუ რა ქვეყანაში ვცხოვრობდით და რა ქვეყანაში აღმოვჩნდით. სამი წლის წინათ, ევროპის განვითარების ბანკმა ყველა ევროპულ ქვეყანაში გამოკითხვა



ჩაატარა; გამოკითხვის შედეგად, საქართველო, ევროპის 50 ქვეყანას შორის, ბოლოდან მესამე ადგილზე აღმოჩნდა კორუფციის თვალსაზრისით. იმ პერიოდში ბევრად უფრო კორუმპირებული ქვეყნები იყო ყირგიზეთი და ალბანეთი.

ამჟამად ევროპის განვითარების ბანკის მონაცემებით, საქართველო საფრანგეთს, სკანდინავიის ქვეყნებს, გერმანიას უსწრებს. დღეს კორუფციის თვალსაზრისით, ევროპის მასშტაბით, საქართველო მესამე ადგილზეა და მხოლოდ ესტონეთი და სლოვენია გვისწრებს. ამას კი მკაცრი ხელით, გამჭირვალობით და წესიერებით მივაღწიეთ.

მთავარი ამოცანაა ის, რომ მოსამართლემ უსამართლოდ არავინ დასაჯოს და დაჩაგროს, რათა ციხეში უდანაშაულო ადამიანი არ მოხვდეს. ის, რომ ჩვენს ქვეყანაში წამების და ცემის ფაქტები არ უნდა იყოს, ეს ჩვენი პრინციპია და ჩვენ უკვე ამის გარეშე ვისწავლეთ საქმის გახსნა.

უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულის დონე ჯერ კიდევ მაღალია. ჩვენ აქ იმისათვის კი არ ვართ, რომ ვთქვათ, თითქოს მოსამართლეა კანონი, არამედ იმისათვის, რომ განვაცხადოთ - საქართველოში არის კანონი.

კანონის უზენაესობა საზოგადოების ინტერესების დაცვას ნიშნავს. პირადად მე, ამ თემებზე მუშაობის შეწყვეტას არ ვაპირებ.

დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი დაცულია და კანონი კანონობს, დამნაშავე არავის აშანტაჟებს სასამართლო გალიიდან ან ტელეეთერის საშუალებით.

**შეკითხვა მეთოთხმეტე:** როგორ ფიქრობთ, რა ღონისძიებებია გასატარებელი საქართველოში, იმისათვის რათა დარეგულირდეს მიგრაციის პრობლემები? რა პირობებს სთავაზობთ ემიგრირებულ საქართველოს მოქალაქეებს დასაბრუნებლად?

**პასუხი:** როდესაც ვსაუბრობთ საქართველოს დაბრუნებაზე უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს ყოველმა მეხუთე მოქალაქემ მიატოვა სამშობლო. ეს ხალხი გაჭირვებამ, ომმა, ნგრევამ, უპერსპექტივობამ გააქცია. მათ უკვე გაუჩნდათ შვილები, რომელთაც არასდროს უნახავთ საქართველო.

დღეს მათი დაბრუნება, საკუთარ სამშობლოსთან კავშირის აღდგენა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ისტორიული ამოცანაა.

საქართველოს კონსტიტუცია უფლებას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტს მონაიჭოს საქართველოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებიდან

გამომდინარე, მე მივმართე მთელ მსოფლიოში გაბნეულ ჩვენს თანამემამულეებს, ჩვენს სისხლსა და ხორცს, საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, მე მივიღე გადაწყვეტილება მივანიჭო საქართველოს მოქალაქეობა უცხოეთში მცხოვრებ ყველა ქართველს, მიუხედავად მათი მოქალაქეობისა, ვისაც ამის სურვილი აქვს და ვინც მოგემართავს ამ განცხადებით, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვუპასუხოთ მომავლის გამოწვევას.

ჩვენ დიდი ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ. ამ ტანჯვის მთავარი მიზეზი ჩვენი გათიშულობა იყო.

მე გთხოვთ გავერთიანდეთ, ვინაიდან ზუსტად ვიცი რამდენი რამის გაკეთება შეგვიძლია როცა ერთად ვართ.

ჩვენ გვეყოფა გამძლეობა, კულტურა და ინტელექტი, რათა უკეთესობისაკენ შევცვალოთ ჩვენი ყოველდღიური საქციელი და ქმედება. იმისათვის, რომ ყოველდღიური შრომით არა მხოლოდ საკუთარი ცხოვრება, არამედ ვაქციოთ საქართველო ჭეშმარიტად ევროპულ სახელმწიფოდ. ჩვენი სანუკვარი მიზნების მისაღწევად საჭირო ძალა თითოეულ ჩვენგანშია, ჩვენს იმ თვითმყოფადობაშია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გადაგვარჩინა და დღემდე მოგვიყვანა.

**შეკითხვა მეთხოვნი:** ექნებათ თუ არა სტუდენტებს ისეთი პირობები, რომ თავისუფლად შეეძლოთ თავის გატანა მშობლებისგან დაუხმარებლად?

**პასუხი:** ჩვენ დავიწყეთ განათლების სფეროს ფუნდამენტური რეფორმირება. ეს ჩვენი საზოგადოების მთავარი საკითხია.

70-იანი წლებიდან მოყოლებული, ჩვენ ვიყავით საზოგადოება, რომელშიც ნიჭიერ ადამიანს საქართველოში არსებული კორუფციის ქსელიდან გაღწევის თითქმის არანაირი შანსი არ ჰქონდა. დამოუკიდებლობის შემდეგ ამ ხალხმა მთლიანად აიშვა. დიპლომი 4 "კანისტრა" ბენზინის ფასად იყიდებოდა. კარგი ნიშანი კარგ ნაცნობს ნიშნავდა. საქართველო არ იყო ნიჭიერებაზე დაფუძნებული საზოგადოება - ეს იყო კორუფციაზე და ნაცნობობაზე დამოკიდებული საზოგადოება.

თქვენ იცით, ჩვენ იქამდე მოვედით, რომ განათლების სისტემაში განხორციელებული რევოლუციური რეფორმის შედეგად, საქართველოში პირველად ჩატარდა სამართლიანი გამოცდები.

ჩვენი განათლების სისტემის რეფორმის უმთავრესი მონაპოვარია ის, რომ დღეს ახალგაზრდას, შეუძლია ცხოვრება საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისად დაგეგმოს.

ისინი შეძლებენ საჭირო განათლება მიიღონ, დამსახურებულად ჩაირიცხონ სასურველ უმაღლეს სასწავლებელში, სამუშაო ადგილი კი ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისი ჰქონდეთ.

**შეკითხვა მეთექვსმეტე:** როდის იქნება ჩვენს სახელმწიფოში ცხოვრებისა და განათლების ისეთი დონე, რომ ყველა სტუდენტმა უნივერსიტეტებში „ლეკტორებით“ ვიაროთ?

**პასუხი:** ჩვენი განათლების რეფორმის მიზანია, რომ თანამედროვე სამყაროში ქართველი ახალგაზრდა კონკურენტუნარიანი იყოს, შეეძლოს საკუთარი შესაძლებლობების სრული რეალიზაცია არა მარტო თავისი სოფლის, რაიონის, ქალაქის ან ქვეყნის მასშტაბით, არამედ გლობალური კონკურენციისა და განვითარების რიტმს შეეწყოს და საამისოდ ყველა საჭირო ატრიბუტივით იყოს აღჭურვილი.

ჩვენ ახალგაზრდებს უნდა მივცეთ საშუალება ისწავლონ უცხო ენები, ფლობდნენ გლობალური კომუნიკაციის თანამედროვე ტექნოლოგიებს, მათთვის ხელმისაწვდომი იყოს კომპიუტერი და ინტერნეტი.

საქართველოს განათლების სისტემაში აღმშენებლობის ასეთი მასშტაბები არასოდეს ყოფილა. გასულ წელს უკვე აშენდა 28 ახალი, კაპიტალურად გარემონტდა 180 სკოლა, ხოლო 70-ში მიმდინარეობს რემონტი. 280 სკოლაში შეტანილია 1500 კომპიუტერი, ხოლო მიმდინარე წელს სრულად დამთავრდება ყველა სკოლის კომპიუტერიზაციისა და ინტერნეტიზაციის პროგრამა. ჩვენ დავიწყეთ პროგრამის "ირმის ნახტომი" განხორციელება ამ პროგრამის დაწყების მომენტისთვის (2005 წლის დასაწყისი) 200 მოსწავლეზე ერთი (ხშირად, მეორადი) კომპიუტერი მოდიოდა, ამჟამად 125 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მოდის, ხოლო 2006 წლის ბოლოს 80 მოსწავლეზე ერთი კომპიუტერი მოვა.

ჩვენი მიზანია, რომ 2009 წლისთვის 20 მოსწავლეზე 1 უახლესი კომპიუტერი იყოს გათვალისწინებული, რაც აღმოსავლეთ-ევროპული მაჩვენებელია და ქვეყნის ყველა სკოლის ჩართვა ინტერნეტში.

მიმდინარეობს პროგრამა "იაკობ გოგებაშვილი", რომელიც 2005-2010 წლებში საქართველოს ყველა სკოლის სრულ განახლებას ითვალისწინებს - ახალი ინვენტარითა და ლაბორატორია-კაბინეტებით, ასევე, კარგი სპორტული დარბაზებითა და მოედნებით აღჭურვას.

საქართველო დიდ ნაბიჯებს დგამს ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცისკენ. 2005 წელს საქართველო ბოლონის პროცესის სრულფულებიან წევრად მიიღეს, რაც იმას ნიშნავს, რომ 2010 წლისთვის ჩვენს სტუდენტებსა და პროფესორებს ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში დაუბრკოლებლად გადაადგილება შეეძლება. ჩვენი უნივერსიტეტების პროგრამები და ხარისხები ევროპულ უმაღლესებთან თავსებადი გახდება.

იმისთვის, რომ ჩვენი უმაღლესი სასწავლებელთა კურსდამთავრებულები კონკურენტუნარიანი იყვნენ, ჩვენი უმაღლესი განათლების პროგრამები და სტრუქტურები საერთაშორისო თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოვიყვანოთ.

2005 წელს მიიღეს მნიშვნელოვანი კანონი "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ".

მეცნიერების ახალი სისტემა თავისუფალი იქნება არაეფექტური კომუნისტური მემკვიდრეობისგან - აკადემიის ბიუროკრატიული მართვისგან. აკადემია კლასიკურ სახეს მიიღებს - წამყვან მეცნიერთა საკრებულო, რომელიც მთავრობას სახელმწიფოს პრიორიტეტებზე ორიენტირებული სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებით რჩევებს მისცემს.

მეცნიერების სისტემის ძირითადი პარამეტრები იქნება: სახელმწიფო სახსრების განაწილების ღია კონკურენტული მექანიზმი; სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო რეცენზირება; ინსტიტუციური ინტეგრაცია უმაღლეს განათლებასთან; სისტემური ინტეგრაცია საერთაშორისო კვლევით სივრცეში.

სოციალური სფეროსთვის წლებანდელ ბიუჯეტში 4,5 მილიონი ლარი გამოიყო მათთვის, ვინც ასაკის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, უმაღლეს სასწავლო ან კვლევით დაწესებულებებში თანამდებობებს ვერ დაიკავებს.

**შეკითხვა მეჩვიდმეტე:** არის თუ არა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობა დეცენტრალიზებული, და თუ არ არის, როგორ შეიძლება ამის გამოსწორება?

**პასუხი:** ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება ჩვენი პოლიტიკის და ხალხისთვის მიცემული დაპირებების ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედაა.

სრული ადგილობრივი დემოკრატიის შექმნა მერების და გუბერნატორების დონეზე უნდა მოხდეს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ყველა მერი და გუბერნატორი,

პირდაპირი თუ არაპირდაპირი წესით, არჩეული და არა დანიშნული უნდა იყოს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მმართველობითი ფუნქციები საქართველოს ხელისუფლებას არ ექნება, რადგან ამის გარეშე ქვეყნის მართვა წარმოუდგენელია.

ეს მორიგი რეფორმაა.

**შეკითხვა მეთორმეტე:** როდის გაერთიანდება საქართველო და გახდება ისეთი ძლიერი, როგორც იყო ოდესღაც?

**პასუხი:** ჩვენ გავხდებით პატარა და წარმატებული ქვეყანა, რომელიც ინვესტორებს მოიზიდავს არა თავისი ბაზრით, არამედ საკუთრების ყველაზე კარგი დაცვით, ყველაზე გასაგები და მარტივად შესასრულებელი კანონებით, სამართლიანი და ზომიერი საგადასახადო სისტემით, გამჭვირვალე და კომპაქტური ხელისუფლებით. საქართველოში ბიზნესის გაკეთება ყველაზე იოლი იქნება. მთავრობას ევალება უზრუნველყოს ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც ძალიან ხელმისაწვდომ მიზნად აქცევს იმას, რომ მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე 2000 დოლარი იყოს.

**შეკითხვა მეცხრამეტე:** რა მეთოდებით აპირებთ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას?

**პასუხი:** დღეს ვერავინ ამბობს, რომ საქართველო წარუმატებელი ქვეყანაა, მის გაერთიანებას და გამთლიანებას ალტერნატივა არ გააჩნია. საამისოდ, ყველაზე მოკლე გზა ამ პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტაა - საქართველოს მოდერნიზაცია, ეკონომიკური პროგრესი და ქვეყნის გაძლიერება. ეს ყველაზე მოკლე და, ამავდროულად, სწორი გზაა.

ჩვენ სამშვიდობო ინიციატივები გვაქვს. ყველაწარმომადგენელს - ხელი შეუშალონ ამ პროცესს ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობა ადვილად.

ამჟამად პარლამენტში რესტიტუციის კანონს განვიხილავთ და გვსურს, რომ ჩვენი ოსები საქართველოში დავაბრუნოთ. საამისოდ მათ შესაბამისი პირობები უნდა შევუქმნათ, რადგან ეს ხალხი ქართული საზოგადოებისა და მისი მენტალიტეტის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა, ამავე დროს, აფხაზეთში ჩვენ ტექნიკურ გადაღებებსა და ქონების აღწერას ვაწარმოებთ. ამის შედეგად ჩვენ შევძლებთ, რომ ყველას, ვინც იმ ტერიტორიიდან უკანონოდ გამოაგდეს და საკუთარი ქონება წაართვის, ქონების საკუთრების სერთიფიკატები მივცეთ.

მინდა გავაფრთხილო ყველა მაძიებელი მოსკოვიდან, კურსკიდან, სხვა ქალაქიდან, თუ ქვეყნიდან, რომ აფხაზეთში მათ

არაფერი ესაქმებათ, ეს ქართველების ტერიტორიაა და მალე ისინი, ჩემი ჩათვლით, იქ იცხოვრებენ.

**შეკითხვა მეოცე:** სწორად მიგანჩიათ თუ არა ასეთი აგრესიული ტონი რუსეთის ხელისუფლების მისამართით?

**პასუხი:** ჩვენ რუსეთთან კეთილმეზობლური, კარგი და კონსტრუქციული ურთიერთობა გვინდა, ამისათვის ბევრი ნაბიჯი გადავდგით. შარშან, როცა გელა ბეჟუაშვილი საგარეო საქმეთა მინისტრად ინიშნებოდა, მე მას ორი მთავარი ამოცანა დავუსახე. ეს იყო ბაზების ხელშეკრულების გაფორმება და საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის დაჩქარება.

ამას თან მესამე დავალება ერთვება - საქართველომ კონსტრუქციული დიალოგის გზით უნდა შეძლოს ფაქტობრივი ეკონომიკური „ემბარგო“ დაძლიოს, რომელიც საქართველოს მიერ წარმოებულ პროდუქციაზე რუსეთის ხელისუფლების გარკვეული უწყებების მხრიდან არის შემოღებული.

ჩვენ ეს მაღალ პოლიტიკურ დონეზე გვინდა გადავიყვანოთ. საქმე ყველაზე ფუნდამენტალურ, ადამიანურ და არა მხოლოდ ეკონომიკურ კავშირებს ეხება.

ბაზების გაყვანას რაც შეეხება, ამ საკითხის გადაწყვეტა ნათლად აჩვენებს, რომ დიპლომატიური მუშაობა, სწორი და თანამიმდევრული პოზიციის პირობებში საკითხების გადაწყვეტა, პრობლემებს ადვილად აგვარებს. ეს იყო ყველაზე რთული საკითხი, რაზეც ჩვენ შარშან მუშაობა დავიწყეთ.

არ არსებობს საკითხი, რომელიც დიალოგისა და მოლაპარაკებების გზით არ გადაწყვედება.

**შეკითხვა ოცდამეერთე:** როგორ გგონიათ ქართული საზოგადოება გენდობათ? და სჯერა თქვენი, პირადად თქვენი და დღევანდელი ხელისუფლების?

**პასუხი:** ჩვენთან დემოკრატიაა და მაინც მოიძებნება ხალხი, რომელიც იტყვის, რომ ეს ყველაფერი ტყუილია. პირადად მე კი, საკუთარ თვალს უფრო ვუჯერებ, ვიდრე ამ ანალიტიკოსებს.

ჩვენი ხალხიც საკუთარ თვალს უფრო უჯერებს და ამიტომაც, 2006 წ. იანვრის გამოკითხვის მიხედვით, მთავრობის მიმართ მხარდაჭერის რეიტინგი ჯერ კიდევ 70 პროცენტზე მაღალია. თუმცა ინტენსიურად ვმუშაობ, რომ ეს მაჩვენებელი 60-55 პროცენტზე ჩამოვიდეს და შემდეგ სტაბილური გახდეს. ეს რეალობაა.

ეს არის ის, რაც მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის.

ბელონიზაციაში ჩვენი მოსვლის დღიდან, ვარაუდობდნენ რომ ჩვენ ძალა და გამოცდილება არ გვეყოფოდა, ავფეთქებოდით, ვიომბდით და სწორედ ამიტომ ჩამოვიდა ჩვენი რეკოლუციის დროს მთელი მოსვლიდან ამდენი ჟურნალისტი. როდესაც ჩვენი რეკოლუციის 2 წლისთავზე დიდი კონფერენცია გაიმართა და აქ ჩამოვიდნენ პრეზიდენტები, საგარეო საქმეთა მინისტრები, არ ჩამოვიდნენ სერიოზული ჟურნალისტები და ეს ძალიან გამიხარდა.

ისინი ერთი წლის თავზე ჩამოვიდნენ, რათა მოეხსენებინათ, თუ როგორი იმედგაცრუებულია ხალხი მომხდარი რეკოლუციით. ახალი ამბავი მათთვის მხოლოდ ეს შეიძლება ყოფილიყო. 2 წლისთავზე კი ამას ვეღარავინ იტყოდა და ამიტომ მათთვის არც ახალი ხდებოდა რამე.

ჩემი სურვილია, რომ საქართველოში მსგავსი გლობალური ახალი ამბები აღარ მოხდეს.

**შეკითხვა ოცდამეორე:** დღეს-დღეობით, თქვენი ყურდლება გამახვილებულია სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარებაზე, სამცხე-ჯავახეთი კი ნელ-ნელა ემიჯნება დანარჩენ საქართველოს, ხომ არ გავიწყდებათ, რომ ისიც საქართველოს ნაწილია და დაცვა სჭირდება?

**პასუხი:** როდესაც ჩვენ საზოგადოებაზე ვსაუბრობთ, უნდა გვესმოდეს, რომ ის ეთნიკურად ჭრელია და მასში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. ჩვენ უნდა შევძლოთ მათი თვალთ დავინახოთ ის, რაც წინა წლებში საქართველოში მოხდა. ყოველივე ამის დანახვა ოსის და აფხაზის თვალთ უნდა შევძლოთ. ჩვენ ასევე ისიც უნდა შევძლოთ, რომ ყველა აზერბაიჯანელი და სომეხი თავს ამ საზოგადოების ნაწილად მიიჩნევდეს.

ამ ადამიანებისთვის სპეციალურ ადმინისტრაციულ სკოლას ვქმნით, რათა სახელმწიფო აპარატში მათი ინტეგრაცია მოხდეს. ჩვენ პირველად ვაძლევთ განსაკუთრებულ შესაძლებლობას ამ ადამიანებს, რათა დაეუფლონ ქართულ ენას, შეისწავლონ ადმინისტრაციული კოდექსი, ვინაიდან ეს ადამიანები შემდეგში სახელმწიფო აპარატში სხვადასხვა დონეზე დაინიშნებიან. ჩვენ ახალ სახელმწიფო აპარატს ვაყალიბებთ. ამ ხალხმა ახალი ქართული სახელმწიფო უნდა შექმნას, ეს ისტორიული მომენტი.

არასოდეს შევეგუები იმას, რომ ვინმემ საქართველოს ტერიტორიის ხელყოფა მოახდინოს.

ჩვენ ვიყავით ახალქალაში, სადაც ნინოწმინდას რაიონში შოთა რუსთაველის სახელობის სომხურ სკოლაში 9 წლის გოგონამ საქართველოს ჰიმნი ზეპირად წაიკითხა. ის რა თქმა უნდა არის სომეხი, თუმცა არის საქართველოს მოქალაქე. ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ ათასგვარი სტერეოტიპისაგან.

ჩვენი სახელმწიფო ეკუთვნის ყველას, ვინც აქ ცხოვრობს მისი აღმშენებლობისათვის ყველამ უნდა იზრუნოს.

ჯავახეთის გეოგრაფიული იზოლაცია დანარჩენი საქართველოდან ერთხელ და სამუდამოდ დასრულდება. ეს ნიშნავს, რომ გლეხი აქედან თავის პროდუქციას თავისუფლად გაიტანს, განვითარდება მეტი ბიზნესი, იქნება ბევრად მეტი ფული, ბევრად მეტი მოძრაობა და განვითარება. გზები და განვითარება ეს არის ის მთავარი, რაც ჯავახეთს ჭირდება. წელს, პირველი წელია, როცა ამ რაიონს ელექტროენერჯის პრობლემა არ ჰქონია. ვიწყებთ სკოლების მშენებლობას, ახალქალაქში სპორტის სასახლის მშენებლობა დაიწყო, ხოლო ნინოწმინდაში სპორტული დარბაზი, როგორც მე მათ დავპირდი, შემოდგომაზე დასრულდება. სამცხე-ჯავახეთში ახალი პოლიკლინიკები და ამბულატორიები აშენდება, ძველი კი-კაპიტალურად შეკეთდება. მნიშვნელოვნად განვითარდება ინფრასტრუქტურა, რათა ადგილზე ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო ყველა პირობა შეიქმნას.

**შეკითხვა ოცდამესამე:** რა შეიძლება გააკეთდეს იმისათვის, რო, ქართველი გლეხობა გადარჩეს? როგორ შეიძლება წინ აღუდგეთ მეზობელი ქვეყნის მიერ გამოცხადებულ ემბარგოს?

**პასუხი:** დავიწყეთ სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ვრცელი პროგრამა.

უახლოეს წლებში საქართველოში ტრაქტორების რაოდენობა მინიმუმ უნდა გაორმაგდეს, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. პირველი ასორმოცდაათი ტრაქტორი კახეთში წავა, ვინაიდან კახეთს წელს ყველაზე მეტად უჭირს, ამ მხარეზე ღვინის ემბარგოს სახით დარტყმა განხორციელდა.

უნდა შეიქმნას მომსახურების ცენტრები, ფასები ხელმისაწვდომი უნდა იყოს, არანაირი პრივილეგია, საღ, კომერციულ საფუძველზე სახელმწიფოს დახმარებით ხელი ყველას უნდა მიუწვდებოდეს. ერთადერთი, რასაც ჩვენ ვერ შევძლებთბ ეს დიზელის ფასის გაიაფებაა, ვინაიდან ეს ფასი დგინდება არა საქართველოში, არამედ მსოფლიოს ბაზრის მიერ, დანარჩენი - უფასო ნერგები, თესლები კონსულტაციები და



ტრაქტორები ხელმისაწვდომ ფასში სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენმა მეღვინეებმა უნდა იცოდნენ, ვილაცას გადაწყვეტილი აქვს ჩვენთან ღვინის ამოძირკვა, ეს შაჰაბასმა ვერ მოახერხა და დღეს ვერც ვერავინ მოახერხებს.

იქნება პრობლემები და სიძნელეები, მაგრამ თუ ჩვენ, ყველა ერთად დავდგებით, ვიშრომებთ, არ არსებობს სიძნელე, რომელსაც ვერ გადავლახავთ, არ არსებობს პრობლემა, რომელსაც ვერ დავძლევთ, არ არსებობს კონკურენცია, რომელსაც ვერ გავუძლებთ, არ არსებობს ბაზარი, რომელსაც ვერ დავიპყრობთ.


ჩვენ გადავარჩენთ მევენახეობასა და მეღვინეობას, არა მხოლოდ გადავარჩენთ, არამედ უახლოეს ხანში ამ გაჭირვების პირობებში გავაძლიერებთ.

მთავარია არ შეგვეშინდეს, არ გავექცეთ პრობლემებს, მოვინდომოთ და ვიშრომოთ.

**შეკითხვა ოცდამეოთხე:** არის რაიმე მიუღწეველი თქვენთვის?

**პასუხი:** რაც შეეხება სწრაფ პროგრესს, ჩემზე მოუთმენელი ადამიანი საქართველოში არ მეგულება და არც არსებობს.

ჩემი სურვილია მქონდეს ჯადოსნური ჯოხი, რომლის საშუალებითაც ამ მთებზე ასობით სასტუმრო აშენდება, მილიონობით ტურისტი ჩამოვა, საქართველო აშენდება და გაბრწყინდება.



## თემურ თოდუა

სახელმწიფო მართვის აზროვნება თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების მნიშვნელოვანი და ამავე დროს პერსპექტიული მიმართულებაა. მან განვითარების ფრიად რთული და საინტერესო გზა განვლო.

მართალია არავინ უწყის თუ როდის დაიწყო ადამიანმა ფიქრი მართვაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა: სახელმწიფო მართვის საკითხების განზოგადობას პირველად ეგვიპტელების, ბაბილონელების, შუმერების, ინდოელების, ჩინელებისა თუ ბერძენ-რომაელების მოძღვრებებში ვხვდებით. ჩვენ არ შევუდგებით ზემოთ ჩამოთვლილ ხალხთა იდეებისა თუ შეხედულებების სკრუპულოზურ შესწავლას სახელმწიფო მართვის პრობლემებზე. ამჯერად, ყურადღებას გავამახვილებთ იმ არსებით და ნიშანდობლივ მოძღვრებებზე, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს შემდგომი ხანის სახელმწიფო მართვის თეორიების ჩამოყალიბებაში.

### სახელმწიფო მართვის აზროვნების ისტორიიდან („კლასიკური“ თეორიები)

ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა, ინტერესს იწვევს ძველი ეგვიპტის V სამეფო დინასტიის (ძვ.წ. III ათასწლეული) მაღალჩინოსნის (ვეზირის) პტახოტეპის „სწავლება“. ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოს მართვის საკითხებს. იგი ახასიათებს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების იმ მეთოდებს, მექანიზმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებაში იდეალური წყობილების ჩამოყალიბებას. პტახოტეპის მიხედვით, იდეალურ საზოგადოებაში სახელმწიფოს მხოლოდ კეთილშობილნი უნდა მართავდნენ. მმართველი პატივს უნდა სცემდეს წინაპართა მიერ დადგენილ კანონებს გამოირჩეოდეს სამართლიანობითა და სიუხვით, დახმარებას უწყევდეს ქვეშევრდომთ.

ქვეყნის მმართველის გარდა, პტახოტეპის „სწავლება“ ეხება სახელმწიფოს სხვა უმაღლეს მოხელეებსაც. კერძოდ, მმართველის მრჩეველებსაც. მისი მტკიცებით, მმართველის მრჩეველი უნდა იყოს კეთილშობილი, დინჯი და წინასწარმეტყველი [8, გვ.44]

პტახორტეკის მიხედვით, წინაპართა მიერ შემუშავებული წესების განხორციელებაზე ზედამხედველობას უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო თავისი მოხელეების მეშვეობით. პტახორტეკის „სწავლებაში“ გვხვდება მითითება სხვადასხვა თანამდებობის პირებზე ბატონი, უფროსი, მმართველი, მსახური, კლიენტი და სხვა. რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ სახელმწიფოში წესრიგი და დაეცვათ კანონები. [8, გვ. 49-52].

სახელმწიფო მართვის თეორიის ზოგიერთი საკითხები განხილულია ბაბილონის ძველამოსილი მეფის ჰამურაბის (ძვ.წ. 1792-1750წწ) კანონებში. კანონები სამი ნაწილისაგან შედგება. ჩვენთვის საინტერესო საკითხები მოცემულია კანონების მეორე ნაწილში.

ჰამურაბის კანონების თანახმად, სახელმწიფოებისა და ადამიანების ბედს ღმერთები განაგებენ. ყველაზე ძლიერი ამქვეყნიური ძალა სამეფო ხელისუფლებაა, რომელიც ღმერთებმა შექმნეს. ღმერთების მიერ დანიშნული მეფის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ქვეშევრდომთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა; ქვეყნის მორჩილებაში მოყვანა. ჰამურაბის მტკიცებით, ასეთი იყო თვითონ, რომელმაც „დაამყარა ქვეყნად ჭეშმარიტი ბედნიერება და კეთილი მმართველობა“.

ჰამურაბის კანონებში დახასიათებულია ხელისუფლების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი. ამათგან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს სამეურნეო ურთიერთობების მოწესრიგებას. ჰამურაბის აზრით, ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისათვის.

ჰამურაბის მტკიცებით, აჯანყების თავიდან აცილების მიზნით ხელისუფლება უნდა აკეთილშობილებდეს ქვეშევრდომთა ზნე-ჩვეულებებს, მათში მორჩილების გრძობას ამტკიცებდეს. განხორციელების ძირითადი მხარეებიდან ჰამურაბი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გარეშე მტრების შემოსევებისაგან ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და მეზობელი სახელმწიფოების დაპყრობას [3.გვ.24-26, 63-64]

სახელმწიფო მართვის თეორიის საკითხებს დიდი ადგილი ეთმობა ძველ ინდურ კანონებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ე.წ მანუს კანონები (ძვ.წ –II-ახ.წ. II სს.) ტრადიციის თანახმად მანუს კანონები შედგენილია კაცობრიობის შორეული წინაპრის მანუს მიერ. ეს კანონები დროთა განმავლობაში ივსებოდა. ჩვენამდე მოღწეული მანუს კანონები ძვ.წ II ახ.წ II ს-ით თარიღდება.

მანუს კანონები იცნობს სახელმწიფოს ორ ფორმას- მონარქიას და რესპუბლიკას. მთელი სახელმწიფო შედგება

სოფლებისა და ქალაქებისაგან. მართვის მხრივ მანუს კანონების მიხედვით, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ქალაქებში უპირატესად რესპუბლიკური მმართველობა ბატონობს. ქვეყნის უკეთეს მმართველობად მანუს კანონებით მიჩნეულია სოფლებისა და ქალაქებში სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელების შემდეგი წესი: თითოეულ სოფელს ყავს თავისი მამასახლისი. სოფლები გაერთიანებულია ათეულებად, ოცეულებად. ასეულებად და ათასეულებად, რომელთა სათავეში მმართველები დგანან. სოფლის მამასახლისი მისდამი დაქვემდებარებული სოფლის საქმეების მართვის შესახებ ცნობებს აწვდის სოფლის მმართველებს. მმართველები გასამრჯელოს ღებულობენ. ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობას ზედამხედველობს მეფის მიერ დანიშნული მოხელე.

რაც შეეხება ქალაქებს მათ მმართველებად, მანუს კანონების მიხედვით, უნდა დაინიშნონ მდიდარი პირები. ქალაქების გამგებლები, თვიანთი თანაშემწეებით ამოწმებენ და ზედამხედველობას უწევენ მოხელეთა საქმიანობას [16.გვ 36-54]

მანუს კანონების თანახმად, ქვეყნის სათავეში დგას მეფე, რომელიც უნდა იყოს მამაცი განათლებული და მართვის ხელოვნებას ფლობდეს. კანონმდებლის აზრით მეფე, რომელიც ბოროტად იყენებს ხელისუფლებას, მკაცრად უნდა დაისაჯოს.

სახელმწიფოს საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ძველ ჩინეთშიც. ჩინელი მოაზროვნეები და ფილოსოფოსები კონ ფუძი, მოძი, ლაო ძი, ხან ფეი და სხვები აქტიურად მუშაობდნენ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმატებით განხორციელების პრობლემაზე.

დიდი ჩინელი მოაზროვნის კონფუცი (ძვ.წ 551-478წწ) პოლიტიკურ მოძღვრებაში სათანადო ადგილი უკავია სახელმწიფო მართვის განხორციელების აქტუალურ საკითხებს. კონ ფუძის შეხედულებით სახელმწიფო ღვთაებრივი წარმოშობისაა. ღმერთის ნებით ადამიანებს მწყემსებად მოეკვლინენ ამ ქვეყნიური მმართველები. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების წარმატებით განხორციელება ზეციურ ნებაზეა დამოკიდებული. როცა სახელმწიფო მართვა ზეციური ნების შესაბამისად ხორციელდება, ქვეყანაში სრული წესრიგი სუფევს. მაგრამ საკამარისია მმართველებმა ყური არ უგდონ ზეციური ძალების კარნახს და თვითნებურად დაიწყონ ქვეყნის მართვა, რომ საზოგადოებაში ქაოსი გამოეფლება.

კონფუცი აზრით, სახელმწიფო მართვის უფლება არ უნდა ჰქონდეს იმას, ვისაც ამ ძალებს თავისი თავის გამოსწორება და დაშვებული შეცდომის არ ძალუდს დაძლევა.

სახელმწიფოს მრავალმხრივი საქმიანობიდან კონფუცი სამ ძირითად მხარეს გამოყოფს: მატერიალური დოვლათის შექმნა; შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბება და მთავრობისადმი ხალხის ერთგულების უზრუნველყოფა. ამ მხარეებიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთავრობისადმი ხალხის ერთგულების უზრუნველყოფას, ვინაიდან მისი სიტყვით „ხალხის ნდობის გარეშე მთავრობას არ შეუძლია არსებობა“. [14, გვ. 10,34,91].

კონფუცი მტკიცებით, სახელმწიფო მართვის ეფექტური განხორციელებისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოხელეების შერჩევასა და მათ საქმიანობაზე კონტროლს. სახელმწიფო მოხელეები უნდა შეირჩნენ მხოლოდ მათი უნარისა და ღირსების გათვალისწინებით, რაც ჩვენი დროისათვის საკმაოდ აქტუალურია.

სახელმწიფო მართვის თეორიების სრულყოფაში და საერთოდ პოლიტიკური აზროვნების ჩამოყალიბების, განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულეს ძველი საბერძნეთის ისეთმა დიდმა ფილოსოფოსებმა და მოაზროვნეებმა, როგორც იყო სოკრატე, პლატონი და არისტოტელე.

სოკრატეს არც ერთ თხზულებას ჩვენამდე არ მიუღწევია. სოკრატეს მოძღვრებანი დაცულია მისივე მოწაფეების – ქსენოფონტის [6], პლატონის [4] ნაშრომებში.

სოკრატეს (ძვ.წ. 469-399წწ). მრავალმხრივ საინტერესო და ორიგინალურ მოძღვრებაში საკამოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფო მართვის საკითხებსაც. სოკრატეს აზრით, ქვეყნის მმართველი უნდა იყოს ის, ვინც მცოდნეა, სახელმწიფომ პირობა უნდა შექმნას მოქალაქის ბედნიერებისათვის, ხოლო ბედნიერების მოტანა შეუძლია მცოდნეს. ამიტომ ილაშქრებოდა სოკრატე დემოკრატიის ძირითადი პრინციპების წინააღმდეგ.

ცნობილია, რომ ათენის სახელმწიფოში უმაღლესი მმართველიდან დაწყებული რიგით მოხელემდე სახალხო კრებაზე კენჭისყრით იყო არჩეული. სოკრატე გამოდის ამ სისტემის მოწინააღმდეგის როლში. გეზე ბატონი ნაოსნობის, მეურნეობაში მეურნეობის მცოდნე, ავადმყოფთან ექიმი - ამბობდა სოკრატე. მას ვერ გაუგია, თუ რატომ უნდა იყოს ბატონი შემთხვევით არჩეული კაცი.

სწორედ პირველმა სოკრატემ წამოაყენა თეზა „კლასობრივი მართვისა“ და მართვის პრინციპების შესახებ. იგი უხსნის ნიკომახეს, რომ ლიდერი, რომელმაც იცის რა ჭირდება და იღებს კიდევ მას, შეიძლება იყოს კარგი მმართველი, სულ ერთია რას მართავს ის, გუნდს, ოჯახს, ქალაქსა თუ არმიას.

სოკრატეს სახელმწიფოს კარგად მართვა და სამართლიანდ მართვა ექვივალენტურ ცნებებად მიანდა. ამის ნათელი ილუსტრაციაა სოკრატესა და მენონის დიალოგი. სოკრატე მენონს მიმართავს: „როგორ, განა შენ არ ამბობდი, კაცის სიქველე სახელმწიფოს უნარიანად მართვაა, ხოლო ქალისა-ოჯახის გაძღოლა? განა შეიძლება უნარიანად მართავდე სახელმწიფოს თუკი გონივრულად და სამართლიანად არ მართავ მას? [4,გვ.120-121].

სახელმწიფოს მართვის შესახებ განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა პლატონს. (ძვ.წ. 428-347წწ) ბერძენმა ფილოსოფოსმა ნაშრომში „პოლიტიკა“ წარმოადგინა იდეალური სახელმწიფოსა და მისი მართვის პროექტი [10, გვ. 7-86 9, გვ. 131-136].

პლატონი იდეალურ სახელმწიფოს სამ წოდებად ჰყოფს: პირველი წოდება არის „დემოსი“, გლეხი, ხელოსანი და ვაჭარი. ისინი შრომობენ. სახელმწიფო მათი აღზრდის საქმეში საფუძველად დებს მორჩილებისა და თავდაჭერის გრძობის გამომუშავებას. ეს წოდება, პლატონის აზრით, მართვის საქმეში მონაწილეობას არ იღებს. მეორე წოდება მეომართა წოდება, რომელიც სახელმწიფოს არსებობის საფუძველია. იგი მმართველი კლასია. მესამე წოდება არის მმართველთა ანუ ფილოსოფოსთა წოდება. მათი მოვალეობაა კანონების შექმნა, ქვეყნის მართვა-გამგეობა. [10,გვ. 87-150; 11].

პირველი ვინც სახელმწიფო მართავს მეცნიერული პოზიციებიდან იხილავდა დიდი ბერძენი ფილოსოფოსი და ენციკლოპედისტი არისტოტელე (ძვ.წ. 384-322წწ.) იყო იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფო მართვას, როგორც მეცნიერებას. არისტოტელე თავის „პოლიტიკაში“ მიუთითებდა, რომ მთელი საზოგადოებრივი სისტემა უნდა განთავსდეს პოლიტიკური ცხოვრების ჩარჩოებში და სახელმწიფოს სამსახურში ჩადგეს. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ „რამდენადაც მეცნიერება სახელმწიფოს შესახებ სხვა მეცნიერებათა მონაცემებს იყენებს და გარდა ამისა, კანონმდებლობით განსაზღვრავს თუ რა ნაბიჯები გადაიდგას და რისგან თავი შევიკავოთ, მაშინ მის მიზანს შეადგენს, სხვა მეცნიერებათა მიზნები. ამდენად ეს მიზანი იქნება კიდევ ადამიანების კეთილდღეობის საწინდარი.

„პოლიტიკაში“ ღრმად და ყოველმხრივ განხილულია სახელმწიფოების დაღუპვის და სიმყარის მიზეზები; დახასიათებულია დადებითი და უარყოფითი სახელმწიფოებრივი ფორმები: დემოკრატია, დიქტატურა, მონარქია, დემოკრატია, ოლიგარქია.

ჩვენთვის საინტერესო საკითხებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომის ის ადგილები, სადაც განხილულია დადებითი სახელმწიფოს მართვის ორგანიზაციის ასპექტები. არისტოტელეს აზრით, დადებითი სახელმწიფოს ხელმძღვანელები უნდა იყვნენ მაღალზნობრივი ადამიანები, პატიოსნები და გონიერები. ისინი უნდა იყვნენ კაცთმოყვარენი და მუდმივად ზრუნავდნენ ხალხის კეთილდღეობაზე. მათ არ უნდა დაუშვან ხალხის გადატაკება, ხოლო გადატაკების შემთხვევაში უნდა მიიღონ ზომები მათი გამდიდრებისათვის. თუ სახელმწიფოს ხელმძღვანელები ზრუნავენ პირად კეთილდღეობაზე, სახელმწიფო დესპოტურ ხასიათს მიიღებს, ხოლო თუ ზრუნავენ ხალხზე, მაშინ სახელმწიფო ჰუმანური გახდება. კარგი სახელმწიფოს ხელმძღვანელობა არ ითვისებს ხალხის საკუთრებას და მას ისევ ხალხის კეთილდღეობას მოახმარს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მუდამ აბარებდეს ანგარიშს ხალხს. კარგ სახელმწიფოში ხელმძღვანელობა ღირსეულ მოქალაქეებს ღირსეულ პატივს მიაგებს და უღირსთ არ აძლევს აღზევების საშუალებას. არისტოტელე ასკვნის: „უდავოდ სასარგებლოა, რომ სახელმწიფოს სათავეში იყვნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფოს უშუალოდ მართავენ“ [1, გვ. 20-60; 70-75].

ორიგინალურია არისტოტელეს მსჯელობა უნდა ყოფილიყვნენ თუ არა ახალგაზრდები ჩართულნი სახელმწიფოს მართვაში და საერთოდ პოლიტიკაში. პასუხი უარყოფითია. მისი დასკვნით, ახალგაზრდები პოლიტიკოსებად ვერ გამოდგებიან, რადგან მათ გამოცდილება აკლიათ. „პოლიტიკა ცოდნის პრაქტიკული დარგია, მას ნაკლები კავშირი აქვს თეორიასთან“. ახალგაზრდა ცხოვრებისეულ საქმეებში გამოუცდელია. პოლიტიკაში კი მსჯელობა იწყება ცხოვრების საკითხებიდან და ამითვე მთავრდება [2, გვ. 27]

ამგვარად, არისტოტელეს მრავალი დებულება დღესაც აქტუალურია და მისი კონცეფციები სახელმწიფო მართვის სფეროშიც სახელმძღვანელოდ გამოდგება.

სახელმწიფო მართვის შესახებ საინტერესო და ორიგინალური მოსაზრებები აქვს გამოთქმული დიდ ბერძენ ისტორიკოსსა და ფილოსოფოს – მორალისტს პლუტარქეს (ახ.წ. 46-127წწ) ნაშრომში – „მორალია“, [12] რომელიც რამდენიმე დამოუკიდებელი ნაწარმოებისაგან შედგება.

მათგან საკვლევი თემისათვის ღირებულად გვეჩვენება „მონარქიის, დემოკრატიისა და ოლიგარქიის შესახებ“ „უნდა მონაწილეობდნენ თუ არა მოხუცები სახელმწიფო მართვაში“, „სახელმწიფოებრივი დარიგებები“. პირველი ტრაქტატის

განხილვიდან ჩანს, რომ პლუტარქე უპირატესობას, დემოკრატისა და ოლიგარქიასთან შედარებით, მონარქიულ წყობილებას ანიჭებდა, მაგრამ პატივისცემას იხენდა რესპუბლიკური იდეალებისადმი.

„სახელმწიფოებრივი დარიგებები“ რეკომენდირებულია სახელმწიფო მმართველებისათვის. პლუტარქეს თანახმად, მმართველმა კარგად უნდა შეისწავლოს ხალხის ხასიათი, დამაჯერებლად და მკაფიოდ საუბრობდეს, იუმორის გრძობა უნდა გააჩნდეს; სახელმწიფო მოღვაწეობის დასაწყისში მმართველმა საგმირო საქმეების კეთებისაგან თავი უნდა შეიკავოს, რადგან იმ დროში ეს სახიფათო და შეუძლებელიც იყო. კარგი მმართველისათვის უმაღლეს ჯილდოდ უნდა ითვლებოდეს არა მატერიალური კეთილდღეობა, არამედ ხალხის ნდობა და სიყვარული [12, გვ. 239-245].

ტრაქტატში – „უნდა მონაწილეობდნენ თუ არა მოხუცები სახელმწიფო მართვაში“, პლუტარქე ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს: „პოლიტიკა სოლიდური ასაკის ხალხის საქმეა და არა პატივმოყვარე, ქარაფშუტა ახალგაზრდებისა. ამიტომაც თუ ძალა გერჩის ხანდაზმულობის ასაკშიც კი უარი არ უნდა ითქვას სახელმწიფო მართვაში მონაწილეობაზე“. [12, გვ. 238]

სახელმწიფო მართვის საკითხები გაშუქებულია, ასევე რომაელი ისტორიკოსების, ფილოსოფოსებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა თხზულებებში. სახელმწიფო მართვისა და მმართველობის ფორმების შესახებ, ვრცლად მსჯელობს დიდი რომაელი ორატორი და სახელმწიფო მოხელე მარკუს ტულიუს ციცერონი, (ძვ.წ.106-43წწ). რომლის მოღვაწეობა დაემთხვა რომის ისტორიის იმ რთულ პერიოდს, როდესაც, ხდებოდა მნიშვნელოვანი ძვრები რომაული საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ სფეროში . [5, გვ.76-95].

რომაული საზოგადოების ყურადღება ციცერონმა მიიპყრო, როგორც ორატორმა. ორატორულ ხელოვნებას კი მაშინ განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭებოდა. ციცერონის აზრით, მჭერმეტყველება მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკასთან და ამდენად ორატორს მოეთხოვება იყოს განათლებული, მაღალი კულტურის პიროვნება. ორატორი, ციცერონის თანახმად სახელმწიფო მოღვაწეა და არა სასამართლოს ჩხირკედელია [18, გვ. 19-20].

საინტერესოა ციცერონის მოსაზრება სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთმიმართების, მათი მართვის შესახებ. ციცერონი წერდა: „ჩვენი წინაპრნი არასოდეს ისე კეთილგონიერი და ღმერთაგან დაბრძანებული არ ყოფილან, როგორც მაშინ, როდესაც გადაწყვიტეს, რომ ერთი და იგივე



პირები რელიგიასაც უნდა განაგებდნენ და რესპუბლიკასაც მართავდნენ“. [18, გვ. 25]

ამრიგად, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სასულიერო პირები საერთო ძალებით იცავენ სახელმწიფოს [7, გვ. 61]

ციცერონის შრომებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაშრომს – „სახელმწიფოს შესახებ,“ სადაც განზოგადოებულია სახელმწიფო მართვისა და მმართველობის ფორმები. ციცერონის კონცეფციით სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმაა ის, რომელშიც შერწყმულია მმართველობის სამივე ელემენტი: მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული. შერეული მმართველობის დროს უნდა არსებობდეს „გრადაცია ღირსების მიხედვით“, რაც გამორიცხავს გადატრიალებებს და სიმტკიცეს უზრუნველყოფს. ციცერონი ქადაგებდა „წოდებათა თანხმობას, რაც ხელს უწყობდა ინტერესთა ერთიანობასა და სახელმწიფო მართვის სრულყოფას [18, გვ. 44-50].

დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა სახელმწიფო მართვის შესახებ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს გაიუს იულიუს ცეზარს (ძვწ. 100-44წწ). სახელმწიფოს მართვაში ცეზარი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა დროისა და გარემოების ფაქტორების გათვალისწინებას. ცეზარი წერდა: „ვინ გააკიცხავს თქვენს განაჩენს რესპუბლიკის მომსპობთა წინააღმდეგ –დრო, გარემოება, ბედი, რომლებიც ქვეყანას მართავენ.“ [17, გვ.95]. სწორედ დროისა და ვითარების სწორი ანალიზის შედეგი იყო, ის რომ ცეზარი პირველი იყო, რომელმაც რომის რესპუბლიკურ სისტემას განაჩენი გამოუტანა. ცეზარის თანახმად, რესპუბლიკურმა მმართველობამ თავისი შესაძლებლობები უკვე ამოწურა და გარემოება მოითხოვდა ერთმართველობის, დიქტატორულ სისტემაზე გადასვლას, რაც მან წარმატებით განახორციელა.

სახელმწიფო მართვის შესახებ საყურადღებოა მოსაზრებას ეხვდებით რომაელი ისტორიკოსის პომპეუს ტროგუსის (ძვ.წ. I-ახ.წ. I სს) თხზულებაში – „ფილიპიკების ისტორია“. ტროგუსის აზრით, ყველა ქვეყნისა და მათი მმართველების საქმე წინ მიდის იქამდე, ვიდრე მათში გაჩნდება ფუფუნებისა და სიმდიდრის დაგროვებისადმი მიდრეკილება; დეგრადაცია და ადამიანთა საზოგადოების დაქვეითება მაშინ იწყება, როცა იწყება ფუფუნება და სიმდიდრის დაგროვება [19, გვ. 36-41].

ორიგინალური მოსაზრების შემცველია პლინიუს უმცროსის (ახ.წ. 62-113წწ) თხზულება „პანეგირიკი“. [13, გვ. 213-271]. პლინიუს უმცროსი რეალურად მიიჩნევს რესპუბლიკური

წესების აღდგენას ტრაიანეს მიერ, რითაც უზულებელყოფს რესპუბლიკური ორგანოების დაკინების ფაქტს. ამას მოწმობს თუნდაც ის გარემოება, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პლინიუსი კონსულის თანამდებობას. სინამდვილეში ამ დროს ხდება კონსულის დანიშვნა, რაც ეწინააღმდეგება არჩევითობის რესპუბლიკურ პრინციპს. გულუბრყვილოა, ასევე პლინიუსის მტკიცება, რომ მის დროს სენატი „ძველ რომაულ“ ორგანოს წარმოადგენდა [13, გვ. 251]. სინამდვილეში კი სენატის პოლიტიკური როლის შემცირება იმთავითვე იყო პრინციპატის მიზანი.

სულ სხვა პრობლემა იდგა გამოჩენილი რომაელი ისტორიკოსის – სვეტონიუსის (ახ.წ. 70-160წწ) წინაშე. მის კაპიტალურ ნაშრომში – „თორმეტი ცეზარის ცხოვრება,“ [15] განზოგადოებულია კარგი მმართველის იდეა. მაგალითად, აგუსტუსი დახასიათებულია, როგორც თავდაჭერილი, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებული მმართველი. [15, გვ. 51-102] ასევე უდგება სვეტონიუსი ტიტუსს, რომლის ჭაბუკურ სითამამეს უპირისპირებს მის თავდაჭერილობას და გონიერებას იმპერატორად ყოფნის დროს. [15, გვ. 268-272]

სვეტონიუსს კარგად ესმოდა, რომ რესპუბლიკური ტრადიციების თუნდაც ფორმალური აღიარება და რესპუბლიკური მართვის სისტემის ფორმალური თანაარსებობა ერთმართველობასთან იყო ამ უკანასკნელის განმტკიცების საშუალება.

ამრიგად, ასეთია მოკლედ სახელმწიფო მართვის აზროვნების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია ძვ.წ. III ათასწლეულიდან ახ.წ. III ს-მდე. დროის ამ ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფო მართვის მეცნიერებას; გამოითქვა არაერთი ორიგინალური მოსაზრებები, კონცეფციები, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს შემდგომი ხანის სახელმწიფო მართვის აზროვნების განვითარებასა და სახელმწიფო მართვის, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებაში.

### ლიტერატურა

- არისტოტელე. პოლიტიკა, თარგმანი ძველი ბერძნულიდან, შესავალი წერილი და შენიშვნები თამარ კუკავასი, ნაწილი I და II, თბ., 1995-1996
- არისტოტელე. ნიკომაქეს ეთიკა, თარგმანი ძველი ბერძნულიდან, შესავალი წერილი და შენიშვნები თამარ კუკავასი, თბ., 2003
- დოლიძე ი., ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960

- პლატონი. იონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1974
- ურუშაძე ა., მარკუს ტულიუს ციციერონი. – თსუ-ს შრომები, №114, 1965
- ქსენოფონტი. მოგონებები სოკრატეზე სოკრატეს აპოლოგია, ძველი ბერძნულიდან თარგმნა ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1974
- Беркова Е. А., Цицерон как критик суеверий, М., 1958
- Гуля Н. П., Дидактическая афористика древнего Египта, Л., 1941
- Куманецкий К., История культуры древней Греции и Рима, М., 1990
- Платон. Диалоги, М., 1986
- Платон. Собрание сочинений в 4 т., М., 1990-1994
- Плутарх. Моралии. – Вестник древней истории, № 1-4, 1980
- Плиний Секунд Младший. Письма. Панегирик Траяну, М.-Л., 1950
- Попов П. С. Изречения Конфуция, Спб., 1910
- Светоний Транквилл. Жизнь двенадцати цезарей, М., 1991
- Синха Н. К., Банерджи А. Ч. История Индии, М., 1954
- Цезарь Гай Юлий. Записки Юлия Цезаря, М.-Л., 1948
- Цицерон Марк Туллий. Диалоги, М., 1966
- Юстин. Эпитама сочинений Помпея Трога истории Филиппа. - Вестник древней истории, № 2-4, 1954

## **Temur Todua**

### **From the of Governmental Thinking ("Classical" Theories)**

#### **SUMMARY**

Governmental thinking is the significant modern scientific-political and perspective trend. It passed a very difficult and interesting way of development. Some ancient oriental thinkers consider that a country should be governed by noblemen; the main task of the ruler is ensuring well-being of the subjects (Khamurabi).

According to ancient thinkers a ruler of country should be a competent, high-moral and an honorable person (Socrates, Aristotle); Country should be ruled by philosophers (Platon), State leadership should report back to its people (Aristotle); the young and inexperienced generation shouldn't take part in the governing of State (Aristotle, Plutarch); Ruler should go into the people's will (Plutarch).

And according to ancient Roman philosophers and historians, country is governed by time, circumstances and fate (Cesar); Religion and republic should be ruled by the same person (Cicerone); Desire for wealth prevents the governing (Drogues). "Classical" theories played an important role in the development of governmental thinking in a subsequent epoch.

## Темур Тодуа

### Из истории восприятия государственного управления ("классические" теории)

#### РЕЗЮМЕ

Вопросы восприятия государственного управления являются перспективным направлением в современной политической науке. Они прошли сложный и интересный путь развития. Вопросы восприятия государственного управления являлись особым интересом Мыслителей Древнего Востока и греко-римских философов и историков. В их трудах особо подчеркивается что правители государства должны обладать четко определенным набором качеств, в том числе порядочностью, образованностью и постоянным вниманием к благополучию человека. В государственном управлении должны принимать участие опытные политики (Аристотель, Плутарх), а не молодые, неопытные лица. В этих теориях подчеркивается необходимость восприятия сферы управления государством как независимой научной дисциплины.



## ოთარ ქონორაძე

სახელმწიფო მართვის ხელოვნება გულისხმობს მსოფლიოს მამოძრავებელი ანტაგონისტური ძალების გაგებას, მათი ფარული მექანიზმის ცოდნასა და რეგულირებას. სახელმწიფო მოღვაწე - ესაა კაცი, რომელსაც შეუძლია აწონდაწონოს ეს ძალები, დაიურვოს და საკუთარ მიზნებს მიუსადაგოს ისინი.

მართვის ხელოვნება, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის – მისი ბუნების, მისი ვნებების, მისი საარსებო მოთხოვნილებებისა და მათი დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის ნაირგვარ საშუალებათა ცოდნას ემყარება.

პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო არის რეალური, დროსა და სივრცეში კონკრეტულად არსებული, ცოცხალი, დინამური და მუდმივად ცვალებადი სინამდვილე. პოლიტიკის სფეროში ადამიანები ხელმძღვანელობენ ქცევის სპეციფიკური მოტივებით. აქ წარმატების მიღწევა დამოკიდებულია ამა თუ იმ მოვლენებისა და ქმედებების განსჭვრეტისა და სწორი გათვლის უნარზე.

ვიღიპ მორო დეფარუსის აზრით იმისათვის რომ გავერკვეთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს სივრცე პოლიტიკურ ურთიერთობებზე საჭიროა უპირველეს ყოვლისა გავეცნოთ იმ

**სივრცული ცნობიერება, როგორც  
სახელმწიფოებრივი აზროვნების  
საფუძველი**

უმნიშვნელოვანეს მექანიზმებს რომელთა საშუალებითაც ადამიანები გამოიმუშავენ საკუთარ წარმოდგენებს სივრცეზე. (6)

ადამიანსა და სივრცეს შორის არსებობს მოქნილი დიალექტიკური კავშირი: სივრცე ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის ფორმირებას. თავის მხრივ ადამიანი, მისი შეხედულებები, საქციელი და შრომა მუდმივად ცვლიან სივრცეს. ადამიანი არსებობს დროსა და სივრცეში, რომლებიც მჭიდროდ ურთირთხემოქმედებენ. დროსა და სივრცის ათვისება იწყება ადრეულ ასაკში. სივრცე, რომელსაც ითვისებს და ჰქმნის ბავშვი, წარმოადგენს რთულ კომპლექსს, რომელიც თანდათანობით ივსება სასიამოვნო და საშინელი

საგნებით, მოგონებებით, სიმბოლოებით. ნებისმიერ ადამიანს, საზოგადოებას (ცივილიზაცია, ერი და ასე შემდეგ) წარმოდგენები და ცნებები სივრცეზე უყალიბდება და ეცვლება დაგროვილი გამოცდილების მეოხებით.

სივრცე წარმოადგენს “ობიექტურ” რეალობას, მაგრამ ადამიანები და მათი ერთობები მას აღიქვამენ საკუთარი “სუბიექტური შეგრძნებების” საშუალებით. სივრცე წარმოადგენს გარემოს ელემენტს, რომლისგანაც ადამიანი ვერ აბსტრაგირდება, მაგრამ ეს ელემენტი ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში სხვადასხვანაირად ზემოქმედებს. სამ ფაქტორს აქვს არსებითი მნიშვნელობა არსებულ სიტუაციაში გასარკვევად: ცხოვრების წესს, ცოდნის დონესა და სივრცის ათვისების ტექნიკას და საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურების ხასიათს. ისტორიული განვითარების პროცესში ამ სამი კატეგორიის ფაქტორები მუდმივად არიან ერთმანეთში გადახლართულნი და მუდმივ ზემოქმედებას ახდენენ ერთმანეთზე. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი.

სივრცე არსებობს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ადამიანებს გააჩნიათ საკუთარი მოთხოვნები: საკვებზე, საცხოვრებელზე, ურთიერთობებზე, რწმენა-წარმოდგენებზე და ასე შემდეგ. ამიტომაც ადამიანები იწყებენ საკუთარი სივრცის მოგონებას, ათვისებას, შექმნას, ნგრევას. ეს ურთიერთობები ადამიანსა და სივრცეს შორის წარმოშობენ იმ საკვანძო პროცესებს, რომლებიც შეადგენენ კაცობრიობის ისტორიის ბირთვს.

მიწათმოქმედთათვის სივრცე შემოიფარგლებოდა საკუთარი მიწის ნაკვეთით, საცხოვრებელითა და სოფლით. ისინი ეკუთვნიათ იმ მიწას, რომელსაც ამუშავებენ და რომელიც უზრუნველყოფს მათ არსებობას. საუკუნეების განმავლობაში, თაობიდან თაობაში ისინი იღებდნენ მოსავალს მიწის ერთი და იგივე ნაკვეთიდან, ჩაკეტილები იყვნენ თავიანთ პატარა მიკრო სამყაროში, რომელიც შემოიფარგლებოდა მახლობელი ჰორიზონტით, რომლის იქითაც იმყოფებოდა უცხო და მტრული სამყარო.

მომთაბარეებისათვის სივრცე უსასრულობას წარმოადგენდა. ისინი იპყრობდნენ სივრცეს და აოხრებდნენ მას, რათა კვლავ ახალი სივრცე დაეპყროთ ახალი ალაფის მოსაპოვებლად. მიწათმოქმედებისაგან განსხვავებით ისინი მუდმივ მოძრაობაში იყვნენ. ისინი ქმნიდნენ უზარმაზარ იმპერიებს ( გავიხსენოთ მონღოლთა იმპერია), რომლებიც ისევე მალე ქრებოდნენ, როგორც ნაფეხურები ქვიშაში.

მოქალაქეებისათვის სივრცულ განზომილებას წარმოადგენენ ქუჩები და პროსპექტები, ქალაქის კედლები.

ისინი ცხოვრობენ და მოძრაობენ ხელოვნურად შექმნილ სივრცეში, სადაც ხელოვნური ფარავს და მაღავს ბუნებრივს. ცხოვრების რიტმი ნაკარნახებია არა წელიწადის დროებითა და მზით, არამედ საათის ისრის დინჯი მოძრაობით.

მწარმოებლებისათვის სიმდიდრე ხილულია და ხელშესახები; ხორბალი, მადანი, მანქანები, მოხმარების საგნები და სხვა. XVIII საუკუნის ფიზიოკრატების სწავლების თანახმად ერთადერთ ჭეშმარიტ სიმდიდრეს წარმოადგენდა მიწა, რამეთუ სწორედ მიწა კვებავს, აცმევს და ათბობს ადამიანს. მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირს მატერიალურ წარმოებას, სიძლიერესა და ტერიტორიაზე კონტროლს შორის. სახელმწიფოს სიძლიერე განპირობებულია რიგი ფაქტორებით: ნედლეულის წყაროების ფლობა (ქვანახშირი, რკინა, ნავთობი). სახელმწიფო-კონტინენტები აშშ და რუსეთი ფლობდნენ უნიკალურ უპირატესობას: ისინი უზრუნველყოფდნენ თავის თავს საკუთარი ნედლეულის წყაროებით ავტარკიის პირობებში. ხოლო სახელმწიფოები, რომლებსაც არ გააჩნდათ მსგავსი უპირატესობა, იწყებდნენ საკუთარი იმპერიების შექმნას (ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიალური იმპერიები, ჰიტლერული გერმანიის “სასიცოცხლო სივრცე”, იაპონიის “საერთო აყვავების სფერო”).

ვაჭრებისათვის სივრცე განისაზღვრება არა სიმდიდრის იმ რაოდენობით რომელიც იქ არის, არამედ სასაქონლო და სანედლეულო ბაზრების პოტენციალით. მისი სიმდიდრე იქმნება სავაჭრო ოპერაციების შედეგად. აქედან გამომდინარე სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მიმოსვლის საშუალებებს, კავშირგაბმულობას, სავაჭრო ქსელს, ტერმინალებს. “. . . იგი ეზიდება საქონელს იქიდან, სადაც მეტია, იქ საცა უჭირთ და ამ გზით შევლის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგან. . . . ვაჭრობა, . . . იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩომაა და ხეირი, იქ არის იმისი მამული, იმისი მიწა-წყალი” (ილია ჭავჭავაძე). ამავე მიზეზის გამო ვაჭრები ძალიან მგრძობიარენი არიან ყოველგვარი შეზღუდვებისა, რომლებიც აფერხებენ საქონლის, ფულისა და სამუშაო ძალის მოძრაობას. პრეინდუსტრიული ევროპელი ვაჭრების ლოგიკის თანახმად აუცილებელი იყო ყველაზე უსაფრთხო და იაფფასიანი სავაჭრო გზების ხელში ჩაგდება და მათზე კონტროლის განხორციელება. ამისათვის კი საჭირო იყო “აბრეშუმის დიდ გზაზე” უარის თქმა, ვინაიდან მას ევროპელებისადმი მტრულად განწყობილი ისლამური სახელმწიფოები აკონტროლებდნენ, და შორეული აღმოსავლეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზის მოძებნა ან

აფრიკის კონტინენტის შემოვლით ან კიდევ ატლანტიის ოკეანის გავლით.

მიწა წარმოადგენს ადამიანის “ბუნებრივ” საბინადროს. მასზე არსებული ორიენტირები (მთები, ხეობები, ველები, მდინარეები), მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში განიცდიან სახეცვლილებას ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე. მიწა შეიძლება მოინიშნოს, გაიმიჯნოს, დაიყოს. მიწაზე მაცხოვრებელი ადამიანი ემორჩილება მითვისების ლოგიკას. ლიბერალური ფილოსოფიის თანახმად შესაკუთრე წარმოადგენს საკუთარი სამფლობელოს აბსოლუტურ პატრონს, სადაც მას გააჩნია განკარგვის სრული თავისუფლება.

მეზღვაურებს ესმით, რომ ზღვები არ ექვემდებარებიან მითვისებას. მეზღვაური იყენებს ზღვას საკუთარი საჭიროებისათვის. იგი შეიძლება შეეცადოს კიდევ დაამყაროს მასზე კონტროლი ხმელეთის ელემენტებზე (ყურეები, სრუტეები, კუნძულები) დაყრდნობით. მაგალითისათვის გავიხსენოთ დიდი ბრიტანეთი, რომელიც XVII საუკუნიდან მოყოლებული მეორე მსოფლიო ომამდე ერთპიროვნულად ბატონობდა ზღვებსა და ოკეანეებზე ისეთ საკვანძო გეოგრაფიულ წერტილებზე კონტროლის საშუალებით როგორებიც იყო ლა-მანში, გიბრალტარი, ადენი, ორმუხის სრუტე, სინგაპური, პონკონგი. ზღვები და ოკეანეები შეადგენენ დედამიწის ორ მესამედს და სწორედ ამიტომ ძალიან ძნელია ამ უზარმაზარი წყლის სივრცის დაყოფა და დანაწილება.

არსებობს ორი მოსაზრება საზღვაო საზღვრების შესახებ. ერთნი მიიჩნევენ, რომ ზღვები და ოკეანეები წარმოადგენენ ღია სივრცეს, სადაც ყველა ქვეყანას აქვს თავისუფალი ნაოსნობის უფლება. ამ კონცეფციის ყველაზე ერთგული დამცველი იყო ბრიტანეთის იმპერია, რამეთუ მისი უპირატესობა გულისხმობდა აბსოლუტურად შეუზღუდავ თავისუფალ ნაოსნობას, რომლის ერთადერთ გარანტიად გამოდიოდა ინგლისის ფლოტი (ელისაბედ I-დან მოყოლებული ინგლისელები მუდმივად თვალყურს ადევნებდნენ რათა მათი სამხედრო-საზღვაო ძალები უფრო მეტი და ძლიერი ყოფილი, ვიდრე მათი უახლოესი მეტოქეების). მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ ვახდა, ამ საკითხში, ბრიტანეთის მემკვიდრე.

წარმოდგენილი კონცეფციის მოწინააღმდეგეებად გამოდიან ისინი, ვინც ზღვებსა და ოკეანეებზე ავრცელებს ტერიტორიული მიტაცებების ლოგიკას, რაც წარმოადგენს ნებისმიერი ერთ-სახელმწიფოს ბუნებრივ საქციელს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოკეანეები განიხილებიან არა მარტო როგორც სანაოსნო გზები, არამედ აგრეთვე როგორც ეკონომიკური ინტერესების ზონები (გაზისა და ნავთობის



სარეწები, მინერალური ნედლეულის წყაროები და სხვა). ზღვებსა და ოკეანეებზე გავრცელდა საკუთრებისა და სუვერენიტეტის ლოკაცია: ტერიტორიული წყლები ანუ 12 მილიანი სანაპირო ზოლი, რომლის სტატუსი ეროვნული ტერიტორიის სტატუსის ტოლფასია; კონტინენტალური შელფი, რომელიც განიხილება, როგორც შესაბამისი სახელმწიფოს სახმელეთო სამფლობელოების გაგრძელება; 200 მილიანი ეკონომიკური ზონები, სადაც მხოლოდ ზღვისპირა სახელმწიფოს აქვს უფლება მოახდინოს ბიოლოგიური და სხვა სახის რესურსების ექსპლუატაცია.

ავიაციისა და კოსმონავტიკის წარმატებებმა წარმოშვეს ახალი წარმოდგენები სივრცეზე. ადამიანმა პირველად დაინახა საკუთარი პლანეტა გვერდიდან და თვალნათლივ დარწმუნდნენ იმაში, რომ დედამიწა წარმოადგენს სამყაროს უკიდევანო სივრცეში დაკარგულ პატარა ბურთულას. ადამიანმა აღმოაჩინა, რომ გარკვეული მანძილიდან ყველაფერი, ის რაც შეადგენს მისი ცხოვრების საფუძველს (სახლი, ქალაქი, გზები და ასე შემდეგ), გამოიყურება, როგორც არამკაფიო ფერად ლაქათა ერთობლიობა.

ადამიანის გეოპოლიტიკური ცნობიერება ყალიბდება იმ ინსტრუმენტებისა და მეთოდების ზეგავლენით, რომელთა საშუალებითაც ხდება სივრცის შესწავლა. სივრცის შესწავლა არ წარმოადგენს იზოლირებულ პროცესს. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ევოლუციასთან ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში.

დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებამდე დედამიწის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო შესწავლილი და გადატანილი გეოგრაფიულ რუკებზე. ყველაზე ცნობილ რუქას წარმოადგენდა ერატოსფენის (ჩვ. წ.-მდე 275-194წწ.) მიერ შედგენილი რუქა. ის იყო ალექსანდრიის მთავარი ბიბლიოთეკარი, პირველი მეცნიერი, რომელმაც დიდი სიზუსტით განსაზღვრა დედამიწის წრეხაზი. ამ რუქაზე გამოსახული იყო ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის აუზი, ნახევარკუნძული სომალი, არაბეთის ნახევარკუნძული და სპარსეთის ყურე. რამოდენიმე საუკუნის შემდეგ ალექსანდრიელმა ასტრონომმა და გეოგრაფმა პტოლომეუსმა (90-168 წწ.) შეადგინა რუქა, რომელიც ძალიან ჰგავდა ერატოსფენის რუქას და რომელიც გამოიყენებოდა XVI საუკუნემდე.

XVI საუკუნის განმავლობაში ევროპელებმა დააგროვეს უზარმაზარი ინფორმაცია დედამიწის შესახებ. ადამიანის ჰორიზონტის გაფართოებას ხელი შეუწყო კომპასის ფართო გამოყენებამ. გენუელ, ვენეციელ, ფლორენციელ და

ბარსელონელ კარტოგრაფთა დინასტიებს რუქებზე გადაჭქონდათ ახალ აღმოჩენათა შედეგები, რომლებიც ძირითადად შეიცავდნენ მონაცენებს სანაპირო ზოლის შესახებ. დგება დიდი მოგზაურობების ეპოქა: კოლუმბი მიემართება (1492-1498 წწ.) საიდუმლოებით მოცული დასავლეთისაკენ, ვასკო და გამამ შემოუარა აფრიკას და მიადწია ინდოეთამდე, მაგელანმა და ელკანომ (1519-1522 წწ.) განახორციელეს პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

1507 წელს გერმანელმა კარტოგრაფმა მარტინ ვალდზემიულერმა გამოაქვეყნა მსოფლიოს რუქა, სადაც აღნიშნული იყო დასავლეთ ნახევარსფეროში არსებული მიწა, რომელსაც მან დაარქვა ამერიკა ( ფლორენციელი ამერიგო ვესტპუჩის სახელი). 1570 წელს გამოვიდა ფლამანდიელი ორტელიუსის მიერ შედგენილი თჰეატრუმ ორბის ტერარარუმ (პირველი მსოფლიო ატლასი). რუქაზე აღინიშნა დედამიწის მთელი ზედაპირი, ყველა კონტინენტის ადგილმდებარეობა და პროპორციები.

გეოგრაფიული ცოდნა გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტორი. ინგლისისა და საფრანგეთის სამეფო ხელისუფლება ყოველნაირად ხელს უწყობდა კუკის (1768-1779 წწ.) და ლაპერუზის (1785-1788 წწ.) სამეცნიერო ექსპედიციების პაექრობას წყნარი ოკეანის შესწავლისას.

გეოგრაფიული აღმოჩენების შედეგად დედამიწა სულ უფრო და უფრო იძენდა ერთიანი სივრცის სახეს, დაკავშირებულს საზღვაო და სახმელეთო კომუნიკაციებით, სადაც ღვივდებოდა ევროპულ სახელწიფოთა დაპირისპირება კოლონიალურ სამფლობელოთა მაქსიმალურად გაფართოებისათვის. მაგალითად დედამიწის პირველი განაწილება მოხდა, რომის პაპის ალექსანდრე VI-ის ლოცვა-კურთხევით, ესპანეთსა და პორტუგალიას შორის 1493-1494 წლებში ტოდრესილიასის ხელშეკრულებით.

ყოველ ეპოქას და ცივილიზაციას გააჩნია საკუთარი შეხედულებები და წარმოდგენები სივრცეზე. სუნ დი ნაშრომში “ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ” (VI ს. ჩვ. წ.-მდე) განიხილავს ადგილმდებარეობის 6 ტიპს და სივრცის 9 ტიპს, რომლებიც უნდა იცოდეს სტრატეგმა წარმატებული სამხედრო პოლიტიკის წარმოებისათვის. იგი წერს: “. . . ადგილი ფორმის მიხედვით შეიძლება იყოს ღია, არსებობს ფერდობი (დამრეცი), არის დაღარული, არის დაბლობი (ტაფობი), არის მთავორიანი, არის მოშორებული.

. . . როცა მეც შემიძლია მივიდე და მასაც შეუძლია მოვიდეს, ასეთ ადგილს ღია ადგილი ჰქვია. ღია ადგილზე, უპირველეს ყოვლისა დაბანაკდი ამალღებულ ადგილზე, მის

მზიან მხარეს. მოაწვევ გზები სურსათ-სანოვაგის შემოსატანად. თუ ამ პირობებში იბრძობები, შენთვის ხელსაყრელი იქნება.

. . . სადაც წასვლა იოლია და მობრუნება ძნელი, ასეთ ადგილს ფერდობი (დამრეცი) ეწოდება. ფერდობზე თუ მოწინააღმდეგე ბრძოლისათვის მზად არ არის და შენ გაილაშქრებ, – შენ გაიმარჯვებ. ხოლო თუ მოწინააღმდეგე მზად არის საბრძოლველად, გაილაშქრებ და ვერ გაიმარჯვებ. უკან დაბრუნება ძნელი იქნება; სარგებელი არ იქნება.

. . . როდესაც გალაშქრება ჩემთვის ხელსაყრელი არ არის, ასეთ ადგილს დაღარული ეწოდება. დაღარულ ადგილზე მაშინაც კი არ გამოხვიდე, როცა მოწინააღმდეგე რაიმე სარგებელს მოგცემს კიდევაც, გაიყვანე ჯარი და წადი; აიძულე მოწინააღმდეგე სანახევროდ წამოვიდეს შენსკენ და თუ მაშინ დაარტყამ ეს შენთვის ხელსაყრელი იქნება.

. . . დაბლობზე (ტაფობზე), თუ შენ პირველი დაბანაკდები, აუცილებლად მთლიანად დაიკავე იგი და ისე დაელოდე მოწინააღმდეგეს; თუ ის დაგასწრობს და პირველი დაბანაკდება ამ ველზე და დაიკავებს მას, ნუ მიჰყვები მაში, როცა მას ველი მთლიანად ჯერ არ დაუკავებია.

. . . მთაგორიან ადგილზე, თუ შენ პირველი დაბანაკდი, აუცილებლად მოთავსდი სიმაღლეზე მზიან მხარეს და ასე დაელოდე მოწინააღმდეგეს; თუ მოწინააღმდეგემ დაგასწრო და პირველი დაბანაკდა იქ, გაიყვანე ჯარი და წადი იქიდან, ნუ გაჰყვები მას.

. . . მოშორებულ ადგილზე, როცა ძალთა თანაფარდობაა, მძიმეა მოწინააღმდეგის ბრძოლაში გამოწვევა და თუ დაიწყებ ბრძოლას, ვერაფერს ისარგებლებ.

ამ ექვს პუნქტს შეიცავს მოძღვრება ადგილის შესახებ. სარდლის უმაღლესი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ მან ეს უნდა იცოდეს”.

“ . . . არსებობს გაფანტულობის ადგილები, არამდგრადობის ადგილები, სადავო ადგილები, ადგილები შერევის, გზაჯვარედინები, სერიოზული მდგომარეობის ადგილები, უზოობის ადგილები, გარემოცვის (აღყის) ადგილები, სიკვდილის ადგილები.

. . . როცა თავადები საკუთარ მიწაზე იბრძვიან, – ეს იქნება გაფანტულობის ადგილი; როდესაც სხვის მიწაზე შედიან, მაგრამ ღრმად არ მიდიან, – ეს იქნება არამდგრადი ადგილი; თუ მე მას დაიპყრობ და ეს ჩემთვის სასარგებლო იქნება, მაგრამ თუ ის დაიპყრობს მას, ეს მისთვის სასარგებლო იქნება, – ეს არის სადავო ადგილი; თუ მეც შემოძლია გავიარო ამ ადგილზე და მასაც შეუძლია გაიაროს, – ეს იქნება შერევის ადგილი; როცა თავადის მიწა სამივეს

ეკუთვნის და ვინც პირველი მიაღწევს ამ მიწამდე, ყველაფერს მოიპოვებს ცისქვეშეთში, – ეს იქნება გზაჯვარედინი; როდესაც სხვის ტერიტორიაზე ღრმად შედიან და ზურგში მრავალ გამაგრებულ ქალაქს ტოვებენ, – ეს იქნება სერიოზული მდგომარეობის ადგილი; როდესაც მთებით და ტყეებით, ხრამებითა და ფლატეებით, ლამიანით და ჭაობებით დაფარული, – საერთოდ ძნელად გასასვლელი ადგილებით მიდიან, – ეს იქნება უზო ადგილი. როდესაც გზა, რომლითაც შედიან – ვიწროა, ხოლო გზა, რომლითაც მიდიან (გადიან) – შემოსასვლელია (არაპირდაპირია); როცა მას მცირე ძალებით შეუძლია თავს დაესხას ჩემს დიდ ძალებს, – ეს იქნება ალყის ადგილი; როდესაც ბრძოლაში ებმებიან სწრაფად, ცოცხლები რჩებიან, ხოლო როცა ბრძოლაში სწრაფად არ ებმებიან, იღუპებიან, – ეს იქნება სიკვდილის ადგილი.

. . . ამიტომ გაფანტულობის ადგილზე ნუ იბრძოლებ; არამდგრადობის ადგილზე შეტევაზე ნუ გადახვალ, სადავო ადგილზეც შეტევაზე ნუ გადახვალ; შერეულ ადგილზე კავშირებს ნუ დაკარგავ; გზაჯვარედინებზე ურთიერთობები დაამყარე; სერიოზული მდგომარეობის ადგილებზე ძარცვე; უზო ადგილებში იარე; ალყის ადგილზე იაზროვნე (იფიქრე); სიკვდილის ადგილზე იბრძოლე”. (სუნ ძი. ტარქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ. თბილისი. 2000. გვ. 57,60).

ადამიანსა და ისტორიაზე ბუნებრივი გარემოს (კლიმატი, ნიადაგი, მდინარეები, ზღვები და სხვა) ზეგავლენაზე მსჯელობდნენ ჰეროდოტე, ჰიპოკრატე, თუციდიდე, პოლიბუსი, სტრაბონი, არისტოტელე. მაგალითად არისტოტელე (384-322 წწ.) ნაშრომში “პოლიტიკა” ხაზს უაყვამდა კუნძულ კრეტას გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობის განსაკუთრებულ ხასიათს: “კრეტა, თავისი ადგილმდებარეობით, მოწოდებულია იბატონოს საბერძნეთზე”.

XVI საუკუნის არაბი გეოგრაფი იბნ ჰალდუნი ერთმანეთს უკავშირებდა ადამიანური ერთობის სულიერ ძალებს, მათ უნარს დარაზმულიყვნენ და ებრძოლათ ძლიერი იმპერიების დასაარსებლად და შესანარჩუნებლად და იმ იმპულსებს, რომლებიც წარმოიშებიან ბუნებრივი გარემოდან.

ფრანგი მეცნიერი ჟან ბოდენი (1530-1596 წწ.) ნაშრომში “ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ” ცვლილებებსა და განსხვავებებს სახელმწიფოებრივ მოწყობაში ხსნიდა სამი მიზეზით: ღვთის ნებით, ადამიანური თავნებობით და ბუნების ზეგავლენით. პირველ ადგილზე, ზეგავლენის სიძლიერის მიხედვით, ის აყენებდა გეოგრაფიულ მიზეზებს, ხოლო გეოგრაფიულ ფაქტორებში – კლიმატს. დედამიწას იგი ჰყოფდა სამ ნაწილად: ცხელ – ეკვატორულ, ცივ – პოლარულ და

საშუალო – ზომიერ ნაწილებად. მისი აზრით ხალხების ხასიათი, პირველ რიგში, დამოკიდებული არის მათი განვითარების კლიმატურ პირობებზე. ჩრდილოეთში ცხოვრობენ ფიზიკურად უფრო ძლიერი და მეტბოლო (ბრძოლისუნარიანი, ბრძოლის დაუოკებელი ჟინით შეპყრობილი) ადამიანები, სამხრეთში – უფრო ნიჭიერები. ჟან ბოდენის აზრით, თუ ისტორიას სწორედ გავიაზრებთ, დავინახავთ, რომ უდიდეს მხედართმთავრებს ჩრდილოეთი წარმოშობს, ხოლო სამხრეთი – ხელოვნებას, ფილოსოფიასა და მათემატიკას. ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755 წწ.) მიიხსენებდა, რომ ცივ კლიმატურ პირობებში ადამიანები უფრო ზნეობრივები არიან. ზომიერ კლიმატში – ზნეობრივად არამდგრადი, რამეთუ ამ კლიმატის არა სათანადოდ გამოკვეთილი თვისებები ვერ აძლევს მათ მდგრადობას. ცხელი კლიმატი ასუსტებს ადამიანების ხასიათს, რასაც მივყავართ მონობის განვითარებამდე.

XVII-XVIII საუკუნეებში გეოგრაფია გარდაიქმნა ორგანიზებულ, სტრუქტურირებულ მეცნიერებად. დაიწყო მისი სწავლება უამრავ სამეცნიერო ცენტრებში. მის პროგრესს ხელი შეუწყო სამეცნიერო ექსპედიციებმა, ინფორმაციის დაგროვებამ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ვიწრო სპეციალიზაციამ (ვალკე დისციპლინებად გამოიყო გეოლოგია, ბოტანიკა, ასტრონომია და სხვა).

XIX საუკუნეში დაიწყო დაგროვებული ინფორმაციის კლასიფიცირება და სისტემატიზირება. მოყვარულთა ადგილი დაიკავეს პროფესიონალებმა. დაიწყო გეოგრაფიული ბუმი: პარიზში (1821 წ.), ბერლინში (1828 წ.), ლონდონში (1830 წ.), რუსეთში (1845 წ.), ნიუ-იორკში (1852 წ.) დაარსდა გეოგრაფიული საზოგადოებები. გეოგრაფიის სწავლება დაიწყო უნივერსიტეტებში. გამოიცა სამეცნიერო ნაშრომები: 1818 წელს არსენევის მოკლე საყოველთაო გეოგრაფია, 1810-1829 წწ. კონრად მაღტ-ბრიუნის მსოფლიო გეოგრაფიის კურსი. დაარსდა სპეციალიზირებული ჟურნალები: 1891 წელს პარიზში – ნაალეს დე გეოგრაფიკი, 1893 წელს ლონდონში – ეოგრაფიკალ ჟურნალი. გეოგრაფიის სფეროში თანამშრომლობამ მიიღო საერთაშორისო ხასიათი: 1871 წელს ანტვერპენში ჩატარდა პირველი გეოგრაფიული კონგრესი, 1922 წელს დაარსდა საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირი.

ადამიანების გეოგრაფიულმა ცნობიერებამ განიცადა საგრძნობი ცვლილებები წიგნების, გაზეთების, ფოტოსურათებისა და ფილმების საშუალებით, რომლებიც საშუალებას იძლეოდნენ უკეთ გაცნობოდნენ შორეულ ქვეყნებს: მსოფლიოს პირველი თანამედროვე ატლასი (1817 წ.),

ცნობილი გერმანული ბიბლიოთეკის “ აედეკერ”-ის პირველი ტომი (1839 წ.), იცქვინის-ის პირველი საგზაო რუკები და გზამკვლევი (1901 წ.), ჟიულ ვერნის, მაინ რიდის, ფენიმორ კუპერის წიგნები და სხვა.

XIX საუკუნეში, ევროპაში ზოგადი განათლების განვითარების შედეგად, ეროვნული ცნობიერების უმნიშვნელოვანესი კომპონენტები ხდებიან გეოგრაფია, ლიტერატურა და ისტორია. ამათუ იმ ერისადმი ინდივიდის კუთვნილება გულისხმობს მასზე მოცემული ერის ენის, კულტურის, ზნე-ჩვეულებების, წარსულისა და სივრცული რეალიების გადამწვევტ ზეგავლენას. ამით აიხსნება სასკოლო გეოგრაფიული რუკების უზარმაზარი მნიშვნელობა მასზე ასახული სამშობლოთი, მისი ტერიტორიით, მისი საზღვრებით და კოლონიებით, რათქმაუნდა თუკი ისინი აქვს. XX საუკუნის დასაწყისში ნებისმიერი პატარა ინგლისელი მსოფლიოს ბატონ-პატრონად გრძნობდა თავს, ბრიტანეთის იმპერიისადმი კუთვნილების გამო. პირველი მსოფლიო ომის წინ ფრანგი მოსწავლეები ყოველდღიურად ხედავდნენ გეოგრაფიულ რუკებზე თავიანთ ქვეყანას გერმანელების მიერ ანექსირებული ელზასისა და ლოთარინგიის გარეშე (ეს პროვინციები შავად იყო გაფერადებული), სამაგიეროდ ფრანგული დროშები “ამშვენებდნენ” აღჟირს, ინდოჩინეთსა და აფრიკის მნიშვნელოვან ნაწილს.

გეოგრაფები აქტიურად მონაწილეობენ ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაში, კერძოდ ადამიანისა და სივრცის ურთიერთმიმართების გაცნობიერების პროცესში. მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:

“ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული გეოგრაფიასთან. ჩვენ არ შეგვიძლია ვისაუბროთ ფეოდალურ ან პროვინციულ ისტორიაზე, თუკი არ დავახასიათებთ თითოეულ პროვინციას. მაგრამ ასევე არასაკმარისია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების გეოგრაფიული მონაცემების უბრალო გადმოცემა. უპირველეს ყოვლისა წარმოდგენილი უნდა იყოს ამ პროვინციების ნაყოფი ანუ მათ ისტორიასთან დაკავშირებული ადამიანები და მოვლენები”. [ჟიულ მიშლე (1798-1874 წწ.), საფრანგეთის ისტორია, წიგნი III, საფრანგეთის სურათი, 1833-1867 წწ.]

“ბიოგეოგრაფია სახელმწიფოს განიხილავს, როგორც დედამიწის ზედაპირზე სიცოცხლის გავრცელების ფორმას. სახელმწიფო, ისევე როგორც ყოველი ცოცხალი არსება, მიდრეკილია რიგი ფაქტორების ზემოქმედებისაკენ. ის, რაც ხელს უწყობს ადამიანების გავრცელებას დედამიწაზე, აგრეთვე ხელს უწყობს მათი სახელმწიფოების გაფართოებას. ძალიან

იშვიათია სახელმწიფოების წარმოშობის შემთხვევები პოლარულ ოლქებსა და უდაბნოებში. სახელმწიფოები პრაქტიკულად არ ვითარდებიან ტროპიკულ ზონებში, უღრან ტყეებსა და მაღალმთიანეთში, მაგრამ გააჩნიათ ზრდის მდგრადი ტენდენცია მოსახლეობის მდგრადი ზრდის პირობებში. მუდმივი ცვლილებები სახელმწიფოს ხასიათსა და მოცულობაში თვალნათლივ მეტყველებენ იმ ფაქტზე, რომ ისინი ცოცხლობენ და განიცდიან ევოლუციას. სახელმწიფოებრივი საზღვრები განხილული უნდა იყოს, როგორც ორგანული და არაორგანული მოძრაობის გამოვლინება; ელემენტარულ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს გააჩნიათ უჯრედოვანი ქსოვილის სტრუქტურა. . . . თვალშისაცემია სიცოცხლის ფორმათა მსგავსება, დაკავშირებული ნიადაგთან. . . სახელმწიფო არის ცოცხალი ორგანიზმი არა მარტო იმიტომ, რომ წარმოადგენს ხალხის ცხოვრების გარკვეულ ტერიტორიაზე მიბმის მექანიზმს, არამედ იმიტომაც, რომ ეს კავშირი თანაზიარობის შედეგად იმ დონემდე ძლიერდება, რომ ხალხი და ტერიტორია წარმოადგენს ერთიან მთლიანს, როდესაც ერთის წარმოდგენა მეორეს გარეშე შეუძლებელია. . . ცხოველთა და მცენარეთა სამყაროში ყველაზე სრულყოფილი არის ის ორგანიზმი, რომლის ნაწილებიც წირავენ საკუთარ დამოუკიდებლობას მთლიანის შესანარჩუნებლად. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო წარმოადგენს უკიდურესად არასრულყოფილ ორგანიზმს. . . რაც უფრო მაღალია სახელმწიფოს განვითარების დონე, მით უფრო მეტს ცდილობს იგი თავი დააღწიოს საკუთარ ორგანულ საფუძველს. მაშასადამე სახელმწიფოს შედარება ცოცხალ ორგანიზმთან უფრო სამართლიანია იმ შემთხვევაში, როდესაც საუბარია პრიმიტიულ სახელმწიფოზე, და ნაკლებად სამართლიანია როდესაც ვგულისხმობთ მაღალგანვითარებულ სახელმწიფოს. . . ხალხმა უნდა იცხოვროს და მოკვდეს იმ მიწაზე, რომელიც მას ბედმა არგუნა, დაემორჩილოს საკუთარ ხედვებს”. [ ფიდრიხ რატცელი (1844-1904 წწ.), პოლიტიკური გეოგრაფია, 1897წ.].

“ქვეყნის პოლიტიკას – როგორც მისი ბუნების ნამდვილ ძალებს – ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა განსაზღვრავს. პოლიტიკა ახალი მოდური “შლიაპკა” კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ნება სურვილზეა დამოკიდებული, არამედ ისეთივე ტრადიციული, უცვლელი და მამა-პაპური განძია, როგორიც არის ეროვნება, სარწმუნოება. სანამ შავი ზღვიდან გასასვლელი სრუტე ოსმალის ხელშია, სანამ სამხრეთით ოსმალეთი და სპარსეთი გვაკრავს, აღმოსავლეთით ლეკი და თათარი, ჩრდილოეთით –

რუსეთი, ბევრიც რომ მოვინდომოდ ვერ ავიცილებთ იმ პოლიტიკას რომელიც აურჩევიათ საქართველოს გმირებს, ბევრი ცდის, ძეგლის და მსხვერპლის შემდეგ. უკეთესი, რომ შესაძლო ყოფილიყო, განა დაემალებოდათ? ჩვენზე ნაკლებად სწავუროდათ დამოუკიდებლობა? საკუთარი გვირგვინი ჩვენზე ნაკლებ უყვარდათ? რა ძალამ და აუცილებლობამაც გასტეხა ეს დევები ის ახლაც უცვლელად არსებობს”. [ნიკო ნიკოლაძე, ჩემ პოლიტიკაზე. 1913 წ.].

“გეოპოლიტიკა – არის მეცნიერება სახელმწიფოს, როგორც სივრცეში განფენილი გეოგრაფიული ორგანიზმის შესახებ. სახელმწიფო, როგორც ქვეყანა, როგორც ტერიტორია ან როგორც იმპერია. ამ პოლიტიკური მეცნიერების მუდმივ ობიექტს წარმოადგენს უნიფიცირებული სახელმწიფო, იგი მიისწრაფის გააცნობიეროს მისი არსი, მაშინ როდესაც პოლიტიკური გეოგრაფია ასახავს ინფორმაციას პლანეტაზე, როგორც ადამიანთა ერთობების არსებობის ადგილზე”. [რუდოლფ ჩელენი (1864-1922 წწ.), სახელმწიფო, როგორც სიცოცხლის ფორმა. 1916 წ. – ნეოლოგიზმი “გეოპოლიტიკა“-ს ავტორი].

“გეოგრაფია მოწოდებულია ახსნას, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ და ერწყმიან ერთმანეთს დედამიწის სხვადასხვა ნაწილებში ის ფიზიკური და ბიოლოგიური კანონები, რომლებიც მართავენ სამყაროს. . . ისინი მნიშვნელოვან ნაწილად წარმოადგენენ ადამიანური მოღვაწეობის შედეგს, რომელიც ბუნებრივ ფაქტორებს ანიჭებს აუცილებელ ერთობას. . . გეოგრაფიული ინდივიდუალურობა არ წარმოადგენს ბუნების მიერ მოცემულ რაღაც მოცემულობას; იგი არის მხოლოდ ის რეზერვუარი, სადაც სძინავს ბუნების მიერ ჩადებულ ენერგიას, რომლის გაღვივებაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია”. [პოლ ვიდალ დე ლა ბლანში (1845-1918 წწ.), აღმოსავლეთ საფრანგეთი, 1919 წ.].

“. . . გეოპოლიტიკა, როგორც მეცნიერული პოლიტიკისა და დედამიწის ზედაპირის ნებისმიერი სივრცული გარდაქმნის საფუძველი, განსაკუთრებით მდიდარი კულტურის მქონე ხალხისათვის, რომელმაც განიცადა შემადრწუნებელი შერყევა და იმყოფება ჭარბდასახლებული კონტინენტის ცენტრში, შესაძლოა წარმოადგენს საერთო სასიცოცხლო სივრცეში მყოფი მილიონობით ადამიანის შეხედულებათა შეთანხმების ერთ-ერთ იშვიათ საშუალებას, თუნდაც იმ საკითხებში, რომლებსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ყველასათვის.

გეოპოლიტიკური სფეროს სიღრმისეული შემეცნება თავისუფალი უნდა იყოს პარტიული წინასწარშექმნილი აზრისაგან, ერთნაირად მართებული როგორც უკიდურესი



მემარცხენეებისათვის ასევე უკიდურესი მემარჯვენეებისათვის, რათა ნებისმიერმა, რომელიც ფლობს აუცილებელ გამოცდილებასა და გეოპოლიტიკურ ცოდნას, განახორციელოს სახელმწიფოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, პოლიტიკური შეხედულებებისა და პარტიული კუთვნილების მიუხედავად.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ჩვენ ზოგიერთ საუკეთესო გეოპოლიტიკურ ნაშრომს ვხვდებით, როგორც კაპიტალიზმის მომხრე ანგლო-საქსურ ქვეყნებში, ასევე მათ მოსოველ მოწინააღმდეგეებთან. გეოპოლიტიკური შრომები, თავისი არსით, არ უნდა იყვნენ დამოკიდებული მათი ავტორების საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, პარტიულ კუთვნილებაზე, და იმ ადგილზე დედამიწის ზურგზე, სადაც ისინი განგების ნებით აღმოჩნდნენ”. [კარლ ჰაუსჰოფერი, 1931 წელს ბერლინის რადიოთი გამოსვლის ტექსტი].

“რა შეუძლია ამოიღოს გეოპოლიტიკამ კონკრეტული რეალობიდან, სცენის სქემატიზმიდან, მსახიობთა სტრატეგიიდან და დიპლომატიიდან? გეოპოლიტიკის თვალსაზრისით, საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს დასახული მიზნების მისაღწევად გარკვეული საშუალებების გამოყენების საშუალებას. სახელმწიფოები საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან საგარეო ექსპანსიის განსახორციელებლად ახდენენ რესურსების, ანუ ადამიანების, წარმოების საშუალებების, იარაღის მობილიზებას. მაგრამ ექსპანსიის მიმართულება, ისევე როგორც საგარეო საფრთხის მიმართულება, უკვე არის ასახული გლობუსზე, თუკი გეოგრაფს სწორად შეუძლია შეაფასოს ის ბუნებრივი ფაქტორები, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის აყვავებისა და სიძლიერის გარანტიას. გეოპოლიტიკა, თავის თავში აერთიანებს დიპლომატიური და სტრატეგიული ურთიერთობების გეოგრაფიულ სქემატიზაციას, რესურსების გეოგრაფიულ და ეკონომიკურ ანალიზთან, დიპლომატიური პოზიციების ინტერპრეტაციასთან, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოსახლეობის ცხოვრების წესს (მკვიდრი, მომთაბარე, მიწათმოქმედი, მეზღვაური), ასევე გარემოს ხასიათს”. [ რაიმონ არონი (1905-1983 წწ.), ომი და მშვიდობა ერებს შორის, 1962 წ.].

“გეოპოლიტიკა უნდა განვასხვავოთ ეკოპოლიტიკა-საგან. პირველი წარმოადგენს პოლიტიკურ მეცნიერებას, ანუ პოლიტიკური სტრუქტურების შესწავლის შედეგს, და არ გულისხმობს სავადლებულ პოლიტიკურ ქმედებებს. მეორე, ანუ ეკოპოლიტიკა, თავის თავში შეიცავს უზარმაზარი რაოდენობის სამუშაოებს და ტენდენციურ კარტოგრაფიას, რომლებმაც არსებითი განვითარება განიცადეს გერმანიაში 20-იანი წლებიდან მოყოლებული III რაიჰის აღსასრულამდე. იგი

ეყრდნობა, გერმანიის ფარგლებს გარეთ მცხოვრები, დამსახურებული გეოპოლიტიკოსების გამოკვლევებსა და იდეებს, მაგრამ მის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროპაგანდა. თუმცა გეოპოლიტიკამ ვერ შესძლო ბოლომდე განთავისუფლებულიყო ჰაუსჰოფერისა და მისი მომხრეების უკიდურესობებისაგან, მაგრამ ამისდა მიუხედავად პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყნის საგარეო პოლიტიკა და თავდაცვითი პოლიტიკა შენდება გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. შესაძლოა, გეოპოლიტიკა მოდიდან გამოვიდა, მაგრამ გლობალური გეოგრაფიული რეალიების პოლიტიკური ინტერპრეტაცია მნიშვნელოვან, თუმცა ზოგჯერ მცირედ შესამჩნევ როლს თამაშობს პრობლემების გადაწყვეტის ჩვენებურ მიდგომაში”. [კოლინ ს. გრეი, ბირთვული ეპოქის გეოპოლიტიკა, 1977 წ.].

გეოპოლიტიკური ცნობიერება, ანუ სივრცის, როგორც სიძლიერის გამოვლენის სფეროს შემეცნება, უპირველეს ყოვლისა სამთავრობო წრეებში ვრცელდებოდა. ახალი წელთაღრიცხვის 2 წელს რომის იმპერატორმა ოქტავიანემ საკუთარ ხალხს წარუდგინა მსოფლიოს რუქა. ეს იყო პირველი მცდელობა გამოესახათ მთელი სამყარო, უფრო სწორედ რომაელებისათვის იმ დროს ცნობილი სამყაროს ნაწილები. მასზე ასახული იყო მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის აუზი, მიუხედავად იმისა, რომ რომაელებს ჰქონდათ მეტ-ნაკლებად რეგულარული კავშირები სპარსეთთან, ინდოეთთან, ჩინეთთან.

რომის იმპერიის დაცემის შემდეგ, რასაც მოჰყვა ცოდნის უზარმაზარი მოცულობის დაკარგვა, შუასაუკუნეების ევროპა, ძირითადად დაკავებული საკუთარი თავით, დანაწევრებული უამრავ ფეოდალურ სამფლობელოებად ვეღარ ფლობს სივრცის აღქმის ფართო ჰორიზონტს. თითოეული სამთავრო, სუვერენიტეტისა და ვასალური დამოკიდებულების ურთულესი სისტემის ნაწილი, გააფთრებით იბრძვის საკუთარი სამფლობელოების შენარჩუნებისა და გაფართოებისათვის (კაპეტინგები საფრანგეთს ილ-დე-ფრანსის გარშემო, პლანტაგენეტები ინგლისს ლონდონის გარშემო, პოპენშტაუფენები გერმანიას, ბაგრატიონები საქართველოს ქუთაისის გარშემო და სხვა).

სივრცეზე წარმოდგენების კარდინალური ცვლილებისათვის საჭირო გახდა რამოდენიმე მდგომარეობის თანხვედრა: ინდოეთისა და ჩინეთისაკენ შემოვლითი გზების ძიება, ვინაიდან გზაჯვარედინი ევროპას, აზიასა და აფრიკას შორის ისლამს ჰქონდა ჩაგდებული ხელში; მნიშვნელოვანი პროგრესი ზღვაოსნობის ტექნიკაში – ასტრონომიული

ნავიგაციის განვითარება, რომელიც საშუალებას აძლევდა ზღვაოსნებს უპრობლემოდ ევლოთ ზღვებსა და ოკეანეებში.

შვიდწლიანი ომი (1756-1766 წწ) გახდა პლანეტარული მასშტაბის პირველ კონფლიქტი. ევროპის, კანადის, ინდოეთის საბრძოლო მოქმედების თეატრებზე ერთმანეთს დაეჯახა ინგლისისა და საფრანგეთის გლობალური ამბიციები. ინგლისი, გარდა იმისა, რომ ფლობდა სამფლობელოებს რამოდენიმე კონტინენტზე, იყო პირველი სახელმწიფო, რომელსაც მსოფლიო მასშტაბით ჰქონდა ორგანიზებული თავისი სტრატეგია. ინგლისს დასახული ჰქონდა მიზანი: მას სურდა არა მარტო ყველაზე მეტი ტერიტორიების ფლობა (ყველა რჯულის დამპყრობლების ტრადიციული ოცნება), მას უნდოდა აგრეთვე ზღვებსა და ოკეანეებზე, საერთაშორისო მიმოსვლის გზებზე უპირობო კონტროლის დაწესება. ამით აიხსნება ის უინიანი მიზანსწრაფვა, რომლითაც ღონდონი ხელიდან არ უშვებდა სრუტეებს ჰიბრალტარიდან კეთილი იმედის კონცხამდე და სუეციდან სინგაპურამდე. ამ გლობალურ დაპირისპირებაში საფრანგეთი დაამარცხა ინგლისელთა მკაფიო სტრატეგიამ და ძალთა მაქსიმალურმა კონცენტრაციამ. პარიზის ხელშეკრულების თანახმად (1763 წ.) საფრანგეთმა დაჰკარგა თავისი სამფლობელოების დიდი ნაწილი (კანადა, ლუიზიანა, ტერიტორიები მისისიპის აღმოსავლეთით . . .). ეს დაპირისპირება გაგრძელდა საფრანგეთის რევოლუციისა და ნაპოლეონის მმართველობის პერიოდში 1815 წლის ჩათვლით. საფრანგეთმა და მისმა კონტინენტალური იმპერიის პროექტმა კვლავ მარცხი განიცადა. ზღვათა მბრძანებელი ბრიტანეთი კვლავაც ზეიმობდა.

თანამედროვე სახელმწიფოს წარმოშობამ და განმტკიცებამ, რომელშიც ვლინდება სამი გეოგრაფიული ფაქტორის მჭიდრო ურთიერთმოქმედება, ხელი შეუწყო ადამიანების მიერ ხმელეთის მთელი სივრცის, როგორც დიდი სახელმწიფოების ინტერესების შეჯახების ერთიან ველად აღქმას.

ეს გეოგრაფიული ფაქტორებია:

სახღვრები – სუვერენიტეტების მოქმედების სფეროების გამყოფი ხაზები.

პოლიტიკური საზღვარი, ერთდროულად, წარმოადგენს მოცემული სახელმწიფოს საგარეო გარსს და მის მეზობლებთან კონტაქტის ხაზს. თანამედროვე საზღვრები დგინდებიან სახელმწიფოებრივი მექანიზმის, რომელსაც გააჩნია უნარი განახორციელოს სუვერენიტეტი მოცემულ ტერიტორიაზე და მართოს მისი მოსახლეობა, შექმნის პარალელურად. საგარეო გარსი მიუთითებს სუვერენიტეტის

განხორციელებისა და მისი გამოვლინების ზღვარს: მოცემული სახელმწიფოს ფულის ბრუნვა, მისი მოქალაქეების ჯარში გაწვევა, ხანდახან ოფიციალური ენის მოქმედების სფერო. საზღვარი აგრეთვე ასრულებს ქვეყნის ტერიტორიის აღმნიშვნელ სიმბოლურ ფუნქციას. ისტორიული საზღვრები იქმნებოდნენ ან გარეშე ძალების ზემოქმედებით, ან კიდევ იქმნებოდნენ მეზობელ სახელმწიფოებთან შეჯახებების შედეგად. პოლიტიკური, იდეოლოგიური, ლინგვისტური და რელიგიური განსხვავებების მიუხედავად სახელმწიფო საზღვარი წარმოადგენს უნივერსალური ხასიათის ერთადერთ ნორმას.

საზღვრის თანამედროვე გაგება, – სუვერენიტეტების მოქმედების სფეროს გამყოფი ხაზები, – აღმოცენდა ბიუროკრატიული სუვერენული სახელმწიფოების განმტკიცებასთან ერთად. სხვა კონტინენტების კოლონიზაციის პერიოდში ევროპელებმა დანარჩენ სამყაროზეც გაავრცელეს ტერიტორიების ზუსტი გამიჯვნის საკუთარი კონცეფცია და მთელი დედამიწა დაიფარა საზღვრებით, რომლებიც გავლებული იყო კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე: იმპერიებს შორის გამყოფი ხაზები (ესპანეთსა და პორტუგალიას შორის სამხრეთ ამერიკაში, რუსეთსა და ჩინეთს შორის ციმბირში, კოლონიალურ სახელმწიფოებს შორის აფრიკაში . . . ) ან იმპერიების შიგნით, სადაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წარმონაქმნების საზღვრები გადაიტყვნენ სახელმწიფო საზღვრებად მაგალითად: ინგლისის კოლონიები, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე გაყოფილი იქნა ინდოეთსა და პაკისტანს შორის); პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (1919-1920 წწ.) ევროპაში დაიწყო საზღვრების რადიკალური გადასინჯვა და წარმოიქმნა ბევრი ახალი სახელმწიფო.

საზღვრები ხელს უწყობენ სახელმწიფოების მიერ თავის თავის, როგორც ერთიანი მთელის აღქმას, რომელიც განსხვავდება სხვა სახელმწიფოებისაგან და რომელსაც საკუთარ ტერიტორიაზე გააჩნია უცილობელი სუვერენიტეტი

ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტი გულისხმობს საკუთარ ტერიტორიასა და მასზე მაცხოვრებელ მოსახლეობაზე კონტროლის განსაკუთრებულ უფლებას; გამორიცხავს ეროვნული სახელმწიფოს რამენაირ დაქვემდებარებას ზეეროვნული ორგანოებისადმი.

სახელმწიფო უნდა გახდეს ერთგვაროვანი, მოახდინოს საკუთარი სივრცის უნიფიცირება, რათა აღიქვას თავისი თავი როგორც ერთიანი მთლიანი და ამ სახითვე იქნეს აღქმული

სხვა სუბიექტების მიერ. ამით აიხსნება ცენტრალური ხელისუფლების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა ადგილობრივი თავისებურებების ნებისმიერი გამოვლენების წინააღმდეგ: რელიგიური, კულტურული, ენობრივი და ასე შემდეგ. სახელმწიფო ხელისუფლება მეთოდურად სპობს ყველაფერ იმას, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეროვნულ ერთობას. მსოფლიოს ყველა სახელმწიფო მიდის მსგავსი უნიფიკაციის გზით, თუმცა რიგ შემთხვევებში ცენტრალური ხელისუფლება, შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მიდის კომპრომისზე რეგიონებთან. ფეოდალური დაქუცმაცებულობის პირობებში (ამომავალი მზის ქვეყნიდან მოყოლებული ნისლოვან ალბონამდე) – დამიოებისათვის, მანდარინებისათვის, რაჯებისათვის, ხანებისა და ფაშებისათვის, ერისთავებისა და თავადებისათვის, ბოიარებისა და დიდი თავადებისათვის, მარკგრაფებისა და კურფურსტებისათვის, დონებისა და გრანდებისათვის, სისხლის პრინცებისა და ჰერცოგებისათვის, ბარონებისა და ლორდებისათვის – პროვინციები და რეგიონები წარმოადგენდნენ, მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული ტერიტორიის ფრაგმენტებს, რომლებსაც იპყრობდნენ ან კარგავდნენ, გამარჯვების ან დამარცხების შესაბამისად. სიტუაცია კარდინალურად იცვლება, როდესაც ჩნდება ეროვნული იდეა. სახელმწიფოს ტერიტორია ხდება წმინდა: იგი უკვე ეკუთვნის ხალხს და არა მონარქს.

ერის კულტის პარალელურად XIX საუკუნეში გაგრძელდა სივრცის მისტიკა.

რა გვაქვს ჩვენ მხედველობაში?: ზოგიერთმა ხალხმა ოცნება დაიწყო ეგრეთ წოდებულ სრულყოფილ ტერიტორიებზე.

საფრანგეთმა, რევოლუციური ომების პერიოდში, დანტონის ზეგავლენით, მოითხოვა “ბუნებრივი საზღვრების” დამკვიდრება. ეს ნიშნავდა სახელმწიფო საზღვრის გავლებას ბუნებრივი დაბრკოლებების გასწვრივ ანუ რეინის მთელი მარცხენა სანაპიროს ანექსიას. “ბუნებრივი საზღვრების” მითი ასახავს ნებისმიერი კონტინენტალური სახელმწიფოს გულისტკივილს იმის შესახებ, რომ იგი არ მდებარეობს რომელიმე კუნძულზე, ანუ არ ფლობს უცილობელ ტერიტორიულ საზღვრებს, რაც თავის მხრივ წარმოადგენს აბსოლუტური უსაფრთხოების გარანტიას.

გერმანია, 1848 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე, ავადმყოფური სიმწვავეთ აღიქვამდა საკუთარი სახელმწიფო საზღვრებისა და გერმანელთა განსახლების საზღვრების შეუსაბამობას. ევროპის ცენტრში მყოფ გერმანიას სურდა ჰქონოდა საკმარისი სივრცე, რათა გაეერთიანებინა ყველა

გერმანელი ერთი სახელმწიფოს ფარგლებში. ამ აკვირებულმა იდეამ, ადოლფ ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მიიღო პოლიტიკური და სამხედრო დოქტრინის სახე. შედეგი: მეორე მსოფლიო ომი.

ზოგადად, ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორია წარმოგვიდგება, როგორც არასრულყოფილი, არასაკმარისი. ხშირ შემთხვევაში იგი მოიცავს ეროვნულ უმცირესობათა განსახლების ადგილებს, რომლებიც უცხოელებად გრძნობენ თავს ამ სახელწიფოში; ამავდროულად, ეროვნული საზღვრების მიღმა, ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც სურთ იცხოვრონ ამ ქვეყანაში (ეროვნულ უმცირესობათა და ირედენტის მის მუდმივი პრობლემა). დღესაც არიან ძალები, რომლებიც არა მარტო უარყოფენ რეალური სამყაროს არასრულყოფილებას, არამედ ცდილობენ მიაღწიონ შეუძლებელ “სრულყოფილებას” (გასული საუკუნის 90-იან წლებში ეს გამოვლინდა “ეთნიკურ წმენდებში” ფერგანას დაბლობში, სომხეთში, ახერბაიჯანში, საქართველოში, იუგოსლავიაში და სხვა).

სივრცის მისტიკა წარმოშობს ტერიტორიული დაპყრობების მოთხოვნილებას და გარდაქმნის სახელმწიფოებრივ საზღვრებს ახალი ექსპანსიის ზღვარად. თავის დროზე ეს ტენდენცია გამოვლინდა რუსეთში ციმბირისა და შუა აზიის მიწების ხელში ჩაგდებათ, ხოლო შეერთებულ შტატებში – ეგრეთ წოდებული “ველური” დასავლეთის დაპყრობით.

თანამედროვე პირობებში ადამიანების გეოგრაფიული ცნობიერების ორგანიზება ხდება სამი ძირითადი ელემენტის გარშემო:

– დედამიწის ტერიტორიის ზღვრული ხასიათი. ჩვენი თანამედროვეობის ბევრი მოვლენა და პრობლემა უბიძგებს ადამიანებს ჩვენი პლანეტა განიხილონ, როგორც ერთიანი მთელი. ეს ნიშნავს, რომ პრობლემა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გადაწყვეტილი, თუ მთელი კაცობრიობა, ან მისი უდიდესი ნაწილი, გამოიმუშავებს ერთიან მიდგომას მათ გადასაწყვეტად. პრობლემები კი უამრავია: განიარაღება (ბირთვული იარაღისა და სარაკეტო ტექნოლოგიების გავრცელება), გარემოს დაცვა (ატმოსფეროს, ზღვებისა და ოკეანების დაბინძურება, ტროპიკული ტყეების განადგურება, ნარჩენების უკანონო გადაადგილებები), ეკონომიკური და ფინანსური საკითხების დარეგულირება (კაპიტალის მოძრაობა), პლანეტის რესურსებსა და მათ მოხმარებას შორის წონასწორობის დარღვევა.

– დაპყრობა და გაყოფა. სამყარო, როგორც გეოგრაფიული სივრცე დიდი ხანია რაც გამოკვლეულია,

დაპერობილია, დაყოფილია. დღევანდელ დღეს ღია ზღვების, სამხრეთ პოლუსისა და კოსმოსური სივრცის გარდა ყველაფერი განაწილებული არის სუვერენულ სახელმწიფოებს შორის.

– საზღვრების გამჭვირვალობა. სასაზღვრო ხაზი სულ უფრო და უფრო გამჭვირვალე გახდა: ხდება ფულის, სამუშაო ძალის, ინფორმაციის. . . გადაადგილება. ოფიციალური საზღვრების გვერდით წარმოიშვებიან მოძრავი საზღვრები, რომლებიც სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად ყალიბდებიან.

### ლიტერატურა :

- ნიკო ნიკოლაძე. რჩეული თხზულებანი. ქართული მწერლობა. ტ. 14. თბ; 1997
- სუნ ძი. “ტრაქტატი სამხედრო ხელოვნების შესახებ”. თბილისი,
- დუგინი ა. გეოპოლიტიკის საფუძვლები. თბილისი, 1999
- ჰანთინგტონი ს. ცივილიზაციათა შეხლა. აღმანახი. “საზოგადოება და პოლიტიკა”, II, 1999.
- ზბიგნევ ბჟეჟინსკი. დიდი ცვლილებები. აღმანახში “საზოგადოება და პოლიტიკა”. I. 1996.
- Моро-Дефарж Ф. Введение в геополитику. - М.: Конкорд, 1996.
- Нартов Н.А. Геополитика.М.,1999
- Гаджиев К.Э. Введение в геополтику.М.,2000
- Киссинджер. Г. Дипломатия. М., 1995
- Morgenthau Hans J. Politics Among Nations. The Struggle for Power and Peace. Second Edition, Alfred a. Knopt. New York, 1955.
- Spykman N.J. America's Strategy in World Politics. The United States and the Balance of Power. - New York, 1942. P. 41.
- Тойнби А.Дж. Постижение истории. - М., 1991.
- Мэхэн А.Т. Влияние морской силы на историю 1660-1793. - М.-Л., 1941. С. 23.
- Полибий. Всеобщая история в сорока книгах. Т.1. - М., 1890. С. 429.
- Монтескье Ш. Избранные произведения. - М. 1955. С. 352.
- Ратцель Ф. Народоведение. Т.1. - М., 1893. С.3.
- Макиндер Х. Дж. Географическая ось истории. // Полис. - 1995. - ©4. - С.166.
- Spykman N.J. The Geography of the Peace. - New York, 1944. P.43.

**Otar Kochoradze**

**Spatial consciousness, as a basis of state thinking**

**SUMMARY**

The analysis of influence of space on the political relations assumes preliminary study of major mechanisms, by means of which the people develop their understanding of space. There is a flexible dialectic relation between a person and space: if the space promotes formation of a person's character, in its turn the person, his opinions, actions and work continuously change the space.

A person exists in space and time, and both these factors are closely interrelated. Space is the "objective" reality, but people and their communities perceive it through their "subjective feelings". Space is an element of the external environment from which a man can not abstract himself, however this element influences each specific situation in a different way.

**Отар Кочорадзе**

**Пространственное сознание, как основа государственного мышления**

**РЕЗЮМЕ**

Анализ влияния пространства на политические отношения предполагает предварительное изучение важнейших механизмов, посредством которых люди вырабатывают свои представления о пространстве. Между человеком и пространством существует гибкая диалектическая связь: если пространство способствует формированию характера человека, то и человек, его взгляды, поступки и труд непрерывно изменяют пространство.

Человек существует в пространстве и во времени, причём эти оба фактора находятся в тесном взаимодействии. Пространство - это "объективная" реальность, но люди и их сообщества воспринимают её через свои "субъективные ощущения". Пространство является элементом внешней среды, от которого человек не может абстрагироваться, однако влияет этот элемент по-разному в каждой конкретной ситуации.



## ოთარ ბადათურია

საქართველო დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ზეობის ოქროს ხანიდან მოყოლებული, ასწლეულების მანძილზე წყვილადში აღმოჩნდა. ქვეყანა გარეშე მტრების განუწყვეტელი ამოხრებელი თარეშითა და შინა ომებით გაჩანაგდა. გაპარტახებული ქვეყანა ფიზიკური განადგურებისა და გადაშენების ზღვარზე იმყოფებოდა. რუსეთის იმპერიის მფარველობით ქვეყანამ მოიპოვა მშვიდობა, მაგრამ ახლა მისი სულიერი და ეროვნული გადაგვარების საფრთხე წარმოიქმნა.

მე-19 საუკუნეში ახალი ძალით იჩინა თავი ნიჰილისტურმა, უიმედო დამოკიდებულებამ ქართველი ერის მომავლისადმი. ქართველი ხალხი სულიერად გატეხილი ჩანდა, მრავალწლიანმა მონობამ და ერთმორწმუნე რუსეთის მზაკვრობამ, მის მიერ განხორციელებულმა საყოველთაო ჩაგვრამ, რასაც რელიგიური დევნაც კი დაემატა, ცარიზმის მიერ სასტიკად ჩახშობილმა აჯანყებებმა დააბეჩავა ხალხი და შეარყია მისი სულიერი სიმტკიცე. სისხლისგან დაცლილი, გულგატეხილი, რელიგიურობიდან უკვე უსასოობისა და ნიჰილიზმისკენ გადახრილი ქართველი ერი იმითაც ბედნიერი ჩანდა, რომ ფიზიკურად არსებობდა. ამ განწყობილების თეორიული გამომხატველნი გახდნენ სრულიად სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და შესხედულების ადამიანები -

**საერთო ნიადაგის თეორია –  
ქართული სოლიდარული  
სახელმწიფოებრივი  
მსოფლმხედველობის სათაგეები**

მონარქისტ გიორგი მუხრან-ბატონი და ხალხოსანი ივანე ჯაბადარი. მათი დასკვნით, რაც უფრო მალე გადაშენდებოდა ქართველობა როგორც ეთნოსი, გაითქვიფებოდა დიდ რუს ერში, მით უკეთესი იქნებოდა მათთვის. სასოწარკვეთილ ადამიანებს აღარ სწამდათ ქართული ეროვნული ენერჯის სიცოცხლისუნარიანობისა და სხვის მფარველობაში ყოფნას ამჯობინებდნენ, სხვის ქვეშევრდომობაში ყოფნას მიიჩნევდნენ ქვეყნის, ადამიანთა ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ მსხველ გაზად.

საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლიდან სულ მალე იღია ჭავჭავაძე ხდება საქართველოს

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულიერი წინამძღოლი

მე-19 საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა კვლავ შეახსენეს საქართველოს, ქართულ საზოგადოებას, რანი ვიყავით, რას მოითხოვს ჩვენგან უფალი საქართველოს მთელი წარსული ისტორიით, გმირული წარსულით და ჩვენ დიდ წინაპართა, წმინდანთა და მეფეთა, მწიგნობართა და გუთნისდელათა კვლავაც გაუხუნარი მაგალითით, მაგალითით „ქრისტეს მხედრობის“ თავგანწირული მსახურებისა უფლის სახელისას და სამშობლოს საკეთილდღეოდ. ახლა კი რანი ვართ, ან კი სად არის ის გზა, რომელიც ღვთის ხატის მსგავსებამდე მიიყვანდა კაცსაც და ერსაც, სრულიად საქართველოს. ახალი გზების ძიება ილიასა და მისი თანამებრძოლების ყოველდღიური საზრუნავი გახდა.

რა თქმა უნდა, ილიამდეც იღვწოდა ქართული საზოგადოებრივი აზრი ქართველი ერის ღირსეული არსებობისა და განვითარებისათვის. მაგრამ მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ დაინახა და წარმოაჩინა ყოვლისმომცველად ქვეყნისა და ერის წინაშე არსებული ეროვნული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სულიერ-ზნეობრივი პრობლემები. ამავე დროს, მან ის გზებიც დასახა, რომლითაც უნდა გადარჩენილიყო მთლიანად ქართველობა.

უმთავრესად ილიას ეროვნული საკითხი მიაჩნდა - **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეუფნოდეს“**. მაგრამ ამასთან, ილია არასდროს ქადაგებდა ეროვნულ იზოლაციონიზმს და კარნაკეტილობას, პირიქით, ქართველი საზოგადოება მისი რუდუნებით ეცნობოდა მსოფლიოს პროგრესულ აზრს. ილიას საოცნებო სურვილი იყო, ეხილა თავისუფალი საქართველო, ეროვნული სახელმწიფო, გამთლიანებული ქვეყანა, სადაც არ იქნებოდა „ჩატეხილი ხიდები“. მაგრამ საქართველოს ეროვნული თავისუფლება შეუძლებელია, თუ თავად ერის შეილები არ იქნებიან ზნეობრივნი - „ვით მამა ზეცის, იყავნ შენც სრული“. პიროვნების ყმობა ეწინააღმდეგება ღვთის კანონებს. მითუმეტეს შეუძლებელია მთელი ერის მონობა. სამყაროს ჰარმონიულობა ითხოვს ბუნების მრავალფეროვნებას და, პირიქით, მრავალფეროვანი ბუნება სამყაროს მშვენიერების და ჰარმონიულობის წყაროა. კაცობრიობა მშვენიერია თავისუფალ ერთა ჰარმონიულ თანამშრომლობაში, რომელიმე ერის დამონების მცდელობა ან მის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები ეწინააღმდეგება ღვთის მიერ დადგენილ კანონებს, იგი ღვთისა და მთელი კაცობრიობის წინააღმდეგაც არის მიმართული. დაბეჭავებულ ერთა გამოღვიძება, დამონებულ ხალხთა განთავისუფლება ღვთის კანონების, ძალადობრივად

შერყვნილი ბუნების მშვენიერების, საყოველთაო ჰარმონიის აღდგენაა.

სწორედ ამ დიადი მიზნების მიღწევას ემსახურებოდნენ თერგდალეულები, რომელთა მოღვაწეობის აზრი და ამოცანები ასეთი სახით ჩამოყალიბდა:

„- ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ვეზხედ დაყენება და დაცვა ყოველისა მოსალოდნელის ფათურაკიდან.

- ყველამ, ვისაც რა შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს.

- ემაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითი და ზედმიწევნელი ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპიული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუღვეს ჩვენი ქვეყნის საქმეს“; რადგანაც „ქვეყანა იმითი კი არ არის უძღური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-ანთებული კაცები არა პყავს...“.

მაგრამ „ქართლის ჭირი“ განა მხოლოდ გარეშე მტერია? ილია პირდაპირ აცხადებს, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კატასტროფის უპირველესი მიზეზი თვით ქართველობაა - „მცირე, დიდი, ყველა ფლიდი, ცუდლუტი და მანკიერი“. დიახ, პირველ რიგში ჩვენში უნდა ვეძიოთ უბედურების მიზეზი ვინაიდან „- ჩვენც ღამაზად სულ ყველასა თვითო თვითოდ ვლაღობდით“.

დამონებული ერი მანკიერი იქნება, დამონებულ ქვეყანაში ქვენა გრძნობები იღვიპებენ, რასაც დამწყრობელი ყოველმხრივად აქეზებს და ხელს უწყობს, ბოროტი მისწრაფების მქონე ერის დამორჩილება კი მეტად იოლია. კოლონიალიზმი დამღუპველია როგორც ეკონომიკურად, ისე ზნეობრივად და სრულებით ანადგურებს ეროვნულ სულს და თვითშეგნებას - „სადღა არის ეხლა ქართული ენა? ან გვინდალა ქართული, როცა ჩვენ თვითონ ჩვენდა დასაღუპად ქართველობაზედ ხელი ავიღეთ? გონებით რომ აღარ ესცხოვრობთ, ქართულ ენას აზრს როგორღა გამოვავთქმევინებთ? ერთობისათვის რომ აღარ ვართ, ერთნაირს სიტყვის მნიშვნელობას როგორ მოვსთხოვთ ჩვენს ენასა? თუნდ რომ ჩვენს ენას და სიტყვას აზრიც გამოვავთქმევინოთ, ვის რად ვინდათ, ენას აზრს ვინდა სთხოვს? ჩვენ თითონ დავცარიელდით გულაფშუტასავით, ცალიერი სიტყვებიდა გვინდა, ცალიერი ხმები, რომ ენამ პირში იშვინოს და ყურმა ძარღვი იფხანოს. სხვა რისთვის გვინდა ენა? საერთო სახელი ქართველი კერძობით ვაყხადეთ, მამული დანეხვილ ნაფუძვრად ვარდავაქციეთ, პატივი - ნეხვად, თავი - გოვრად, და ჩვენი უაღაძიანობა იქამდინ

მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დაუმატეთ, და ამის შემდეგ კიდევ ვინდათ, რომ ენა ვკჳონდეს?”

ამიტომ კოლონიური ჩაგვრის უღლის მოცილება საჭიროა არა იმდენად ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად (თუმცა ეს პრობლემაც უადრესად მნიშვნელოვანია), არამედ პირველ რიგში ზნეობრივ-სულიერი ღირსების აღსადგენად - „ადამიანი, თუ მთელი ერი იმისთვის კი არ არის, რომ პური სჭამოს, პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცად აცხოვროს შთამომავალი“. ამიტომ, პიროვნული თავისუფლებისათვის უნდა იბრძოდეს როგორც ცალკეული ადამიანი, ისე მთელი ერიც. ამისათვის, მან დაუნდობლად უნდა მოიცილოს არსებული მანკიერებანი, ესწრაფვოდეს ზნეობრივ სრულყოფას.

„რა არ გადაგვხდენია თავს, რა მტრები არ მოგვსევინან, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაგუძელეთ, ყველას გაგუზავრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი... და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავადებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავგმა დაგვიჭრას!... დრო-ჟამი ამას გვიქადის“

ახალი ქართული სახელმწიფოს, მრავალეროვანი ქვეყნის ბედნიერი არსებობა ცივილიზებულ ერთა თანამეობრობაში შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით საქართველოში საერთო სახელმწიფოებრივი სულისკვეთებით იქნება მიღწეული საყოველთაო თანხმობა, როდესაც საქართველოს მოსახლეობა კვლავაც იქნება „ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღაბებული ერთ-სულ და ერთ-ხორც მევიდრთა“.

ქართული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მთავარი მამოძრავებელი ძალა, სწორედ ამ საერთო მიზნისაკენ სწრაფვაა, ძიება იმ საერთო ნიადაგისა, რომელიც საქართველოს ყველა მოქალაქეს განვითარებისა და თვითდამკვიდრებისთვის თანაბარ შესაძლებლობებს შეუქმნის. „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში - ყველა, საცა თვითეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისთვის, საცა “მე” ხშირია, და “ჩვენ”- იშვიათი!“

ქვეყნის გამაერთიანებელი იდეოლოგია ემყარება წარსულის მოაზროვნეთა უკვე გამოცდილ თეორიულ შეხედულებებს და მასში შესამებუღია პიროვნების თავისუფლებისა და საზოგადოების ეკონომიკური განვითარების ლიბერალური ღირებულებები და კონსერვატორული ზნეობრივი ფასეულობები, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და სოციალური დაცვის მოთხოვნები. ასეთი გამაერთიანებელი იდეოლოგიის ჩამოყალიბება საქართველოს სახელმწიფოებრივად მოაზროვნე საზოგადო თუ პოლიტიკური მოღვაწეების დღენიდაგ ზრუნვის საგანი იყო მისი არსებობის მთელი ისტორიის განმავლობაში და, განსაკუთრებით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღმავლობის პერიოდში.

ამდენად, საქართველოს სამომავლო გეზის უცდომლად განსაზღვრისათვის და საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური ცნობიერებისათვის ჭეშმარიტებასთან მიახლების შესაძლებლობის მიცემისათვის აუცილებელია ისტორიული გამოცდილების სრულყოფილი გააზრება, ვინაიდან „ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ თავის ისტორიას ივიწყებს. როგორც კაცად არ იხსენება ის მაწანწალა ბოგანა, ვისაც ადარ ახსოვს – ვინ არის, საიდან მოდის და სად მიდის, ისეც ერად სახსენებელი არ არის იგი, რომელსაც ღმერთი გასწერომია და თავისი ისტორია არ ახსოვს.“.

ასეთი „ღონე და საგზალი“ საქართველოსთვის არის **„კაცთ სიყვარული, ძმობა, ერთობა, თავისუფლება“**. სწორედ ამიტომ, „ილია ჭავჭავაძეს საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეთა ნამოქმედარში მარტო პოლიტიკური მხარე კი არა, არამედ ამ მოღვაწეობის უფრო მეტად კულტურული გეზი, სხვა ერთა ღირსებისა და უფლების პატივისცემა იზიდავდა“ (ივანე ჯავახიშვილი). სხვა ერის პატივისცემა ქართველთა ბუნებრივი თვისებაა და ერის ეს თვისება, განსაკუთრებით რელიეფურად გამოხატული უპირველეს ქართველთა მოღვაწეობაში, ქმნის ქვეყნის მშვიდობიანი არსებობის წინაპირობებს წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში.

„დავით აღმაშენებელი სადიდებელია ჩვენგან არა მარტო სახელოვან მეფობითა, არამედ დიდბუნებოვან კაცობითაც. იგი თავდადებული მოყვარე თავის ეროვნობისა და მართლმადიდებლის სარწმუნოებისა, დიდი პატივმცემელი იყო სხვის ეროვნობისაც და სარწმუნოებისა. ამისთანა შემწყნარებელი სხვისა მაშინ, როდესაც იგი ყოველად შემძლებელ მბრძანებლად შეიქმნა სხვადასხვა თესლის და სხვადასხვა სარწმუნოების ერისა, ამისთანა სხვა ერის

თავისმისმცემელი იმ დროში, როცა კაცი კაცს შესაჭმელადაც არა მხოლოა, ამისთანა კაცთმოყვარული პატივისცემა სხვის ეროვნებისა, სხვის სარწმუნოებისა, ნუთუ საკვირველი და საოცარი მაგალითი არ არის მეთორმეტე საუკუნის კაცისგან”.

დაბოლოს, „კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, - ამბობს ჩვენი ერი: - ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ ადამაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა - წაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“.

სათანადო ეკონომიკური მოწყობის გარეშე ვერც თავისუფალი ქვეყანა იარსებებს. როგორია ქართველი ერის ეკონომიკური გამოცდილება, როგორ უნდა ვიცხოვროთ? „საკვირველი არის, - რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა პეკებადა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტერად აღგვილიყო, და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“.

ჩვენა გვეონია, სიკეთე ჩვენის ეკონომიკური აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ესე იგი მამული-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს-აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად არ მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზრდოებისათვის ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენის ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფროსილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ქვეყანა ჩვენი ღონიერი ყოფილა და გასძლილია მტერს ასე თუ ისე“.

ამიტომ:

„... ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს... ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფროსილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეობა-მძლეობა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორციითა, ცოდნითა და მარჯვენითა... ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ. სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლაეი არავის

ავაგებინეთ. ხმლათ მოსულმა ვერა დავგაკლო-რა, - შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსული კი თან ვავიციანს, ვეხს-ქვეშიდამ მიწას გამოგვაცლის, სახელს ვავიცირობს, ვავიცივებს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაუპატრონებია. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-და ვაუძლებს, თუ შრომა და გარჯა ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ...

**ეხლაც თმია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, თმი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი”.**

მუხლჩაუხრელი შრომა, ოფლით რწყვა მამულისა და საკუთარი მოვალეობებისა და უფლებების გასიგრძელებასა ქმნის ადამიანს სრულყოფილ პიროვნებად -

„ერთი [შოტლანდიელი] - სულით და ხორციით ყოველდღე წარმატებაშია, თუმცა ღარიბი ბუნება ახვევია, მეორე [სპარსელი] - სულითაც და ხორციითაც დაღვევაშია, თუმცა მის გარე ბუნება უხვია და მდიდარი. რა არის ამის მიზეზი? ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის „ჩემი აქ თავდებო და სხვისა აქ იწყება“, უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, - ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, - ევ ჩემი უფლებაა. უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დაიდგინება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა”.

„შრომის სუფევა” იძლევა ეროვნული თავისუფლების ეკონომიკურ საფუძველს, ამავე დროს ადამიანი სოციალურად თავისუფალი უნდა იყოს, რადგანაც ადამიანი ჭეშმარიტად თავისუფალია მხოლოდ მაშინ, როცა „არც ვის ემონვი და არც ემონები”. ილიას მოძღვრების არსია კაცთმოყვარეობა, სოციალური თანხმობა, შემწყნარებლობა, თანადგომა და თანადმობა. ერთიანობა და არა დაპირისპირება და მტრობა - აი, გზა სანუკვარი მიზნის - სამშობლოს თავისუფლების მისაღწევად.

„ქვეყანაზედ მარტო იმ ერს ვაუძლია, მარტო იმ ერს გამოუტანია თავისი თავი ათას გვარ განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია და გაძლიერებულა, რომელსაც თავის დროზედ შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთის რომელისამე წოდების წინ წაწვეა არაფრის მაქნისია, თუ დანარჩენი ერთიც წინ არ წაწვეა, პირიქით, ერთის წოდების წინ წაწვეას დანარჩენის უკან დაწვეა მოჰყოლია“.

„... ყველამ ერთად და თვითუღმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელი ერისა და

ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ექებდნენ მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“. მაგრამ, სამწუხაროდ „ყოველისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება“.

ფაქტობრივად, ილია ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა ის საპროგრამო დოკუმენტი, რომლის საფუძვლები ჯერ კიდევ XII საუკუნეში შეიქმნა წმიდა მეფის დავით აღმაშენებლის მიერ, განმტკიცდა წმიდა თამარ მეფის დროს, მონარქისა, რომლის ზეობის პერიოდში სიკვდილით დასჯაც კი აიკრძალა და სრულიად საქართველო, მრავალეროვნანი და მრავალრიცხოვანი დიდი ქვეყანა ცხოვრობდა და იღვწოდა სრული თანხმობით და კეთილგონიერებით. ზოგადსაკაცობრიო იდეალები, რომლის ქადაგებას განათლებული ევროპა აწვლევულების შემდეგ დაიწყებს და მხოლოდ XX საუკუნეში მოახერხებს მის ნაწილობრივ რეალიზებას, საქართველოში რვა საუკუნის წინათ რეალურად იყო განხორციელებული. სწორედ ამ იდეალების აღორძინება დაიწყო წმიდა ილია მართალმა XIX საუკუნეში, მაგრამ ჭეშმარიტი ქართული ხატის მიღწევა უკვე მეტად რთული აღმოჩნდა სოციალური დაპირისპირებულობითა და ეროვნული ჩაგვრით გზააბნეულ საქართველოში, წყვედიადში ჩაძირული იმპერიის განაპირა კოლონიაში.

გლობალიზაციის ეპოქამ ახალი სული შთაბერა „საერთო ნიადაგის“ კონცეფციას, რომელიც ამ კონცეფციის ავტორების თანამედროვეთათვის გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა, ძირითადად მაშინ არსებული ეთნიკური უთანასწორობისა და ეკონომიკური პოლარიზაციის, მწვავე სოციალური დაპირისპირებისა და კლასობრივი ბრძოლის პირობების გამო. გლობალიზაციის ობიექტური პროცესი, ფაქტობრივად, განაპირობებს თანამედროვე სამყაროს არსებობისა და შემდგომი განვითარების მთავარ წანამდგარს და კანონზომიერებას – სხვადასხვა იდეოლოგიური მრწამსის დაახლოებას, ექსტრემისტული ხასიათის ოდიოზური, რეაქციული მიმართულებების უარყოფას მთელი ცივილიზებული და ჰუმანური კაცობრიობის მიერ, კულტურათა და რელიგიების დიალოგს, საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო მიზნების მიღწევას ერთობლივი ძალისხმევით და სხვ.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჯგუფები თავმოყრილი იყო თბილისში გამომავალი პრესის – ეროვნული სულისკვეთების მქონე გაზეთ „ივერიის“, საშუალოდ პოზიციის ჟურნალ „მოამბისა“ და სოციალისტური „კვალის“ გარშემო.



„ივერიელი“ - ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ნიკო ლომოური, გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები და სხვ. დაუცხრომლად ავრცელებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებს მთელს ქვეყანაში. „ივერიელთა“ ძველი თაობა თავადაზნაურული ლიბერალიზმის პოზიციებიდან უარყოფდა კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას და ასაბუთებდა კლასობრივი თანამშრომლობის შესაძლებლობას და საჭიროებას, საქართველოში კაპიტალიზმის დამკვიდრება კი ქვეყნის უბედურებად მიაჩნდათ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში არსებულ ეროვნულ ჩაგვრას განსაკუთრებული სიმწვავეით დაემატა სოციალური ჩაგვრაც, გაღრმავდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, წარმოიქმნა დაპირისპირებული კლასები, დაიწყო მუშათა მოძრაობა, იშვიათი აღარ იყო გაფიცვები, შეტაკებები პოლიციასთან. ქვეყანაში შემოაღწია მარქსიზმის იდეებმა, თანდათან იქმნებოდა პოლიტიკური ჯგუფები, რომლებიც შემდგომ პოლიტიკურ პარტიებად გარდაიქმნენ.

მარქსისტული ჯგუფები მიმდინარე პროცესებს კლასთა შორის ანტაგონიზმით ხსნიდნენ. არსებული სინამდვილის მარქსისტული აღწერა ნაწილობრივ სამართლიანი იყო, ნაწილობრივ ხელოვნურად გაზვიადებული და პროვოცირებულიც კი. „წოდებრივი უთანხმოება და სიძულვილი ჩვენის ახალის პუბლიკაციების მოჭორბული ამბავია“ - წერდა „ივერია“ და მოჰყავდა მაგალითები თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის მართლაც მამაშვილური, პატრონ-ყმური (და არა ბატონ-ყმური) დამოკიდებულებისა, მაგრამ მაინც რეალობა იყო ის გარემოება, რომ, როგორც „ივერია“ წერდა, „ქვენა ვრძნობა და ერთმანეთის მტრობა ნელ-ნელა ფეხს იდგამს და ერთობის დასობა, რაღაც ჯანაბა უაზრო და უმნიშვნელო პარტიობა პარაპს იწყებს“. „ივერიის“ ძველი თაობის იდეალი იყო ეროვნული ერთიანობა, მათი აზრით, საქართველოსათვის სანაცოცხლოდ აუცილებელი იყო ყველა წოდება და მათი თანამშრომლობა, რომელიმე წოდების დაქვეითება, გაქრობა ეროვნული ენერჯის, მისი უკვდავი სულის დასუსტებას გამოიწვევდა, მაგრამ ასეთი ერთიანობის სურვილიც კი აღარ იყო იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობაში. მისი უმეტესი ნაწილი მთელი გულისყურით ეხმიანებოდა სოციალისტურ თეორიებს. „ივერიელთა“ ახალი თაობის წარმომადგენლები მიესალმებოდნენ საქართველოში კაპიტალიზმის განვითარებას, რაც ქვეყანას „ევროპის გზას“

აახლოვებდა, ისინი კარგად ხედავდნენ იმ სიკეთეს, რასაც „ბურჟუაზიული ხანის“ დადგომა მოასწავებდა, თუმცა ამავე დროს თვალს უსწორებდნენ კაპიტალიზმით, კაპიტალისტური ურთიერთობებით გამოწვეულ სიმახინჯეებს. კაპიტალიზმის განვითარების პერსპექტივები ეროვნული საკითხის გადაჭრასაც უკავშირდებოდა (მიწა შეიძინოს მან, ვინც მას ამუშავებს). „ივერიელთა“ ახალგაზრდა თაობაც ეროვნული პოზიციებიდან მოუწოდებს „გარეშე ძალების წინააღმდეგ მოპირდაპირედ დასების გაერთიანებისაკენ“. ახალგაზრდა „ივერიელებს“ უმთავრესად მიაჩნდათ ეროვნულ-პოლიტიკური და არა სოციალური თავისუფლების მიღწევა და ამ მიზნით შესაძლებლად მიაჩნდა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალთა „ბედნიერი მორიგება“.

უუნაღლ „მოამბის“ ფურცლებიდან ნიკო ნიკოლაძე ქართველ საზოგადოებას ევროპის ქვეყნების მაგალითზე მიუთითებდა ე.წ. საშუალო დასის ანუ შუათანა კლასის ეროვნული ბურჟუაზიის შექმნის აუცილებლობაზე - „ერისა და ქვეყნის გამოძევანი ხილარბისა და მონობისაგან, უმეცრებისა და უსწორმასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან მარტო ეს საშუალო დასი, ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“.

ხოლო „კვალი“ ყოველივე ძველს უარყოფდა - „მოგეშორდით, თქვენი არა გესურს გამოცდილება ქებული, გვინდა და გვინდა ახალ გუნდს ბრძოლა თავდავიწყებული“. ასპარეზზე გამოდიოდა ახალი, მზარდი ძალა, რომელიც უცხო იყო ქართველი ერის ტრადიციული ღირებულებებისთვის. ამას კარგად ხედავდნენ ქართველი მამულიშვილები, აშკარა, თვალშისაცემი იყო, რომ საქართველოში ძალდატანებით, დემაგოგიურად მკვიდრდებოდა ყოველივე ძველის, ტრადიციულის უარყოფის იდეოლოგია (როგორც დღევანდელ საქართველოში ხდება). „როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელის, მას რა მოერგება და რა მოუხდება, საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი, ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისთვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უჭკველად გამოადგება, თუმცა მასაც დიდი გონიერება სჭირდება. თუ ამას ვერ მიხვდა, ისე მოუვა, როგორც იმ ადამიანს, ვინც მოღას აწყევბა, შეუფერებლად მოირთვება, მოიკაზმება და ხალხის თვალში სასაცილო გახდება. ერიც ასევე შეიძლება მასხარა გახდეს კაცობრიობის თვალში“ (ნიკო ნიკოლაძე).

და მაინც, კლასობრივი ბრძოლის მოძღვრება, ძველის ნგრევა და ახლის, თუმცა გამოუცნობის მოლოდინი უფრო და უფრო ძლიერდებოდა, საყოველთაო იდეალად აღიქმებოდა მარქსისტული „ჭეშმარიტება“, რომ რევოლუციური ნგრევის შედეგად „პროლეტარიატი არაფერს კარგავს საკუთარი ბორკილების გარდა“. ზომბირებული მოსახლეობა ვერ აცნობიერებდა, რომ რევოლუციური ნგრევა და ხანძარი საყოველთაო მსხვერპლშეწირვის ჰეკატომბებს მოითხოვდა განურჩევლად კლასისა და წოდებისა.

ყველაფერი დაკარგული მაინც არ იყო, კაპიტალიზმის სასიკეთოდ გამოყენების შესაძლებლობის იდეას ესმინებოდა ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი – *„ჩვენ უნდა ვიზრუნოთ არა იმისათვის, რომ დონკიხოტურად გავუმკლავდეთ ამ ვითარებას, რომელიც უფრო ძლიერია, ვიდრე ჩვენი ფარი და ხმალი, ვიდრე ჩვენი უნარი ბრძოლისა, არამედ იმისათვის უნდა ვიზრუნოთ, რომ ყოველმხრივ შევისწავლოთ იგი ვითარება და მით ისე მივმართოთ ჩვენი საზოგადო მოღვაწეობა და მოქმედება როგორც თხოვლობს კანონები საზოგადოების ახალი ზრდა-განვითარებისა“*. გ.ზდანოვიჩი, იმ დროს მარგანეცის მრეწველთა საბჭოს თავმჯდომარე, პრაქტიკულად იღწვოდა ქართული ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებისათვის, მოგებიდან მიღებული სახსრებით ჭიათურაში მოეწყო სასწავლებლები, საავადმყოფოები, საფერწლო პუნქტები, გამოყოფილი იყო სტიპენდიები მოსწავლეთათვის, ჭიათურა დასავლეთ საქართველოს არა მარტო ეკონომიკურ, არამედ უმნიშვნელოვანეს ეროვნულ-კულტურულ ცენტრად იქცა.

მაგრამ მტკიცე სამოქმედო პროგრამა, მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდათ მხოლოდ სოციალისტებს. იგივე სცადა ეროვნულმა რადიკალურ-დემოკრატიულმა მიმდინარეობამ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული საპროგრამო წერილით, რომლითაც გამოაცხადეს თავი სამოციანელთა მემკვიდრედ – *„ჩვენ გვწამს მათი ამაგი, გვწამს სიდიადე მათის იდეალისა და ამიტომაც მოვალენი ვართ განვაგრძოთ მათი შრომა ერის თვითცნობიერების განვითარებისათვის“*. წერილი აღიარებდა კაპიტალიზმს, როგორც საქართველოს „ევროპეიზაციის“ გზას, ფეოდალურ-ნატურალისტური მეურნეობიდან სავაჭრო-სამრეწველო წესწყობილებისაკენ; ამავე დროს არ განიხილებოდა სოციალური დაპირისპირება და კლასთა ბრძოლა, პირიქით მხურვალედ მოუწოდებდნენ თანამშრომლობისაკენ ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობას, რომლებიც მოწოდებულნი არიან იშრომონ

თავისი ქვეყნისათვის. „სხვადასხვა შეხედულებებმა არ უნდა შეუშალოს ხელი საერთო მუშაობას, რადგანაც ჩვენში ბევრია იხეთი საკითხი, რომელთა შესახებ შეთანხმება მოსახერხებელია“. მიუხედავად მკაფიოდ განსაზღვრული მიზნებისა, ეს პროგრამა მაინც არ წარმოადგენდა მტკიცე სამოქმედო პროგრამას.

ცხადი იყო, რომ საქართველოში რეალურად არსებულმა სოციალურმა წინააღმდეგობებმა დაპირისპირება გამოიწვია საზოგადოებაშიც. საქართველოს პოლიტიკური ცნობიერება დაპირისპირებული დასების ასპარეზად იქცა. გამარჯვების სასწორი მარქსისტების, „მესამე დასის“ მხარეს იხრებოდა, სოციალური სამართლიანობის რევოლუციური გზით დამყარების იდეა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის უფრო მისაღები ჩანდა, ეროვნულ საზოგადო მოღვაწეთა ნააზრევს სასტიკად ებრძოდნენ. ნათლად ჩანდა, რომ ქართველი სოციალისტები, „მარქსიზმის თუთიყუშები“, მხოლოდ სხვათა აზრს იმეორებდნენ, არ აცნობიერებდნენ ქვეყნის წინაშე მდგარ სასიცოცხლო პროგრამებს. მეორე მხრივ, არც საზოგადოების კონსერვატორულ ნაწილს სურდა დაენახა ქვეყანაში მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური ცვლილებები.

*„ჩვენ ვიწვევთ ... ერთიმეორის დაპირისპირებული დასებს სინდისიერად გადაშინჯონ თავიანთი რწმენანი; ჩვენ ვიწვევთ მათ საერთო შეთანხმებული მოქმედებისათვის იმიტომ კი არა, ვითომ გვინდოდეს შევარიგოთ შეურთებელი, არამედ იმიტომ, რომ მიუხედავად იმ ბუნებრივი დიფერენციაციისა, რომელიც ხდება ჩვენის ხალხის წესწყობილებაში, ჩვენს ქართველ ინტელიგენციის წინაშე წარმომდგარია ერთი ინტეგრალური საკითხი ჩვენი ერის ეკონომიკურ და სულიერი წარმატებისა, ის საკითხი, რომლის შემუშავებაში მონაწილეობა უნდა მიიღოს ჩვენი ქვეყნის ყველა შეგნებულმა წევრმა“ (არჩილ ჯორჯაძე).*

ქვეყნის წინაშე მთელის სიმწვავეით მდგარი პრობლემების გადაჭრის გზა არჩილ ჯორჯაძემ იპოვა ილია ჭავჭავაძის სულიერ მემკვიდრეობაში და „საერთო მოქმედების ნიადაგის“ სახით, ფაქტობრივად, სამოქმედო პროგრამა წარმოადგინა.

არჩილ ჯორჯაძემ მართებულად შენიშნა, რომ საზოგადოების კლასობრივ დაპირისპირებას მართლაც ჰქონდა ეკონომიკური საფუძველი, როგორც ამას მარქსისტები ამტკიცებენ, მაგრამ ილია და მისი თანამოაზრეები, მათ შორის ა.ჯორჯაძე კარგად ამჩნევდნენ იმასაც, რომ დაღუპვა ემუქრებოდა მთელ ქართველ ერს და არა მხოლოდ მის

რომელიმე კლასს ან ნაწილს. ეს ისტორიული ვითარება ქმნიდა „ნიადავს საერთო მოქმედებისათვის“.

დაპირისპირებულ დასებს შორის საერთო ენის გამონახვის შესაძლებლობა ჩამოყალიბდა სამი ძირითადი და ორი დაქვემდებარებული მიმართულებით: ქართული ენის დაცვა; ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა; ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა; კულტურული მოღვაწეობა; ქალაქთა თვითმმართველობაში ქართველთა მონაწილეობა.

ქართული ენის დაცვის საკითხი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების, თერგდალეულთა ეროვნულ მემკვიდრეობას წარმოადგენდა. **„პირველი ნიშანი ერის ენაობისა ენაა, და აი სწორედ პირველმა ამან აიღვა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგა ხნის დუმილისა“** (ილია ჭავჭავაძე). რუსეთის იმპერიის განაპირა კოლონიაში, საქართველოში ქართული ენა იდეგნებოდა, არ ასწავლიდნენ სკოლებში, კრძალავდნენ, სახელმწიფო დაწესებულებებში გაბატონებული იყო რუსული ენა. თვით ქართველი საზოგადოების საგრძნობი ნაწილიც ნებაყოფლობით უგულებელყოფდა ქართულ ენას. დედა-ენა მართლაც იკარგებოდა, რაც ეკონომიკურ ჩამორჩენილობასთან ერთად, ქვეყნის შემგომ დაცვმად დაქვეითებას განაპირობებდა. **„კულტურის აყვავება უნოდ შეუძლებელია, რადგან ენა არა მარტო იარაღია გრძნობისა და აზრის გადმოცემისა, არამედ იგი სულია ეროვნული არსებისა, ხალხის ფსიხიურ განწყობილების მახვენებელი“** (არჩილ ჯორჯაძე). ქვეყნის დაბეჩავებული ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ხალხის არასაკმარისი განათლებაც იყო - **„განათლება და ცოდნა კი დედა-ენის საშუალებით უნდა იყოს შეძენილი“**. ამრიგად, ქართული ენის დაცვა იყო უპირველესი ეროვნული ამოცანა, რაც ამავე დროს სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა ხალხის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ქართული ენის დაცვა იყო **„ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთიანებდეს საქართველოში არსებულ დასებს და რომლის განმარტებაში არც „ლიბერალური პროცესს“ აქვს ადგილი და არც „ეკონომიკურ მაკროეკონომიკურ“** (არჩილ ჯორჯაძე).

თანამედროვე საქართველოში ქართული ენის დაცვა, ერთი შეხედვით, ინტენსიურად და მაღალ დონეზე ხორციელდება: მოქმედებს ქართული ენის დაცვის და განვითარების სახელმწიფო პროგრამა, მაგრამ პრაქტიკულად დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს წინაშე მრავალი

გადაუჭრელი პრობლემაა, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის სრული გადაფარვა, მწვავედ დგას სახელმძღვანელოებით სასწავლო დაწესებულებების უზრუნველყოფის პრობლემა, სათანადო დონეზე ვერ ტარდება საგანმანათლებლო პოლიტიკა და ვერ ხერხდება ერთიან იდეალებზე დაფუძნებული სახელმწიფოებრივი პრინციპების ფორმირება, რომელთა მიხედვითაც უნდა მოხდეს ეროვნული თვითშეგნების დამკვიდრება. ყოველივე ეს განსაკუთრებით აქტუალურია სწორედ დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის – იდეოლოგიური თვალსაზრისით ნახევრად კოლონიურ, მიძინებულ მდგომარეობაში მყოფი ერებისათვის.

თანამედროვე საქართველოსათვის, მისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, სასიცოცხლოდ აუცილებელია დაუცხრომელი ზრუნვა ქართული და აფხაზური ენის დაცვა-განვითარებისათვის. ასევე, მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში კომპაქტურად მცხოვრები სხვა ერებისთვის სათანადო პირობების შექმნა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის მშობლიური ენაზე შეუფერხებლად განხორციელებისათვის.

„საერთო ნიადაგის თეორიის“ მეორე პუნქტია ქართული ვაჭრობა-მრეწველობის შექმნა. საქართველოში ისტორიულად არსებულმა უწინდელმა პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიკური დაქუცმაცებულობაც და საქართველოში უცხოური კაპიტალის გაბატონება, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლიდა საქართველოს ეროვნული მრეწველობის განვითარებას და საბოლოო ანგარიშით ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს ეკონომიკური გაერთიანება და შემდგომი განვითარება ეროვნული ბურჟუაზიის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. ნიკო ნიკოლაძე უფრო კონკრეტულად გამოხატავდა ეროვნული წარმოების განვითარების აუცილებლობას - *“როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების განადგობა არის ერთადერთი ჩვენი ხსნა; უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი ვავიტანოთ ვასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება, ვინემ ვასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით...”* XIX საუკუნეში გამოთქმული აზრი განსაკუთრებით აქტუალური ხდება XXI საუკუნის საქართველოსთვის...

ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებას კი ესაჭიროებოდა და ესაჭიროება „მფარველობითი სისტემის“ შექმნა. ეროვნული ბურჟუაზიის, სამამულო მრეწველობის

მფარველია მისი ბუნებრივი მოკავშირე – ეროვნული სახელმწიფო, დამოუკიდებელი ქვეყანა. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ეროვნული ბურჟუაზიისა და ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობა. მხოლოდ ეროვნული ბურჟუაზიის განვითარებითაა შესაძლებელი ქვეყნის ეკონომიკური მონობიდან გათავისუფლება და ცივილიზებულ სამყაროში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კოლონიურ მდგომარეობაში მყოფ ქვეყანას არ უნდა ჰქონოდა სახელმწიფოებრივი მფარველობის იმედი, ამიტომაც იმ დროისთვის „საერთო ნიადაგის თეორია“ ითვალისწინებდა ეროვნული ბურჟუაზიის მფარველობას საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენის მიერ, ეროვნული ვაჭრობა-მრეწველობისათვის მხარი უნდა დაეჭირა არა მხოლოდ თავად-აზნაურობას და ბურჟუაზიას, არამედ მთელ მოსახლეობას, ქართველ მუშათა კლასს და გლეხობას. „საერთო ნიადაგის თეორიით“ ქვეყნისათვის დამლუპკველად იყო მიჩნეული კლასობრივი ბრძოლა, კლასობრივი დაპირისპირებულობა, რომელსაც გამართლება მხოლოდ უცხოურ კაპიტალთან მიმართებაში ჰქონდა. ეროვნულ კაპიტალთან მიმართებაში კლასობრივი ანტაგონიზმი უნდა შეცვლილიყო კლასობრივი თანამშრომლობით, ქართველ პროლეტარიატს კლასობრივ ინტერესებზე მაღლა ეროვნული ინტერესები უნდა დაეყენებინა.

ასეთი მოწოდება ცხადია, უტოპიური იყო, რადგანაც, ერთი მხრივ, თავად საქართველოს პროლეტარიატი არ იყო ერთგვაროვანი ეროვნული შემადგენლობის, მეორე მხრივ, ხშირად არც ქართული ეროვნული კაპიტალი იდგა პატრიოტულ პოზიციებზე. რაც შეეხება გლეხობას (სოციალისტური წოდებით „მიწის მუშებს“), – მათთვის უკიდურესად მძიმე ასატანი გახლდათ სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმებით გამოწვეული წიდებრივი (კლასობრივი) ჩაგვრა პარაზიტულ ცხოვრებას მიჩვეული ქართველი თავადაზნაურობისაგან, რასაც განსაკუთრებით ამწვაებდა ცარიზმის მოუხეშავი ნაციონალური და კოლონიური პოლიტიკა.

დღეისათვის იდეა ეროვნული მრეწველობის მფარველობისა მთელი მოსახლეობის მხრიდან კვლავ აქტუალურია, ოღონდ ამ შემთხვევაში ეროვნული მრეწველობა უნდა განვიხილოთ არა ეთნიკური პრინციპით, არამედ სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით (მსგავსად სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმისა), სახელმწიფო-ერის პრინციპის თანახმად.

საქართველოს მეურნეობის (მიწების) ქართველთა ხელში შერჩენა „საერთო ნიადაგის თეორიის“ მესამე პუნქტია. საქართველოში უცხოური კაპიტალის გაბატონების კვალობაზე სულ უფრო მეტი მიწის ფართობი გადადიოდა უცხოელთა ხელში. გადატაკებული თავად-აზნაურობის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის კერძო საკუთრებაში იმყოფებოდა მიწა-წყლის აბსოლუტური უმეტესობა, ვალების გამო ჩაღის ფასად ყიდდა მამულებს, რომელთაც დაუყოვნებლივ იძენდნენ მევალეები, ძირითადად სომეხი ეროვნების ბურჟუაზიის წარმომადგენლები და, სამთავრობო პოლიტიკის ხელშეწყობით, რუსი კოლონისტები.

საქართველოს ტერიტორიის გასხვისების ასეთი სავალალო ტენდენციის თავიდან ასაცილებლად ან შესასუსტებლად მაინც, არჩილ ჯორჯაძის აზრით, შესაძლებელი იყო დაარსებულიყო „განსაკუთრებული ეროვნული ბანკი“, რომელიც შეიქმნდა ქართველი თავად-აზნაურობისაგან გაყიდულ მამულებს, დაანაწილებდა მას შედარებით მცირე ნაკვეთებად და ქართველ გლეხებს მიჰყიდდა გრძელვადიანი სესხის გაცემის მეშვეობით, რადგანაც გლეხობას დიდი მამულის შექმნის თანხა არ გააჩნდა. მსგავსი გამოცდილება უკვე ჰქონდათ პოლონეთში, სადაც „განსაკუთრებული ეროვნული ბანკის“ მეშვეობით პოლონელების გაყიდულ მამულებს ისევ პოლონელებზე ანაწილებდნენ.

არჩილ ჯორჯაძის ამ წინადადებას, როგორც მთლიანობაში „საერთო ნიადაგის თეორიას“ და ილიასეული ეროვნული ერთიანობის მხურვალე მოწოდებებს არ მოჰყოლია სათანადო გამოძახილი. იმ დროისათვის საქართველო არ იყო მზად, აეტაცებინა მაღალი ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული იდეები და საქართველოს მიწებს გამაღებით ეუფლებოდნენ უცხოელები.

თუმცა მოგვიანებით, პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდში ამ მიზნით მაინც დაარსდა „საადგილმამულო ბანკის კომისია“, რომელიც გლეხებს მიწის შექმნაში ეხმარებოდა, აძლევდა რა მათ შეღავათიან სესხებს. ამ გზით ქართველი გლეხობის ხელში საკმაოდ დიდი რაოდენობის მიწის ნაკვეთებმა მოიყარა თავი, თუმცა მიწების უმეტესი ნაწილი მაინც უცხოელთა ხელში გადადიოდა.

ამ თვალსაზრისით, რუსეთის სოციალისტურმა რევოლუციამ საქართველოსათვის დადებითი როლი ითამაშა – ახალი მთავრობის საგანგებო დადგენილებით მეამუღლებს და კაპიტალისტებს მიწა ჩამოერთვათ, რომლის მეპატრონე



სახელმწიფო გახდა. საქართველოს ტერიტორიის ეკონომიკური ანექსია შეწყდა.

დღევანდელ საქართველოში ასეთი საშიშროება აღარ არსებობს, თუმცა თუ სათანადო დონეზე არ განვითარდა სამამულო ეკონომიკა, წარმოიქმნება ქვეყნის ეკონომიკური დაკაბალების სხვა ფორმა.

ანალოგიურად, შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ საქართველოში პრაქტიკულად გადაწყვეტილია „საერთო ნიადაგის კონცეფციის“ **მესუთე მუხლი**. თვითმმართველობა რეალიზებულია მტკიცე საკანონმდებლო ბაზით. სხვა საკითხია, რომ საბჭოთა მემკვიდრეობიდან ფართო და რეალურ დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლა გარკვეულ დროს მოითხოვს.

**მეოთხე მუხლის** თანახმად, ქართველ ინტელიგენციას უნდა გაეჩაღებინა სახალხო კულტურული მოღვაწეობა. ქართველი მამულიშვილების დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობით დაარსებულმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და სხვა მსგავსმა ორგანიზაციებმა უნიკალური როლი შეასრულა სახალხო განათლების დონის ამაღლების საქმეში, მაგრამ ეს სრულებით არ იყო საკმარისი. საქართველოში არსებული იმდროინდელი განათლების დაბალი დონე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი იყო ხალხის სოციალური და მატერიალური გაჭირვებისა. შემდგომ წლებში, როდესაც სახალხო განათლებას სათანადო ყურადღება დაეთმო, განსაკუთრებით საბჭოთა რეჟიმის პერიოდში, საქართველომ, ქართველებმა შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს საგანმანათლებლო სფეროში, მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალ დარგში.

დღევანდელ საქართველოში ფორმალურად მეტად მაღალია საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური დონე, მაგრამ, ფაქტობრივად, იგი სრულიად არასაკმარისია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებთან თანასწორუფლებიანი ურთიერთობისათვის. ამდენად, „საერთო ნიადაგის“ კონცეფციის მე-4 მუხლი კვლავაც აქტუალურად რჩება.

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორია საერთო ეროვნული მოქმედების პროგრამის ჩამოყალიბების პირველი სრულყოფილი ცდა იყო, იგი ემყარებოდა ეროვნულ-პოლიტიკური კონსოლიდაციისათვის მებრძოლი ქართველი საზოგადო მოღვაწეების, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძის - „*მე-19 საუკუნის ჩვენი საზოგადოების ცენტრალური პიროვნების*“ (არჩილ ჯორჯაძე), პირველდასელების, „ივერიელთა“ ნააზრევს. „*ძველ და ახალ თაობას, ილია*

ჭავჭავაძის მეოხებით გამოვსახული დარჩა საერთო მოქმედების ასპარეზი და სწორედ ეს ასპარეზია – ნაყოფი პოლიტიკური ცხოვრებისა, - რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახლის და მომავალი თაობის წარმომადგენელი”. სწორედ ამიტომ, ილია ჭავჭავაძის „პირველი ხანის ეროვნული პროგრამა არამცთუ ეწინააღმდეგება ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ პროგრამას, პირიქით, იგი სრულად გამომსახველია ამ მდგომარეობისა, ამისათვის ჩვენ თითქმის შეუცვლელად ვიღებთ მას სახელმძღვანელოდ, მხოლოდ ამ პროგრამას უნდა დავუმატოთ ჩვენი დროის შესაფერი ეკონომიკური მოძღვრება” – წერდა არხილ ჯორჯაძე 1901 წელს და ჩვენი აზრით, მას უნდა დაეთანხმოს XXI საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცნობიერებაც, ცხადია, იმ აუცილებელი დამატებებით, რომელსაც არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური რეალობა მოითხოვს – „**პოლიტიკამ უნდა გაითვალისწინოს რეალური მდგომარეობა, წეს-ჩვეულებები, მათ შორის ადამიანთა მანკიერება (ნ. მაკიაველი)**”.

თუმცა არც ის უნდა იქნას დავიწყებული, რომ ეროვნულ-დემოკრატიული იდეალებისთვის მებრძოლ ქართულ საზოგადოებაში რადიკალურ აზრებსაც ჰქონდა გასაქანი. ეროვნულ-დემოკრატი მ. წერეთელი წერდა – „ადამიანის იდეალი უნდა იყოს არა კაცობრიობა და საკაცობრიო ღირებულებანი, არამედ ერთი და ეროვნული ღირებულებანი. კაცობრიობა ფიქციაა, ერთი კონკრეტული რეალობა, რომლის როლი და მნიშვნელობა ისტორიულ პროცესში სულ უფრო იზრდება. მომავალში ერები კი არ შეერწყებიან ერთმანეთს, არამედ ახალი ერები ჩამოყალიბდებიან სხვადასხვა ერთა გარკვეული ელემენტების შეერთების გზით”, რასაც საერთო ნიადაგის კონცეფციის პოზიციებიდან პასუხობდა ა. ჯორჯაძე – „ქართველ ერს სჭირდება როგორც ნაციონალიზმი, ისე ინტერნაციონალიზმი”. ამდენად, „საერთო ნიადაგის თეორია” ილაშქრებს მათ წინააღმდეგ, ვინც მხოლოდ ნაციონალიზმის ან ინტერნაციონალიზმის იდეებს იზიარებს, მისთვის უმნიშვნელოვანესი იყო მთლიანად „ხალხი და ეროვნება” – „ჩვენ ნიადაგ ვიყავით და ვიქნებით იმისი მტერი, ვისაც ეროვნული ვინაობის დაცვა არაფრად მიაჩნია, მხოლოდ არანაკლები მტერი ვართ ყველა იმათი, ვისაც კერძო ანუ წოდებრივი ინტერესების მოსარჩლეება ეროვნების მოსარჩლეობად მიაჩნია” (ა. ჯორჯაძე).

სხვა საკითხი იყო იმის გარკვევა, თუ ვინ უნდა განახორციელოს ქვეყნის მართვა – ეს საკითხი ერთ-ერთი ცენტრალურია სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაში. ქართველი

სოციალ-დემოკრატების აზრით, ერის (ქვეყნის) საზოგადოებრივ ცხოვრებას, „სახალხო საქმეებს“ უნდა გაძლიერდნენ ისევე „ხალხის შვილები“ და არა ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომელთაც უნდა ჩამორთმეოდათ „სახალხო საქმეების“ მართვის უფლება. ასეთი შეხედულება უფრო პროპაგანდისტული ხერხი იყო, ორიენტირებული მოსახლეობის ფართო ფენაზე. შემდეგ ეს აზრი მკაფიოდ ჩამოაყალიბა ლენინმა *„სახელმწიფოს მართვა ნებისმიერ მზარეულს შეუძლია“*. როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად მტკიცდება, რომ სახელმწიფოს მართვა შესაძლებელია მხოლოდ ელიტის მიერ. ამას ყველა აღიარებდა სოციალ-დემოკრატების გარდა. *„ნამდვილ მუშა ხალხს, რომელიც დღემდე 12 საათს შრომობს, არ ძალუძს ამ საქმის გაძლიერება. ყველა ამ საქმეების მოწესრიგებისათვის, მოცლის გარდა მომზადებაც უნდა. ეგ მომზადება იმავე მოუცლევლობის გამო ჩვენს მუშა ხალხს არა აქვს, მაშასადამე, უმეტეს შემთხვევაში საქმე უნდა იმათ ჩაუვარდეს ხელში, ვინც მოცლილი და მომზადებულია და ვისაც ნამდვილი სურვილი აქვს ხალხის სამსახურისა“* (ა. ჯორჯაძე). ასეთი „მოცლილი და მომზადებული“ კი საქართველოში, ისევე როგორც სხვაგან – „ითელს განათლებულს კაცობრიობაში“ – პოლიტიკური ელიტაა.

„საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის ავტორთათვის ასევე მიუღებელი იყო სოციალ-დემოკრატთა ეკონომიკური პროექტები. მათი აზრით, საქართველოსა და ქართველი ერის მომავალი, ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური განვითარებისათვის სახელმძღვანელო ნიმუში ევროპის მოწინავე ქვეყნების გამოცდილება უნდა ყოფილიყო. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ (1918-1921 წწ.) სოციალ-დემოკრატებმაც ევროპული განვითარების ორიენტაცია აირჩიეს, უფრო მეტიც, მათ პრაქტიკულად ისეთი სახელმწიფოებრივი სისტემის შექმნა განიზრახეს, რომელიც მოწინავე ევროპულმა ქვეყნებმა მხოლოდ XX საუკუნის 60-იან წლებში შეძლეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანმოკლე ისტორიამ კვლავ დაადასტურა, რომ მხოლოდ კეთილი განზრახვით სახელმწიფოებრივი მშენებლობა წარუმატებლად დასრულდება, თუკი ეს ჩანაფიქრი გამაგრებული არ იქნება სათანადო სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლებით. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის უსუსურობა ქართული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის საქმეში განაპირობა სწორედ იმ იდეების უგულვებელყოფამ, რომელთაც მუდამ ქადაგებდნენ ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები, ხოლო შემდეგ „საერთო მოქმედების ნიადაგის“ თეორიის ავტორები.

არა კლასობრივი ბრძოლა და დაპირისპირება, არამედ ეროვნული ერთიანობა და ეროვნული მრეწველობის განვითარება.

„საერთო მოქმედების ნიადაგი“ პირწმინდად უარყვეს ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა: ნოე ჟორდანიამ, ფილიპე მახარაძემ, ალ. წულუკიძემ. მათი აზრით, ილია ჭავჭავაძე რეაქციონერი, ხოლო ა. ჯორჯაძე ქართული ბურჟუაზიის მსახური გახლდათ, ამიტომ „პროლეტარიატი ფხიზლად უნდა ეთვლიყო, რათა არ აეოლოდა ეროვნულ ცრუ ლოზუნგებს“.

შემდეგ, ისტორიული პროცესების განვითარება თვალნათლივ აჩვენებს, რომ სწორედ იმ ქვეყნებმა, რომლებმაც შეძლეს ეროვნული ერთიანობის მიღწევა და განავითარეს ეროვნული მრეწველობა, შეძლეს რუსეთის კომუნისტური იმპერიიდან თავის დახსნა მე-20 საუკუნის დასაწყისში და შემდეგ აყვავებული ქვეყნის აშენება. ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი ამის საუკეთესო მაგალითებია.

სამწუხაროდ, იმდროინდელი ქართული საზოგადოებრიობა მზად არ აღმოჩნდა მიეღო ეროვნული იდეალები და „საერთო მოქმედების ნიადაგის“ კონცეფცია გამწვავებული სოციალური დაპირისპირებულობისა და კლასობრივი ბრძოლის პირობებში.

ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების დროს საქართველოში სოციალური მოძრაობას ტონს სოციალ-დემოკრატები აძლევდნენ. ქართველი სოციალ-დემოკრატები უტყუარად ხედავდნენ არსებულ სოციალურ პრობლემატიკას და პატიოსნად იღწვოდნენ მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მაგრამ მათ დროულად ვერ გაითვალისწინეს ეროვნული თვითშეგნების აღორძინებისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გადამწყვეტი მნიშვნელობა საქართველოსა და საქართველოში მცხოვრები ერების ჰარმონიული არსებობისა და განვითარებისათვის. ყოველივე ამან საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესის დაწყება თითქმის ასი წლით დააგვიანა და კვლავაც აბრკოლებს უკვე XXI საუკუნის საქართველოში.

**Otar Bagaturia**  
**The Common Ground theory - Cradle of Georgian Solidary State**  
**Philosophy**

**SUMMARY**

The historical and social-political basis of the beginning of Georgian State

Philosophy and the role of Ilia Chavchavadze for awakening consciousness of Georgians who were on the way towards national degeneration is considered.

There are analyzed the social and political processes which have been happened during the second half of XIX century and beginning of XX century in Georgia and “The Theory of Common Ground” that was formulated by Archil Jorjadze on the basis of the national positions and the cultural heritage of Ilia Chavchavadze. The theory could solve the national and liberation problems as well as the social-economic questions and gave the opportunity of reconciliation between the opposite political movements. It is shown why Georgia of those times didn't keep in mind the national-liberation ideas and had preferred the social-democratic doctrine. Today the theory remains an extremely urgent question.

**Отар Багатурия**  
**Теория Общей Почвы - Истоки грузинского Солидарного государственного мировоззрения**

**РЕЗЮМЕ**

Рассмотрены исторические и социально-политические основы происхождения грузинского государственного мировоззрения и роль Ильи Чавчавадзе в деле пробуждения сознания грузин вставших на путь национального вырождения.

Проанализированы общественно-политические процессы протекающие в Грузии во второй половине 19-го и начала 20-го столетия, а также «Теория общей почвы» сформулированный Арчилем Джорджадзе на основе национальных позиций и духовном наследии Ильи Чавчавадзе, которая решала как социально-экономические так и национально-освободительные проблемы и давала возможность примирения противоборствующих политических течений. Показано почему не приняла тогдашняя Грузия национально-освободительные идеи и отдала предпочтение социал-демократическому учению. Сегодня «Теория общей почвы» вновь весьма актуальна.



## როზა გაფრინდაშვილი

ჰიპოკრატეს უთქვამს, მკურნალობისთვის სამი რამ არის საჭირო – სიტყვა, ბალახი და დანაო. სიტყვით მკურნალობის თანამედროვე მეთოდად ფსიქონალიზია მიჩნეული, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთში. სპეციალისტების აზრით, ფსიქონალიზი წარმატებით კურნავს სხვადასხვა ფსიქიკურ აშლილობებს (ფსიქოზს, ისტერიას, ნევროზს, ფსიქოსთენიას, ნევრასთერნიას და სხვა); ამასთან, იგი ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან თავდაღწევის საშუალებადაც მიაჩნიათ.

საქმე იმაშია, რომ, ფსიქოლოგებს ალკოჰოლიზმი და ნარკომანია სულიერი აშლილობის გამოვლენად მიაჩნიათ; მათი აზრით ტრადიციული მეთოდებით, მედიცინა, სულიერი აშლილობების მიზეზებს კი არ მკურნალობს, არამედ მხოლოდ მის გამომწვევ სიმპტომებს; ამიტომაც უმეტეს შემთხვევებში მედიცინის ძალისხმევა უშედეგოდ რომ მთავრდება. მათი მიზეზების

**ბიოლოგიურისა და  
სოციალურის დიალექტიკა  
და მორალური დილემა**

კვლევას კი კაცობრიობის უშორეს წარსულამდე – ველური ბარბაროსობის ხანამდე მივყავართ, როცა ადამიანთა საზოგადოებრივ არსებობას სტიქიურად ჩამოყალიბებული აკრძალვა-ტაბუირება ანუ ცხოველური (ბიოლოგიური) ქცევა-მოქმედებების შეზღუდვა დაედო საფუძვლად. თავდაპირველად იგი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებს ეხებოდა, რომელთა შორის, ყველაზე მთავარი კვებისა და გამრავლების ინსტინქტები იყო. ადამიანებთან მათი გამოვლენა-დაკმაყოფილება მხოლოდ ტაბუირების (აკრძალვა-რეგულირების) შედეგად განსხვავდა ცხოველთა იგივე ინსტინქტებზე დამყარებული აქტივობისაგან. აკრძალვა-ტაბუირების გამო აკუმულირებული ენერგია კი კულტურას დაედო საფუძვლად. ამ მოვლენას ფსიქონალიზის ფუძემდებელმა ზიგმუნდ ფროიდმა „სუბლიმაცია“ უწოდა.. მაშასადამე, ფსიქონალიზისავე მიხედვით, ადამიანის გაადამიანურება-გამორალურებას ტაბუს უნდა ვუმაღლოდეთ.

დროთა განმავლობაში მალაღვანეთარებულ ხალხებში ტაბუს საფუძველზე ჩამოყალიბებულ მორალს

ადამიანის კულტურულ მოთხოვნილებებთან დაკავშირებული წესებისა და აკრძალვების მთელი სისტემა დაემატა – როგორ უნდა მოიქცე ან არ მოიქცე ოჯახში, საზოგადოებაში, სახელმწიფოში; როგორ უნდა იცხოვრო ან არ იცხოვრო, რა უნდა მოიწონო ან არ მოიწონო, როგორ უნდა მოეპყრა ადამიანებს, ცხოველებს, ნივთებს... თავის მხრივ ნივთების წარმოება-მოსმარების პროცესშიც საკუთარი ამკრძალავი წესები და კანონები შექმნა. ყოველივე ამან მოვალეობათა და შეზღუდვათა რთული კომპლექსი შექმნა, რამაც გაზრდილ-გამრავალფეროვნებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას „საფრთხე“ შეუქმნა.

მაშასადამე, ძველი და ახალი თაობის ფსიქოანალიზის წარმომადგენლების მტკიცებით, კულტურას „ტაბუს“ უნდა ვუმაღლოდეთ (ფროიდი, ფრომი, იუნგი, ადლერი და სხვები).

უკიდურესად გაზრდილ-გამრავალფეროვნებულ შეზღუდვათა სისტემა კი, თანდათან ადამიანის ჯერ ფსიქიკურ და მერე ფიზიკურ ჯანმრთელობას დაემუქრა; ეს აკრძალვები აკომპლექსებენ ადამიანს და რაც მეტია იგი, მით უფრო ნევროტულია, ფსიქიურად გადახრილი ან მისკენ მიდრეკილია ადამიანი; ხოლო რაც უფრო ნაკლებია აკრძალვები (პრიმიტიულ ხალხებში), მით უფრო ლაღი, უკომპლექსო და მაშასადამე ჯანსაღი.

აქედან გამომდინარე გაკეთდა დასკვნა – კულტურები ნევროზებს აწარმოებენო! ამის გაცნობიერებამ, თანამედროვეობა აკრძალვების წინააღმდეგ ამხედრა და ყოველგვარი ნორმის ძირისძირს – ტაბუს შეუტია. „ჯანყი“ ძირითადად სექსუალურ ურთიერთობებს შეეხო, რაკი ტაბუირებული სფეროდან (სმა-ჭამა, უფროს-უმცროსებს შორის მიმართება, ტომის, ან ზოგიერთი ცხოველის და მცენარისადმი დამოკიდებულება და ა.შ.) ყველაზე მეტად სწორედ იგი „დაზარადა“, რაც იმაში გამოიხატა, რომ სასიცოცხლო ინსტინქტებისკენ ლტოლვა (ბიოლოგიური), მორალის, რელიგიის და ნაწილობრივ სამართლის (ანუ კულტურის) ზეგავლენით, ცნობიერიდან არაცნობიერ ფსიქიკაში განიდევნა. მათ გამოვლენა-დაკმაყოფილებას, მოწესრიგებული, კულტურული ურთიერთობები (ოჯახური, ცოლქმრული ცხოვრება, ადამიანებს შორის მორალური მიმართებები, კვების რეჟიმი და სხვა) მხოლოდ ნაწილობრივ „რთავს ნებას“.

„ცნობიერებიდან განდევნილი შინაარსების“ დათრგუნვის მექანიზმი შინაგანი ცენზორი, ანუ სინდისი (ზოგისთვის იგი ღვთის მიერ ადამიანისთვის ბოძებული უნარია, ზოგისთვის ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბებული

შინაგანი მსაჯული). ფსიქონალიზის მიხედვით, სინდისის ეს ცენტრული „მოღვაწეობა“ თუ კულტურული არსების საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის (ადამიანისთვის) სასარგებლოა, მისივე ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის საზიანოაო.

ამგვარად, რაკი ტაბუს მიერ ადამიანის ბიოლოგიური (ცხოველური) ბუნების შეზღუდულ სფეროებს შორის დიდი ადგილი შექსს ეჭირა, ჩვენს დროში ყველაზე მეტად ამ „ციხესიმაგრეს“ შეუტეეს, იმაზე კი ნაკლებად საუბრობენ ტაბუს ახსნით სინდისს, ადამიანის „თავისუფლების“ ამ „დაუძინებელ მტერს“ და მაშასადამე მთელს კულტურას საფრთხე რომ დაემუქრა. დასავლეთში, თავის დროზე, ამ მოძრაობას „სექსუალური რევოლუცია“ უწოდეს და პროგრესისკენ გადადგმულ გიგანტურ ნაბიჯად შეაფასეს (გასული საუკუნის 40-50-იან წლებში ბერლინისა და პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტები, ფროიდის წიგნებისა და სურათების ფრიალით, დემონსტრაციებს მართავდნენ და საზოგადოებას სექსუალური რევოლუციისკენ მოუწოდებდნენ. თუმცა იქ ამ მოძრაობამ დღეს უკვე უკან დაიხია). ჩვენში კი სექსუალური რევოლუციის ტალღამ დაგვიანებით შემოაღწია და საზოგადოების დიდმა ნაწილმა, რომლებიც თავს პროგრესისტებს მიაკუთვნებენ, იგი ხალისით აიტაცა.

„პროგრესისტები“ პროპაგანდას უწევენ არა მარტო „თავისუფალ სიყვარულს“, არამედ თავისუფალ ჩაცმულობას (სიშიშვლეს), თავისუფალ მეტყველებას ანუ ტაბუირებული სიტყვების ლეგალიზებას (ამას მოწმობს კულტურის მთელ რიგ დარგებში – კინო, თეატრი, ტელევიზია – აკრძალულ-ტაბუირებული სიტყვების და მოქმედებების ფართოდ გამოყენება).

ერთი სიტყვით, დღევანდელი პროგრესისტები კულტურის მიერ ცნობიერებიდან განდევნილი შინაარსების და სხეულის ბუნებრივი სილამაზეების ლეგალიზებაში სულიერი პარმონიისა და სიჯანსაღის მიღწევის გზას ხედავენ. ვფიქრობ ძნელია ამაში შედაგება; ცხოველებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი ფსიქიკური დაავადებით ნაკლებად ავადმყოფობენ, რაც ალბათ იმის შედეგია, რომ მათს „თავისუფლებას“ არც მორალი და არც ის „საშინელი ქიმერა“ ზღუდავს, რასაც სინდისი ეწოდება.

ყოველგვარი ირონიის გარეშე კი შეიძლება ითქვას, რომ მორალის წინააღმდეგ გალაშქრებას ფსიქონალიზს ვერ დავაბრალებთ. იმ აზრს, რომ ტრადიციული მორალის მოთხოვნები ცხოვრების პროგრესული გზით სვლას უშლის ხელს, უფრო ადრე, ნიცშეს ფილოსოფიაში ვხვდებით, რაკი მან



მორალი სუსტების გამოვლილად, პროგრესის მტრად გამოაცხადა და საზოგადოებას მოუწოდა – შორს ყოველგვარი მორალიო.

ფსიქოლოგების გამოკვლევების მიხედვით, მორალური აკრძალვები სულიერ აშლილობებს იწვევს, სულიერი აშლილობა – აუტანელ მოუსვენრობას. ადამიანი მეტწილად გაუცნობიერებლად ექებს მისგან ხსნის საშუალებებს. ასეთი საშუალებები მრავალნიარია. ერთ-ერთი მათგანი ალკოჰოლი ან ნარკოტიკია. სხვა შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს დაგროვება-შეძენისადმი, ან თანამდებობისადმი დაუოკებელი სწრაფვა, აღიარების მოპოვების მწველი სურვილი, პროსტიტუცია, აგრესია და ა.შ. ალკოჰოლი და ნარკოტიკი (ბიოლოგიური) ყველაზე ადვილად იწვევს იმას, რაც ასეთ ადამიანს აკლია – სიმშვიდე (სოციალური). აქ იგი დროებით „თავშესაფარს“ პოულობს, მაგრამ ფაქტიურად ესაა ხაფანგი, რადგან გარკვეული დროის შემდეგ მას სხეული ენგრევა, ეფიტება (ისევ ბიოლოგიური). ამას სხვა სატანჯველიც ემატება – ალკოჰოლი და ნარკოტიკის შესაძენი ფულის შოვნა (ისევ სოციალური). ამათ გარეშე ავადმყოფებს უკვე აღარ შეუძლიათ. რატომ? პასუხი მარტივია – ადამიანი ბიო-სოციალური არსება და ერთ-ერთის იგნორირება ჯერ მანკიერების, შემდეგ კი ბოროტების სახით გვევლინება.

ამის მაგალითად ნარკომანია განვიხილოთ; ეს საკითხი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი; ნარკოტიკი ეიფორიულ მდგომარეობას იწვევს – სიმშვიდეს, სასიამოვნო წარმოდგენებს, მაგრამ ყველა ნარკოტიკი ხუთი-ექვსი საათის შემდეგ წყვეტს მოქმედებას. საქმე იმაშია, რომ რომელიმე ნარკოტიკის რამდენჯერმე მიღების შემდეგ სხეული ეგუება მას, რადგან ორგანიზმი ამ დროს მის გამანეიტრალებელ ნივთიერებას გამოყოფს (რაკი ბუნებრივ პირობებში მასზე მოთხოვნილება არ აქვს, ნარკოტიკი მისთვის უცხოა, ამიტომ ებრძვის მას. ასეთი რეაქცია აქვს ორგანიზმს ყველა წამლის მიმართ. ამიტომაც დროთა განმავლობაში ყველა წამალი რომ კარგავს ეფექტურობას). სიამოვნების მისაღებად საჭირო ხდება ნარკოტიკის დოზის გაზრდა. როცა იგი ზღვრულ დენობა მიადწევს, ნარკომანი ვეღარავითარ სიამოვნებას ვეღარ იღებს. ამის მერე სხვა უბედურება იწყება. ესაა აბსტინენცია, რასაც თვით ნარკომანები „ლომკებს“ უწოდებენ. ამ დროს ორგანიზმის მიერ გამომუშავებული და გამოყოფილი გამანეიტრალებელი ნივთიერება წამლავს ორგანიზმს.

ასე, რომ ხშირად ნარკომანი სიამოვნებისთვის კი აღარ ხმარობს ნარკოტიკს, არამედ ლომკების მოსახსნელად. ე.ი.

ნარკოტიკს ხმარობენ იმიტომ, რომ აბსტინენცია (ლომკები) მოიხსნან, ლომკები კი იმიტომ აქვთ რომ ნარკოტიკს ხმარობენ.

ტრადიციულად ნარკომანებს ასე მკურნალობენ: მათ საიმედოდ გამოჰკეტავენ, რათა „ლომკების“ დროს ნარკოტიკის მიღების საშუალება არ ჰქონდეთ. მართალია ისინი ამ დროს საშინლად იტანჯებიან, მაგრამ რამდენიმე თვის განმავლობაში, თუ ნარკოტიკს არ მიიღებენ, გამანეიტრალებელი ნივთიერების გამოყოფა შეწყდება და „ლომკები“ მოესნებათ. გარკვეული დროის შემდეგ ნარკომანი განკურნებული გამოდის პროფილაქტორიუმიდან, მაგრამ ზოგი შინ მისვლამდე გარბის „წამლის“ მისაღებად.

რატომ? ნარკომანიის მიზეზად ფსიქოლოგებს სულიერი აშლილობა მიაჩნიათ. ამ აშლილობის მიზეზი კი მრავალი შეიძლება იყოს – არარეალიზებული უნარები, მოუწყობელი ცხოვრება, დაღატი, სულიერი სიღატაკე, ცნობისმოყვარეობა... (სოციალური). ისინი (ფსიქოლოგები) დაასკვნიან, რომ ნარკომანმა არ იცის რა არის სიყვარული (ბიოლოგიურ-სოციალურის ანუ მათი დიალექტიკური ერთიანობა); უკეთეს შემთხვევაში მათ მხოლოდ სიყვარულის სუროგატებთან (ბიოლოგიურთან) აქვთ საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ ნარკომანია, უპირველეს ყოვლისა დაავადებაა, რომელიც სხვადასხვა დანაშაულისაკენ უბიძგებს ადამიანს. სექსოლოგებს და ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ თავისუფალი სიყვარული ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ-ერთი ბუნებრივი საშუალებაა, მაგრამ არა მკურნალობის!

ნარკომანიის სამკურნალოდ ფსიქოლოგები ფსიქანალიზს ასახელებენ. მათი აზრით მკურნალობის ეს მეთოდი შეუმცდარია. იკურნება ყველა დაავადებული, თუ დიდი „სტაჟის“ გამო გადაგვარებული არააქვს ტვინის უჯრედები.

როგორ შეიძლება მისი განკურნება? სულიერ აშლილობათა (მათ შორის ნარკომანიის) მიზეზებს იკვლევდა და ავადმყოფებს მკურნალობდა ზიგმუნდ ფროიდი (XX საუკუნე, ვენა). პირველ ყოვლისა აღიარებულ იქნა სულიერ აშლილობათა ფსიქიკური წარმომავლობა, რის შემდეგაც, სხვა მკვლევარებთან ერთად, ფროიდი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სულიერი აშლილობა ადრე ბავშვობიდან იწყება (ხუთ წლამდე ასაკიდან). ფსიქოლოგების აზრით ყველა მიუღებელი ლტოლვა ჩვილობიდან იწყება, შემდეგ კი აკრძალუების, კულტურის (სოციალურის) ხემოქმედებით ადამიანები ამ ლტოლვებს ებრძვიან. ესაა ბრძოლა ბიოლოგიურსა (ბუნებრივ მოთხოვნილებებს) და სოციალურს (მორალის მოთხოვნებს) შორის. ყველაფერი ეს შეუგნებლად, არაცნობიერად ხდება. დილობაში გამოვლენილი აკვიატებები ბავშვობის დროინდელი

ნატურები ან შიშები და ტრავმები, აკრძალვის გამო არაცნობიერში მიჩქმალული და მივიწყებული.

ფროიდოლოგები ამტკიცებენ, რომ ფროიდი წარმატებით მკურნალობდა სულიერ აშლილობებს, თუ იმ მიჩქმალულ სურვილებს და ნატურებს ან შიშებს მიაგნებდა. ე.ი. თუ პაციენტს მათ გაცნობიერებაში დაეხმარებოდა. მოყოლის შემდეგ ისინი თავს კარგად გრძობდნენ და სულიერი აშლილობის სიმპტომები უქრებოდათ. როცა ამას ჰიპნოზის დროს აკეთებდნენ ე.ი. როცა პაციენტი ამას არ აცნობიერებდა, ისინი მცირე ხნის შემდეგ კვლავ ავადდებოდნენ. საჭირო იყო მათ გაეკოთ, გაეცნობიერებინათ ამ დაავადების მიზეზები. ჰიპნოზისას მათზე თავისუფლად საუბრობდნენ, რადგან ამ დროს „ცენზორი“ მოხსნილია. გაღვიძებისას კი ეს „მონსტრი“ ამის უფლებას არ იძლევა! თუ ამ ფარული ლტოლვების შესახებ ექიმი ეტყობა, პაციენტს ეს არ სჯეროდა და შეურაცხოფილიც კი რჩებოდა.

დროთა განმავლობაში, გულახდილი საუბრების და ხანგრძლივი სეანსების დროს, ფროიდი მოხერხებულად ათავსებდა პაციენტებს ტახტზე, თვითონ კი მოფარებით იჯდა და საუბრობდნენ. ხშირად ეს საუბრები ერთ-ორ წელიწადსაც კი გრძელდებოდა; პაციენტი იწყებდა საკუთარი თავის, საკუთარი არაცნობიერის შესწავლას და შედეგებიც დამაკმაყოფილებელი ჰქონდა. ფროიდი ფსიქიატრი იყო. თავისი პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგები მან მოკლედ ასე ჩამოაყალიბა: ადამიანს დაბადებიდან თან დაჰყვება ცხოველური (ბიოლოგიური) თვისებები, მაგრამ მან, ცხოველისაგან განსხვავებით, კულტურა (სოციალური) შექმნა. ის, რაც ჩვენში ცხოველურია, გამუდმებით დაკმაყოფილებას მოითხოვს, მაგრამ მკვეთრ საზოგადოებრივ აკრძალვებს აწყდება და ბრკოლდება. ამიტომ, ადამიანი მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძვის საზოგადოებისთვის მიუღებელ ლტოლვებს და მოთხოვნილებებს.

ადამიანის არაცნობიერი ლტოლვების გაცნობიერებას ხელს უშლის ერთგვარი „მაკონტროლებელი მექანიზმი“ „ცენზურა“ (ეთიკაში მას სინდისს უწოდებენ). იგი ყოველთვის ვერ ახერხებს არაცნობიერი ლტოლვების აღმოფხვრას, მაგრამ იმდენი კი შეუძლია, რომ ცნობიერში ამოტივტივებისას მის ცალკეულ ნაკადს სახე შეუცვალოს. შესაძლოა ნგრევის სურვილი შენებით დაიკმაყოფილოს, აგრესიული ლტოლვა – მოფერებით, ზრუნვით... ან ხელოვნებაში, სპორტში გამოვლინდეს... ე.ი. საზოგადოებისთვის მისაღები ფორმით მოველინოს საზოგადოებას. ძლიერი „ცენზურის“ პატრონი, ხშირად ახერხებს თავისი ლტოლვების შენიღბვას, ამგვარად

მის არაცნობიერადვე დაკმაყოფილებას და მის სულს ავადმყოფობა აღარ ემუქრება. მაგრამ როცა „ცენზურა“ არაცნობიერი ლტოლვის „გადაკეთებას“ ვერ ახერხებს, იგი სახეცვლილი, მაგრამ მაინც მიუღებელი სახით აღმოცენდება. „ცენზურა“ იმდენს მაინც ახერხებს, რომ ამ ადამიანმა ვერ შეიცნოს რატომ, საიდან მოდის ეს უცნაური, მისთვის მიუღებელი აკვიატებები. ადამიანი იბნევა, ნერვიულობს და სულიერი აშლილობაც სახეზეა.

ფსიქონალიზის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ იმ არაცნობიერი ლტოლვების გაცნობიერება ხსნის აშლილობის მიზეზებს. ეს გაცნობიერება შესაძლოა ძალზე მტკივნეული იყოს, მაგრამ დაავადება მაინც არ არის და ადამიანი ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება.

მაგრამ საქმეს, მთლად, არც „გაცნობიერება“ შევლის. თუ ამ ლოგიკას გავეყვებით, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი მხოლოდ იმ „დიდი საქმის“ დასაწყისია, რასაც განკურნება ჰქვია. „გაცნობიერებას“ „საქმე“ უნდა მოჰყვეს. „საქმე“ კი იმ „სასიცოცხლო მოთხოვნების“ შეუზღუდავი რეალიზაციაა, რასაც მორალის ენაზე აღვირახსნილობა ჰქვია. მართალია ფსიქონალიტიკოსები ამას არ გულისხმობენ, რაკი ისინი „სიყვარულის სუროგატზე“, როგორც ფაქტიურად დაუკმაყოფილებელ ვნებაზე, ლაპარაკობენ. მათივე აზრით, მხოლოდ ნამდვილ, დიდ სიყვარულს შეუძლია მიანიჭოს ადამიანს ბედნიერება, რაც სწორედ სოციალურის, კულტურის შედეგია. აქ ბიოლოგიური ისეა კულტურულ მოთხოვნებებთან შერწყმული, რომ მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა, უკვე შეუძლებელია.

„საშველი“ ისევ ფსიქონალიზის შემქმნელებთან უნდა ვეძიოთ. კერძოდ, როცა ისინი ამტკიცებენ, ტაბუირებით „დაზარალებული“ და არაცნობიერში ჩაკეტილი სასიცოცხლო მოთხოვნები „ცენზურის“ (სინდისის) „შიშით“ ცნობიერში სახეშეცვლილი – შენების, სხვაზე ზრუნვის, გამირობის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების, პოლიტიკოსობის და ა.შ. სახით ამოდიანო! თუ ასეა, „საშველიც“ ნაპოვნი ყოფილა. რაკი არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ცხოველური ლტოლვებისა და სურვილების აკრძალვა-ტაბუირებით დაგროვილი ენერგია სხვა, კულტურულ საქმიანობაში გადაიროს (რასაც ფროიდმა სუბლიმაცია უწოდა), იმის შესაძლებლობაც უნდა დავუშვათ, რომ კაცობრიობა ამ „ენერგიას“, ჩვენი წინაპრების მსგავსად, კვლავაც კულტურის (სოციალურის) შესაქმნელად გამოიყენებს და სულიერი აშლილობებიც თავისთავად „ნაშველი“ იქნება. ანუ, ადამიანთან სოციალური (კულტურა)

არ მოიაზრება ბიოლოგიურის გარეშე ისევე, როგორც ბიოლოგიური არ მოიაზრება სოციალურის გარეშე. ეს ორი მხარე დიალექტიკურ მთელს წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთ დაპირისპირების მიუხედავად, ისინი მაინც ერთნი არიან (რასაც ჰეგელმა დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის კანონი უწოდა).

დიდებამაც ამაში მდგომარეობს – ისინი უერთმანეთოდ არ არსებობენ, ერთიმეორეს კი „ზიანს“ მაინც აყენებენ, რაც სოციალურის (კულტურის) მხრივ ბიოლოგიურის შეზღუდვაში გამოიხატება. ხოლო თუ სოციალური ფაქტორი (კულტურა) ბიოლოგიურის „დაზარალებას“ მოახერხებს, ბიოლოგიური „დაზარალებას“ რაც ჯანმრთელობის განადგურებით გამოიხატება. ესაა გზა სულიერი აშლილობიდან სომატურ დაავადებამდე.

ფსიქონალიზის შემქმნელებთან შედარებით ჩემი მოკრძალებული კომპეტენციის მიუხედავად გავბედავ მოძღვრების ამ ნაწილში მცირე კორექტივი შევიტანო, ძველი ბერძენი ფილოსოფოსების დახმარებით. კერძოდ: თანამედროვე მედიკოსთა, ფსიქოლოგთა და ეთიკოსთა დასკვნით ყოველი დაავადება (ბიოლოგიური) უზნეობით (სოციალურით) იწყება; ეს დასკვნაც ფსიქონალიზიდან გამომდინარეობს, რაკი ნარკომანიას ადრეულ ბავშვობაში მიღებულ ტრავმებს (ანუ ვილაციის უზნეობას) უკავშირებენ.

ვფიქრობ, დაავადების მკურნალობა, ანუ ჩვენს შემთხვევაში ბიოლოგიურის და სოციალურის დიდების გადაჭრაც უნდა დაეფუძნოს, რაც ძველისძველი უზნეობრივი პრინციპის – ზომიერების ანუ „ოქროს შუაგულის“ – „ხელახლა აღმოჩენაში“ მდგომარეობს. არა სულიერი აშლილობის შიშით ტაბუირებულ ლტოლვათა შეუზღუდავი დაკმაყოფილება, არა კულტურის „ჭირვეულობით“ დათრგუნული ლტოლვები, არამედ „რაც სხვა...“ ანუ ზომიერება! (ანტიკურობის ერთ-ერთი სიბრძნე). ამ პრინციპის „ნაკლიც“ და ღირსებაც ისაა, რომ იგი თითოეულმა ინდივიდმა თვითონ, დამოუკიდებლად უნდა გადაჭრას, რაშიც მას ისევ კულტურა – მსოფლიოს დიდი მასწავლებლები დაეხმარება. დაეხმარება და არა ასწავლის! ჰუმანიზმის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპიც ესაა – არა ასწავლო რა არის ჭეშმარიტება, არამედ დაეხმარო მას ჭეშმარიტების პოვნა-აღმოჩენაში.

სტატია კი ნეტარი ავგუსტინეს ცნობილი შეგონებით მინდა დავამთავრო – ურწმენოდ არ არსებობს ჭეშმარიტება! ანუ ჭეშმარიტება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების მარეგულირებელ მექანიზმს ანგრევს, ჭეშმარიტება არ არის!

**ლიტერატურა:**

- კ.ბ. იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბ. 1994.
- მენცარი, თბ. 1996.
- რ. გაფრინდაშვილი, ალტერნატიული ეთიკა და ფსიქოლოგია, 2000.
- რ. გაფრინდაშვილი, ეთიკა, 2001.
- З. Фройд, Лекции по введению в психоанализ, т. 1-2, М., 1922
- З. Фройд, Тотем и табу, М., 1923.
- Э. Фромм, Психоанализ и этика, М., 1993.
- С. Лазарев, Диагностика кармы, СПб, 1993-96 гг.

**Roza Gaprindashvili**

**SUMMARY**

The article covers the problems relating to biologic and cultural explanations of social events that might have physical or psychological impact on human’s health. The revival of the antique slogan – “nothing too much!” or “golden midst” can solve such problems, avoiding mankind of spiritual disorder and related somatic diseases.

**Роза Гаприндашвили**

**Диалектика биологического и социального и моральная дилема**

**РЕЗЮМЕ**

В статье показываются недостатки интерпретации социальных явлений с точки зрения как биологизма, так и культурализма. Крайности этих концепций угрожают физическому и психическому здоровью человека. Вновь открытий девиз античности – «ничего лишнего», т.е. теория «золотой середины» - минимализирует эти трудности, следствием которого будет психическое и физическое здоровье человека.



## ქეთევან ხუციშვილი

რელიგიურობა საკმაოდ ზოგადი ტერმინია. რელიგიურობის განსაზღვრისას ადამიანის რელიგიურ პრაქტიკაში ჩართვის ხარისხის (ანუ რიტუალური განზომილების) გარდა გასათვალისწინებელია სხვა განზომილებებიც, კერძოდ ექსპერიმენტული, იდეოლოგიური, გარემოებითი და ინტელექტუალური. ამდენად, პიროვნების ცხოვრებაში რელიგიის მნიშვნელობა მის რელიგიასთან ემოციური კავშირების სიძლიერით, რელიგიური დოქტრინის რწმენის ხარისხით, ამ რწმენის ყოველდღიურ ქცევაში გამოხატვის, რიტუალური აქტიურობის სიხშირითა და რელიგიური ჯგუფის ისტორიისა და დოგმების ცოდნის სიღრმით იზომება. ამ თვალსაზრისით, ადამიანები სხვადასხვა განზომილებით სხვადასხვა დონით რელიგიურები შეიძლება იყვნენ. მართალია, რელიგიურობა, გარკვეულწილად, პირობითი კატეგორიაა, მაგრამ დასახელებულ განზომილებათა მიხედვით, მაინც შესაძლებელია ითქვას, რომ ამერიკელები უფრო რელიგიურები არიან ვიდრე, მაგალითად, ევროპელები.

თუ ეკლესიურ ქრისტიანთა რაოდენობას გავითვალისწინებთ აშშ, ალბათ დასავლეთის სახელმწიფოთა შორის ყველაზე რელიგიური ქვეყანაა. აშშ-ს დაახლოებით 60 მილიონი მოქალაქე აცხადებს, რომ “ხელახლა მოიქცა” (ჰეიფუდი: 2004: 360). ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის 95% აცხადებს, რომ სწამს გარკვეული სახის ღვთაებრივი ძალა, 60%-ს არ ეეჭვება ღმერთის არსებობა, ასე რომ ექსპერიმენტული განზომილებით აშშ-ს მოსახლეობა მნიშვნელოვნად რელიგიურია. მაგრამ სხვა განზომილებების მიხედვით სიტუაცია იცვლება. იდეოლოგიური თვალსაზრისით, მაგალითად, მხოლოდ 70% აღიარებს სიცოცხლის არსებობას სიკვდილის შემდეგ. რიტუალური რელიგიურობის მიხედვით პროცენტული რაოდენობა უფრო მცირეა, ასე რომ, რელიგიურობის დადგენა რთული პრობლემაა. ამასთან, გასათვალისწინე-

**რელიგიური აქტიურობა  
ამერიკის შეერთებულ  
შტატებში**

ბელია, რომ რელიგიურობა ამერიკული კულტურის ნორმატივია და აღამიანები შეიძლება უფრო მეტ რელიგიურობას ინემებდნენ ვიდრე სინამდვილეში არიან. რეალურად აშშ-ს მოსახლეობის მხოლოდ ერთი მესამედია რელიგიური. რელიგიურობის ხარისხი იცვლება დენომინაციების შესაბამისად (კათოლიკები უფრო რელიგიურები არიან ვიდრე პროტესტანტები, მათზე უფრო რელიგიურები კი სექტების წევრები.) (Macionis: 1995: 503-5).

რელიგიურობიდან გამომდინარე სხვადასხვა რელიგიურ ან ასეთად მიჩნეულ ქმედებებში ჩართვის ხარისხიც. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რელიგიური ქმედებები ამა თუ იმ ჯგუფის მრწამსისა და პრაქტიკიდან გამომდინარე სხვადასხვა შეიძლება იყოს. პირობითად ეს შეიძლება დავყოთ რელიგიურ-რიტუალურ, სოციალურ და პოლიტიკურ აქტიურობად.

რელიგიური აქტიურობის გამოვლინებათა არსის გარკვევისათვის საჭიროა ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული რელიგიური ვითარების ზოგადი დახასიათება.

ამერიკის შეერთებული შტატები მრავალკონფესიური სახელმწიფოა. ევროპული კოლონიზაციის დაწყებამდე ამერიკის ადგილობრივი მოსახლეობა ადგილობრივ გვაროვნულ-ტომობრივ კულტებს სცემდა თაყვანს. XV საუკუნიდან რეგიონში თანდათან ფეხს იკიდებს ქრისტიანობა. დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში უმრავლესობა პროტესტანტია.

აშშ მსოფლიოში ყველაზე რთული კონფესიური შემადგენლობის ქვეყანაა, რაც მსოფლიოს ყველა კუთხიდან მიმდინარე მიგრაციებითაა განპირობებული. დღეს აქ დაახლოებით 56%-ია პროტესტანტი, კათოლიკე - 28%. პროტესტანტული ჯგუფებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანია ბაპტისტების ჯგუფი, რომელიც მთელი მოსახლეობის 19%-ს შეადგენს, მეთოდისტები - 8%-ია, ლუთერანები - 6%, პრესვიტერიანელები - 3%, ორმოცდაათიანელები - 2% და ანგლიკანები - 2%. აშშ-ში არიან ასევე იუდაისტები - 2%, მართლმადიდებლები - 3%, მუსლიმანები - 2%. მოსახლეობის 10%-ს არა აქვს განსაზღვრული რელიგიური მიკუთვნებულობა (Лобжанидзе: 2005: 112-3; 162) მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რელიგიური რწმენა ცენტრალური მნიშვნელობის მქონეა ამერიკელთა ეროვნულ ყოფაში, სხვები აცხადებენ, რომ რელიგია აღარაა ისეთი ძალის მქონე როგორც წინათ იყო, მაგრამ ყველა თანხმდება იმაში, რომ ამერიკის შეერთებულ



შტატებში სხვა ინდუსტრიული ქვეყნისგან განსხვავებით რელიგია შედარებით დიდი გავლენის მქონეა.

ნაციონალური გამოკვლევების თანახმად ამერიკელ ახალგაზრდათა 90% თავს რომელიმე რელიგიურ ჯგუფს მიაკუთვნებს. 60% კი თავს რომელიმე რელიგიური ორგანიზაციის წევრად განიხილავს. რელიგიური მიკუთვნებულობა განსხვავდება რეგიონების მიხედვით (მაგალითად, სამხრეთ-დასავლეთი კათოლიკურია, სამხრეთი - ბაპტიტური, ჩრდილოეთი უფრო მეტად ლუთერანულია, მორმონები კონცენტრირებული არიან იუტას შტატში და ა.შ.) (Macionis: 1995: 503-5). ამ რელიგიური ჯგუფების მოკლე დახასიათება საშუალებას იძლევა მათი აქტიურობის გარკვეული ფორმები დააკავშირებულ იქნას მათ მრწამსსა და პრაქტიკასთან.

**ევანგელიზმი** პროტესტანტული ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმდინარეობაა. იგი არ წარმოადგენს არც სექტას არც განსაკუთრებულ ჯგუფს. ეს არის მოძრაობა, რომლის მიმდევრებიც რეფორმისტული ტრადიციის ერთგულნი არიან. ამ მოძრაობას ეკუთვნიან პრესვიტერიანელები, ბაპტიტები, ორმოცდაათიანელები, მეთოდისტები და ხსნის ეკლესიების წარმომადგენელი.

ევანგელიკური მოძრაობა შეიძლება შევადაროთ მოზაიკას, რომელიც განსხვავებული ქვებისგან ერთიან მთლიან სახეს ქმნის. მათი საერთო საფუძველი XIX საუკუნის ევანგელისტური და მისიონერული მოძრაობებია. ევანგელიკური მოძრაობის წინამორბედებად შეიძლება მივიჩნიოთ გერმანული პიეტიზმი, მეთოდიზმი და ამერიკული კოლონიების გამოღვიძების მოძრაობები, ასევე ანგლიკანური ეკლესიის “ევანგელიკური პარტია”, ჯორჯ უილიამზის ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაცია, ხსნის არმია, ასევე ხსნისა და ორმოცდაათიანელთა მოძრაობები და ბოლოს 1846 წელს შექმნილი ევანგელისტური ალიანსი.

აშშ-ში ეს მოძრაობები მათი ფუნდამენტალიზმის გამო კრიზისში მოექცა. ამის გამო 1942 წელს შეიქმნა ევანგელისტების ეროვნული ასოციაცია. მათ მოითხოვეს საზოგადოებასა და ეკლესიაში ინფილტრაცია. თანამედროვეობას მიუახლოვეს თავიანთი შეხედულებები. დღეს მათ ინტელექტუალური საჯაროება ახასიათებთ, თავს “ნეო-ევანგელისტებს” უწოდებენ და ამით ხაზს უსვამენ თავიანთ კავშირს ძველ ევანგელისტურ მოძრაობასთან. ერთიანობის შეგრძნებას უჩენს მათ: ა) თეოლოგიური სემინარები; ბ) ავტორიტეტები (მაგ: ბილი გრაჰამი და ბილ ბრაითი); გ) ჟურნალები (მაგ: „ქრისტიანობა დღეს“); დ) გარკვეულ

ჯგუფებზე მომუშავე, ეკლესიებს გარეთ არსებული ორგანიზაციების დიდი რიცხვი. ევანგელისტებს ახასიათებთ სოციალური პრიორიტეტის გაკეთება მისიასა და ევანგელიზაციაზე, რისთვისაც იყენებენ თანამედროვე ტექნიკისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და აგრეთვე ატარებენ უფრო მცირე მასშტაბის (სახლის ბიბლიის წრეები, საკვირაო სკოლები, ქალთა საუზმეები, ბავშვთა ევანგელიზაცია და ა.შ.) სამუშაოებს.

ზოგადად ევანგელისტებს პროზელიტობა ახასიათებთ. ზოგჯერ ისინი მიმდევრებისაგან მოითხოვენ საერთოდ ყველანაირი კონტაქტის გაწყვეტას ევანგელისტური პოზიციის არ მქონე საზოგადოებასთან (ახასიათებთ აბსოლუტიზმის პრეტენზიას). დღეს ევანგელისტური მოძრაობა 150 მილიონ ქრისტიანს აერთიანებს მსოფლიოში. მათ აქვთ ორგანიზაციების, კონფერენციების, პროგრამების და განათლების კერების ძალიან დიდი ქსელი.

ევანგელისტური ორგანიზაციები ყველაზე კარგად ორგანიზებული ჩრდილოეთ ამერიკაშია. აქედან მომდინარეობს მოძრაობის ძირითადი იმპულსებიც. მუშაობს “მსოფლიო ევანგელისტური თანამშრომლობა” და ლოზანის “მსოფლიო ევანგელისტების კომიტეტი” (რომელიც ბილი გრაჰამმა ჩამოაყალიბა). არიან მემარცხენე ევანგელისტებიც რომელთათვისაც ევანგელიზაცია და სოციალური ანგაჟირება განუყოფელი საკითხებია. ამერიკის შეერთებული შტატების ევანგელისტებისთვის პატრიოტული და სამეურნეო საქმიანობა არსებული სტატუს ქვოს შენარჩუნებას გულისხმობს. მიუხედავად თეოლოგიური დიფერენციაციისა ევანგელისტური მოძრაობა მაინც ერთ მთლიანობას წარმოადგენს. მისი უნარი - რეალობის გაზრდილი სირთულეების საწინაღმდეგოდ სიმშვიდე და უსაფრთხოება შესთავაზოს თავის მრევლს, ძალიან კარგად ეწყობა პატარა ბიურგერულ გარემოს, ასევე წარმატებით იკიდებს ფეხს საქმიან და აკადემიურ წრეებშიც. ევანგელიზმი სოციალური გარემოს შესაბამისად შეიძლება იყოს პოლიტიკურ-სოციალურად კონსერვატული, ამავე დროს “რადიკალური”, პატრიოტული ან აპოლოგეტური (Gasper: 1995; 263-270).

ევანგელისტური მოძრაობის ნაწილს წარმოადგენს **ბაპტიზმი**. იგი პროტესტანტული მიმდინარეობაა, რომელიც ინგლისში ჩამოყალიბდა პურიტანიზმიდან. ინგლისში 1689 წელს რწმენის შემწყნარებლობის კანონის მიღებამდე ოპოზიციური რელიგიური ჯგუფები იდევნებოდნენ და ბევრმა მათგანმა “ახალ სამყაროს” მიაშურა. მათ შორის იყო ინდეპენდენტი როჯერ უილიამსი. მან 1639 წელს პროვიდენსში

დააარსა ამერიკელ ბაპტიტთა პირველი თემი. თანდათანობით ბაპტიტთა ცენტრმა სამხრეთში გადაინაცვლა. 1684 წელს გაჩნდა კერძო ბაპტიტების პირველი თემი პენსილვანიაში, 1707-ში კი ხუთმა თემმა დააარსა ფილადელფიის ბაპტიტური ასოციაცია, რომელმაც აქტიური მისიონერული საქმიანობა გააჩნდა, ჯერ ადგილობრივ, შემდეგ კი საერთაშორისო მასშტაბებში.

ბაპტიზმის რიგმა სპეციფიკურმა მახასიათებლებმა (ორგანიზაციების დემოკრატიულობა, შიდა სიმტკიცე, “ცნობიერი ნათლობის” მოთხოვნა, პურიტანიზმის ეთიკა, ევანგელიზაციის ლოზუნგი და ა.შ.) განაპირობეს მის მიმდევართა რიცხვის სწრაფი ზრდა (Христианство: 1994: 43). სწორედ ბაპტიზმი გახდა XVIII საუკუნეში “რევაიველიზმის” საფუძველი. ამ დროს გაჩნდა ახალი ბაპტიტური ორგანიზაციები (ქრისტეს ბაპტიტური ეკლესია, მეშვიდე დღის ბაპტიტები, თავისუფალი ნების ბაპტიტები და ა.შ.). ბაპტიზმი წარმოადგენს უმსხვილეს პროტესტანტულ ორგანიზაციას, იგი ფლობს მსხვილ კაპიტალს, აქვს თავისი უნივერსიტეტები, ჟურნალ-გაზეთები, გამომცემლობები, მისიები, საზოგადოებები და ა.შ. დღეს ბაპტიზმი ამერიკანიზმის არსებითი კომპონენტი.

ბაპტიტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავისი რწმენის გაგრძელება, რაც თითოეულის მოვალეობაა: ყოველი ბაპტიტი მორწმუნე მღვდელია და თავს სულელებზე მებადურებს უწოდებს (საყოფლთაო მღვდლობის პრინციპი) (ფანჯიკიძე: 2003: 157). ბაპტიტური ეკლესია დისციპლინირებული და კარგად გამართული ორგანიზაციაა, რომელიც საკმაოდ აქტიურია როგორც რიტუალური, ასევე სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით.

**მეთოდისტები** აშშ-ში მოსახლეობის საშუალო ფენებს შეადგენენ და შესაბამისად დიდ ყურადღებას აქცევენ სოციალურ საკითხებს, კერძოდ, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ისინი ომის წინააღმდეგ გამოდიან და ეკუმენისტური მოძრაობის მომხრენი არიან. ბრიტანული მეთოდისტური ეკლესიებისაგან განსხვავებით ამერიკულ მეთოდისტურ ეკლესიას ეპისკოპალური მოწყობა აქვს. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ევანგელიზაციასა და სამქადაგებლო საქმიანობას. შესაბამისია მათი სოციალური აქტიურობაც. პოლიტიკაზე გავლენის თვალსაზრისით, აღნიშნვის ღირსია, რომ მეთოდისტი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ოთხი პრეზიდენტი: ჯეიმს ნოქს პოლკი (1845-49), ულის სიმფსონ გრანტი (1869-77), რატერფორდ ბერნარდ ჰეისი (1877-81) და უილიამ მაკ-კინლი (1897-1901) (Народы: 2000: 771).

**ქარიზმატული მოძრაობა XX ს-ის შუა წლებში** წარმოიშვა. ქარიზმატები მიიჩნევენ, რომ ღმერთისადმი მუდმივი სამსახურის საშუალებად სულიწმიდისგან იღებენ განსაკუთრებულ სულიერ ძღვენს – ქარიზმას. ქარიზმატული მოძრაობის ნაწილია ორმოცდაათიანელობა, რომელიც აშშ-ში დაარსდა კანზასის შტატში 1901 წელს ჩარლზ ფოკსის მიერ ქარიზმატების, ბაპტიტებისა და მეტოდისტების გაერთიანებით (მათ სწამთ ხსნა მოქცევის საშუალებით, სულიწმინდის მეშვეობით ნათლობა – მადლის გადმოსვლა). დღეს ორმოცდაათიანელობა მოძრაობადაა ჩამოყალიბებული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორმოცდაათიანელთა უმსხვილესი გაერთიანებებია ღვთაებრივი ასამბლეა, ქრისტეს ეკლესია (აფრო-ამერიკული გაერთიანება), ღვთის ეკლესია და ორმოცდაათიანელთა წმინდა ეკლესია. ისინი ეწევიან აქტიურ მისიონერულ მოღვაწეობას, ასევე დიდია მათი აქტიურობის ხარისხი საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**პრესვიტერიანელობა** კალვინიზმის ერთ-ერთი ფორმაა, რომელსაც ჯონ ნოქსმა დაუდო საფუძველი შოტლანდიაში. ამერიკაში პრესვიტერიანელები თავდაპირველად ნიუ-ჯერსიში, პენსილვანიასა და ვირჯინიაში დასახლდნენ. იგი დღემდე საკმაოდ გავლენიანი დენომინაციაა ამერიკის შეერთებულ შტატებში. თავის დროზე პრესვიტერიანელების მიერ ნიუ-ჯერსიში დაარსებული კოლეჯიდან განვითარდა პრინსტონის უნივერსიტეტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკლესიის როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეწევიან ფართო მისიონერულ საქმიანობას. პრესვიტერიანელები იყვნენ პრეზიდენტები: ე. ჯეკსონი, ჯ. ბიუკენენი, ს. კლივლენდი, ბ. ჰარისონი, ვ. ვილსონი, დ. ეიზენჰაუერი (Народы: 2000: 807).

კალვინიზმის ერთ-ერთი ფორმაა **კონგრეგაციონალიზმიც** (ხშირად მას ინდეპენდენტიზმთანაც აკავშირებენ). დღეს ისინი ყველაზე მრავალრიცხოვანი აშშ-ში არიან. 1818 წლამდე კონეკტიკუტისა და 1824 წლამდე მასაჩუსეტის კონგრეგაციონისტულ ეკლესიებს სახელმწიფოებრივის სტატუსი ჰქონდათ. დღეს მათ რეფორმისტებთან, პრესვიტერიანელებთან და მეთოდისტებთან ერთად აქვთ ქრისტეს გაერთიანებული ეკლესია. მათ რწმენის მკაცრად დოქტრინალური ფორმები არ გააჩნიათ და ამითაა განპირობებული მიმდევართა შეხედულებების ფართო დიაპაზონი ლიბერალური ტენდენციებიდან დაწყებული, კონსერვატულით დამთავრებული (Народы: 2000: 751). კონგრეგაციონალისტთა მიერ 1636 წელს კემბრიჯში დაარსებული კოლეჯის საფუძველზე განვითარდა მოგვიანებით პარვარდის უნივერსიტეტი.

**აშშ-ს პროტესტანტული ეპისკოპალური ეკლესია** ანგლიკანური ეკლესიაა. დაარსების ოფიციალურ თარიღად ითვლება 1789 წ. ფილადელფია. XX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო აშშ-ს ეპისკოპალური ეკლესიაში მოძრაობა საზოგადოებაში მორალური სტანდარტების შესუსტების საწინააღმდეგოდ ეკლესიის პოზიციის განმტკიცებისათვის. მიმდინარეობდა დისკუსია სექსუალური ცხოვრების, ეკლესიის ჰომოსექსუალიზმთან მიმართებისა და ქალის მღვდლობის თაობაზე. 1976 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ქალის მღვდლად კურთხევის დაშვების შესახებ და 1988 წელს არჩეულ იქნა პირველი ქალი ეპისკოპოსი. შედეგად ბევრმა მიმდევარმა დატოვა ეპისკოპალური ეკლესია და დაარსდა ახალი ანგლიკანური ორგანიზაციები.

აშშ-ს ეპისკოპალური ეკლესია ფართო მისიონერულ საქმიანობას ეწევა (Народы: 2000: 810-1) მათი აქტიურობა სოციალურ-საზოგადოებრივი სფეროთი შემოიფარგლება. თუმცა თავის დროზე გარკვეულ გავლენას ფლობდნენ პოლიტიკურ ასპარეზზეც (ჯორჯ ვაშინგტონი ანგლიკანი იყო).

ამერიკის შეერთებულ შტატებში რამდენიმე **ლუთერანული** ეკლესია მოქმედებს. მათი საქმიანობის სფეროებია თეოლოგიური განათლება, მისიონერული და საგამომცემლო საქმიანობა (Христианство: 1994: 263).

XX საუკუნის მიწურულს უპირატესობა ქრისტიანულმა სექტებმა და ზოგიერთმა სხვა ჯგუფმა მაგ. მორმონებმა, მეშვიდე დღის ადვენტისტებმა და სხვ. მოიპოვეს.

**მორმონები** მარგინალური პროტესტანტიზმის წარმომადგენლები არიან. ჯგუფი დაარსდა 1830 წელს ნიუ-იორკის შტატში ჯოზეფ სმიტის მიერ. მათთვის ხსნის გზად რწმენისა და საიდუმლოებებში მონაწილეობის გარდა (ნათლობა ქორწინება, ზიარება) აუცილებელია კეთილი საქმეები ეკლესიის სახელით (Народы: 2000: 774-5). შესაბამისია მათი აქტიურობის ფორმებიც. ცხოვრების წესი და ეთიკა ბიურგერულ-კონსერვატულია. მონაწილეობენ კულტურულ, სამეცნიერო და პოლიტიკურ საქმიანობაში (Gasper: 1995: 701).

**მეშვიდე დღის ადვენტისტები** ქრისტიანულ სექტად გნიხილება. იგი დღეს არსებული ყველაზე დიდი ადვენტისტური გაერთიანებაა. ადვენტისტური მოძრაობის ძირითად მრწამსს წარმოადგენს რწმენა ქრისტეს ხორციელად მეორედ მოსვლის თაობაზე და ბიბლიურ წინასწარმეტყველებებზე დაყრდნობით გარკვეული გამოანგარიშებების საფუძველზე კონკრეტული თარიღების დასახელება. ადვენტისტურმა მოძრაობამ განსაკუთრებული სიძლიერით XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე იფეთქა.

ჩამოყალიბდა მრავალი ჯგუფი, რომელთა მიერ დასახელებული თარიღების არ გამართლების შემდეგ იქმნებოდა სხვა ჯგუფები (Gasper: 1995: 18-20). ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის შემდეგ აშშ-ში მეშვიდე დღის ბაპტისტებს 1863 წელს გამოეყო ჯგუფი ელენ და ჯემს უაიტების ხელმძღვანელობით და ჩამოყალიბდა მეშვიდე დღის ადვენტისტთა თემი მიჩიგანის შტატში (ქ. ბათლ-კრიკი).

ელენ უაიტმა გააერთიანა ადვენტისტური მოძრაობის 125 თემი, რომელთა წევრების რიცხვი 3500 ითვლიდა. ინტენსიურმა სამისიონერო საქმიანობამ, სკოლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და გამომცემლობის გახსნამ ნელ-ნელა წარმატება მოუტანა გაერთიანებას და გაზარდა მიმდევართა რიცხვი. (Gasper: 1995: 989-990) მათ მკვეთრად ცენტრალიზებული მმართველობა აქვთ. ისინი ღრმად მორწმუნე ბიბლიის ფანატიკოსებად ითვლებიან. მეშვიდე დღის ადვენტისტთა ცენტრალური დაწესებულებები მერილენდის შტატში (ქ. ტაკომა-პარკში), ვაშინგტონში და მის მიმდებარე ტერიტორიაზეა განლაგებული. ორგანიზაცია წევრების შემოწირულობების ხარჯზე ეწევა აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფიზიკურ ჯანმრთელობას და აქვთ სამკურნალო დაწესებულებების ფართო ქსელი: საავადმყოფოები, სანატორიუმები (Народы: 2000: 674-5), ასევე სკოლები, უნივერსიტეტები, გამომცემლობები, რადიო და ტელე-არხები (Gasper: 1995: 992).

რელიგია გარკვეულ მიმართებაშია სოციალურ კლასებთანაც. მაგ. ეპისკოპალური ეკლესიის მიმდევრები და პრესვიტერიანელები სოციალურად ყველაზე მაღლა მდგომი ფენებია, შემდეგ მოდიან ლუთერანები, ბაპტისტები, ასევე იუდაეელები. საშუალო პოზიცია უკავიათ კონგრეგაციონალისტებსა და მეთოდისტებს. დაბალ სოციალურ ფენებს შეადგენენ კათოლიკები (როდესაც ჯონ ფიცჯერალდ კენედი, ცნობილი და გავლენიანი ოჯახის შვილი აირჩიეს პირველ კათოლიკე პრეზიდენტად 1960 წ. ოპოზიცია მისი წინააღმდეგი იყო რელიგიური კუთვნილების გამო (Macionis: 1995: 271)),

ლუთერანული, ბაპტისტური და სექტანტური ორგანიზაციები, რა თქმა უნდა ინტერნალური ვარიაციებით. რელიგიურობა მიმართებაშია ასევე ეთნიკურ კუთვნილებასთან, თუმცა არის რელიგიური განსხვავებულობაც ეთნიკურ ჯგუფებში. რელიგიური აქტიურობის ფორმები რასობრივი თვალსაზრისითაც განსხვავდება. მაგალითად აფრო-ამერიკელების სულიერი და პოლიტიკური ცხოვრება

ისტორიულად დაკავშირებულია რელიგიურ ორგანიზაციებთან. ამიტომ არ არის გასაკვირი ის, რომ მარტინ ლუთერ კინგმა ან ჯესი ჯექსონმა მოღვაწეობა აფრო-ამერიკული რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელობით დაიწყეს და მათი აქტიურობა პოლიტიკურ მიზნებს შეიცავდა.

რელიგიური აქტიურობა ამერიკის შეერთებულ შტატებში არაა ყოველთვის პოლიტიკურ ფორმაში გამოხატული. თუმცა ასეთი ტენდენციაც შეიმჩნევა. რელიგიური ლიდერები ცდილობენ ღობი ჰქონდეთ კონგრესში და ამით მიაღწიონ თავიანთი ეკლესიების გავლენას ამერიკულ პოლიტიკაზე. რელიგიური ღობისტები, როგორც საზოგადოებრივ პოლიტიკაზე, ასევე თავიანთი წევრების ხარჯზე გავლენას ახდენენ მთელ ეროვნულ საზოგადოებრივ სივრცეზე. ამასთან, იყენებენ ფორმულას – “წარმატება უდრის კომპრომისებს” (Hertzke: 1988).

ბუნებრივია, სხვადასხვა ჯგუფებს განსხვავებული ტაქტიკა აქვთ, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ისინი ხშირად მიმართავენ ამერიკული პოლიტიკისთვის არა წარმომადგენლობით ღირებულებებს. რელიგიასა და პოლიტიკას ისიც აახლოებს, რომ ორივე მათგანი ღირებულებათა (პიროვნულ, სოციალურ თუ ტრანსცენდენტალურ ღირებულებათა) არჩევანს ეხება (Reichley: 1985: 9). ამერიკის შეერთებულ შტატებში 1970-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა, მოძრობა, რომელიც რელიგიისა და პოლიტიკის შერწყმისკენ მიისწრაფოდა. “ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობა” გამაერთიანებელი ტერმინია და იმ დაჯგუფებათა თავისუფალ კოალიციას აღნიშნავს, რომლებსაც უპირველეს ყოვლისა აერთიანებს გარკვეული მიმართება მორალისა და სოციალური საკითხებისადმი (ჰეიფუდი: 2004: 360). მას საფუძველი დაედო, როგორც კამპანიას “ტრადიციულ ოჯახურ ფასეულობათა” აღდგენის მიზნით. მის საგანგებო სამიზნეებს წარმოადგენდნენ “მტკიცებითი საქმიანობა” (პოზიტიური დისკრიმინაცია შავკანიანთა სასარგებლოდ), ფემინიზმი (კერძოდ, “თანაბარ უფლებათა შესწორება”) და ჰომოსექსუალისტების უფლებათა დაცვის მოძრაობა.

1980-90-იან წლებში ზნეობრიობის ეს პოლიტიკა სულ უფრო მეტად გაერთიანდა ანტისააბორტო საკითხის ირგვლივ. დასახელებული საკითხების გარშემო სხვადასხვა ორგანიზაციის მობილიზაციას ხშირ შემთხვევაში ე.წ. “ტელეევაგელისტები” ახორციელებდნენ. ამ ორგანიზაციათა შორის იყო “რელიგიური მრგვალი მაგიდა”, “ქრისტიანული ხმა”, “ტრადიციულ ფასეულობათა დაცვის ამერიკული

კოალიცია” და ყველაზე გავლენიანი “მორალური უმრავლესობა”. 1980-იანი წლების შემდეგ “მორალურმა უმრავლესობამ” და სხვა მსგავსმა ჯგუფებმა დააფინანსეს კამპანია და დაიწყეს ამომრჩეველთა რეგისტრაცია დემოკრატიების დამარცხების მიზნით. მათ სურდათ ასევე გავლენა მოეხდინათ რესპუბლიკელებზე, რათა ამ უკანასკნელთ მიეღოთ ახალი სოციალური და მორალური პროგრამა (ჰეივუდი: 2004: 360-1). ფაქტიურად სოციალური პრობლემები მორალის საკითხებთანაა კავშირში და ამიტომ არიან რელიგიური ორგანიზაციები ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალურად საკმაოდ აქტიურები.

ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობის იდეებს იზიარებდა რონალდ რეიგანი, მაგრამ მან ვერ შეძლო ამ მოძრაობის მორალური პროგრამის დანერგვა. რეიგანის ეპოქის დამთავრების შემდგომ ახალი ქრისტიანული მემარჯვენეობის ავტორიტეტი მნიშვნელოვნად შეირყა. ჯორჯ ბუში უფროსი ამ მოძრაობას არ ემხრობოდა.

ქრისტიანულმა მემარჯვენეებმა პრეზიდენტობის თავიანთი კანდიდატი წამოაყენეს (ტელეევანგელისტი პატ რობერტსონი) მაგრამ დამარცხდნენ. ქრისტიანულმა მემარჯვენეობამ თავისი პოლიტიკური ბაზისი ვერ გააფართოვა და თეთრკანიანთა ევანგელისტური პროტესტანტული გაერთიანების ფარგლებით შეიზღუდა. საპასუხოდ ევანგელისტური მოძრაობის წევრებმა უფრო აგრესიულ სტრატეგიას მიმართეს (შექმნეს ე.წ. მილიცია, რომელსაც “ქრისტიანი პატრიოტები” მართავდნენ). ქრისტიანულმა მემარჯვენეობამ გარკვეული მხარდაჭერა მას შემდეგ მოიპოვა, რაც 2000 წელს პრეზიდენტად ჯ. ბუში უმცროსი აირჩიეს. მისი კაბინეტის მრავალი წევრი თვით ბუშისა და ვიცე-პრეზიდენტ დიკ ჩეინის ჩათვლით “ხელახლა მოქცეული” ქრისტიანები არიან. გარდა ამისა, ევანგელისტთა ლიდერი ჯონ ეშკროფტი გენერალურ პროკურორად დაინიშნა (ჰეივუდი: 2004: 362).

ქრისტიანული მემარჯვენეობა გავლენიანი ფუნდამენტალისტური მოძრაობაა. ეს არც არის გასაკვირი რადგან რელიგიური ფუნდამენტალიზმი ფართომას-შტაბიანი პოლიტიკური აღორძინების იარაღად მიიჩნევა.

ფუნდამენტალიზმს აქვს უნარი ბიძგი მისცეს პოლიტიკურ აქტიურობას და მორწმუნეთა მობილიზაციას. ფუნდამენტალისტები აქტიურად იყენებენ მასობრივი კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებათა უპირატესობებს (მაგ. აშშ-ის “ტელეევანგელისტები”) და ზემოქმედებენ, როგორც ფსიქოლოგიურ ისე სოციალურ დონეებზე (ჰეივუდი: 2004: 346). შესაბამისია სხვადასხვა სახის ქმედებებით



გამოსატული მათი აქტიურობა. როგორც აღინიშნა, რიტუალური და სოციალურის გარდა ამერიკის შეერთებული შტატების რელიგიური ორგანიზაციები პოლიტიკური აქტიურობითაც გამოირჩევიან. გარკვეულწილად ამ ვითარებას ამერიკული მმართველობის სისტემა განაპირობებს, რომელიც გულისხმობს სპეციალური ინტერეს-ჯგუფების გავლენას პოლიტიკაზე. ისინი ქმნიან და მოიცავენ ე.წ. „ზეწოდის ჯგუფებს“, სხვადასხვა სახის კომიტეტებსა და გაერთიანებებს და ამით უზრუნველყოფენ პოლიტიკაში ჩართულობას.

### ლიტერატურა:

- ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე, თბილისი, 2003
- ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები, თბილისი 2004
- Лобжанидзе А.А., Горохов С.А., Заяц Д.В. Этногеография и география религий, Москва, 2005
- Народы и религии мира, Энциклопедия под ред. В.А. Тишкова, Москва., 2000
- Христианство, словарь под ред. Митрохина Л.Н., Лещинского А.Н., Одинцова М.И., и Рашковой П.Т. Москва, 1994
- Hertzke A.D. Representing God in Washington. The Role of Religious Lobbies in the American Polity. The University of Tennessee Press, Knoxville, 1988
- Gasper H., Müller J., Valentin F.; Lexikon der Sekten, Sondergruppen und Weltanschauungen, Herder. Freiburg-Basel-Wien, 1995
- Macionis J.J., Sociology, Prentice Hall, Englewood Cliffs, New Jersey 07632, 1995
- Reichley A.J. Religion in American Public Life. The Brookings Institution Washington, D.C. 198 z5

### **Ketevan Khutsishvili**

### **Forms of Religious Activities in the United States of America**

#### **SUMMARY**

The United States of America is considered to be the most religious country among the Western States. Religiosity is a normative of American culture. According to the level of religiosity the level of participation in the religious or activities considered to be religious are different. In each case religious

activities depend on the kind of belief or the practice of each group. Such activities may be divided into religious-ritual, social and political ones. There can be seen the tendency of expressing the religious activity in the political form. The Religious leaders are trying to become lobbies in the Congress and achieve the participation of their groups in the political life of the state. The tactical means are different. In the end of 1970-s the movement of the New Christian Rights was founded. This movement has become helpful since 2000 (the election of the president Bush). The political activity of the religious organizations in the USA is caused also by the type of governmental system, which means the influence of the special interest-groups on the political affairs. These groups are forming various unions and committees and are providing the in the political life.

**Ketevan Хუციშვილი**

### **Религиозная активность в Соединенных Штатах Америки**

#### **РЕЗЮМЕ**

Соединенные Штаты Америки самая религиозная страна среди государств Запада. Религиозность норматив американской культуры. Исходя из религиозности разнообразен уровень участия в религиозных или принятых таковыми действиях. В каждом конкретном случае религиозные действия зависят от веры и пратики каждой группы. Условно их можно разделить на религиозно-ритуальные, социальные и политические активности. В США существует тенденция проявления религиозной активности в политической форме. Религиозные лидеры стараются найти лобби в конгрессе и этим влиять на политическую жизнь Америки. У разных религиозных групп разнообразная тактика. В конце 1970-их образовалось новое движение – новые христианские правые, которое стремилось воссоединить политику с религией. Это движение получило поддержку с 2000 года, после избрания президентом Дж. Буша младшего. Политическая активность религиозных организации обуславливается влиянием на политику специальных интерес-групп. Они создают «группы влияния» разного рода и этим обеспечивают включение в политическую жизнь.



## კოტე აბულაძე

„ნუ იცხოვრებ ხალხთან, ვისაც... მეტი საპრობილე აქვს, ვიდრე სასტუმრო...“ ამბობდა პითაგორე. ანტიკური ეპოქის უდიდესი მეცნიერისა და მოაზროვნის ეს სენტენცია ნათლად მეტყველებს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭებოდა სტუმართმოყვარეობას უძველესი ხანიდან.

ცივილიზაციის ერთ-ერთმა ფუნდამენტურმა ცნებამ – სტუმართმოყვარეობამ ანტიკური ეპოქიდან დაიწყო ჩამოყალიბება როგორც ინდუსტრიამ. მოგზაურთა განთავსების პირველი ობიექტები მოხსენებულია ჯერ კიდევ მანუსკრიპტებში, მათ შორის ბაბილონის მეფე ჰამურაბის კოდექსში (დაახლოებით 1700 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე). რესტორნები, ტავერნები, ღამის გასათევი სახლები აღმოჩენილია პომპეის გათხრებისას.

საქართველოს გზაჯვარადინებზე უძველესი დროიდან ყოველი ერთი დღის სავალზე შენდებოდა სასტუმროს ტიპის სახლები. იყო შედარებით უფრო კეთილმოწყობილი სასტუმროებიც, რომლებსაც ქარვასლებს ან ფუნდუკებს უწოდებდნენ. აქ სასტუმრო ოთახების გარდა იყო დარბაზები, მაღაზიები, ღვინის სარდაფები, საწყობები, სახელოსნოები და ეზოები ქარავნის დასაყენებლად. თბილისის ერთ-ერთ ქარვასლაში თეატრი და ბიბლიოთეკაც კი ფუნქციონირებდა.

ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაში, კერძოდ სასტუმრო მომსახურების ხარისხის სრულყოფაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ევროპელებმა. სწორედ ამის შედეგია XX საუკუნის დაწყებამდე მსოფლიო სასტუმრო მეურნეობაში ევროპული კლასიკური მოდელის დომინირება.

XIX საუკუნეში ელიტარული ტურიზმის განვითარებამ განაპირობა ახალი სასტუმრო პროდუქტის – მდიდრული სასტუმროს, ე.წ. ოტელ-პალასის კონცეფციის ჩამოყალიბება, რომლის ავტორი იყო ცნობილი ოტელიერი ცეზარ რიცი. ამ კონცეფციის საფუძველს წარმოადგენდა სასტუმროს მოწყობის სამი ძირითადი ფაქტორი: ფუფუნება, სინატიფე, არისტოკრატიზმი.

### საქართველო დიდი ტურიზმის მოლოდინში

მსოფლიოს უმდიდრესი, საუკეთესო სასტუმროების ჯაღოსნური სამყარო ამჟამად უკვე საკმაოდ დიდი და ჭეშმარიტად გასაოცარია. მათი რიცხვი 300 აღემატება, უმრავლესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში,

გერმანიასა და საფრანგეთშია. მათ შორის არის ლეგენდარული სასტუმროები, რომლებიც მეფეებსა და დედოფლებს, სახელმწიფოთა მეთაურებსა და ლიტერატურის გიგანტებს, უკვლავ მსახიობებსა და გაველნიან პოლიტიკოსებს მასპინძლობდნენ.

ერთ-ერთი მათგანია ბადენ-ბადენის სასტუმრო „ბრინერს პარკ ჰოტელ ენდ სპა“. მეფური კომფორტის მქონე ამ შესანიშნავ სასტუმროს უმაღლესი რანგის სტუმართა მიღების მრავალწლიანი ტრადიცია გააჩნია. იგი მასპინძლობდა საფრანგეთის პრეზიდენტებს – შარლ დე გოლს, ვალერი ჟისკარ დე სტენს, ჟაკ შირაკს, ამერიკის შეერთებული შტატებისა და რუსეთის პრეზიდენტებს – ბილ კლინტონსა და ბორის ელცინს, გერმანიის ფედერალურ კანცლერს – კონრად ადენაუერს, იორდანიის მეფე ჰუსეინს, დალაი-ლამას, ჰენრი ფორდს, კომპოზიტორ იგორ სტრავინსკისა და ბადეერინა მათა პლისეცკაიას, ცნობილ ილუზიონისტ დევიდ კოპერფილდსა და სუპერმოდელ კლაუდია შიფერს.

ვახსებურების ტრადიციის სიდიადით გამოირჩევა გრაფ ვიუტემბერგის მიერ ქალაქ ვენაში აშენებული სასტუმრო „იმპერიალი“. იგი 1837 წელს გახსნა თვით იმპერატორმა ფრანც იოზეფმა. მანვე მიანიჭა სახელი „როიალ სიუტი“ იმ ნომერს, სადაც შემდგომში ცხოვრობდნენ გერმანიის იმპერიის პირველი რეიხსკანცლერი ოტო ბისმარკი, ოსკარ უაილდი და უოლტ დისნეი, როტშილდი და ხიჩკოკი. აქ ხშირი სტუმარია ლუჩანო პავაროტი.

წარსულის არქიტექტურულ შედეგებს მიეკუთვნება აღორძინების ეპოქის ჭეშმარიტ სტილში აგებული და მოწყობილი, ლეგენდად აღიარებული „ოტელ დანიელი“, რომელიც განლაგებულია ვენეციელი დოჟის ანდრეა დანდოლოს სასახლეში. აქ ხშირად ჩერდებოდნენ პრუსიის მეფე ვილჰელმი, ონორე დე ბალზაკი, მელ გიბსონი, მარსელ პრუსტი და რიჰარდ ვაგნერი, ჰენრი კისინჯერი და რიჩარდ ვირი.

ვენეციის „გრინტი პალასი“ – გრეტა გარბოსა და ჩერჩილის, მარკ ტვენისა და ვუდი ალენის საყვარელი, ჩვეული რეზიდენციაა, სასტუმრო, რომელსაც სომერსეტ მოემი თავისი სახლისგან შორს მდებარე მისივე სახლად მიიჩნევდა. თითქოს თვით ისტორია შემოინახა იმ ორმა ნომერმა, რომლებსაც მისი და ერნესტ ჰემინგუეის სახელი ჰქვია. ამ სასტუმროსა და მისი ნომრების მედიის კარისთვის დამახასიათებელ ფუფუნებას თითქოს არ აქვს საზღვარი. ასეთ სასტუმროებში ცხოვრების განსაკუთრებული, ერთადერთი და განუმეორებელი სტილი სუფევს.

საფრანგეთის სამხრეთით, ესპანეთის საზღვრის მახლობლად, ბისკაის ყურეს ზღვისპირა ბალნეო-კლიმატური კურორტი ბიარიცი ცნობილია აგრეთვე როგორც სერფინგის მსოფლიო დედაქალაქი.

სწორედ აქ მდებარეობს ოტელ „დე ლუქსი“ – ერთ-ერთი მდიდრული სასტუმრო იმ მილიონერებისათვის, რომლებსაც რომანტიკული განმარტობა სურთ. ეს არაჩვეულებრივი, ისტორიული შენობა აგებულია XIX საუკუნეში ნაპოლეონ III მიერ მისი მეუღლის პატივსაცემად. აქ 1864 და 1865 წლებში ეწეობოდა ისტორიაში ე.წ. „ბიარიცის შეხვედრების“ სახელწოდებით ცნობილი დიპლომატიური შეხვედრები ნაპოლენ III და ბისმარკს შორის, რომელთა შედეგად ამ უკანასკნელს იმედი ჰქონდა ავსტრიასთან მის მიერ დაგეგმილ ომში საფრანგეთის ნეიტრალიტეტისა.

ფრენკ სინატრას, ჰენრი ფორდის, ლუჩანო პავაროტის, ელიტარული წრეების მრავალი სხვა წარმომადგენლის ეს საყვარელი სასტუმრო დღესაც უდიდესი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოში.

მიუხედავად ევროპელების დიდი დამსახურებისა, თანამედროვე სასტუმრო სპეციფიკურ ამერიკულ გამოგონებადია მიჩნეული. პირველი სასტუმრო ამერიკის შეერთებულ შტატებში – 70 ნომრიანი „სითი ოტელი“ გაიხსნა 1794 წელს, ხოლო 1859 წელს ნიუ-იორკის ერთ-ერთ სასტუმროში მეხუთე ავენიუზე პირველად მსოფლიოში დაამონტაჟეს ლიფტი. პირველი სასტუმრო ელექტროგანათებით „ჰოტელ ევერეტი“ გაიხსნა ნიუ-იორკში.

პირველი ბიზნეს-ოტელი – სპეციალიზებული სასტუმრო ბიზნესმენები-სათვის „ბაფალო სტატლერი“, რომლის თითოეულ ნომერს ქონდა თავისი სააბაზანო და ტუალეტი, ტელეფონი აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ბაფალოში გაიხსნა 1908 წელს.

XX საუკუნის 50-იან წლებამდე ტურიზმის ინდუსტრიას ძირითადად სასტუმრო მეურნეობა წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო ტურიზმის ინდუსტრიის განვითარების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპი, რაც განპირობებული იყო რიგი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით: მოსახლეობის შემოსავლებისა და თავისუფალი დროის ზრდით; სამგზავრო რეაქტიული ავიაციის განვითარებით; მოგზაურობის ღირებულების შემცირებით; ქალაქებში ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესებითა და მზარდი ურბანიზაციით.

დარღვის განვითარების პროცესი ინტენსიურად გრძელდებოდა გასული საუკუნის ბოლომდე, როდესაც

ტურიზმის ინდუსტრიის ბრუნვა პრაქტიკულად ისეთი განვითარებული ქვეყნის ეროვნულ შემოსავალს გაუთანაბრდა, როგორცაა იაპონია.

ტურიზმის თანმედროვე ინდუსტრია არის განთავსებისა და კვების საწარმოების, ტუროპერეიტინგის, ტურიზმის სატრანსპორტო, სავაჭრო, სასწავლო, საინფორმაციო, სამეცნიერო ინფრასტრუქტურებისა და დარგის მართვის ორგანოების ერთობლიობა.

ამრიგად, ტურიზმის ინდუსტრია ჩამოყალიბდა როგორც სამეურნეო სტრუქტურის დამოუკიდებელი რგოლი – ეკონომიკური სისტემა შემდგარი დარგებისა და ეკონომიკური სუბიექტებისაგან, რომელთა ფუნქციაა დასვენებისა და გართობის სხვადასხვა სახეობებზე მრავალფეროვანი მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საერთაშორისო, ეროვნებათშორისი და რეგიონალურ პროექტებში ტურიზმის ინდუსტრიას განიხილავენ შემდეგ ასპექტებში: ტურიზმის განვითარების ზოგადი პროგნოზირება; დარგის განვითარების ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური შედეგები; ზოგადი სტრატეგია და საპროგრამო ღონისძიებები.

თუ გასულ საუკუნეში ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებას ძირითადად განაპირობებდა სატრანსპორტო ტექნოლოგიები და მოგზაურობის ღირებულების შემცირება, XXI საუკუნის თვალმისაწვდომ პერიოდში მას განსაზღვრავს მიკრო და მაკრო დონეების სულ სხვა ფაქტორები.

მიკრო დონის ფაქტორების დეტალური ანალიზის გაკეთების მცდელობაც კი საკმაოდ ძნელია, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ყოველი ქვეყნის ტურისტული და საბაზრო პოლიტიკის საგანს.

მაკრო დონის ფაქტორებიდან აღსანიშნავია: სოციოდემოგრაფიული ცვლილებები; მოსახლეობის შემოსავლებისა და თავისუფალი დროის ზრდა; ელექტრონული ინფორმაცია და კომუნიკაციის სისტემები; მომხმარებლების მზარდი მოთხოვნილება; ტურისტული პროდუქტის რეალიზაციის ბაზრების გამოთანაბრება; გლობალური, საშუალო და მცირე ბიზნესით დასაქმებული ტუროპერატორების საქმიანობის პოლარიზაცია.

თანამედროვე ტექნოლოგიების, მართვის სისტემების დანერგვა, ხელს შეუწყობს ახალი საბაზრო სივრცის ათვისებას. ტურისტული ბაზრის გლობალიზაცია კი გამოიწვევს ტრანსნაციონალური ტურისტული და სასტუმრო კორპორაციების პოზიციების განმტკიცებასა და კონკურენციის გამძაფრებას.

ამასთან დაკავშირებით ბუნებრივია იბადება კითხვა თუ როგორია ჩვენი ქვეყნის პერსპექტივები. არაერთგზის მითქვამს,

რომ საქართველოში ტურიზმის განვითარებას ვერ განაპირობებდა მხოლოდ დარგის პრიორიტეტის უსაფუძვლო დეკლარირება. პირველ რიგში აქ პოლიტიკური ნება იყო საჭირო, მაგრამ ამისთვის არავის ეცალა.

ჩვენთან როგორც იქნა დასრულდა ლოზუნგომანია. გაჩნდა ტურიზმის განვითარების რეალური პერსპექტივები და იმედები.

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა დიდი ტურიზმი ილუზიიდან რეალობად აქცია, რამაც გამოიწვია დიდი ინტერესი საქართველოს ტურისტული ბაზრის მიმართ სასტუმროების ისეთი ცნობილი და მძლავრი ტრანსნაციონალური კორპორაციების მხრიდან, როგორებიცაა „რედისონ-სასი“, „ჰიატი“, „ჰილტონი“ და სხვა.

ჯერჯერობით კი სასტუმრო მომსახურების მაღალი ხარისხი და სრული ნომინკლატურა უზრუნველყოფილია მხოლოდ თბილისში განლაგებულ იმ სასტუმროებში, რომელთა მართვაში მონაწილეობენ ცნობილი საერთაშორისო კომპანიები „შერატონი“ და „მარიოტი“.

ტურიზმის განვითარებისათვის გადადგმული პრაქტიკული ნაბიჯები და უახლოესი პერსპექტივები მოითხოვენ საქართველოს ტურისტული პროდუქტის ხარისხის მკვეთრ გაუმჯობესებას, რაც შეუძლებელია სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასების კონცეფციისა და სისტემის შეცვლის გარეშე.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პირობებში, როდესაც საქართველოს სასტუმრო მეურნეობა სტიქიურად ყალიბდებოდა, ხოლო ქვეყანა დეპრესიული ტურიზმის რევიონებს მიეკუთვნებოდა, მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის საშუალებად მიჩნეული იყო სტანდარტიზაციის საბჭოური მოდელი – სახელმწიფოს მიერ მკაცრად განსაზღვრული მოთხოვნები დაწესებული ნორმატიული დოკუმენტების (ე.წ. გოსტების) მეშვეობით.

საქართველოში სასტუმრო მომსახურების ხარისხის შეფასების საშუალებას წარმოადგენდა სახელმწიფო სტანდარტი სსტ 12-96 „ტურისტულ-საექსკურსიო მომსახურება სასტუმროთა კლასიფიკაცია“. იგი ძალაშია 1997 წლიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, დღემდე უცნობია დარგში დასაქმებულთა ფართო წრისათვის.

აღსანიშნავია, რომ სასტუმრო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის არ არსებობს ნდობა ამ სტანდარტის მიმართ, ისინი არ იყვნენ დარწმუნებულნი იმ ორგანოების კომპეტენტურობაში რომლებაც ატარებდნენ სასტუმროების სერტიფიკაციას.

ამასთან, აღნიშნული სტანდარტი აშკარად უკვე მოძველებულია და ვეღარ ასრულებს კონკურენტუნარიანობის

სტიმულატორის როლს. მისი მოთხოვნები უცვლელადაა გადმოტანილი რუსეთის შესაბამისი სტანდარტიდან ГОСТ Р 50645-94, რომელიც შემუშავებულია 1994 წელს, რაც ჩვენი ეროვნული სტანდარტის კიდევ ერთ არსებით ნაკლად მიგვაჩნია.

ამიტომ დარგისათვის ძალზე აქტუალურია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების საერთო შეთანხმება, რომლის შედეგად საქართველომ უნდა შეცვალოს ძველი საბჭოური სტანდარტები – ე.წ. „გოსტები“.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის პირობებში, ვინაიდან საქართველოს სასტუმრო მეურნეობის კერძო სექტორი ჯერ კიდევ ყალიბდება სტიქიურად, არსებული ნორმებისა და მოთხოვნების, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინების გარეშე.

ჩვენს წინაშე მწვავედ დგას არა სასტუმროთა პროექტირებისა და მშენებლობის, არამედ სასტუმრო პროდუქტის პროექტირების პრობლემა, რაც პირველ რიგში მჭიდროდაა დაკავშირებული მომსახურების ხარისხთან, სასტუმრო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებთან, სტანდარტიზაციასთან.

ამჟამად მოწინავე ქვეყნებში სტანდარტიზაციის პოლიტიკას ახასიათებს ლიბერალიზაციის პროცესი, სტანდარტების შემუშავება კომერციული, საზოგადოებრივი, სამეცნიერო ორგანიზაციების მიერ. მრავალი ცივილიზებული ქვეყნის დარგობრივი გაერთიანებები, ასოციაციები იბრძვიან კორპორაციული ნორმატიული დოკუმენტების შექმნისათვის უპირველეს ყოვლისა გამძაფრებულ კონკურენციაში გამარჯვების მიზნით.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში არ არსებობს სასტუმროების კლასიფიკაციის სამთავრობო ორგანიზაციების მიერ დამტკიცებული ოფიციალური სისტემა. უმადლეს სტატუსს სასტუმროებს ანიჭებს ორი ასოციაცია – მერიცან უტომობილე სსოციატიონ ( ) და ობილუ თრაველ უიდუ. აღსანიშნავია, რომ ამისათვის ისინი იყენებენ სპეციალურ რეიტინგულ სისტემას.

ანალოგიური პრაქტიკაა დიდ ბრიტანეთსა და შვეიცარიაში. ამ მხრივ საყურადღებოა ჩვენი მეზობელი ქვეყნების მაგალითიც. ბოლო დრომდე რუსეთის „სახსტანდარტი“ დამოუკიდებლად იღებდა გადაწყვეტილებას სასტუმროებისათვის „ხარისხის ვარსკვლავების“ მინიჭების შესახებ. ამჟამად აღნიშნული პრობლემით დაკავებულია რუსეთის ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტურიზმის დეპარტამენტი – ფედერალური სტრუქტურა, რომელიც პასუხისმგებელია აგრეთვე სასტუმრო მომსახურების ტექნიკურ დონესა და განვითარებაზე.



აღნიშნული ფუნქციისა და საერთაშორისო სტანდარტიზაციის დარგში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით სავსებით კანონზომიერია, რომ რუსეთში სასტუმრო მომსახურების ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის სისტემა შექმნილია სწორედ ტურიზმის დეპარტამენტის მიერ.

საქართველოს გარადამავალი პერიოდის ეკონომიკის, სტანდარტიზაციის ეროვნული სისტემის რეფორმირებისა და ტურიზმის განვითარების რეალური საფუძვლების პირობებში აუცილებლად მიგვაჩნია საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება სასტუმრო მომსახურების შესაბამისობის შეფასების ოპტიმალური **დარგობრივი სისტემის** შექმნის მიზნით.

ასეთი სისტემის მოდელი შემუშავებულია ჩვენს მიერ. სასტუმრო მომსახურების ხარისხის ნებაყოფლობითი რეიტინგული თვითშეფასების ტესტის შედგენისას გამოყენებულია: საერთაშორისო ნორმები და პრაქტიკა; მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის რეკომენდაციები; ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიასა და ზოგიერთი სხვა ქვეყნებში, ტრანსნაციონალურ კორპორაციებში მიღებული სასტუმრო მომსახურების შეფასების კრიტერიუმები; ჰელაპის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მეთოდები; ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული კვლევის შედეგები სასტუმრო მომსახურების ხარისხის მართვის დარგში, კერძოდ ხარისხის შეფასების კვალიმეტრული პარამეტრები, სასტუმროს პერსონალის პროფესიონალიზმის ობიექტური შეფასების მეთოდი.

ტესტში გამოყენებული კრიტერიუმები და პარამეტრები ადაპტირებულია საქართველოს პირობებთან, რაც მომსახურების დონის შეფასების რეიტინგული (ე.წ. ბალებიანი) სისტემის გამოყენებისას იძლევა მაქსიმალურად ობიექტური სურათის მიღების შესაძლებლობას.

ჩვენს მიერ შემუშავებული სისტემა არ წარმოადგენს სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის სისტემის ალტერნატივას. არსებითად ეს არის სასტუმრო მომსახურების თვითშეფასების პარალელური დარგობრივი (კორპორაციული) ნებაყოფლობითი სისტემა.

აღსანიშნავია, რომ შესაბამისობის შეფასების სახელმწიფო სისტემის შესაძლო ჩამოყალიბების შემთხვევაშიც, ამ უკანასკნელისა და ნებაყოფლობითი დარგობრივი სისტემების ერთგვარი პარალელიზმი პრაქტიკულად არ შექმნის არავითარ პრობლემას. ამგვარი მეთოდი არა მარტო აპრობირებულია, არამედ უკვე მრავალი წელია წარმატებით გამოიყენება ზოგიერთი ქვეყნებში. მაგალითად, აშშ-ში ფუნქციონირებს სტანდარტიზაციის ორი პარალელური სისტემა – სახელმწიფო და დამოუკიდებელი (ნებაყოფლობითი), ამ უკანასკნელის უდავო უპირატესობით

(იგულისხმება 600-მდე ორგანიზაცია, რომლებიც შემოშავებენ სტანდარტებს).

სასტუმრო მომსახურების ხარისხის ნებაყოფლობითი თვითშეფასების წესის, ნორმებისა და მახასიათებლების ჩვენს მიერ შემოშავებული ერთობლიობა მიეკუთვნება ამერიკული კლასიფიკაციით განსაზღვრულ ე.წ. „დე-ფაქტო სტანდარტებს“. ეს არის სპეციალური ან დროებითი სტანდარტები, რომლებიც განკუთვნილია ბაზრის უფრო ვიწრო სეგმენტებისათვის, ვიდრე ტრადიციული სტანდარტები.

სასტუმრო მომსახურების ხარისხის ამადლებს ნებისმიერ დონისძიებას წინ უნდა უსწრებდეს ტურისტთა განთავსების საწარმოს განვითარების მიღწეული დონის ანალიზი. ასეთივე შეფასება აუცილებელია მაშინ, როდესაც საჭიროა ორი ან რამდენიმე სასტუმროს შედარება.

ამისათვის ბოლო პერიოდში ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხარისხის დარგში საერთაშორისო და ეროვნული პრემიების მინიჭების პროცესში ხშირად გამოიყენება თვითშეფასების მეთოდი, რომელიც იძლევა საგნებით ობიექტურ მონაცემებს. მაგალითად, შედეგთში კონკურსში ხარისხის დარგში ეროვნული პრემიის მოსაპოვებლად ყოველწლიურად 30-მდე ორგანიზაცია მონაწილეობს. თვითშეფასების რეკომენდაციების ბროშურების ტირაჟი 15-20 ათას ეგზემპლარს შეადგენს. ამერიკის შეერთებულ შტატებში განაცხადს მალკოლმ ბოლბრიჯის პრემიის მოსაპოვებლად (აშშ-ს ეროვნული პრემია ხარისხის დარგში) კონკურსში მონაწილეობაზე 100-მდე კომპანია წარადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში ყოველწლიურად თვითშეფასების ჩატარების 200 ათას ეგზემპლარზე მეტი ბროშურა-სახელმძღვანელო იყიდება.

თვითშეფასება არის საწარმოს მიერ საკუთარი საქმიანობის შეფასების ეფექტიანი მეთოდი. იგი მოიცავს საქმიანობის თითქმის ყველა ასპექტს, წარმოადგენს თვითდიაგნოსტიკის კარგ საშუალებას, რომელიც გამოიყენება მდგომარეობის აღწერისათვის და იმის განსაზღვრისათვის, თუ რამდენად შეესაბამება საწარმო თავის დანიშნულებას.

ხარისხის მართვის ევროპული ფონდი განსაზღვრავს აღნიშნულ პროცესს, როგორც შედეგების ყოვლისმომცველ, რეგულარულ ანალიზს, ორგანიზაციების სისტემსტურ ძალისხმევას მათი საქმიანობის სრულყოფის მიზნით.

ვფიქრობთ, რომ ეს მეთოდი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენს ქვეყანაში დარგის დაჩქარებული განვითარების პროცესში.

**Konstantine Abuladze**

**Georgia in expect for the great tourism**

### **SUMMARY**

Hospitality is viewed as historical importance. Especially as the foundation of civilization development realms. Such as trade and diplomacy.

Ancient eastern and antique period manuscripts describe the specifications of the ancient inns.(acommodation, hotel)

It's mentioned that tourism by its modern meaning, (so called elite tourism)was developed in XIX century as the realm of industry and service. Also, its the fact that it is the source of national income and social welfare for many countries.

The article describes the development perspectives of this branch in Georgia. The delaying factors and the methods of getting over them, by relying the edge of development of such countries.

**Константин Абуладзе**

**Грузия в ожидании большого туризма**

### **РЕЗЮМЕ**

Гостеприимство рассматривается как историческая важность. Тем более, что основа царств развития цивилизации. Типа торговли и дипломатии.

Древний восточный и старинный период рукописи описывает спецификации древних гостиниц. (Acommodation, гостиница)

Упомянуто, что туризм его современным значением, (так называемый отборный туризм) был развит в XIX столетии как царство промышленности и обслуживания(службы). Также, его факт, что это является источником национального дохода и социального welfare для многих стран.

Статья(изделие) описывает перспективы развития этой отрасли(отделения) в Джорджии(Грузии). Задерживающиеся факторы и methods преобладания над ними, полагаясь край развития таких стран.

## თემურ კობალიანი

### რეფორმის წინაპირობა

მსოფლიოში გამეფებულ გლობალიზაციისა და ინტეგრაციულ პროცესებს, განვითარების სრულიად ახალ ფაზაში აყვავართ. საქართველოსათვის, ისე როგორც არასდროს, ევროპული ინტეგრაცია, ევროპული ეკონომიკური პოლიტიკა და სამართლებრივი სისტემა, ხდება ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლოტიკის ორიენტირი. საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას პროევროპულობა ახასიათებს. აქედან გამომდინარე, საჭიროა გატარდეს ეკონომიკური, სამართლებრივი, სახელმწიფო მართვის და სხვა სფეროების ძირეული რეფორმები, რაც კიდევ უფრო დაგვაახლოებს ევროკავშირთან.

სახელმწიფო მართვის სისტემის წარმატებულ რეფორმას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია საქართველოსათვის, რადგან მან უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი სახელმწიფოს განვითარების საქმეში. ეფექტურმა სისტემამ უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი და ორგანიზაციული მექანიზმები, რომელიც ჰარმონიზაციაში მოიყვანს საქართველოს ეკონომიკას განვითარებული, დემოკრატიული სახელმწიფოების საბაზრო ეკონომიკებთან. ბაზრის თვითრეგულაციის მექანიზმები იმუშავებს მაშინ, როდესაც დემოკრატიული ქვეყნის ეფექტური სახელმწიფო მმართველობა და საკანონმდებლო ბაზა უზრუნველყოფს ბაზრის ფუნქციონირების პირობებს.<sup>1</sup> ევროკავშირი აწესებს ნათელ კრიტერიუმებს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მის წევრობაზე. ერთ-

### სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმა საქართველოში

ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნა არის სახელმწიფო მართვის სისტემის ევროპულ სტანდარტებთან გათანაბრება, რის გარეშეც წარმოუდგენელია „ევროპულ ოჯახში“ ინტეგრაცია.

<sup>1</sup> Kavran D., “Elements of Public administration Reform in Serbia”, Conference on The Simplification of Administrative Procedures, European Public Law Centre, Athens 2003.

სახელმწიფო მართვის რეფორმას უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან სჭირდება ძლიერი პოლიტიკური ნება. რეფორმების დაგეგმვა და დანერგვა უნდა მიენდოს კომპეტენტურ, უმთავრესად ახალგაზრდა, ენთუზიასტ ექსპერტებს და არა გაუთვითცნობიერებელ მოყვარულებს. ამასთან ერთად, მართვის სისტემის რეფორმა უნდა იყოს მეცნიერულად დასაბუთებული. მასში უნდა იქნეს გათვალისწინებული თანამედროვე მიდგომები, რომლებიც დღეისათვის არსებობს სახელმწიფო მართვის თეორიაში. მათგან აღსანიშნავია ახალი სახელმწიფო მენეჯმენტის (NPM) მიდგომა,<sup>2</sup> აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა სახელმწიფო მართვის სფეროს რეფორმირების თვალსაზრისით დაავროვეს კარგი გამოცდილება. ამ ქვეყნებიდან აღსანიშნავია ბალტიისპირეთის ქვეყნები, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, ბულგარეთი და სხვ. მათ მცირე ვადებში, ძალიან დიდ შედეგს მიაღწიეს. ამიტომ საქართველოსათვის მათი გამოცდილების გაზიარება ძალზედ მნიშვნელოვანია.

სახელმწიფო მართვის რეფორმის წარმატებულად განხორციელებისათვის აუცილებელია ძლიერი პოლიტიკური ნება, სახელისუფლო შტოების კოორდინირებული მოქმედება და ამ პროცესში აღმასრულებელი ხელისუფლების სწორი, მიზანმიმართული მოქმედება. რეფორმირების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, მასში ჩართული უნდა იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, ბიზნეს წრეები, კვლევითი ინსტიტუტები და ცენტრები, საერთაშორისო ექსპერტები და სხვა. მხოლოდ ასეთი მასშტაბური მონაწილეობით არის შესაძლებელი სწორი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც არის რეფორმის წარმატების წინაპირობა.

ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ბიუროკრატიული აპარატის შემცირებაზე, მის ოპტიმიზაციაზე, ადმინისტრაციული პროცედურების გამარტივებაზე, ევროპული სტანდარტების ადეკვატური კანონმდებლობის შემუშავებაზე, მმართველობის პროცესში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვაზე, კადრების გადამზადებაზე და სხვ. ახალი სისტემა მოითხოვს ახალ ცოდნას და უნარ-ჩვევებს, ამიტომ როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს, რეფორმის ჩატარება და ახალი ტიპის მმართველობის დანერგვა წარმატებულად რომ განხორციელდეს და მას

---

<sup>2</sup> David H. Rosenbloom, "Public Administration: Understanding Management, Politics and Law in The Public Sector", American University 1998.

რეალური შედეგი მოჰყვება, ამისათვის საჭიროა კვალიფიციური კადრები როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე.<sup>3</sup>

მაგრამ რეფორმა დამოკიდებულია გარკვეულ საშინაო და საგარეო ფაქტორებზე.

**საშინაო ფაქტორები:**

- პოლიტიკური სიტუაცია;
- ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ბაზა;
- დამახასიათებელი პოლიტიკური, ორგანიზაციული და მმართველობითი დისციპლინა;
- ეკონომიკური პოტენციალი და საჭიროებები;
- პერსონალის უნარი დანერგონ ცვლილებები;
- ადმინისტრაციული პროცედურები;
- წამყვანი პერსონალის მართვის კულტურა და მენეჯერული უნარ-ჩვევები;
- ეთიკის სტანდარტები და სოციალური ღირებულებები;

**გარე ფაქტორები:**

ევროპულ საკანონმდებლო სისტემასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჩვენი ქვეყნის ადმინისტრაციული რეფორმა უნდა წარიმართოს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობით ნაკისრი ვალდებულებები როგორებიცაა: გაერო, ევრო საბჭო, ეუთო და სხვ.
- განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო მართვის ორგანიზაციების საქმიანობასთან, მენეჯმენტის თავისებურებებთან დაახლოებისაკენ სწრაფვა;
- მზადყოფნა ახალი მმართველობითი მეთოდებისა და ფუნქციების გაცნობისა და დანერგვისათვის;
- ევროპის განვითარებადი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარება;
- ევროკავშირის ქვეყნებში არსებული სტანდარტებისა და დემოკრატიული

<sup>3</sup> Peter Ladegaard, "Administrative Simplification: Experiences and Trends in OECD Countries", Conference on The Simplification of Administrative Procedures, European Public Law Centre, Athens 2003.

პრინციპების გათავისება და იმ დირექტორებსზე ორიენტაცია;

**ელექტრონული მთავრობა – რეფორმის ხერხემალი;**

მსოფლიოში ინდუსტრიალიზაციის დასრულების შემდეგ, ვითარდება სრულიად ახალი ტიპის საზოგადოება, რომელსაც პოსტ-ინდუსტრიული ანუ ინფორმაციული საზოგადოება ეწოდება, სადაც დომინირებული ადგილი უჭირავს მომსახურების სფეროს და ახალი ტექნოლოგიების განვითარებას. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება კი ზრდის ახალ ტემპებს, ახალი ტიპის სამუშაო ადგილებს გვთავაზობს. ინფორმაციული ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების შექმნა კი არის ინფორმაციული საზოგადოების ყველაზე დიდი მონაპოვარი. იგი შესაძლებლობას იძლევა ძალიან მარტივად, წარმოდგენილად მაღალი სისწრაფით მოვიპოვოდ ინფორმაციის დიდი ნაკადები.<sup>4</sup> ინფორმაცია, ცოდნა კი ინფორმაციულ საზოგადოებაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი რესურსია.

ბოლო წლების განმავლობაში, განვითარებული სახელმწიფოები ცდილობენ შეიმუშაონ სტრატეგიული სამოქმედო გეგმა, სტრატეგიული პროგრამა, რათა მაქსიმალურად გამოიყენონ ინფორმაციული ტექნოლოგიები როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორის განვითარებისათვის. ინტერნეტის ახალი ერა კი უზარმაზარ შესაძლებლობებს გვთავაზობს.

ამ თვალსაზრისით არც საქართველო უნდა გახდეს გამონაკლისი და როგორც სხვა სახელმწიფოებში, აქაც უნდა დაიწყოს სწრაფი მზადება ახალი კანონზომიერი პროცესისათვის, რომელსაც გვთავაზობს ინფორმაციული საზოგადოება. თუ ჩვენ გვაქვს პრეტენზია გავხდეთ ცივილიზებული სამყაროს სრულყოფილებიანი ნაწილი, მოვახდინოთ ჩვენი ინტეგრაცია ევროგაერთიანებაში, საქართველოშიც უნდა დაიწყოს ეს პროცესი. აღნიშნული კი მოითხოვს უამრავ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს და ნაბიჯებს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში და, რაც მთავარია, თავად მოქალაქეებში. ეს პროცესი აყვანილ უნდა იქნეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგში და შედიოდეს სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებში. ქვემოთ ყურადღება უფრო გამახვილებული იქნება სახელმწიფოს როლზე და

<sup>4</sup> Government Centre of The Republic of Slovenia for Informatics, “The Strategy of E-Commerce in Public administration of The Republic of Slovenia for The Period from 2001 Untill 2004.” September 2004  
ასევე იხილეთ /www.sigov.si/

პირველ რიგში სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაზე (IT) და ელექტრონული მთავრობის, ელექტრონული მმართველობის დანერგვაზე (e-Governance). პირველ რიგში კი მთლიანად სახელმწიფო მართვის სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე.

ელექტრონული მთავრობა იქნება ერთ-ერთი მძლავრი იარაღი, რომელიც დაეხმარება ყველა სახის ეკონომიკას (იქნება ეს განვითარებული, განვითარებადი თუ გარდამავალი), რათა ისარგებლონ იმ სიკეთისაგან, რასაც გთავაზობს გლობალური ინფორმაციული საზოგადოება. ელექტრონული მთავრობის პირდაპირი ეფექტი იმაში გამოიხატება, რომ იზრდება ხელისუფლების საქმიანობის ეფექტიანობა.<sup>5</sup>

ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, ინფორმაციული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით ინტერნეტის, გამოყენება კომერციულ საქმიანობაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. გარკვეული სახის პროდუქციისა და მომსახურების დაკვეთა და მიღება შესაძლებელი გახდა ინტერნეტის მეშვეობით, რაც მნიშვნელოვნად ამაღლებს ბიზნეს სექტორის ეფექტიანობას. იმის გათვალისწინებით, რომ ბიზნესი ბაზარზე არის ორიენტირებული და ცდილობს, რაც შეიძლება უფრო მიმზიდველი გახდეს მომხმარებლისათვის, ხელისუფლებისაგან განსხვავებით უფრო მეტად არის მოტივირებული ინოვაციების დანერგვისათვის. აქედან გამომდინარე პირველად ვითარდება ელექტრონული კომერცია (e-commerce), ელექტრონული მთავრობა კი მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება.

მაგალითად, XIX-XX სს. მეცნიერული მენეჯმენტი პირველად კერძო საქტორში განვითარდა (აშშ, მოგვიანებით ევროპა). იმ პერიოდში ჩამოყალიბდა მენეჯმენტის ძირითადი პრინციპები, როგორებიცაა: სტრატეგიული დაგეგმვა, მოტივაციის თეორია, ორგანიზაციული თეორია, ადამიანური რესურსების მართვა და სხვ. მაშინაც ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერებმა და სახელმწიფო მართვის თეორიის ფუძემდებელმა, უდროუ უილსონმა ნაშრომში „ადმინისტრირების შესწავლა“, პირველმა განავითარა იდეა სახელმწიფო სექტორიც ბიზნესის მსგავსად მართულიყო და მასშიც დანერგილიყო მეცნიერული მენეჯმენტის პრინციპები.<sup>6</sup>

<sup>5</sup> Georg Aichholzer, Rupert Shmutzer, “Bringing Public Administration Closer to The Citizens”, Information Society Forum of The European Commission, WG:5 “Public Administration”, Vienna, 1998.

<sup>6</sup> Wilson Wodrow, “the Study of Administration”, Political Science Quarterly, 1941 pg.494 (originally published in 1887).



იგივე ხდება დღესაც, ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების აქტიურად გამოყენებამ და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, სამთავრობო სექტორის რეფორმირების აუცილებლობა განაპირობა, რასაც შედეგად ელექტრონული მთავრობის დანერგვა მოჰყვა.

ჯერ კიდევ 1971 წელს უილიამ კაპრონი წერდა: „2000 წლისათვის, სახელმწიფო პროგრამების ზრდისა და გართულების მიუხედავად, კომპიუტერის ტექნოლოგიური გაუმჯობესება, ხელმოწერების ელექტრონული გადაცემა და სხვა ინოვაციები, შესაძლებლობას მისცემს ფედერალურ ბიუროკრატის განახორციელონ საქმიანობა უფრო ეფექტურად და ეფექტიანად ვიდრე დღეს, ადამიანური ძალის ტოტალური ზრდის გარეშე.“<sup>7</sup>

ჯერ კიდევ 1951 წელს, მოსახლეობის აღწერის ბიურომ გამოიყენა კომპიუტერული პროგრამა მონაცემთა შენახვისა და მოძებნისათვის, აგრეთვე გამოთვლების განხორციელებისათვის.<sup>8</sup> რითაც მნიშვნელოვნად შემცირდა დრო, რომელიც საჭირო იყო ზუსტი ინფორმაციის მოძიებისათვის და დაიკლო მოთხოვნამ ინფორმაციის გადამუშავებისათვის საჭირო მრავალრიცხოვან მოხელეებზე.

კომპიუტერულმა ტექნიკამ და მართვის ავტომატიზაციამ გაზარდა ადმინისტრაციული პროცედურების ეფექტიანობა. ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდა ნაკლები რესურსების გამოყენებით, მაქსიმალური შედეგის მიღება, რაც მთლიანობაში ზრდიდა სახელმწიფო სექტორის მწარმოებლურობას.

ელექტრონული მთავრობა გულისხმობს სახელმწიფო მართვაში ინფორმაციული ტექნოლოგიების (ძირითადად ინტერნეტის) გამოყენებას მოქალაქეების, ბიზნესის და სხვა სამთავრობო დაწესებულებებისათვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.<sup>9</sup> იგი იძლევა შესაძლებლობას მოქალაქეებმა მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მოიპოვონ მათთვის სასურველი ინფორმაცია და მომსახურება კვირის ნებისმიერ დღეს, 24

<sup>7</sup> William M. Capron, “The executive branch in the year 2000”, in Harvey S. Perloff, ed., *The Future of The U.S Government: Toward the Year 2000*, New York: George Braziller 1971, pg.307.

<sup>8</sup> Shelly G.B., Cashman T.J. *Computer fundamentals for Information Age*, Brea, California 1984.

<sup>9</sup> Congressional Research Service, Washington 20 July 2004. იხილეთ [www.crs.com](http://www.crs.com)

საათის განმავლობაში. მკვლევარები მიიხნევენ, რომ ელექტრონული მთავრობის პირობებში, სამთავრობო მომსახურება გახდება უფრო მოსახერხებელი, საიმედო და იაფი. მაგალითად, გარტნერის ჯგუფი e-მთავრობას შემდეგნაირად ახასიათებს: „ეს არის სამთავრობო მომსახურების უწყვეტი ოპტიმიზაცია, მოქალაქეთა მონაწილეობა, მართვა ტექნოლოგიების გამოყენებით შიდა და გარე ურთიერთობათა ტრანსფორმაციის მეშვეობით.“<sup>10</sup>

e-მთავრობა გულისხმობს არა მხოლოდ არსებული პროცედურების კომპიუტერიზაციას, არამედ მთლიანად პროცედურების შეცვლასა და გამარტივებას. მაგრამ იგი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და იძლევა შესაძლებლობების ფართო არეალს.

e-მთავრობა მიზნად ისახავს მოქალაქეებისა და ბიზნესისათვის უკეთესი მომსახურების შეთავაზებას და ინფორმაციული რესურსების ეფექტურ მართვას. იგი დაეფუძნება e-ბიზნესის ფუნქციონირების პრინციპებს, რომელიც საკმაოდ კარგად არის განვითარებული. ელექტრონულ მთავრობას გააჩნია ოთხი ძირითადი პრინციპი. ესენია:

- სახელისუფლო მომსახურების ჩამოყალიბება მოქალაქეთა და ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
- ხელისუფლების და მისი მომსახურების ხელმისაწვდომობის ამაღლება;
- საზოგადოების ჩართულობა;
- ინფორმაციის უკეთესად გამოყენება.<sup>11</sup>

#### **ელექტრონული მთავრობის სექტორები**

მართალია ელექტრონული მთავრობა საქმიანობის ფართო დიაპაზონს მოიცავს, მაგრამ შესაძლებელია სამი მკვეთრად განსხვავებული სექტორის გამოყოფა. ეს სექტორებია: მთავრობა – მთავრობისათვის (G2G); მთავრობა – ბიზნესისათვის (G2B); მთავრობა – მოქალაქეებისათვის (G2C); ზოგიერთი მკვლევარი გამოყოფს მთავრობა – მოსახლეებისათვის (G2E), მაგრამ აღნიშნული ატარებს მხოლოდ

---

<sup>10</sup> Gartner Group, Key Issues in e-Government Strategy and Management, Research Notes, *Key Issues*, 23 May 2000

<sup>11</sup> Information for Development Program, “infoDev”, იხილეთ [www.infodev.org](http://www.infodev.org)

პირობით ხასიათს და როგორც წესი ეს კატეგორია მთავრობა – მთავრობისათვის (G2G) განეკუთვნება<sup>12</sup>

**G2G** – უმრავლეს შემთხვევაში გვევლინება ელექტრონული მთავრობის ხერხემლად. აღნიშნული კატეგორია გულისხმობს ხელისუფლების მონაცემთა ართიანი ბაზის შექმნას. ნებისმიერი სამთავრობო უწყება, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებიან ქსელით. მათ შორის ინფორმაციის გაცვლა იწარმოებს თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს, პირველ რიგში, შეამცირებს ადმინისტრაციული პროცედურების დროსა და ღირებულებას.


**G2B** – აღნიშნული მიზნად ისახავს ბიზნესსა და ხელისუფლებას შორის ურთიერთობის გამარტივებას და ჰარმონიზაციას. სახელმწიფო შესყიდვები, ხელისუფლების მიერ გარკვეული პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა გადაინაცვლებს ვირტუალურ რეჟიმში. ჩამოყალიბდება ვირტუალური აუქციონები სადაც განხორციელდება აღნიშნული პროცედურები. აგრეთვე გამოყენება გადასახადების გადახდის ელექტრონული მეთოდები და სხვა.<sup>13</sup>

**G2C** – ელექტრონული მთავრობის მესამე სექტორი არის მთავრობა – მოქალაქეებისათვის. ეს კატეგორია ხელს უწყობს მოქალაქეებისა და მთავრობის ურთიერთქმედებას. ამის გამო, ხშირად აღინიშნება, რომ ელექტრონული მთავრობა ძირითადად სწორედ ამისათვის არის მოწოდებული. ეს კატეგორიის მიზანია მოქალაქეებს გაუადვილოს, გაუიფოს და შეუმციროს დრო ისეთი პროცედურების განხორციელებისას, როგორებიცაა ლიცენზირება და სერტიფიცირება, გადასახადების გადახდა, დახმარებებისათვის მიმართვა და მათი მიღება და ა.შ. აგრეთვე უზრუნველყოფს მოქალაქეთა მიერ საჯარო ინფორმაციის მიღებას on-line რეჟიმში. ელექტრონული მთავრობის იდეის მხარდამჭერების თანახმად, ამ კატეგორიის დანერგვის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი არის ე.წ. „one-stop shopping“-ის პრინციპის დანერგვა. ამ პრინციპის თანახმად იარსებებს ერთი ვებ გვერდი, სადაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი სახის ინფორმაციის მიღება, რაც თავიდან აარიდებს მოქალაქეებს დაუკავშირდნენ უწყებებს იმისდა

<sup>12</sup> The Transformative Potential of E-Government in Transitional Democracies, იხილეთ [www.crs.gov](http://www.crs.gov).

<sup>13</sup> Robert D. Atkinson and Jacob Ulevich, Digital Government, Progressiv Policy Institute, march 2000 pg.56

მიხედვით, თუ რა სახის ინფორმაცია აინტერესებთ.<sup>14</sup> ელექტრონული მთავრობა აგრეთვე სპობს დროის და გეოგრაფიულ ბარიერებს, შესაძლებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა და ხელისუფლებასთან ურთიერთქმედება მიუხედავად დროისა და ადგილმდებარეობისა.



ელექტრონული მთავრობის მოტივაციური ფაქტორები:

- ეფექტიანობა;<sup>15</sup>
- ახალი, გაუმჯობესებული მომსახურება;
- მოქალაქეთა მოთხოვნა<sup>16</sup>.
- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობისა და გამჭვირვალობის გაზრდა;<sup>17</sup>
- ეკონომიკური განვითარება.

ევროკომისიამ ასევე განსაზღვრა ელექტრონული მთავრობის ინდიკატორები, ეს ინდიკატორები მოიცავენ ელექტრონული მომსახურების სახეობებს, რომლებიც მოქალაქეებსა და ბიზნეს უნდა ემსახურებოდეს On-line რეჟიმში.<sup>18</sup>

სამთავრობო მომსახურების სფერო მოიცავს ძალიან ფართო სპექტრს მომსახურებებისა. საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების კვალობაზე, ფართოვდება

<sup>14</sup> Heeks, Richard, Reinventing Government in the Information Age, 1999 London. pg. 37  
<sup>15</sup> Jeff Breen, "At the Dawn of E-Governemnt: The Citizen as Customer", Government Finance Review, 1 October 2000, p. 15.  
<sup>16</sup> John P. Mello, Jr., "Building Better Bureaucracy," იხილეთ [www.cfo.com](http://www.cfo.com) 1 october 2000.  
<sup>17</sup> "A Survey of Government and the Internet, Digital Democracy", The Economist, 24 june 2000 p.31.  
<sup>18</sup> European Commission's Information Society Technologies, "Prisma", იხილეთ [www.prisma-eu.org](http://www.prisma-eu.org)

სახელისუფლო მომსახურების სფეროც. საჭირო ხდება ახალი სატრუქტურული ერთეულების შექმნა, რათა დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მოთხოვნები. ელექტრონული მთავრობის ფუნქციონირების პირობებში, თუ წარმოვიდგენთ სამთავრობო მომსახურებათა ოდენობასა და ხასიათს, აღნიშნული მომსახურების პოტენციური მიმღებებისათვის ძნელდება მომსახურების მიღება. მოქალაქეები, ბიზნესი და სხვა მომხმარებლები მთავრობას მიმართავენ ისეთი სერვისის მიღებისათვის, როგორცაა პირადობის მოწმობის მიღება, გადასახადების გადახდა, საჯარო შესყიდვები, ლიცენზიები და ა.შ. იმის გათვალისწინებით, რომ რთულია ზუსტად განსაზღვროთ ის სახელისუფლო დაწესებულება, სადაც შესაძლებელია სასურველი ინფორმაციისა და მომსახურების მიღება, იქმნება ერთიანი სახელისუფლო პორტალები, ანუ შესასვლელები. სადაც მომხმარებელი შედის და აღნიშნული პორტალის დახმარებით განსაზღვრავს სასურველ სამთავრობო დაწესებულებას და უკავშირდება მას.<sup>19</sup>

პორტალები, როგორც მარტივად შესასვლელი სამთავრობო „ფანჯარა“, წარმოადგენს ელექტრონული მთავრობის ერთიანი სტრატეგიის მნიშვნელოვან ნაწილს. აღნიშნული სისტემები ფუნქციონირებს დიდ ბრიტანეთში,<sup>20</sup> აშშ-ში,<sup>21</sup> კანადაში<sup>22</sup> და ა.შ. პორტალებისათვის იქმნება ერთიანი სისტემა (Gateway), რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ყველა სახელისუფლო დაწესებულებას. მხოლოდ ასეთი სისტემის მეშვეობით არის შესაძლებელი ერთიანი სამთავრობო შესასვლელის (ფანჯრის) შექმნა. მსოფლიო

---

<sup>19</sup> Government Centre of The Republic of Slovenia for Informatics, “The Strategy of E-Commerce in Public administration of The Republic of Slovenia for The Period from 2001 Untill 2004.” September 2004

[/www.sigov.si/](http://www.sigov.si/) იხილეთ

<sup>20</sup> იხილეთ [UK Online](#), გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო პორტალი

<sup>21</sup> იხილეთ [FirstGov](#) არის ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის საინფორმაციო პორტალი .

<sup>22</sup> .<sup>22</sup> European Commission's Information Society Technologies, “Prisma”, იხილეთ [www.prisma-eu.org](http://www.prisma-eu.org)

<sup>22</sup> Government Centre of The Republic of Slovenia for Informatics, “The Strategy of E-Commerce in Public administration of The Republic of Slovenia for The Period from 2001 Untill 2004.” September 2004

[/www.sigov.si/](http://www.sigov.si/) იხილეთ

<sup>22</sup> იხილეთ [UK Online](#), გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო პორტალი

<sup>22</sup> იხილეთ [FirstGov](#) არის ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის საინფორმაციო პორტალი .

[Service Canada](#) provides access to government information and services over the counter, by phone or through the Internet portal, the Canada Site Portal.

ბანკი, რგანიზაცია InfoDev-ი, გაეროს განვითარების პროგრამა აფინანსებენ განვითარებად ქვეყნებში ერთიანი სამთავრობო ქსელის, სისტემის შექმნას (Gateway).

### საინფორმაციო პორტალები

პირველი ტიპის პორტალებს განეკუთვნება საინფორმაციო პორტალები. სახელმწიფო მართვაში არსებობს მთელი რიგი ადმინისტრაციული რეგისტრები და მონაცემთა ბაზები, რომლებიც გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცედურებში. ამიტომ აუცილებელია ამ ინფორმაციის შეკავშირება და მათზე მარტივი ხერხებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.<sup>23</sup> საინფორმაციო პორტალები ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო სექტორში მომუშავე პირებისათვის, მოქალაქეებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისათვის, რომელთაც კანონით ექნებათ მინიჭებული ეს უფლება. მაგრამ აღნიშნული პორტალების ფორმირებისათვის საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- ინფორმაციული პორტალების ფორმირებისათვის ერთიანი სტანდარტების დაწესება;
- სახელმწიფო მართვაში არსებული ყველა ადმინისტრაციული რეგისტრებისა და მონაცემთა ბაზების განსაზღვრა. ზოგადად საინფორმაციო პორტალებზე თავსდება შემდეგი სახის ინფორმაცია: *კანონმდებლობა; სტატისტიკური ინდექსები; მოსახლეობა; დასაქმება; პროცედურები; ოფიციალური პირები; გარემო პირობები და სხვა.*

### 3.3 სამომხმარებლო პორტალები

სამომხმარებლო პორტალები, საინფორმაციო პორტალებისაგან განსხვავებით, საშუალებას იძლევა მივიღოთ არა მხოლოდ ინფორმაცია, არამედ – გარკვეული მომსახურებაც. მაგრამ, როგორც წესი, უმჯობესია სამი ტიპის სამომხმარებლო პორტალების განვითარება. პირველი განკუთვნილი იქნება მოქალაქეებისათვის, მეორე – ბიზნესისათვის და მესამე – საჯარო მოსამსახურეებისათვის.<sup>24</sup>

<sup>23</sup> Government Centre of The Republic of Slovenia for Informatics, “The Strategy of E-Commerce in Public administration of The Republic of Slovenia for The Period from 2001 Untill 2004.” September 2004

ობიექტი /www.sigov.si/

<sup>24</sup> Green Paper On Public Sector Information In The Information Society, COM(98) 585final, 20. 1. 1999

მხოლოდ მსგავსი პორტალების შექმნით არის შესაძლებელი ევროპული “one-stop-shop”-ის პრინციპის დანერგვა. მაგრამ სამომხმარებლო და საინფორმაციო პორტალების დანერგვა შეუძლებელია არსებული ადმინისტრაციული პროცედურების პირობებში. ამიტომაც არის აუცილებელი, რომ ელექტრონული მთავრობის დანერგვასთან ერთად, უნდა განხორციელდეს სახელმწიფო მართვის ძირეული რეფორმა და მთლიანად შეიცვალოს ადმინისტრაციული პროცედურები. პორტალების მეშვეობით შესაძლებელი იქნება სამთავრობო მომსახურების ელექტრონული საშუალებებით მიღება. პირადობის მოწმობის აღება, სამშენებლო ნებართვები, ლიცენზირება, სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია და სხვა სახის მომსახურების მიღება, რომელიც დადგენილია ევროკომისიის მიერ, შესაძლებელი გახდება ნებისმიერ დროს, კვირის ნებისმიერ დღეს, ადგილმდებარეობის მიუხედავად.

### ლიტერატურა

1. Kavran D., “Elements of Public administration Reform in Serbia”, Conference on The Simplification of Administrative Procedures, European Public Law Centre, Athens 2003. pg.3.
2. David H. Rosenbloom, “Public Administration: Understanding Management, Politics and Law in The Public Sector”, American University 1998. pg 24.
3. Peter Ladegaard, “Administrative Simplification: Experiences and Trends in OECD Countries”, Conference on The Simplification of Administrative Procedures, European Public Law Centre, Athens 2003. pg. 7.
4. Government Centre of The Republic of Slovenia for Informatics, “The Strategy of E-Commerce in Public administration of The Republic of Slovenia for The Period from 2001 Until 2004.” September 2004 pg. 11. [ახედე იხილეთ /www.sigov.si/](http://www.sigov.si/)
5. Georg Aichholzer, Rupert Shmutzer, “Bringing Public Administration Closer to The Citizens”, Information Society Forum of The European Commission, WG:5 “Public Administration”, Vienna, 1998. pg.33.
6. Wilson Wodrow, “the Study of Administration”, Political Science Quarterly, 1941 pg.494 (originally published in 1887).
7. William M. Capron, “The executive branch in the year 2000”, in Harvey S. Perloff, ed., The Future of The U.S Government: Toward the Year 2000, New York: George Braziller 1971.pg.307.
8. Shelly G.B., Cashman T.J. Computer fundamentals for Information Age, Brea, California 1984. pg. 112.
9. Congressional Research Service, Washington 20 July 2004. იხილეთ [www.crs.com](http://www.crs.com)
10. Gartner Group, Key Issues in e-Government Strategy and Management, Research Notes, Key Issues, 23 May 2000. pg. 4.
11. Information for Development Program, “infoDev”, იხილეთ [www.infoddev.org](http://www.infoddev.org)

12. The Transformative Potential of E-Government in Transitional Democracies, იხილეთ [www.crs.gov](http://www.crs.gov).
13. The Transformative Potential of E-Government in Transitional Democracies, იხილეთ [www.crs.gov](http://www.crs.gov).
14. Jeff Breen, “At the Dawn of E-Governemnt: The Citizen as Customer”, Government Finance Review, 1 October 2000, p. 15.
15. John P. Mello, Jr.,”Building Better Bureaucracy,” იხილეთ [www.cfo.com](http://www.cfo.com) 1 october 2000. pg.44.
16. “A Survey of Government and the Internet, Digital Democracy”, The Economist, 24 june 2000 p.31.
17. European Commission's Information Society Technologies, “Prisma”, იხილეთ [www.prisma-eu.org](http://www.prisma-eu.org)
18. იხილეთ [UK Online](http://UK Online), გაერთიანებული სამეფოს სამთავრობო პორტალი
19. იხილეთ [FirstGov](http://FirstGov) არის ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური მთავრობის საინფორმაციო პორტალი .
20. [Service Canada](http://Service Canada) provides access to government information and services over the counter, by phone or through the Internet portal, the Canada Site Portal.
21. Green Paper On Public Sector Information In The Information Society, COM(98) 585 final, 20.1 .1999. pg 67.

## Temur Kopaliani

### The reforme of public polici system

#### SUMMARY

Nowadays, World economy is moving from predominant industrial society to a new, service providing, or information society. Together with the information society also the new economy is emerging, based upon high technology and offering great opportunities for growth, employment, and creation of welfare for everyone involved. Precisely the modern information and communication technology is the most important foundation of information society.

Georgia should take the gradual steps to transform the system of public administration. It is one of the most important issues to meet the challenges of contemporary world and become the plenipotentiary member of European family. E-government is backbone of the reform which will increase the efficiency and transparency of public operations and can play key role in facilitating access to public information and the delivery of public services. Citizen and business orientated system of public administration, simplified and virtualized administrative procedures which give opportunity to access public service and information 24 hours a day



and 7 days a week, decreased expenditures, increased transparency, economic development etc. are the basic motivators of e-government.

**Темур Копалиани**

## **Реформа системы государственного управления в Грузии**

### **РЕЗЮМЕ**

В настоящее время, Мировая экономика перемещается от преобладающего индустриального общества в новый, ориентированный на сферу услуг, или информационного общества. Вместе с обществом информации понятия также выражение новая экономика(экономия) появляется, основанной на высокую технологию и предлагает большие возможности для роста, занятости, и создания благосостояния для каждого вовлеченного. Точно современная информация и технология связи – наиболее важная основа информационного общества.

Джорджия(Грузия) должна брать постепенные шаги, чтобы преобразовать систему государственной службы. Это – одна из наиболее важных проблем(выпусков), чтобы встретить(выполнить) вызовы современного мира и станет полномочным членом Европейского семейства. Е – правительство – основа реформы, которая увеличит эффективность и прозрачность общественных действий и может играть главную роль в облегчении доступа к общественной информации и поставке коммунальных обслуживаний. Гражданин и бизнес ориентировали систему государственной службы, упрощенные и virtualized административные процедуры, которые дают возможность коммунальному обслуживанию доступа и информации 24 часа в день и 7 дней в неделю, уменьшенные расходы, увеличенная прозрачность, экономическое развитие и и т.д. – основной motivators e – правительства.



### ჯემალ ჯანაშია

საქართველოში არსებული ნარკოტიკული მდგომარეობა უმძიმესია უკანასკნელი რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში. ნარკოტიკული სიტუაციის ისტორიას შესწავლა გვიჩვენებს რომ მისი აფეთქება ჩვენს ქვეყანაში რამოდენიმეჯერ არის და- ფიქსირებული.

**პირველად** ამ მოვლენის მომსწრენი ვიყავით 80-იანი წლების ბოლოს, თუმცა იგი სპეციალისტთა და მეცნიერთა გარკვეული ჯგუფისათვის იყო მხოლოდ შესამჩნევი;

**ნარკოტიკული სიტუაციის მეორე შესამჩნევი აფეთქების მომსწრენი გახდით 1992-95 წლებში**, საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის და ეთნოკომფლიქტების ფონზე, როდესაც ამ ცნობილი მოვლენებისას ნარკოტიკები მეომართათვის საო-მარი ოპერაციების წინ მასტიმულირებელი საშუალება, ხოლო ბრძოლის შემდეგ დამამშვიდებელი საშუალება გახლდათ. სწორედ ამ პერიოდში საერთაშორისო მაფია აქტიურად ეძებს, შემდეგ აყალიბებს კიდევ, აზიიდან ევროპისაკენ უმოკლეს და უკონტროლო ნარკოტრასებს სამხრეთ კავკასიის გავლით. ევროპული და ამერიკული სპეცსამსახურები სწორედ ამ პერიოდში აფიქსირებენ ნარკოტიკების დიდი პარტიების მიწოდებას კავკასიური მარშრუტების გავლით;

**გავეცნოთ ერთ ასეთ შემთვევას: 1998 წლის 8 იანვარს სარფის საბაჟოზე თურქმა მებაჟეებმა ტურისტული ავტობუსის სამალაგიდან, რომელმაც თითქმის მთელი საქართველოს ტერიტორია გადასერა—ამოიღეს 486კგ და 976 გრ. ჰეროინი.**

1991 წლის ბოლოს მთელი დატვირთვით ამუშავდა ჰეროინის ლაბორატორია ჩენხეთში, კერძოდ შალიში, საიდანაც ნარკოტიკების არა ერთი პარტია ვერტმფრენებით, გადაიზიდა ევროპისაკენ და როგორც ევროპული სპეცსამსახურები აზუსტებენ მათი საბოლოო დასაწყობების ადგილი ფამაგუსტას პორტი იყო.(1)

**ცვლილებების და დამატებების შესახებ  
საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსში (2006 წლის 10 აპრილის  
მდგომარეობით)**

90-იანი წლების შუა პერიოდში სინთეტიკური ნარკოტიკები მზადდებოდა აზერბაიჯანის სუმგაითში (ქიმიური

მრეწველობის (ცენტრში), საიდანაც იგი ძირითადად დსთ-ს სივრცეში ვრცელდებოდა. მოკლედ სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება ნარკოტიკების კავკასიური მარშრუტები, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორი საქართველოს ტერიტორიაზე გადის, სადაც ჩამოყალიბდა და მოქმედებდა ნარკოტიკების ტრანზიტის და ასევე შიდა გაავრცელების შვილი მარშრუტი.

**ნარკოტიკული სიტუაციის მესამე აფეთქების მომსწრენი საქართველოში უკვე XXI საუკუნეში გაჩნდით**, როდესაც მისმა მოხმარებამ ჩვენი ქვეყნისათვის კრიტიკულ დონეს მიაღწია და თუ დავვერდნობით საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებს ყველაზე ოპტიმისტური გაანგარიშებით დღეს 200 ათასი ნარკომანი და ნარკოტიკების მომხმარებელი ცხოვრობს საქართველოში, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ამ ორ კატეგორიას შორის ზღვარი საკმაოდ პირობითია.(2)

ამჟამად მეცნიერთა და პრაქტიკოს მუშაკთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია, განვსაზღვროთ თუ როგორ ვებრძოლოთ ამ მრავალი მილიონი მოგების მომტან ნარკობიზნესს და რით შეიძლება ავსხნათ, რომ მიუხედავად მსოფლიოს ქვეყნების მიერ გაწეული კოლოსალური ხარჯებისა პრობლემის სიმწვავე არ კლებულობს? ახსნა ერთია, ნარკოტიკებით ვაჭრობას სხვა კრიმინალურ ქმედებებთან შედარებით უდიდესი მოგება მოაქვს. აი ნარკობიზნესის უმთავრესი თვისება: მინიმალური დანახარჯებით მაქსიმალური მოგების მიღება.

ზოგადად სპეციალისტებისათვის ცნობილია, რომ ნარკოტიკების ძირითადი ნედლეული მცენარეული სახისაა, მათგან უმთავრესია (ოპიუმი, პერონი, მორფინი). რომელთა ფასი მწარმოებელიდან მომხმარებლამდე 700-ჯერ იზრდება, ხოლო კოკაინის 2000-ჯერ, მაშინ, როდესაც ნავთობის და ბამბის მამრავლი მხოლოდ 40-ს უტოლდება. ცნობისათვის ნარკოშემცველი მცენარეების უკანონო პლანტაციები მსოფლიოში 200 000 ჰექტარზე ხარობს, რომელთაგან წელიწადში 4000 ტ ოპიუმი, 450 ტონა პერონი და 350 ტონა კოკაინი იწარმოება. უკანონო ბრუნვიდან კი წელიწადში საშუალოდ, მხოლოდ: 200 ტონა ოპიუმი და 20 ტონა კოკაინია ამოღებული. კიდევ ერთი ციფრი, მაშინ როდესაც მსოფლიო ეროვნული შემოსავალი წელიწადში 5 ტრილიონი დოლარია და აქედან 1 ტრილიონი დოლარი შავბიზნესს ეკუთვნის, თითქმის მისი ნახევარი ნარკობიზნესზე მოდის.-(3).

ცალკე თემაა ნარკოტიკებისა და გარე სინამდვილის კონფლიქტებს შორის ურთიერთკავშირი. ამის ნათელი მაგალითია კავკასიაში, ბალკანეთში, აზიაში და მსოფლიოს სხვა სივრცეებში მიმდინარე მოვლენები. მისი შესწავლა გვიჩვენებს, რომ იქ მიმდინარე კონფლიქტებს, სეპარატისტულ

მოდრობებს წინ უსწრებდა ან თან სდევდა ნარკოტიკული სიტუაციის გამწვავება. აქ მუდმივად მუშაობდა ფორმულა: (ნარკოტიკები – იარაღი)(4)

ასევე არ შეიძლება არ აღინიშნოს, ნარკოტიკების და ტერორიზმის ურთიერთკავშირი, რომელიც მრავალი ფაქტორითაა განპირობებული, რომელთაგან უმთავრესი ცვალებადი პოლიტიკური გარემოებებია. გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან, ნარკოტიკები მსოფლიო წესრიგისათვის მრავალასპექტიანი პრობლემა გახდა და მისმა ბოროტად გამოყენებამ და ტრანსპორტირებამ მრავალი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროზე მოახდინა გავლენა. სწორედ ამიტომ მსოფლიოს

ყველა ქვეყნისა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის ნარკოტიკების საკითხი უპირველესია მათი მუშაობის დღის წესრიგში, მშვიდობის განვითარების, გარემოს დაცვისა და სხვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხთა გვერდით. ასევე აუცილებელია ცალკე გამოიყოს ნარკოტიკების შიდა ეროვნული და რეგიონალურ პრობლემები. ვთვლით რომ ნარკოტიკების ბრძოლის მსოფლიო სისტემიდან თვითიზოლიაციამ და ზოგიერთ შემთხვევებში ნარკოტიკების პრობლემებისადმი არაადეკვატურმა მიდგომამ და იმ იდეოლოგიამ, რომ ნარკოტიკების მოხმარება და ტრანსპორტირება დამახასიათებელია მხოლოდ კაპიტალისტური სამყაროსათვის, მოგვცა ის შედეგი, რომ ჩვენი სამართალდამცავი ორგანოები, ჯანდაცვის სფერო, ფინანსური წრეები, მოუმზადებელი აღმოჩნდნენ ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეს თითქმის თავიდან გვიწევს ამ სისტემების მოწყობა და ფუნქციონირება, რაც საკმაოდ მძიმე, შრომატევადი და ფინანსური თვალსაზრისით ძვირი პროცესია.(5).

სამწუხაროდ არც შეცდომებია იშვიათი, როდესაც ექსპერტების და სპეციალისტთა აზრის გაუთვალისწინებლად ხდება ნარკოტიკებთან მებრძოლი სამსახურების ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, რაც ხშირად იწვევს სისტემათა დუბლირებას და პარალელიზმს, ეს კი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენისათვის შეზღუდული რესურსების მქონე ქვეყნისათვის. თუ გავანალიზებთ სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაობას უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ხაზით დავინახავთ, რომ მას ახასიათებს მრავალი ახალი საინტერესო მომენტი, კერძოდ 2000-2005 წლის სტატისტიკური მონაცემებით, დამნაშავეთაგან ამოღებულია წინა წლებთან შედარებით მეტი ჰეროინი, ოპიუმი და სხვა მცენარეული სახის ნარკოტიკული საშუალებები მაგრამ მიუხედავად ამისა ნარკოტიკული სიტუაცია ქვეყანაში მუდმივად

მძიდება და ეხლა უკვე პრობლემად გვესახება სინთეტიკური სახის ნარკოტიკული საშუალება- – სუბოტექსი, რომელიც თავისი სიიფის და მოხმარებისათვის მოხერხებულობის გამო ქართველი ნარკომანების №1 ნარკოტიკია, მან პირდაპირ წაღვეა ქართული ნარკობაზარი და სულ ახალი და ახალი ადამიანთა ჯგუფები ჩააბა ამ უკანონო საქმიანობაში. ამ პრობლემის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ უკანონო ბიზნესში აქტიურად არიან ჩართული ქართული დიასპორის წარმომადგენლები ევროპის მრავალ ქვეყანაში, რომელნიც მუდმივი სამუშაოს ძიების გამო ადვილად და აქტიურად ერთვებიან ნარკოტიკების წრიულ კონტრაბანდულ ქსელებში. საერთოდ აღიარებულია, როდესაც კონფლიქტები უსასრულოდ იჭიმება, დიასპორის წევრები და ლტოლვილთა ჯგუფები მრავალნაირ კომერციაში ერთვებიან, მათ შორის უკანონოშიც და საქმე, რომელიც დასაწყისში ელემენტარულად თავის რჩენის წყაროს წარმოადგენდა, მოკლე ხანში დასაბამს აძლევს სერიოზულ სავაჭრო ქსელებს. ასე იქმნება დანაშაულებრივი კავშირები დიასპორასა და კონტრაბანდულ ქსელებს შორის და ახლა ეს უკანასკნელნი თავიანთი უბედურებიდან მოგებასაც კი ნახულობენ, ხოლო უკანონო ბიზნესი თანდათან ძალას იკრებს.

მოკლედ დღეს პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად იმაზე მუშაობენ, რომ შექმნან ისეთი სისტემები, რომელიც შეებრძოლება ნარკოტიკების შეღწევას აზიიდან ევროპულ სივრცეში, ხოლო ეხლა თვით ჩვენ გვიწევს თავის დაცვა ჭარბი ევროპული ნარკოტიკებისაგან და რაც დრო გავა ეს პრიბლემა უფრო და უფრო გამწვავდება.

ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს საბაჟო სამსახურის ეფექტურ საქმიანობას ნარკოტიკების უკანონო ტრანზიტისა და ქვეყანაში შემოტანის წინააღმდეგ ბრძოლაში. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ საბაჟო გამშვები პუნქტების სწორი ფუნქციონირებისას ქვეყანაში უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების ნახევარზე მეტი მათზე მოდის, საქართველოში კი საბაჟო სისტემაში საერთოდ არ არსებობს ნარკოტიკებთან ბრძოლის სამსახური, ხოლო თანამშრომელთა უმეტეს ნაწილს ნარკოტიკების გარკვეულ სახეობებზე წარმოდგენაც არა აქვს.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც ამ პრობლემას თანსდევს ეს არის ნარკობიზნესის პირამიდის პრობლემა. იშვიათია შემთხვევა, როდესაც სპეცსამსახურები ნარკოტიკების უკანონო ტრანსპორტირების ოპერაციების რთული ჯაჭვის ყველა მონაწილეს ააშკარავენ, განსაკუთრებით მის სათავეს, ნარკოტიკებთან მებრძოლი

სამსახურები, როგორც წესი ნარკოპირამიდის ძირში ფუხფუხებენ. ნარკომაფიის რთული და მრავალწახნაგოვანი ბუნება შესანიშნავად შეაფასა ჩვენმა იტალიელმა კოლეგამ: ”ნარკოტიკების კონტრაბანდული ორგანიზაცია სპაგეტის თევზს ჰგავს; თითქოს თითოეული ერთმანეთს ეხება, მაგრამ არ ხარ დარწმუნებული, სადამდის წაგიყვანს იგი. ზოგჯერ დავიჭერთ ვიდაცას, რომელიც ჩვენი რწმენით მნიშვნელოვანია დაჭერის მომენტამდე, მაგრამ ხელში ჩაგდებასთანავე ის პაწაწინა თაღლითად იქცევა ხოლმე და მის ადგილზე ვიდაც უფრო მნიშვნელოვანი ჩნდება”.



**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა:** ძველი ბერძნები ამბობდნენ “ბრძენი კანონმდებელი დამნაშავეის დასჯის ნაცვლად ეცდება თავიდან აიცილოს დანაშაული” ე.ი. თანამედროვე გაგებით საუბარია დანაშაულის პრევენციაზე. ამ თემაზე მსჯელობა აუცილებელი იმ ფონზე, როდესაც პრესაში და ტელევიზიაში არაერთხელ გაჟღერდა ინფორმაცია ნარკოტიკების გარკვეული სახეობების არამკურნებლობის შესახებ და რომ შესაძლებელია მისი ნაწილობრივი ლეგალიზაცია კი.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობისათვის სწორი ორიენტირების განსაზღვრა, კერძოდ უნდა ვიცოდეთ, რომ თეორიულად ცნობილია ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის არასრულწლოვანებიც კანონმორჩილნი არიან, ე.ი. კანონის

ნორმების მოთხოვნებიდან გამომდინარე თავს იკავებენ ნარკოტიკების მოხმარებისაგან, გარკვეული სახის ნარკოტიკების (მაგალითად მარიხუანას) ლეგალიზება ან კანონის ნორმების ნაწილობრივი ლიბერალიზაცია ბევრ ახალგაზრდას მათი მოხმარებისაკენ უბიძგებს, რასაც ისინი სხვა დროს არ გააკეთებდნენ, ამას მოყვება ის, რომ მკვეთრად გაიზრდება ნარკოტიკებთან არაკანონიერ შეხებაში მყოფი ახალგაზრდების მათ შორის არასრულწლოვანების რიცხვი. ამიტომ ჩვენის აზრით და ამ აზრს იზიარებს ბევრი მეცნიერი და პრაქტიკოსი მუშაკი, გარდა სხვა შემდგომი ფაქტორებისა, ქვეყნის მოქალაქეებმა ადრეული ასაკიდან უნდა იცოდნენ, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების არასამედიცინო დანიშნულებით მოხმარება კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა. ცალკე მსჯელობას მოითხოვს მოსაზრება იმის შესახებ რომ თითქოს ნარკოტიკების ნაწილობრივი ლეგალიზება ხელს შეუწყობს ნარკომანიების გამოვლენას, მათ მოვლას და თვიდან აგვაცილებს კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს სამართალდამცავთა მხრიდან. (თუმცა ამ უკანასკნელ მოსაზრებაში გარკვეული ობიექტური ჭეშმარიტება არსებობს, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი).

გერარდინ განსაზღვრავს ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების მასშტაბებს მისი ნაწილობრივი ლეგალიზების შემთხვევაში ერთი რამ ცხადია, რასაც მეცნიერული გამოკვლევებიც ადასტურებს, რომ მარიხუანას ყოველი მეოთხე-მეხუთე მომხმარებელი მიიმე ნარკოტიკზე (ოპიუმი, ჰეროინი, კოკაინი) გადადის. უფრო მეტიც სწორედ მარიხუანა გახდა ქალთა ნარკომანიის მაპროვოცირებელი ფაქტორი, რისი დასტურიც დღეს საქართველოში არსებული სიტუაციაა.

როგორც საკმაო პრაქტიკული გამოცდილების სპეციალისტი, ამ დარგში მინდა დაგარწმუნოთ, რომ ლეგალიზება ნარკომიზაციას ახალ ბიძგს მისცემს, გაძლიერდება მისი მასშტაბები – დაიწყება კონკურენცია შიდა ბაზარზე, საგრძნობლად მოიმატებს ნარკოტიკების იმპორტი ქვეყნის ფარგლებს გარედან და რაც ჩვენი კლიმატური პირობების გათვალისწინებით ყველაზე უფრო საგანგაშოა, დაიწყება ნარკოტიკული ნივთიერებების შემცველი მცენარეების მასიური დათესვა და მოყვანა ე.ი. შეიქმნება ნარკოტიკების წარმოების შიდა ბაზარი, პრაქტიკაში განხორციელება ცნობილი მოსაზრება: – ნარკოტიკები+ლეგალიზება==ბაზარს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაიწყება მარიხუანას სხვა პროდუქტების მაგალითად ჰაშიშის ზეთის წარმოება, რო მედიც თავისი მოქმედების ეფექტით 30-40-ჯერ უფრო ძლიერია მარიხუანაზე.

ნარკოტიკების თემის განხილვისას აუცილებელია ყურადღების გამახვილება ნარკოტიკების საწინააღმდეგ პროპაგანდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ნარკოტიკების თემაზე საუბრისას უნდა ვიყოთ უაღრესად ფრთხილი, დაკვირვებულნი. ხმაურიანი განცხადებები კი ნარკომანიის ავადმყოფად და სოციალურ მოვლენად გამოცხადების შესახებ ყოველთვის არ არის დადებითი შედეგის მომტანი, ხოლო, რაც შეეხება ზოგიერთი პიროვნების გამონათქვამს, როგორ უხსნის მას ტვინის უჯრედებს შემოქმედებითი საქმიანობისას “მარისუანა” უაღრესად სახიფათოა. ეს მაგონებს გასული საუკუნის 30-იან წლებს, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში “მარისუანას” ე.წ. ბუმი იყო ელა ფიცჯერალდმა გამოუშვა ალბომი: “When I Get Low, I Get High”...”როცა დეპრესიაში ვარ, დავფრინავ”, რომელიც ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციამ უმაღლეს აკრძალა. ჩვენ კი ტრადიციულად სხვის შეც- დომებზე არაფერს ვსწავლობთ და თავიდან ვიშორებით მას. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტიპიურ კანონში არის ასეთი მუხლი “ნარკოტიკების გამოყენების საჯაროდ წახადისება”, იგი სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება და ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.(6)

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ამ თემაზე ამერიკის შეერთებული შტატების ნარკოტიკებთან ბრძოლის ადმინისტრაციის ცნობილი ექსპერტი ჯონ ჰეისლიბი. მისი განცხადებით “ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ნარკომანიის ეპიდემიისა არის მოწოდებები ნარკოტიკების და მისი მოხმარების ლეგალიზების შესახებ და როგორც მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს უმე ტეს სახელმწიფოთა ხელისუფალნი არაადეკვატური არიან ასეთი წამოწყებების მიმართ, რაც აშკარად ჩანს ნარკოტიკებთან ბრძოლის მსოფლიო ისტორიის შესწავლისას.”(6)

განვიხილოთ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თემა რომელიც **კანონმდებლობის სრულყოფას ეხება**. დღევანდელი საერთაშორისო თანამეგობრობის უმთავრესი ამოცანაა, სამართლის ნორმების, როგორც მოსახლეობის ნარკოტიკების მავნე ზემოქმედებისაგან დაცვის ძირითად ინსტრუმენტად აღიარება. სწორედ კანონმა უნდა უზრუნველყოს ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, მათი ანალოგების და პრეკურსორების უკანონო ბრუნვით გამოწვეულ კანონდარღვევებზე ადეკვატური და ეფექტური რეაგირება, განსაზღვროს მათ უკანონო ბრუნვასთან დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმედებებთა გამოვლენის და აღკვეთის, დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯის იურიდიული



საფუძვლები და ამ მიმართებით სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებამოსილებანი. ამ საკითხს იმიტომ ვეხებით, რომ ჩვენს კანონმდებლობაში ძალიან ბევრი ხარვეზია და მათი აღმოფხვრა სასწრაფოდ არის საჭირო.

შევეხები რამოდენიმე საკითხს.

**პირველი**—რამოდენიმე წელია საქართველოში გამოიკვეთა არასწორი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკა ნარკოტიკებისუკანონო ბრუნვის ხაზით. ყოველწლიურად იზრდება ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეთა რაოდენობა, რომელიც ალბათ მალე 2000-ს გადააჭარბებს(7) და უმთავრესი პრობლემა კი ის არის, რომ დაკავებულთა უმეტესი ნაწილი ნარკოტიკების საცალო მომხმარებლებია, რომელნიც მას პირადი მოხმარების მიზნით ინახავენ და საზოგადოებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ. პრობლემის ერთ-ერთი მიზეზი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლია, სადაც ერთად არის გაერთიანებული: “ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა და გასაღება. ჩვენი აზრით, ამ მუხლს უნდა გამოეოს ნარკოტიკებით ვაჭრობა და ის ცალკე მუხლად ჩამოყალიბდეს და ერთ-ერთი ძირითადი მაკვალიფიცირებელი ნიშანი უნდა იყოს უკანონო ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკების ოდენობები და ასევე ნარკოტიკების სახეობები მათი ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ხარისხის გათვალისწინებით. ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება. ამ მუხლშიც უნდა გაიმიჯნოს უკანონოდ მოხმარება დანაშაულის სხვა სახეებისაგან. აქვე ნათლად უნდა იყოს მოცემული რა შემთხვევებში თავისუფლდება პირი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან და მოცემული უნდა იყოს ამის რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტი.(-8) ჩვენ ქვემოთ გთავაზობთ ამ მუხლის ახალ ვარიანტს, რომელშიც გათვალისწინებულია ზემოთ მოცემული შენიშვნები.

**მუხლი 273.** (ახალი რედაქციით) ნარკოტიკული საშუალების ან ფსიქოტროპული ნივთიერების მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, სამხედრო ნაწილში, სასწავლებელში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ქუჩაში ან ადამიანთა მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილებში ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი

ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სასჯელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში ისჯება, ჯარიმით რვაასიდან ათას ლარამდე ან საზოგადოებრივ სასარგებლო გამასწორებელი სამუშაოებით ვადით სამ თვემდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, იგივე ქმედება ჩადენილი, განმეორებით ან ჯგუფურად (ორი ან მეტი პირის მიერ), ისჯება, თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

შენიშვნა: პირი, რომელიც ნებაყოფლობით მიმართავს სამედიცინო დაწესებულებას არასამედიცინო მიზნით ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარებასთან დაკავშირებით, მისთვის სამედიცინო დახმარების გასაწევად დეზინტოქსიკაციური კურსის გავლის შემდგომ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოს დასკვნის საფუძველზე თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის, აგრეთვე მოხმარებული ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შექენის, შენახვის, გადაზიდვის და გადაგზავნისათვის.

So from the mentality of “homo-soveticus” we have other Georgian paradox. For the most inhabitants of Georgia it wasn't very important to gain political independence. Everybody wanted independence on the level of declaration, but without doing anything, they wanted it to be done by others. This indifferent attitude of the population and the nihilism made possible the military overturn of 1991-92. “Only the history of wild and useless people goes on with murders” wrote Gertsen in 1866 because of the attack against the emperor Alexander the second<sup>31</sup> What can we say at the end of twentieth century? Georgia was watching these events as theatrical, bloody performance, but still performance, which had its actors, some sincerely, some hired. Otherwise the military overturn and overthrow of Gamsakurdia's government wouldn't be as easy as it happened (the responsibilities for these processes must be shared by the both sides). Homo-soveticus caused also robbing own country, the strange war in Abkhazia, 1993 civil war and so on...

### **3) *The system of State Governance in Independent Georgia***

The main braking resistance on the way of developing of the independent country was lack of knowledge how to rule, that itself is caused by the history of Georgia and partly Soviet inheritance. The experience of building independence state didn't exist in Georgia and as the result after gaining independence the system of public administration turned to be ineffective. The result that was non-perfect political institutions weak mechanism of the realization of state decisions tax policy, huge corruption and so on.

Besides, the sharpness of the problem was caused only because that the high officials did not pay attention to the scientific methods of public administration. The very important circumstance was also that for the officials, for beaucroatic apparatus (without having any experience of building independent state, except the rare exceptions) wasn't familiar state outlook, and as the result they treated their country as the occupants treat the occupied territories.

The especial expression of above-mentioned is for instance the credit machination, losing the values of deposits, selling the enterprises as the scrap-iron and so on. In all these processes the whole governmental elite took part. Under such circumstance even having the right strategic direction still it's impossible to achieve satisfactory success. For clear analogy we can use the sample of ruling the military unit. In spite of military qualification of general headquarters or talent of the military leader this or that army will be defeated if all the officers and soldiers don't have the same, equal military experience. And if military commanders don't have conformable

---

<sup>31</sup> The magazine “Kolokol” (The Bell,) 1866, London, 65-66, p.2. ( Russian)



abilities, then the situation will be catastrophic. Such army will not think about military tasks and the goal will be to rob and save them

That's why it mustn't be surprising that "good soil" (Soviet mentality) ignoring or not knowing the methods of public administration, non-state ideology of beurocracy existed in Georgia created the corruption environment, destroying the country. The corruption system formed in Georgia as the publicists note was represented by the dragon with nine heads that was swallowing Georgia (Later it will be known what scales of corruption we're having nowadays). That's why the word "bureaucrat" has negative meaning for us and generally for the states of the former "Soviet Union", when without qualified bureaucracy it's impossible to govern at all..

Does it mean that we'll achieve success only after hundred of years when we gain experience? Naturally that we can't change the country and its inhabitants, escaping from soviet inheritance won't be easy and outward factors will also influence for a long time...

Luckily nowadays it's possible to study and use experience of effective public administration, scientific methods (among them cybernetic conception<sup>32</sup>) the experience of other countries. Except the Baltic States in all states of post-soviet space was a dominated authoritative power. To evaluate the authoritative system is out of the subject of this letter, but we will notice that in transitional period in certain conditions may be this kind of regime is acceptable, that finally can take the country out of the chaos and dominate democratic government. The samples of that are enough in the world history (Spain, Taiwan, Chile).

In Georgia the events developed to different way. The motivation of overturn of Gamsaxurdia's government formally was connected with the necessity to escape the authoritative regime Gamsaxurdia's dictatorship. Factually Gamsaxurdia's not authoritative but weak government was overthrown and the decisive part in it had ignoring the theory of administration as in foreign also in internal policy. It is very pitiful but we have to say that the director of a state farm (sovkhoz) - Lukashenko later the president of Byelorussia had more political wisdom than intellectual dissident Zviad Gamxazurdia.

---

<sup>32</sup> G.Bagaturia. *How to manage the state* Newspaper "Sakartvelos respublika Georgian Republic, December" 10-11, 2004. (Georgian)

The collapsing of the country was fastened by the principle - to appoint on the positions of the officials not according the ability of political professionalism but with the sigh of honesty to the president. Long ago the Russian king - Tsar Nikolai the First defined this principle like this” I need not clever but obedient citizens” and even then in the 19-th century such attitude to the public administration was subject of laughing.

For example well-known in Georgia Russian General Ermolov wrote about personnel policy of the Tsar: *”To whom I could bow down it is the unforgettable king. It wasn’t possible for him to make mistake even once. But no - he always chose unfit person for the position”*<sup>33</sup>.

It’s almost well known truth that the personal loyalty in politics is a temporary phenomena and to rely on it creates the conditions of defeating of the country that was proved quite soon by the events in Georgia (the same was happened much earlier in Russia).

With the point of public administration the military coup d’etat had the disastrous results for Georgia because it destroyed the existed structures of public administration. It was clear there was no feeling of political responsibility because only hundreds of armed people could overthrow the government elected by the all population. The short-term governmental vacuum after this military overturn made doubtful the possibilities of public administration at all. And the country was dominated by the black powers.

Eduard Shevardnadze - having been invited to save the political statehood, had to implement democratic administration. In Georgia – in well-fit country to the soviet system it was possible theoretically but not practically. It was new paradox - the country was getting in chaos, the criminal world actively legalized its “rights” - not authoritative but even dictatorship was necessary...but there was no resource for it in the country.

The real military forces were not in the hands of political leader but they were owned by military structures of this time. The situation of duality made closer the war in Abkhazia that was catastrophe for Georgian statehood. In spite of the fact that it was the war in Abkhazia the rest part of Georgia as if didn’t feel it. . Instead of recognizing the military the situation the country was ruled in normal civil conditions. And it was absurd...The enemy could get military information from Georgian press.

---

<sup>33</sup> “*Russkaia Starina*” (*Russian Olden Time*), 1897, book. XII, p. 112. (*Russian*)

1992-93 years were catastrophic with the point of state governance that gave a lot of negative results for building the state of Georgia.

The country could achieve some success after civil war. In spite of losing the war it was possible to make some radical changes - of social-economic and political spheres. The basic to move to the marketing economics, had laid foundation, sharing the real power among three branches of government, local and governmental system that provided to form free civil sector and mass media. The new constitution was accepted according to the achievements of the world constitutionalism. And the new type of supreme and constitutional courts began to exist.

The international, economic function was formed” global, geo strategic-economic projects have been started. Domination of criminal groups was limited. It happened with support of president Shevardnadze and his non-stabile group. But still it wasn't enough later for forming the complete, perfect state.

In the middle period of the 90-th years there was formal democracy in the country: the branches of government are divided and independent from each other, the president is elected by the direct general, equal elections. The highness of the law is recognized; the freedom of word is unlimited. Mass media can gain and spread any kind of information, criticize any official.

Formally citizens of Georgia have equal and large political rights, but, it was clear that these rights weren't realized in the conditions of existed economic corruption and criminalized government (typical for the countries of transitive economy).

But especially important was the circumstance that the information spread by mass media or just the opinion of the population couldn't influence on the, executive power the link of feedback in the circle of governing didn't functionalize as in the administrative-authoritative systems. The population practically didn't take part in public administration. And as their demands were not taken into consideration they resisted, to be governed. The effectiveness of mechanism of coercive administration was disturbed because this structure like the part of population didn't agree with the demands of the state. The chaos was established in the country. The people even found Communist government to be better. Practically weak Soviet administrative-authoritative system was in force.

Analyzing the system of Soviet Union it's clear that one of the reasons of collapsing of the Soviet Union and, generally, Communist System was the authoritative administration. In this case the vertical of ruling is directed

strictly from the top to the bottom and is demanded to be implemented the orders only. Almost nobody on the governmental pyramid is interested in how well the orders were realized or if it is necessary to realize them, the main element of effective public administration feedback doesn't exist. The government is deaf in relations with the demands of the (society) and as a result not even former decisions (including harmful for the country) are controlled. As it was mentioned this kind of public administration may work in distinct circumstances if at the same time the other conditions of administrative system are carried out. First of all the mechanisms of political compulsion must work without interruption, the system of values (for authoritative country) must be maintained and protected and the economy must be partly based on the principles of the market principles and not in the power of the Communist Party's structures as it was legalized in Soviet Union.

So it isn't fortuitous that in this period you could hear to appear "Georgian Pinochet" who could dominate the strict order in the country.

At the beginning of building the state it didn't have much importance how democratic could be the government or public administration. On the contrary to rule effectively would be possible in the conditions of authoritative regime. But it was impossible in Georgia this time. The confrontation in the society was so huge big and the governmental apparatus was weak. So the attempts of president Shevardnadze to strengthen the structure of public administration were considered by the society as the attempts of usurpation the power. So public administration was in chaos...

After Georgia became little stronger, it became necessary to move to the normal schedule of life but as it turned out state institutes didn't functionalize in Georgia- and developing of the country has hampered.

So crisis of ruling of independent Georgia was expressed by the following: **Public administration was implemented with non-scientific methods.** On one hand with the constitution of Georgia democratic government was declared, but the main principles of democracy - feedback and the highness of the law - didn't act. We may say that even other principles like electivity for all the levels of government, the complete independence of court were realized as a rule but with the presence of feedback and highness of the law it would be easy to solve. On the second hand there was authoritative government but the main instrument of this system-the mechanism of compulsion didn't work. Authoritative system is effective only if the government is honest in relations with declared values and in case of disturbing the law it is very strict first of all for itself. Even during apogee

of autocracy of emperor- Nickolai the first and his successor the difference between the autocracy and despotism was explained” *autocrat can change the laws according to his own opinions but before changing or canceling them he has to obey these laws*<sup>34</sup> Even that’s why the administration of Stalin, Pinochet, Franco, Chan-kai-shi was effective.

We had the other situation in Georgia - the (various) laws were worked out the orders were given but neither laws nor orders were fulfilled. The struggle against corruption was also declared but corruption was growing, contrabands became frequent. The program to defeat the poverty was drowned out, but the people were still in extremely poor conditions. The solving the problems of Abkhazia and Southern Osetia had no perspective. . In the regions of Georgia there appeared the new types of feudal who didn’t care about central government.

We also have to notice that president was trying to make some reforms in the country. In his speeches and in the documents of ”the Union of Citizens” as well it was recognized that the executive power in Georgia can’t satisfy the demands that are necessary for the states having desire to become the members of the European Union. The system of administration has achieved the border of its possibilities and if we don’t make serious, radical changes on the way of structural reforming the destroying process will take place in the existed system of public administration, even paralyzing is expectable. It was planned to make faster the process of economy, to create new fiscal policy and budgetary. The shadow economy had to be decreased and the problem of legalizing had to be solved that was possible in case of effective administration and motivated apparatus of optimal administration. The cardinal reforming had to be begun in the state in the sphere of constitution, military forces, health care, social security, territorial problems, scientific and educational systems.

As may be seen the president Shevardnadze saw the problems and estimated the situation correctly but he couldn’t realize the existed situation well, because, as we know, the king is acted by the surrounding people. So everything remained unchangeable. The government couldn’t implement these programs and it seems it even didn’t plan to reform the country. The mechanism of public administration didn’t functionalize. By the way the absence of conformable team made to be failed a lot of plans of reforming in its time It’s enough to remember Vite’s, Stolipin’s, Gorbachev’s unrealized reforms because of hidden resistance of the beurocracy.

---

<sup>34</sup> *Diary of P.A.Valuev, Foreign Minister V.I, p.77. (Russian)*

Problems existed in Georgia were caused (and is connected) by the main mistake made in the process of public administration - ignoring of the main results of public administration proved scientifically and theoretically several times” the link of feedback acting without interruption determines the effectiveness of public administration, technical or economic systems as well. In spite of the recognized fact the officials have illusion that their orders will be fulfilled not depending on existence or absence of feedback. So it isn't necessary to take the role of feedback -the opinion of society into the consideration. One of these reasons is that the negative results of wrong decision don't appear soon. Public administration without feedback will be collapsed early or late, the political processes in Georgia proved that.

We have noted long ago in 2001<sup>35</sup>: Georgia will become as a virtual country, where everything is imaginative and not natural, false products will fill the market, only few pays taxes the most part is hiding from the country with bribe and theoretically they even try to substantiate their behavior. The large-scale corruption is dominated in the pension system, energetic, in administering of state wealth, in credit policy, customs and tax policy...” In spite of the fact that the whole society noticed that and demanded on active measures from the government, everything has remained practically unchanged because of the absence of the link of feedback. When the opinion of the people cannot reach to the government the society begins to laugh at the government (that is losing its authority). And without it it's almost impossible to talk about public administration. Even 2500 years ago Confutsi was writing “The country can yield everything: guns, food, but **if there is no trust to the leader this country won't be saved**”<sup>36</sup>.

Decreasing the trust to the leader of the state was strengthened by aggravation between the government and Georgian patriarchate. Strained relations with patriarchate in the conditions of increasing the authority of the church in the country where the most population is orthodox Christian, was the greatest mistake. In the same context we can discuss the more attention while choosing the historic attributes of Georgia: flag of David-Gorgasali and state emblem by the president Shevardnadze. The historic decision made by the parliament on the 9<sup>th</sup> of 1999 was ignored without any argument.

---

<sup>35</sup> A.Tsintsadze, G.Bagaturia. *The Choice. Building a Democracy in the Totalitarian Era.* Tbilisi. The 1<sup>st</sup> edition, 2002. p.318 (Georgian)

<sup>36</sup> Confutsi “Lun-iyi”, 12,7.

Uncontrollable domestic policy influenced on foreign policy too. Historically Georgian kings could save the state with method of balance during the centuries. Today in conditions of post informational revolution, all know everything the small state won't be able to play "independent", own game and implementing the policy of balancing among the super states. It is possible for the small countries to collaborate with the Great Powers if they have the transparent goals but it is prohibited to balance between them. In Georgia we had no balance but anti Russian and hostile policy that wasn't filled in with pro American position. It's enough to remember strange actions in relations with Chechnya. And finally even pro American position was doubtful. USA recommendations about fighting against corruption, making better relations with Russia were ignored. The culmination was James Baker's visit 2003 that had no result.

Finally there was the situation that to change the existed system in Georgia was desired both by Russia and US. There was impression that Shevardnadze purposely made situation more difficult creating the revolutionary situation. The whole country expected the changes (the author of this letter predicted the revolution that were named velvet or public revolution<sup>37</sup>). And indeed in two years this prediction became true unfortunately. "Unfortunately" - because developing of the country didn't implemented in calm convenient circumstances and its transformation continued by radical way like revolution. Fortunately revolution happened without bloodshed that is the merits of both sides as the resigned power so winners.

### **Conclusion**

Now it's main that revolutionary power mustn't repeat the mistakes made by the former power and it has to establish the main principles of effective democratic administration by using of the scientific methods of public administration (state governance): the highness of the law, the electivity on every level, independence of the branches of the Power and functionalizing of the feedback link in the system of public administration (state governance). At the same time it's meant itself that the government must be filled in with the professionals. Otherwise the crisis will take place again in state governance of Georgia with all possible cataclysms and our country won't be able to be established as the complete, perfect state for a long time...

---

<sup>37</sup> A.Tsintsadze, G.Bagaturia. Ibid, p.322. .

გიორგი ბაღათურია. ოთარ ბაღათურია

სახელმწიფო მართვის კრიზისის მიზეზები დამოუკიდებელ საქართველოში

### რეზიუმე

განხილულია დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფო მართვის პრობლემები. ნაჩვენებია, რომ საქართველოში არსებული მართვის სისტემა, აგრეთვე რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები არ იძლევა ახლებურ, დემოკრატიულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე მშვიდად გადასვლის შესაძლებლობას. სახელმწიფოს მეთაურის მრავალჯერადი ძალადობრივი გადაყენება და კონსტიტუციის ხშირი ცვლილება მიუთითებს სახელმწიფო მართვის კრიზისულ მდგომარეობაზე ანუ სახელმწიფოს „ავადმყოფობაზე“.

ავტორთა აზრით საქართველოს სახელმწიფოს „ავადმყოფობის“ მთავარი მიზეზებია: ა) არაეფექტიანი სახელმწიფო მართვა (ეს უმთავრესი მიზეზია), ბ) პოსტსაბჭოთა მემკვიდრეობა და ვ) მტრული გარეშე ძალები. ავტორებს მიაჩნიათ, რომ მტრულ გარეშე ძალებს ძირითადად წარმოადგენს არა რუსეთის სახელმწიფო, როგორც ეს საზოგადოდ იგულისხმება, არამედ ამ ქვეყნის ე.წ. სამხედრო-კრიმინალური მაფია. მტრულ გარეშე ძალებში საკმაოდ დიდი წონა აქვს ქართულ ელემენტებსაც. გარეშე ძალების ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანია, თუმცა გადამწყვეტი არ არის. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია საქართველოს მოსახლეობის საბჭოთა მენტალიტეტი. ესაა საქართველოს მოსახლეობის განსაკუთრებული უნარი შესანიშნავად მორგებოდა საბჭოთა იდეოლოგიას და საბჭოთა სინამდვილეს. ქართველობაში არსებულმა „ჰომო სოვეტიკუსმა“ განაპირობა თუნდაც ის ყალბი წარმატებები, რომლებიც საქართველოს თითქოს ჰქონდა ეკონომიკაში ან განათლების სისტემასა და მეცნიერებაში. სწორედ „ჰომო სოვეტიკუსის“ მენტალიტეტიდან გამომდინარეობს სხვა ქართული პარადოქსი – საქართველოს მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილისთვის სისხლხორცეულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. მაგრამ, უმთავრესი დამამუხრუჭებელი წინაღობა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განვითარების გზაზე სახელმწიფო მართვის უცოდინარობაა, რაც დამოუკიდებელი



საქართველოს არსებობის მთელი განვლილი პერიოდის მრავალრიცხოვანი ფაქტებით დასტურდება.

ისტორიული გაკვეთილების ანალიზით დასაბუთებულია, რომ წარმტეხული სახელმწიფო მშენებლობისთვის აუცილებელია ეფექტიანი დემოკრატიული მმართველობის შემდეგი ძირითადი პრინციპების დამკვიდრება: *სახელმწიფო მართვის სისტემაში ქმედითი უკუკავშირის რგოლის ფუნქციონირება, კანონის უზენაესობა, ყველა დონის ხელისუფლების არჩევითობა, ხელისუფლების სხვადასხვა შტოების ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა (განსაკუთრებით სასამართლო ხელისუფლების სრული დამოუკიდებლობა), სახელმწიფო მართვის აპარატის დაკომპლექტება გამოცდილი პროფესიონალებით.*

## Георгий Багатурия, Отар Багатурия

### Причины кризиса системы государственного управления в независимой Грузии


#### РЕЗЮМЕ

Рассмотрены проблемы государственного управления в независимой Грузии. Показано, что существующая в Грузии система управления, а также ряд объективных и субъективных причин, не позволяет Грузии спокойно перейти на новую, демократическую экономическую и политическую жизнь. Неоднократное насильственное смещение главы государства и частое изменение Конституции страны указывают на кризисное состояние системы государственного управления т.е. на «болезнь» государственности.

По мнению авторов главными причинами «болезни» Грузинского государства являются: а) *неэффективное государственное управление (это главная причина)*, б) *постсоветский менталитет* и в) *враждебные внешние силы*. Авторы полагают, что враждебной внешней силой в основном является не российское государство, как это обычно подразумевается, а его военно-криминальная мафия. Во враждебных Грузии внешних силах достаточно весомым являются также и грузинские элементы. Фактор внешних сил весьма значителен, но он не является решающим. Гораздо более важным является советский менталитет, до сих пор процветающий среди населения Грузии. Это особенная способность населения Грузии приспособиться к советской идеологии и советской действительности. Существующая в грузинах «Homo Sovieticus» предопределил фальшивые успехи, которые Грузия имела в

экономике или в образовании и науке. «Homo Sovieticus» определил другой грузинский парадокс – для большинства грузин государственная независимость не являлась жизненной необходимостью. Но главное тормозящее препятствие на пути развития государственности Грузии является незнание методов государственного управления, что подтверждается множеством фактов на все время приобретения независимости Грузии

На базе анализа исторических уроков обосновано, что для успешного государственного строительства необходимо реализация следующих основных принципов эффективного демократического управления: *функционирование в системе государственного управления звена действенной обратной связи, верховенство закона, выборность всех уровней власти, независимость ветвей власти (в особенности полная независимость судебной власти), формирование аппарата государственного управления опытными профессионалами.*



## თეონა ქათამაძე

### კულტურის ცნება და მნიშვნელობა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის სულიერი და მატერიალური განვითარების მატრიცაა, ერის თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და თვითმყოფადი ეროვნული კულტურის უწყვეტობის წინაპირობა და კაცობრიობის საერთო საგანძურის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოს კაცონში „კულტურის შესახებ“ ჩამოყალიბებულია ის მიზნები და ვალდებულებები, რომელიც ამკვიდრებს კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის პრიორიტეტულობას პიროვნების პარმონიულ აღზრდასა და განვითარებაში, მის შეუზღუდავ თვითგამოხატვაში ხალხის, თითოეული მოქალაქის კულტურული თვითმყოფადობის გამოვლინებასა გამდიდრებაში, მთელი საზოგადოების სრულყოფასა და ჰუმანიზაციაში.

### სახელმწიფოს როლი კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში

### რა არის კულტურა და რისგან შედგება იგი?

კულტურა – ეს არის ადამიანის და საზოგადოების მოქმედების ფორმათა ერთობლიობა, რომელიც ვლინდება ადამიანის მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში და გამოხატავს ადამიანის სოციალიზაციისა და საზოგადოების ჰუმანიზაციის დონეს. განსაზღვრულ ეპოქაში ხალხის, ერის, საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა შეადგენს მათ კულტურას. კულტურა საზოგადოების ერთ-ერთი ძირეული ნიშანია და შეუქმნებელია საზოგადოებამ იარსებოს კულტურის გარეშე, იქნება ეს პირველყოფილი საზოგადოების პრიმიტიული კულტურა თუ დღევანდელი საზოგადოების განვითარებული კულტურა. რიგ მეცნიერთა აზრით, როგორც ინდივიდი წარმოუდგენელია მეხსიერების გარეშე, ასევე საზოგადოება წარმოუდგენელია კულტურის გარეშე. თუმცა, საყოველთაოდ მიღებული კულტურის განმარტება სოციალურ მეცნიერთა მიერ არ შემუშავებულა. ზოგადად ცნება „კულტურა“ გამოიყენება, რათა მიუთითონ იმ პარამეტრთა მთლიანობაზე, რომელიც განასხვავებს ადამიანთა ერთ კოლექტივს მეორესგან. საქართველოში განხორციელდა პროგრამა, რომელიც მოიცავდა მსოფლიოს 61 ქვეყნის 170 მეცნიერის მიერ დაგეგმილ საზოგადოებრივ და ორგანიზაციულ კულტურასა და

პრაქტიკას, პროგრამის მიზანი იყო შეექმნა ცხოვრებისეულ მასალაზე დაყრდნობილი თეორია, აგრეთვე ეკვლია თუ რა სხვაობები არსებობს სხვადასხვა ქვეყნის კულტურებს შორის, რომლებიც საფუძვლად უდევს ევექტურ საქმიანობას. კულტურის ყველაზე ფართო განსაზღვრება მოგვცა გ. ჰერსკოვიცმა წიგნში „კულტურული ანთროპოლოგია“ (1955). მისი თქმით კულტურა არის ჩვენი გარემოცვის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის ხელითაა შექმნილი. ე. ტაილორის განმარტებით „კულტურა შედგება იმ ცოდნის რწმენის, ხელოვნების, კანონების, ზნეჩვეულებებისა და სხვა უნარებისა და ჩვევებისაგან, რომლებსაც ითვისებეს ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი.“ ნ. სმელზერი განმარტავს კულტურას როგორც რწმენათა, ღირებულებათა, შეხედულებათა სისტემას, რომელიც საერთოა გარკვეული ჯგუფისა თუ მოცემული საზოგადოებისათვის. ეს სისტემა ემსახურება გამოცდილების მოწესრიგებასა და მოცემული ჯგუფის წევრთა ქცევის რეგულირებას. მაგრამ კულტურის დღევანდელი განმარტება სცილდება მხოლოდ ტრადიციულად მიღებულ განმარტებებს და XXს-ის ბოლო წლებში კულტურა, მატერიალურისა და არამატერიალურის გარდა, მოაზრება, როგორც ეკონომიკის განუყოფელი ნაწილი და შესაბამისად ცხოვრების წესი.

თუ რისგან შედგება კულტურა, ჰ. ტრიანდისი საუბრობს კულტურის ობიექტურ და სუბიექტურ ასპექტებზე პირველი მოიცავს მატერიალურ საშუალებებს (იარაღები, შენობა-ნაგებობები, ისტორიული ძეგლები, გზები), მეორე კი სულიერ კულტურას ანუ არამატერიალურ ღირებულებებს, ნორმებს, ფასეულობებს.

ყურადღებას გაავამახვილებ კულტურის მატერიალურ საშუალებებზე, რომლის დაცვა, მსგავსად სულიერი კულტურისა სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფო უნდა ანხორციელებდეს იმ კულტურულ პოლიტიკას, რომლითაც იხელმძღვანელებს კულტურის დაცვის, განვითარებისა და გავრცელების საქმეში. სახელმწიფო ვალდებულიცაა ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას და გაფართოებას. იმისათვის, რომ დაცული იქნას ქართველი ხალხის მონაპოვარი, კულტურული ფასეულობები, ღირებულებები რაც ოდითგანვე თაობიდან თაობას გადაეცემოდა კულტურული მემკვიდრეობის სახით ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოების მოვალეობაა მოვლა-პატრონობა გაუწიოს საუკუნეების მანძილზე დროისა თუ მტრის დაუნდობლობით ნაცვეთ ისტორიულ ძეგლებს, ეს

მოხდება ადაპტაციის, რეკონსტრუქციის, რესტავრაციის თუ სხვა სახით. თუ გამოიწვევა აღნიშნული ღონისძიებების გატარება, მაშინ სპეციალური სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიასთან შეთანხმებით ამტკიცებს ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების ყოველწლიურ გეგმას, და ამასთანავე იკისრებს პასუხისმგებლობას დაიცვას საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძრავ-მოძრავი ძეგლები კანონით.

მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობა კულტურის სფეროში. საქართველო აქტიურადაა ჩართული მსოფლიოს კულტურის პროსესებში და თანამშრომლობს ბევრ საერთაშორისო სამთავრობოთაშორისო და არასამთავრობოთაშორისო ორგანიზაციებთან. კერძოდ თანამშრომლობს გაეროს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციასთან (იუნესკო), რომელიც შეიქმნა 1945 წლის 12 ნოემბერს ლონდონის კონფერენციაზე, თუმცა 1946 წლის ნოემბერს 20-მა სახელმწიფომ მოახდინა წესდების რატიფიცირება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ორგანიზაციის მიზანია ხელი შეუწყოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას, რისთვისაც განავითარებს ხალხთა თანამშრომლობას განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში“. ამ პერიოდიდან 4 ნოემბერი აღიარებულია იუნესკოს შექმნის თარიღად. თავის არსებობის მანძილზე ორგანიზაციამ დიდი წვლილი შეიტანა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. მსოფლიოს ყველა კუთხეში მილიონობით ადამიანი ეზიარა ცოდნას. მისი ხელშეწყობით ბევრი რამ გაკეთდა ხალხების თავისთავადი კულტურისა და ტრადიციების შენარჩუნებისა და პროპაგანდისათვის. იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე (1986წ.) მიიღეს „დეკლარაცია საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის პრინციპების შესახებ“, ხოლო 1970 წელს ვენის კონვენციის სამთავრობოთაშორისო კონფერენციამ (კულტურის მინისტრების მონაწილეობით) შეიმუშავა კულტურის დარგში იუნესკოს პოლიტიკური კურსი. ამ კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაიმართა კულტურის მინისტრების რეგიონული კონფერენციები. მათი დასკვნები და რეკომენდაციები დაედო საფუძვლად საერთაშორისო კონფერენციას კულტურის დარგში, რომელიც გაიმართა მეხიკოში 1982 წელს. ამ ფორუმზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობა 129 წევრი სახელმწიფო, მიიღეს 181 რეკომენდაცია. ისინი წარმოადგენენ კაცობრიობის „კულტურის კოდექსს“.

**იუნესკომ** შეიმუშავა კულტურის განვითარების პროგრამა, ამასთან წამოაყენა ოთხი მთავარი ამოცანა: განვითარების კულტურული ასპექტის აღრიცხვა; კულტურული თავისთავადობის დამკვიდრება; კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის გაფართოება; საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობის გაღრმავება. იუნესკომ შეიმუშავა და მიიღო კონვენციები და რეკომენდაციები, რომელთა მიზანია მსოფლიო ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ეს დოკუმენტებია: კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტების შემთხვევაში კულტურულ ღირებულებათა დაცვის შესახებ, რეკომენდაციები არქეოლოგიური მისაწვდომობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ, კულტურულ ღირებულებათა საერთაშორისო გაცვლის შესახებ და ა.შ. **იუნესკო** ბევრს აკეთებს მსოფლიო ხალხთა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის, ეხმარება ქვეყნებს ეროვნული კულტურის განვითარებაში.

საქართველო იუნესკოს 171-ე წევრი სახელმწიფოა 1992 წლიდან. იგი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობს ევროპის საბჭოსა და იუნესკოსთან ეს თანამშრომლობა ეფუძნება იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე არეში პარიზში 1972 წელს მიღებულ კონვენციას მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვის შესახებ. ამ კონვენციის რატიფიკაცია განხორციელდა 1975 წელს. დღეისათვის 118 ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურისა და ბუნების 630 ძეგლი ირიცხება მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. ამ ნუსხაში საქართველოდან შეტანილია მცხეთა-ქალაქი მუზეუმი, ბაგრატიის საკათედრო ტაძარი, გელათის სამონასტრო კომპლექსი და ზემო სვანეთი. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ვარძიისა და ისტორიული თბილისის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანაზე. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის თანახმად განსაკუთრებული მნიშვნელობის ეროვნული კატეგორიის უძრავ ძეგლებს, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესატანად არსებული წესით წარადგენს საქ. პრეზიდენტი. იუნესკოს მსოფლიოს მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი უძრავი ძეგლები სარგებლობენ იუნესკოს რეკომენდაციებითა და რეზოლუციებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პრივილეგიებით და შეღავათებით.

საქართველო სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების საფუძველზე განსაზღვრავს კულტურის დაცვისა და განვითარების სახელმწიფო პრიორიტეტებს, რომელიც მიზნათ ისახავს ისტორიის და კულტურის ძეგლების შესწავლას და

რესტავრაციას. ასეთი პროგრამების განხორციელებაში უნდა შეინიშნებოდეს სახელმწიფოს მხრიდან დიდი დაინტერესება, დიდი ძალისხმევა და მონდომება. ისტორიული და კულტურული ძეგლების მიმართ, დაუბრუნოს მათ პირვანდელი სახე და წარუდგინოს მომავალ თაობას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ნიმუში. აგრეთვე საჭიროა სახელმწიფოს ხელის შეწყობა იმ პროდუქციის საწარმოებლად, რომელიც აუცილებელია კულტურის განვითარებისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, რაც დღესდღეობით მეტ-ნაკლებად ხორციელდება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე მსოფლიო ბანკის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტი, რომელის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდთან ერთად 1998 წლიდან ხორციელდება, პროექტი მიზნად ისახავს საქართველოს უნიკალური კულტურის მხარდაჭერას. იგი უბრეცენდენტოა. პროექტის ფარგლებში სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები ჩატარდათ იკორთის მთავარანგელოზის ტაძარს, ბოჭორმის წმინდა გიორგის ეკლესიას, ნიქოზის ღვთაების ტაძარს, ნოქალაქევის ეგრისის მეფეთა სასახლეს, ნეკრესის მცირე ბაზილიკას, მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას, აწყურის ტაძარს, ურბნისის წმინდა სტეფანეს ტაძარს, გარეჯის წმინდა დავითის ლავრას და სხვა მრავალ უნიკალურ არქიტექტურულ ძეგლს თუ ნაგებობას. შესრულებული სამუშაოს შედეგად განადგურებას გადაურჩა მრავალი ფსკერა.

საქართველოს „კულტურის შესახებ“ კანონის გათვალისწინებით საერთაშორისო კულტურული თანამშრომლობა ეფუძნება კულტურის თვითმყოფადობის პატივისცემას, იგი ხორციელდება სახელმწიფოებისა და მათი ხალხის ურთიერთსარგებლობის საფუძველზე. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს და ევროსაბჭოს თანამშრომლობა კულტურულ ფასეულობებთან დაკავშირებით და აგრეთვე ევროპის საბჭოს რეკომენდაციები.

**ევროპის საბჭო** სამთავრობათაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტია. მისი ფუნქციების ძირითადი სფეროებია: ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, პუბლიცარული და ეკონომიკური თანამშრომლობა კულტურისა და ეკოლოგიის საკითხები. ევროსაბჭოში მოქმედებენ ექსპერტთა კომიტეტები, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არიან მინისტრთა კომიტეტის წინაშე განათლების, ჯანმრთელობის, კულტურის, ადამიანის უფლებების სოციალური პროგრამების განვითარების და სხვა

საკითხებში და თავის დასკვნებს, რეკომენდაციების სახით წარადგენენ მინისტრთა კომიტეტის წინაშე. ასამბლეა მსჯელობს და რეკომენდაციებს ადგენს და განიხილავს ნებისმიერ საკითხზე, ევროპის საბჭოს მიზნებისა და შესაძლებლობების ფარგლებში. ევროპის საბჭო მისი შეხედულებებისამებრ იღებს გადაწყვეტილებებს, კონვენციებს და მათ კანონის ძალას აძლევს იმ ქვეყანაში სადაც ხდება მათი რატიფიცირება.

ევროპის საბჭოს 1961 წლის კონვენციის თანახმად შეიქმნა კულტურული თანამშრომლობის საბჭო: იგი აერთიანებს კულტურის სფეროში ექსპერტებს და კულტურის ფონდის ადმინისტრაციულ აპარატს.

ევროსაბჭომ მიიღო 150-ზე მეტი კონვენცია, ამთგან მნიშვნელოვანია ევროპის კულტურის კონვენცია, რომელსაც საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 16 აპრილს №637 დადგენილებით. ამ კონვენციის ხელის მომწერმა, ევროპის საბჭოს წევრმა მთავრობებმა გადაწყვიტეს დაედოთ საერთო ევროპილი კულტურული კონვენცია, რომელიც მიზანსაც წარმოადგენს ევროსაბჭოს წევრი ქვეყნების მოქალაქეების მიერ სხვა ხელშემკერველ სახელმწიფოთა ენების, ისტორიისა და კულტურის, აგრეთვე საერთო ევროპული ცივილიზაციის შესწავლის ხელშეწყობა. შეთანხმების საფუძველზე თითოეულმა ხელშემკერველმა მხარემ უნდა მიიღოს სათანადო ზომები ევროპის საერთო კულტურული მემკვიდრეობის თავისი ეროვნული წვლილის განვითარების, დაცვისა და ხელშეწყობისათვის, აგრეთვე მხარეები მიიწვევენ მათი კონტროლის ქვეშ მყოფ საერთო ევროპილი კულტურული ფასეულობის მქონე ნივთებს საერთო ევროპული კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელ ნაწილად და იღებენ საჭირო ზომებს მათ დასაცავად და ხდიან მათ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს.

საქართველოს კულტურის ძეგლები და კულტურული მემკვიდრეობის ფასეულობები, რომლებიც გარკვეული ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ მოხვდა სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, საჭიროებენ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოებისაგან გარკვეული ღონისძიებების გატარებას ქართული კულტურის ძეგლთა გამოვლენის, აღრიცხვის, შესწავლის, რესტავრირებისა და დაცვისთვის.

საქართველოს უძველესი დროიდან მჭიდრო სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობები ჰქონდა და ახლაც განაგრძობს



თანამშრომლობას, როგორც მეზობელ (სომხეთი, რუსეთი, ზერბაიჯანი, თურქეთი) ასევე ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანასთან (საფრანგეთი, იტალია და სხვა).

ადრეული პერიოდიდან საქართველოს ტერიტორიაზე ხელფენებისა და კულტურის მრავალი უნიკალური ძეგლები იქმნებოდა. კერძოდ, კავკასიის მატერიალური და მხატვრული კულტურის კომპლექსური შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ზოგიერთ კავკასიურ ფორმათა გენეზისი, განვსაზღვროთ კავკასიის უძველესი მატერიალური და მხატვრული კულტურის ურთიერთობა სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე მეზობელი ქვეყნების კულტურასთან.

დღეს ქართველი ხალხისთვის გულსატკენია ის ფაქტი, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი, ისტორიული ტერიტორიაა – ტაო-კლარჯეთი, რომელიცა საქართველოს ფარგლებს მიღმაა დარჩენილი. ქართული არქიტექტურის ისტორიაში ტაო-კლარჯეთის ძეგლებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ როგორც ისტორიული წყაროები გვაუწყებს, საქართველოს ეს კუთხე უძველესი ხნიდან დასახლებული ყოფილა მჭიდრო ქართული მოსახლეობით და მეტად მდიდარი ადრინდელი ხანის ხუროთმოძღვრების ძეგლებით: VIII საუკუნის დასაწყისში არაბთა აუტანელი შევიწროებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოდან ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალზე გადმოსულმა მოსახლეობამ საფუძველი ჩაუყარა ქართული კულტურის განვითარებას. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან კარგად ჩანს, რომ ქართველ ბაგრატიონთა ხელისუფლებას განუახლებია დროთაგანმავლობაში ნაცვეთი ზოგი ძველი სავანე, ზოგი კი პირადად გრიგოლ ხანძთელს, მის მოწაფეებს და მიმდევრებს დაუარსებია. კლარჯეთში იყო ოცი განთქმული კულტურული ძეგლის ნიმუში: **ხანძთა**, რომელიც აგებულია გრიგოლ ხანძთელის მეორე 782 წ., **შატბერდი**, **მიძნაძორი**, **წყაროსთავი**, **ოპიზა** (განახლებული 918წ. აშოტ კურაპალატის ძერ) და სხვა. კულტურული მემკვიდრეობის ეს უნიკალური ძეგლები დღეს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმყოფება. თავდაპირველად საქ-ს დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ამ რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან, ქართველებს უფლება არ ჰქონდათ თავიანთი კულტურული ფასეულობების, ღირებულებებისათვის მიეხედათ, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიდო საქართველო-თურქეთს შორის ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია 1994 წლის 13 ივლისიდან ორ ქვეყანას შორის ტრადიციულ, ისტორიულ და კულტურულ ურთიერთობათა ფარგლებში მეგობრობისა და ჩვენი ხალხების საერთოკულტურულ ფასეულობათა განვითარების და

კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და სპორტის დარგში ურთიერთობათა დამყარების მიზნით და მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ უკეთ გაეცნონ ისტორიულ და კულტურულ ფასეულობებს, ხელს შეუწყობენ ისტორიული არქივების შესაცავლასა და არქეოლოგიური ექსპედიციების მოწყობას ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და აგრეთვე თურქეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართული კულტურული ძეგლების აღდგენას, რესტავრაციას, რეკონსტრუქციას და ა.შ.

არსებობს შეთანხმება საქართველოს რესპუბლიკის და რუსეთის ფედერაციის მთავრობათა შორის, რომელიც ჰელსინკის დასკვნითი აქტის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, მადრიდსა და ვენის დასკვნითი დოკუმენტაციების, კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე კრაკოვის სიმპოზიუმის დოკუმენტის, აგრეთვე ახალი ევროპისათვის პარიზის ქარტიის დებულებათა ხელშეკრულებით გამოხატავენ რა მისწრაფების მეცნიერების, კულტურისა და განათლების დაგეგმვაში, მათ ხალხებს შორის მეგობრული კავშირ-ურთიერთობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისადმი. ისინი მხედველობაში იღებენ თავიანთი ხალხების კულტურული და მეგობრული ურთიერთობის ტრადიციებს, და იმედოვნებენ, რომ ეს კეთილ-მეგობრული ურთიერთობები შემდგომ გაფართოვდება.

მრავალწლიანი დაძაბულობის მიუხედავად, რუსეთ-საქართველოს კულტურული კავშირი ჯერ კიდევ შორეულ ისტორიულ წარსულში გაიბა. ეს ურთიერთობები განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნეში, როდესაც საქართველოში ჩამოსვლა იწყეს რუსული ხელოვნების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, ამიტომ მათი კულტურების ურთიერთობის მრავალსაუკუნოვან გამოცდილებაზე დაყრდნობით მხარეებს მიანიათ, რომ კულტურული თანამშრომლობა კვლავ არის მათ ხალხებს შორის ურთიერთ გაგებისა და ნდობის, სახელმწიფოთა შორის და ეროვნებათა შორის კავშირ-ურთიერთობათა განმტკიცების, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, კვლავაც შეუწყობენ ხელს თითოეულ ქვეყანაში მოქმედი კანონებისა და წესების შესაბამისად მათ შორის მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და სპორტის დარგში თანამშრომლობა განვითარებას სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემის, თანასწორობისა და საშინაო საქმეში ჩაურევლობის საფუძველზე.

კანონი კულტურულ ფასეულობათა გატანისა და საქართველოში შემოტანის შესახებ ხელს უწყობს საქართველოსა და სხვა სახელმწიფოების ხალხთა კულტურული ურთიერთობების განმტკიცებასა და კულტურულ ფასეულობათა გაცნობას, უზრუნველყოფს საქართველოსა და უცხო ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პრთა მიერ საქართველოში დროებით შემოტანილი და საქართველოდან დროებით გატანილ კულტურულ ფასეულობათა დაცვა და სახელმწიფოში დაბრუნებას.

ამ კანონის საფუძველზე ქართულ-რუსული მხარეები ვალდებულიებას კისრულობენ ნაცვალგების საფუძველზე დახმარება გაუწიონ მეორე მხარის კულტურული და მხატვრული მონაპოვარის დაცვის, რეგისტრაციისა და გამოყენების, აგრეთვე მეორე მხარის კუთვნილი მხატვრული-ისტორიული ფასეულობის დაბრუნების საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტის საქმეში. ამავე დროს სპეციალისტთა ჯგუფების გამოცდილება ხელს შეუწყობს წარმოშობილი საკითხების მოგვარებას.

არსებობს აგრეთვე შეათხმება საქართველოსა და აზერბაიჯანის, სომხეთის რესპუბლიკებს შორის კულტურული, სამეცნიერო და ჰუმანიტარულ თანამშრომლობათა შესახებ; შეთანხმების მონაწილე მხარეები ითვალისწინებენ რა ამ ქვეყნების ხალხებს შორის ისტორიულ და ტრადიციულ მეგობრობას კულტურის, პარტნიორულ ურთიერთობათა, განათლების სამეცნიერო და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობის გაღრმავების და განმტკიცებისთვის. საქართველო-აზერბაიჯანის შეთანხმებაში მონაწილე მხარეები ნაცვალგების საფუძველზე კისრულობენ კულტურული და მხატვრული ძეგლების რესტავრაციაში შენახვასა და გამოყენებაში, აგრეთვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული საქართველოს მხატვრულ-ისტორიულ ფასეულობათა საქართველოში დაბრუნებისა და შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე არსებული აზერბაიჯანის მხატვრულ-ისტორიული ფასეულობათა აზერბაიჯანში დაბრუნების საკითხების შესწავლასა და მოგვარებაში ერთმანეთისთვის ხელშეწყობას. ხოლო საქართველო-სომხეთის შეთანხმებაში მონაწილე მხარეები იძლევიან მეორემხარის კულტურული და ისტორიული ფასეულობების დაცვის გარანტიას მხარეები ნაცვალგების საფუძველზე კისრულობენ კულტურული და მხატვრული ძეგლების რესტავრაციაში, შენახვასა და გამოყენებაში, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სომხეთის მხატვრულ-ისტორიული ფასეულობათა სომხეთში დაბრუნებისა და შესაბამისად

სომხეთის ტერიტორიაზე არსებული საქართველოს მხატვრულ-ისტორიული ფასეულობათა საქართველოში დაბრუნებს საკითხების შესწავლასა და მოგვარებაში ერთმანეთისთვის ხელშეწყობას.

საქართველოს კეთილმეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული ევროპის ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ ქვეყანასთან-საფრანგეთის რესპუბლიკასთან. საქართველოს და საფრანგეთის რესპუბლიკების მთავრობათა შორის შეთანხმება ითვალისწინებს კულტურულ, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში თანამშრომლობას. მხარეებს შორის შეთანხმება ეყრდნობა 1994 წლის 21 იანვრის პარიზში ხელმოწერილ ხელშეკრულებას საქართველოსა და საფრანგეთის რესპუბლიკას შორის ურთიერთგაგების, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საერთო ევროპული კულტურის სივრცეში ერთობლივ მონაწილეობას, მხარეები აფასებენ რა კულტურას, როგორც ქვეყნებს შორის სტაბილური ურთიერთობების ხელშეწყობის მზარდ ფაქტორს ხასგასმიით აღნიშნავენ კულტურული ურთიერთთანამშრომლობის გადამწყვეტ როლს. ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პროფესიონალთა შორის კონტაქტების დამყარება, გამოცდილებისა და ინფორმაციის ურთიერთგაზიარებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით. კერძოდ, ისინი წაახალისებენ ისეთი სახის თანამშრომლობას როგორცაა: კულტურული მემკვიდრეობის აღნუსხვა, არქეოლოგიური მონაპოვრართა დაცვა, ხელოვნების და არქიტექტურის ძეგლთა აღდგენა და ა.შ.

ამგვარად, ქართული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა რომ სახხელმწიფოს პრეროგატივაა, ამაში ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ დღესდღეობით მისი ინტერესი, ყურადღება გამახვილებულია მხოლოდ ქალაქის იერსახის გაუმჯობესებაზე და სხვა დანარჩენი (კულტურული მემკვიდრეობის უნიკალური ძეგლები) უკანა პლანზე რჩება. ნუთუ მთავრობას და ძეგლთა დაცვის შესაბამისი ორგანოებს არ შეუძლიათ ორგანიზება გაუკეთონ ძეგლების დაცვას, მათ აღდგენას, რესტავრაციას? ქართველი ხალხისთვის, რაც ყველაზე ძვირფასია, ის იკარგება, ის უფასურდება და ნელ-ნელა ქრება წარსულის ძველი დიდება, რაც აწმყოს, ახალი თაობის სატკივარია. აქტიურად იკარგება სახემწიფოს ფუნქცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში. როგორც უკვე ავღნიშნე, სპეციალური სამინისტრო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომისიასთან შეთანხმებით ამტკიცებს ძეგლებზე ჩასატარებელი სამუშაოების ყოველწლიურ გეგმას, რაც ყოველთვის შეუსრულებელია, დაპირება რჩება დაპირებად

ქართველი კაცის ხასიათიდან გამომდინარე, კრიტიკულად რომ მივუღებთ ამ საკითხს, ავტორიტეტი პიროვნებისა უკავშირდება ხოლმე არა იმდენად პროფესიულად შესრულებულ საქმეს რამდენადაც „სკამს“. საქმის ენთუზიაზმით დაწყება და ბოლომდე ვერ მიყვანა, თათქარიძეობა – უპასუხისმგებლობა, მცონარობა, კვეხნა, სიჯიუტე, ცრურწმენა, ორგულობა, ვნების დიდი ინტენსიურობა, იმპულსურობა, სიშმაგე, გათითოკაცება, დროის გაუფრთხილებლობა. აი სწორედ ეს ღუპავს საქართველოს. საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება, მათი ხელშეწყობა რომ არა, ის ძეგლები, რომელთაც აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდათ, დღეს განადგურების პირას იქნებოდა.

ასე, რომ საქართველო საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, რომელთა კულტურული ფონდები და ორგანიზაციების ფილიალი და სხვა სტრუქტურები დაუბროკლებლად შეიძლება შეიქმნას, უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის გარანტი, მისი პრეროგატივაა, აგრეთვე მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სისტემის დემოკრატიზაცია და ეკონომიკური ლიბერალიზაცია.

მეცნიერ-ხელმძღვანელი - ლია ბუაძე

**Teona Katamadze**

## **The role of State in protecting of cultural inheritance**

### **SUMMARY**

The mentioned issues concern the role and significance of culture in today's Georgia. The article covers on culture of different scientists saying that the culture is an integral part of society and the culture doesn't exist without the society the vice versa, that it consists at knowledge, faith, art, law, customs and other skills and habits which are learnt by individual, being a part of a society. One of the scientists notes that there are two kinds of culture: material and spiritual or non-material. In the given case the object of discussion is material culture, specifically the historic monuments, structure etc., how significant is the role of State in protection and preservation of our cultural inheritance, the methods and mechanisms of solution of indicated issues are also discussed. The theme concerns the cooperation of Georgia with international organizations, in particular, with support of UNESCO, Council of Europe, the World Bank a lot of historical monuments were reconstructed. Georgia has concluded treaties with

neighbor and European countries on cultural relations, that is very important for establishment of friendship between Georgian and foreign nations.


**Теона Катамадзе**

### **Роль государства в охране культурного наследия**

#### **РЕЗЮМЕ**

Данная тема касается вопроса насколько велика, роль и значение культуры в сегодняшней Грузии, также в ней изложены взгляды различных учёных о культуре: что культура является неотделимой частью общества, что не существует культуры без общества, так же как и общества без культуры, что культура состоит из тех знаний, веры, искусства, законов, обычаев и традиций, которые усваивает человек, как член общества. Один из учёных отметил, что существует два вида культуры: материальная и духовная, т.е нематериальная. В данном случае предметом изучения является материальная культура, в частности здания и памятники, имеющие историческую ценность, а также то, насколько велика роль государства в защите и сохранении нашего культурного наследия, рассмотрены способы и механизмы решения данного вопроса.

В вышеуказанной теме речь идёт о сотрудничестве Грузии с международными организациями, в частности, с ЮНЕСКО, Евро Советом. При поддержке Всемирного банка было отреставрировано, восстановлено и реконструировано множество исторических памятников. Грузия заключила ряд договоров с соседними и европейскими странами с целью развития культурных отношений, что весьма значимо для установления дружественных отношений между грузинским и другими народами.



## გიორგი კიკნაძე

სწავლული ეკონომისტების უმრავლესობა თანმიმდევრულად მხარს უჭერს სავარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციას ტარიფებისა და სხვა სავაჭრო ბარიერების შემცირების სასარგებლოდ. თუმცა სწორედ ეკონომისტებმა მოახმარეს საკმაოდ დიდი შრომა იმ შემთხვევების გამოვლენას, როდესაც ტარიფების შემოღება, მათი აზრით, გამართლებულია. ისინი სავაჭრო ბარიერებს მაინც უფრო კრიტიკულად უდგებიან, ვიდრე მოსახლეობის სხვა ჯგუფები. აზრთა მსგავსი თანხმობა ამ პროფესიაში იშვიათია. თავისუფალი ვაჭრობის მხარდამჭერთა მოსაზრებები ეფუძნება ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც გვიჩვენებს მის ხელსაყრელობას როგორც თითოეული მოვაჭრე მხარისათვის, ისე მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის.

**სახელმწიფო პროტექციონიზმის როლი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში**

საერთაშორისო სავაჭრო ნაკადების გზაზე ბარიერების აღმართვით გამოწვეული დანაკარგებისა და სარგებლობის ეკონომიკური ანალიზი იწყება სავაჭრო პროტექციონიზმის ისეთი კლასიკური სახეობის გამოკვლევით, როგორიცაა სანიმორტო ბაჟი ან საბაჟო ტარიფები. შედეგებზე მსჯელობა ჩვენ შემდეგი სტადიების მიხედვით განვაგრძოთ და ვნახოთ, რა შედეგები მოაქვს მას(შედეგში, რა თქმა უნდა, ცუდიც იგულისხმება):

1. საბაჟო ტარიფები თითქმის ყოველთვის აქვეითებს კეთილდღეობის დონეს მოვაჭრე ქვეყნებში;
2. საბაჟო ტარიფები უმეტესად ამცირებს ყველა მოვაჭრე ქვეყნის, მათ შორის, თვით ამ ტარიფების შემოღების ინიციატორი სახელმწიფოს კეთილდღეობა;
3. როგორც წესი, მიზანთან, რომელსაც ტარიფების დაწესებით ვაღწევთ, შეიძლება სხვა გზითაც მივიდეთ, თანაც უკეთესი შედეგებით;
4. თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკისაგან გადახრა გამართლებულია შემდეგ შემთხვევებში:

ა)ოპტიმალური ტარიფის გამოყენება: იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანას ძალუძს ზეგავლენა მოახდინოს მსოფლიო ფასებზე, შეიძლება მოიძებნოს ტარიფის განაკვეთის დონე, რომელიც მას წმინდა მოგებას მოუტანს;

ბ)ტარიფი, როგორც სუბოპტიმალური გადაწყვეტა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკაში შიდა პრობლემებია გადასაწყვეტი, ტარიფების შემოღება შეიძლება უფრო სასარგებლო გახდეს, ვიდრე ეკონომიკური პასიურობა;

გ)ცალკეული საგარეო-სავაჭროპრობლემების გადაწყვეტისას საბაჟო ტარიფების შემოღება ზოგჯერ ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ ღონისძიებაზე ეფექტიანია;

დ)საბაჟო ტარიფი ყოველთვის ხელსაყრელია იმ საქონლის მწარმოებელთათვის, რომელიც კონკურენციას უწევს იმპორტს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ დროს ერის ერთობლივი კეთილდღეობა ეცემა.

**საბაჟო ტარიფის გავლენა მომხმარებლებზე**

ინტუიციურად ნათელია, რომ საბაჟო ტარიფის შემოღების შედეგად, უპირველესად, იმპორტული საქონლის მომხმარებლები იზარებიან. საზღვარგარეთიდან ზოგიერთი საქონლის შემოტანის თვით ფაქტი მეტყველებს, რომ შიდა მომხმარებელს იგი ჭირდება, მასზე გარკვეული მოთხოვნა გაჩენილია, ანუ იგი უცხოურ საქონელს საშინაოსთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. ამ საქონლის დაბეგვრით მომხმარებელი იძულებულია, მასში ზედმეტი ფული გადაიხადოს ან უფრო ნაკლები რაოდენობით შეიძინოს იგი. იმპორტის შეზღუდვით საბაჟო ტარიფს სამომხმარებლო შესაძლებლობების გაუარესებამდე მივყავართ. საბაჟო ტარიფების გამოკვლევის შედეგები მოთხოვნისა და მიწოდების ანალიზის ჩარჩოებში სავსებით ეთანხმება არსებულ ინტუიციურ შეხედულებას. ინტუაციისაგან განსხვავებით ქვემოთ მოცემული ანალიზი შესაძლებლობას მოგვცემს ფულად ერთეულებში გამოვხატოთ, რა უჯდება მომხმარებელს ტარიფის შემოღება

მოთხოვნისა და მიწოდების მრუდი წარმოადგენს მოთხოვნისა და მიწოდების ამოსავალ სქემას, რომლის თანახმადაც ტარიფების შემოღების შედეგები შეიძლება გამოვავლინოთ რაიმე საქონელზე, მოცემულ შემთხვევაში – ველოსიპედებზე. ტარიფი რომ არ იყოს ველოსიპედების იმპორტი განხორციელდებოდა თავისუფალი მსოფლიო ფასით – 200\$. საზღვარგარეთულ და სამამულო ველოსიპედების ფასიც 200\$ იქნებოდა. მომხმარებლები ამ ფასად სამამულო მწარმოებლებისაგან ში ველოსიპედს იყიდნენ, ხოლო იმპორტი შეადგენდა  $M_0$  ველოსიპედს წელიწადში, მოხმარების საერთო დონე კი ავიდოდა  $D_0=M_0+S_0$  ველოსიპედამდე

თუ გაავანალიზებთ მოთხოვნის მრუდის არსს, შეიძლება გამოვთვალოთ, რამდენს აგებს მომხმარებელი



ველოსიპედის ყიდვის შესაძლებლობით და როგორ ამცირებს ამ მოგებას ტარიფის შემოღება. მოთხოვნის მოცემული მრუდი შეიძლება განვმარტოთ შემდგენაირად: იგი, უწინარეს ყოვლისა, გვიჩვენებს რა რაოდენობის ველოსიპედები იქნება შექმნილი მოცემულ ფასად. გარდა ამისა აქ განისაზღვრება ერთი მაქსიმალური ფასი, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მომხმარებელი თანახმა იქნებოდა შეეძინა კიდევ ერთი ველოსიპედი. მოთხოვნისა და მიწოდების მრუდზე მოცემული მოთხოვნის მრუდიდან გამომდინარეობს, რომ თუ თავისუფალი ვაჭრობით საბაზრო ფასი იქნება 200 დოლარი მაშინ წერტილში ყველთვის მოიძებნება მყიდველი, რომელიც თანახმა იქნება შეიძინოს კიდევ ერთი ველოსიპედი. ამასობაში წერტილში მოიძებნება მომხმარებელი, რომელიც თანახმა იქნება შეიძინოს მოცემული წარმოების ველოსიპედი 220 დოლარად, რაც შეეხება  $D_1$  წერტილს, იგი ერთ წელიწადში მოხმარებული ველოსიპედების რაოდენობის საერთო მაჩვენებელი იქნება. ანალოგიურ შემთხვევაში თუ შეუძლებელი იქნებოდა მოცემულ ქვეყანაში ველოსიპედების ყიდვა, მაშინ ყოველთვის გამოჩნდებოდა მომხმარებელი, რომელიც თანახმა იქნება იყიდოს მოცემული საქონელი თუნდაც 1000 დოლარად და ამას შეესაბამება C წერტილი.

მოთხოვნის მრუდის ასეთი გააზრება შესაძლებლობას იძლევა ფულად გამოხატულებაში შევფასოთ მომხმარებელთა მოგება ველოსიპედების შექმნის შესაძლებლობიდან. მსოფლიო ბაზრის ფასად შემიქნ, ანუ 200 დოლარად შემიქნ მომხმარებელს იმ მომხმარებელთან შედარებით, რომელიც ველოსიპედს 1000 დოლარად ყიდულობდა, მყიდველს შეიძლება ყოველწლიურადაც 800 დოლარი დანახოვი მოუტანოს. დავეშვებით რა ქვემოთ წერტილიდან C წერტილისაკენ ვერტიკალურად დავინახავთ, რომ სხვა მომხმარებლებიც ხეირობენ მოცემული 800 დოლარიანი დანახოვით. ამას მოწმობს ვერტიკალური სხვაობა მოთხოვნის მრუდის წერტილებსა და მსოფლიო ფასის ხაზს შორის. ამრიგად, მთელი ფართობი მოთხოვნის მრუდითა და მსოფლიო ფასის ხაზით შემოფარგლული გვიჩვენებს ველოსიპედების ამ ფასად შექმნით სამკუთხედისა მოსალოდნელ მოგებას. შინაარსობრივად ეს მოგება წარმოადგენს სხვაობას იმ თანხას შორის, რომლის გადასახდელადაც მომხმარებელი მზად იყო და იმ ფასს შორის, რაც მან საქონლის შესაძენად რეალურად გადაიხადა ACE სამკუთხედი, რომელიც შეესაბამება მომხმარებლის მოგებას, არის იმის მიახლოებითი მნიშვნელობა, თუ რა უჯდება მომხმარებელს ველოსიპედის ყიდვის შესაძლებლობა.

20-დოლარიანი ტარიფი, როცა ველოსიპედის ღირებულებას 10%-ით ზრდის, ამცირებს მისი ყიდვის შედეგით მომხმარებლის მოგებას. ფასის 220 დოლარამდე გაზრდით, ტარიფი, როგორც ეს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდიდან გამომდინარეობს, აიძულებს მომხმარებელთა ერთ ნაწილს 20 დოლარით მეტი გადაიხადოს თითოეულ ველოსიპედში, რათა შეიძინოს იგივე  $D_1$  რაოდენობა, რომელსაც ისინი 200 დოლარად შეიხენდნენ; სხვა მომხმარებლებს ტარიფი აიძულებს საეთოდ უარი თქვან ველოსიპედის შეძენაზე, რომელიც, მათი აზრით, 22 დოლარის გადახდად არა ღირს. შედეგად ერთობლივი მოთხოვნა ეცემა 0-დან  $D_1$ -მდე. ამრიგად, ტარიფის შემოდების გამო, მომხმარებელთა წმინდა დანაკარგები წარმოქმნის  $a+b+c+d$  დაშტრისულ არეს. ეს ისაა, რასაც მეიდველები კარგავენ სამომხმარებლო მოგების შემცირების შედეგად ACE სამკუთხედის ფართობის ტოლი სიდიდიდან BCD სამკუთხედის ტოლ სიდიდემდე.

ტარიფის შემოდებით მომხმარებლების დანაკარგების სიდიდე შეიძლება რაოდენობრივად შეფასდეს და იგი ზოგჯერ ძალზე მნიშვნელოვანია. ტარიფი იწვევს არა მარტო იმპორტული ნაკეთობების, არამედ სამამულო საქონლის გაძვირებასაც. ტარიფის შემოდებისთანავე შეიძლება თავი აარიდონ ზედმეტი 20 დოლარის მოთხოვნის იმპორტული ველოსიპედებიდან სამამულო პროდუქციაზე გადატანით. მაგრამ შინაგანი მიწოდება არ გაიზრდება პარალელურად წარმოების დანახარჯების 200 დოლარზე ზევით გაზრდის გარეშე (სხვაგვარად, სამამულო მწარმოებლებს არ დაჭირდებოდათ სატარიფო დაცვის პოლიტიკის შემუშავება). ამის გამო სამამულო წარმოების ველოსიპედების წარმოება მიაღწევს  $S_1$  რაოდენობას, რომლის დროსაც მათი ზღვრული ხარჯები, და შესაბამისად, მათი ფასიც იმავე 220 დოლარის ტოლია. მომხმარებელი ახლა უკვე იძულებულია ზედმეტი გადაიხადოს არა მხოლოდ იმპორტულ არამედ ყველა ველოსიპედში. დაშტრისული ზონის ფართობის – მომხმარებელთა დანაკარგების გაზომვისათვის აუცილებელია ვიცოდეთ ველოსიპედების ღირებულება ტარიფის ჩათვლითა და ჩაუთვლელად, აგრეთვე რაოდენობა, რომელსაც მომხმარებლები შეიძენდნენ ტარიფის შემოდებაამდე და მის შემდეგ ( $D_0$  და  $D_1$ ). თუ ეს სიდიდეები გვეცოდინება, შეიძლება გამოვთვალოთ  $a+b+c$  სამკუთხედის ფართობი და აგრეთვე სამკუთხედისა. თუნდაც მოთხოვნის მრუდის დახრის კუთხე არ ვიცოდეთ, შეიძლება მივიღოთ სამომხმარებლო დანაკარგების სიდიდის მიახლოებითი

შეფასება; იგი მეტია, ვიდრე ტარიფის სიდიდისა (20 დოლარი) და ამ დროს შექმნილი ველოსიპედების D1 სიდიდის ნამრავლი და ნაკლებია იმ ველოსიპედების რაოდენობის ნამრავლისა ტარიფის სიდიდეზე, რომელიც ტარიფის შემოღებამდე იქნა შექმნილი.

**საბაჟო ტარიფის გააღება მწარმოებლებზე**

სამამულო მწარმოებლები, რომლებიც იმპორტის კონკურენტ პროდუქციას უშვებენ, ტარიფის შემოღებით მხოლოდ იმ შემთხვევაში იგებენ, როდესაც ამას ნამდვილად მოსდევს იმპორტის შეზღუდვა. რაც უფრო ძვირი უჯდება მომხმარებელს საზღვარგარეთული საქონელი, მით უფრო დაინტერესებულია მიმართოს სამამულო მწარმოებლის საქონელს, რომელიც არა მარტო ვაჭრობის ზრდით, არამედ შემოღებული ტარიფის შედეგად საქონლის ფასის გაზრდითაც იგებს.

ტარიფების შემოღებით მწარმოებელთა მოგება შეიძლება შეფასდეს მოთხოვნისა და მიწოდების მრუდის დახმარებით. მასზე მოცემულია ველოსიპედების ბაზრის იგივე სურათი, რაც მოთხოვნისა და მიწოდების მრუდზე, მაგრამ მოთხოვნისა და მიწოდების მრუდი უკვე მწარმოებლის თვალსაზრისით. ამრიგად, ტარიფი ზრდის სამამულო წარმოების ველოსიპედების ფასს 200 დოლარიდან 220 დოლარამდე. სამამულო კომპანიები ამას უპასუხებენ საქონლის გამოშვებისა და გაყიდვის ზრდით, სანამ ეს მათთვის ხელსაყრელია ანუ  $S_0$  წერტილიდან  $S_1$  წერტილამდე. ყოველი მომდევნო ველოსიპედის წარმოების ხარჯები, როგორც ეს მიწოდების მრუდიდან ჩანს, აღწევს საბაზრო ფასს ტარიფის ჩათვლით, ანუ 220 დოლარს. საქონლის უფრო დიდი რაოდენობით გამოშვება მათთვის ხელსაყრელი არ არის, რადგან ამ შემთხვევაში წარმოების ზღვრული ხარჯები გადააჭარბებს 220 დოლარს, ანუ ფასს, რომელსაც ისინი იღებენ შიდა ბაზარზე ვაჭრობით უცხოელ მიმწოდებლებთან კონკურენციის შედეგად.

მწარმოებელთა მოგება მთლიან ამონაგებსა და წარმოების ხარჯებს შორის სხვაობის ტოლია. ნახაზზე ეს მოგება ან, ვთქვათ, ეკონომიკური ულუფა (სურპლუსეს), რომელიც ველოსიპედის მწარმოებლებმა მიიღეს, თავის მხრივ, სხვა დოვლათისა და მომსახურების მომხმარებლები არიან, სამკუთხედის ფორმას იღებს. ტარიფის შემოღებით სამამულო მწარმოებელთა მოგება ვერ ფარავს მომხმარებელთა ხაჯებს. მიზეზი უბრალოა: მწარმოებლები ფასების გადიდების ხარჯზე უპირატესობას ღებულობენ მხოლოდ სამამულო

პროდუქციის ფასთან მიმართებაში, მაშინ, როცა მომხმარებლები იძულებულნი არიან ერთნაირად ძვირი ფასი იხადონ როგორც სამამულო ასევე იმპორტულ საქონელში. ასე რომ, ტარიფის შემოღებამ მწარმოებლებს მოგება მისცა  $a$  ფართობით, მაგრამ მომხმარებლებს იგი დაუჯდათ, ჯერ ერთი, იმავე  $a$  ფართობისა და პლუს დამატებით  $b+c+d$  ფართობის ერთიანი ჯამის ტოლ დანაკარგებად. ამგვარად, თუ ვილაპარაკებთ ველოსიპედების მხოლოდ სამამულო მწარმოებლებსა და მომხმარებლებზე, ტარიფის შემოღებამ საბოლოო ანგარიშით, დანაკარგებამდე მოგვიყვანა.

ასე რომ, სახელმწიფოს, როგორც დავინახეთ ტარიფების გაზრდით შეუძლია ხელი შეუწყოს და შეუშალოს ბიზნესის განვითარებას, დოტაციით წინ წასწიოს, სუბსიდიით დააფინანსოს, კვლიერებით და ემბარგოთი ხელი შეუშალოს უცხო საქონლის ზედმეტ შემოდინებას ქვეყანაში, გაატაროს ჭკვიანური ფასწარმოქმნის პოლიტიკა და რაც, მთავარია, ხელი შეუწყოს პროგრესული საგადასახადო პოლიტიკით მცირე და საშუალო მეწარმეობის აღმავლობას, რადგან მხოლოდ მსხვილი მეწარმეობა არ წაადგება ქვეყანას (მიღწონ ფრიდმანი). ქვემოთ შევეხებით საგადასახადო პოლიტიკას და საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების პროექტს, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეთა სადისკუსიო კლუბში შემუშავდა და რომელშიც ჩვენც მიგვიძღვის მოკრძალებული წვლილი. მანამდე კი ვიტყვი, რომ დაბალი ტარიფების გამო უცხოური ფქვილით ძალზე გაჯერებულია ქართული ბაზარი და თუ ასე გაგრძელდა ქართულ ფქვილს აღარც ექნება ის 25%, რომელიც დღეს უკავია. მიზეზი საშინაო პროდუქციის წარმოების დანახარჯების სამამულო ბაზარზე უცხოური ფქვილის დემპინგურ ფასებზე ბევრად გადამეტებაა. ეს კი მომგებიან პოზიციაში აყენებს უცხოელ იმპორტიორებს, რადგან მათ უსასრულოდ შეუძლიათ ფასების დაგდება. ახლა ისევ ქართული მცირე მეწარმეობისა და საგადასახადო კანონმდებლობის ურთიერთდამოკიდებულებას დავუბრუნდეთ და ახალ საგადასახადო კოდექსსაც შევეხეთ.

**საქართველოში მცირე მეწარმეობის განვითარების ძირითადი კონცეფციის პროექტის ზოგიერთი დებულებანი**

საქართველო დღეს კრიზისში მყოფი ეკონომიკის რეფორმების გარდამავალ ეტაპზეა. ამ კრიზისს ისიც ამწვავებს, რომ თავის დროზე საქართველოში სწორი გზით არ წარიმართა მცირე ბიზნესის განვითარება და ცალმხრივად შეეწყო ხელი მხოლოდ არასაწარმოო სფეროს – ვაჭრობა, მომსახურება და ა. შ. ამ არასწორი ეკონომიკური

პოლიტიკის შედეგად, მცირე ბიზნესის სფეროში კატასტროფულად დაეცა მატერიალური პროდუქტის წარმოების რეალური წილი და დაირღვა საყოველთაოდ აღიარებული პროპორციები მცირე ბიზნესის საწარმოო და არასაწარმოო სექტორებს შორის, რაც დღემდე გრძელდება და ნაციონალურ ეკონომიკას უდიდეს ზიანს აყენებს. საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილმა ქვეყნის მშპ-ში 2002 წელს მსოფლიო ბანკის ექსპერტული შეფასებით 70% შეადგინა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით კი – 35%. ასეთი სხვაობა მხოლოდ სტატისტიკის დეპარტამენტის არასრულყოფილ მეთოდიკაზე მიუთითებს, ხოლო ჭეშმარიტი მონაცემები, რომლებიც ჩვენ მიერაა წარმოდგენილი, მსოფლიო ბანკის მონაცემების რეალობაზე მეტყველებს.

გასატარებელია ქმედითი ღონისძიებები, რათა მცირე ბიზნესში დაიწყო პროდუქციის მწარმოებელი მცირე მეწარმეობის ხვედრითი წილის ფორსირებული აღმავლობა და ამ პარამეტრების მიხედვით საქართველო მიუახლოვდეს თანამედროვე ევრო და მსოფლიო სტანდარტებს. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისითაც, რადგან მსოფლიო სტატისტიკაზე დაყრდნობით, მცირე მეწარმეობაში ერთი დასაქმებული ავტომატურად ასაქმებს საშუალოდ სამ კაცს არასაწარმოო სფეროში.

აქედან გამომდინარე საქართველოს მეწარმეთა არასამთავრობო გაერთიანების ძალისხმევა მიმართულია უპირატესად მატერიალური წარმოების სფეროს მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისაკენ, რისთვისაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს კანონპროექტი „მცირე მეწარმეობის უფლებების დაცვის შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მიკრო და მცირე საწარმოს იურიდიულ სტატუსს, მისი საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს და მსოფლიოში აპრობირებული მოდელის შესაბამისად წლებზე გათვლილი საგადასახადო ტვირთის გადანაწილებით. ასეთი მიმართულებებით ღონისძიებების წარმართვას რეკომენდაციას უწევს გავროს 2001 წლის გადაწყვეტილება საქართველოს მიმართ, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ინოვაციური და მცირე მეწარმეობის განვითარებას მაქსიმალური შედეგათების გაწვევით.

გარდა ამისა მიგვაჩნია, რომ მცირე საწარმოს განსაზღვრა მოქმედი კანონის მიხედვით (20 მუშაკი და 500 ათასი ლარი წლიური ბრუნვა) უფრო რეალურად და სამართლიანად უნდა იქნეს გადაწყვეტილი მცირე საწარმოს

სტატუსის, წლიური ბრუნვისა და მუშაკთა რაოდენობის მხრივ. თუმცა, შემოსავლების დამატება. სრული გამორიცხვის მიზნით, ვფიქრობთ, უფრო მიზანშეწონილია, ევროსაბჭოს უმრავლესი ქვეყნის შესაბამისად, წლიური ბრუნვა მკვეთრად გაიზარდოს, ხოლო მიკრო და მცირე საწარმოების სტატუსი განისაზღვროს ევროკომისიის რეკომენდაციის მიხედვით, რომლებიც 2005 წლის 1 იანვრიდან შევიდა ძალაში.

ჩვენი კონცეფცია აგრეთვე ითვალისწინებს მცირე ბიზნესის მხარდაჭერი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ისევე როგორც ეს ხორციელდება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებსა და ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ქვეყანაში: მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში ბიზნესის მხარდაჭერი სახელმწიფო სტრუქტურები 2005 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

1. რუსეთი - ანტიმონოპოლიური და მეწარმეობის მხარდაჭერის სამინისტრო;
2. უკრაინა - მარეგულირებელი და მეწარმეობის მხარდაჭერის სახელმწიფო კომიტეტი;
3. ბელორუსი - მეწარმეობის და ინვესტიციების სამინისტრო;
4. მოლდავეთი - ეკონომიკის სამინისტროს მცირე ბიზნესის განვითარების მთავარი სამმართველო;
5. სომხეთი - ვაჭრობისა და ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მცირე და საშუალო საწარმოების დეპარტამენტი;
6. რუმინეთი - მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისა და კოოპერატივების სამინისტრო;
7. ალბანეთი - ეკონომიკისა და პრივატიზაციის სამინისტროს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების დეპარტამენტი;
8. საბერძნეთი - მცირე და საშუალო ზომის საწარმოების განვითარების პოლიტიკის სამინისტრო;
9. გერმანია - ეკონომიკის სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტი;
10. პოლანდია - ეკონომიკის სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტი;
11. საფრანგეთი - მრეწველობისა სამინისტროს მცირე და საშუალო ბიზნესის დეპარტამენტი;
12. ინგლისი - მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს მცირე ფირმების დეპარტამენტი;
13. იტალია - მრეწველობის, კომერციისა და ვაჭრობის სამინისტროს მცირე ბიზნესის და მეწარმეობის განვითარების დეპარტამენტი;
14. იაპონია - მცირე და საშუალო ბიზნესის საქმეთა სახელმწიფო კორპორაცია;

15. აშშ - მცირე ბიზნესის საქმეთა ადმინისტრაცია, რომელიც ფუნქციონირებს ამერიკის პრეზიდენტის უშუალო დაქვემდებარებაში.

ქვეყნების ასეთი დეტალური ჩამოთვლით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, რომ მოგვიწვევს ამ ქვეყნების საგადასახადო პოლიტიკის და მეწარმეობასთან მისადაგებელი საკანონმდებლო ბაზის შესწავლა, რათა საქართველოში შეიქმნას ისეთი საკანონმდებლო და სამეწარმეო გარემო, რომელიც უცხოელი ინვესტორისათვის ძირითადად ნაცნობი იქნება და მას არ შეეშინდება ინვესტიციების ჩადება. ასევე მოგვიწვევს ჩამოთვლილი ქვეყნების ბიზნესის მხარდაჭერი ორგანიზაციების შიდა სტრუქტურის მოძიება და შესწავლა.

საგადასახადო კოდექსში მოგვიწვევს ისეთი ცვლილებების და დამატებების შეტანა, რომლებიც ღრმად გააზრებული იქნება და დროის ხანგრძლივ მონაკვეთში (10-15 წ.) შეცვლას არ უნდა საჭიროებდეს. გააზრებული ცვლილებების მაგალითი თვალწინ გვაქვს, როდესაც 1997 წლის 14 სექტემბრიდან არსებულ საგადასახადო კოდექსში რამდენიმე წყაროს მიხედვით 3000-დე შესწორება შეტანილი, ხოლო მეწარმეს საგადასახადო კოდექსში ყოველწლიურად 400-მდე შესწორების გამო დაკარგული აქვს ბიზნესის მართვის ყოველგვარი სტაბილურობის გრძნობა და თავისი საქმიანობის ვერავითარ დაგეგმვას ვერ ახერხებს.

ჩვენს მიერ, აგრეთვე, შემუშავებული იქნება არასაწარმოო სფეროში (ვაჭრობა, მომსახურება) გარიგებითი და ალტერნატიული ფიქსირებული გადასახადების ერთდროული ამოქმედება. წინასწარი გაანგარიშებების საფუძველზე დაგეგმილი გვაქვს მოეხსნას ინდივიდუალურ მეწარმეებს დღგ და დაქირავებული მუშაკების სოციალური გადასახადები. ამ ღონისძიებათა განმარტება მეთოდოლოგიაში ქვემოთ არის მოცემული.

წინამდებარე კონცეფციის ფართო აპრობირებისათვის მოეწეება სემინარები დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უმაღლესი სკოლის წარმომადგენლებთან, მეწარმეებთან და ა. შ.

მიღებული რეკომენდაციებისა და შინიშვნების გათვალისწინებით კონცეფციის არსის გასათავისებლად მოეწეება კონფერენცია, რომელიც კონცეფციის პროექტში და საკანონმდებლო ბაზაში შესატან ცვლილებებს წარადგენს მთავრობის წინაშე. აღნიშნული კონცეფცია, საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები და დამატებები ჩათვლება წინამდებარე სამუშაოს შედეგის უშუალოდ რგოლად, ხოლო

საბოლოო შედეგად მიგვაჩნია პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონპროექტების მიღება.

**პროექტისადმი ტექნიკური მიდგომა და მეთოდოლოგია**

წინამდებარე პროექტის საფუძველს წარმოადგენს ეროვნული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა, სადაც უმნიშვნელოვანესი ადგილი მცირე ბიზნესის განვითარებას უკავია. მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, რომელმაც თავისი ეკონომიკური განვითარება მცირე ბიზნესის განვითარების გარეშე განახორციელა. საქართველო ხსენებული ქვეყნების რიგში უნდა ჩადგეს და მრავალი სხვა ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით მეწარმეობის და კეძოდ მცირე ბიზნესის განავითარებს სამი უმნიშვნელოვანესი მიმართულების გათვალისწინებით: ლიბერალური, რეალობიდან გამომდინარე საგადასახადო პოლიტიკა; ხელმისაწვდომი, დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი კრედიტები; ეროვნული მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით ეკონომიკური საზღვრების დაცვა მოზღვავებული იაფფასიანი იმპორტისაგან.

წარმოდგენილი პროექტის წარმატებით რეალიზაციისათვის მაქსიმალურად უნდა ვფლობდეთ ქვეყანაში მცირე ბიზნესის სფეროში შექმნილ სიტუაციას.

საქართველოში, დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, სამეწარმეო სფერო მშპ-ს 26–40%-ს ქმნის, ხოლო მცირე მეწარმეობა – 6–8,5%-ს.

დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენში მეწარმეს ორმაგ საგადასახადო წნეხის ქვეშ უწევს საქმიანობა. დეკლარირებული ბრუნვა ან შემოსავალი, გაუსაძლისი საგადასახადო სისტემის, სახელმწიფო და კრიმინალური რეკეტის გამო, ხშირ შემთხვევაში რეალურის მეოთხედს არ აღემატება. აქედან გამომდინარე, მეწარმე „ჩრდილს“, როგორც მინიმუმი იმდენივეს უხდის, რამდენსაც სახელმწიფოს. ბიუჯეტის ნაკლებ შემოსავლიანობას ზუსტად ეს მოვლენები უდევს საფუძველად, ვინაიდან თუ მცირე მეწარმეობას მშპ -ში დეკლარირებული მონაცემებით, საშუალოდ 7 % შეაქვს, ხოლო 2003 წელს მშპ-მ 8484 მლნ. ლარი შეადგინა, გამოდის, რომ მცირე მეწარმეობიდან მშპ-ს დაახლოებით 600 მლნ. ლარი აკლდება, ხოლო ბიუჯეტს - 180–220 მლნ. ლარი და ეს თანხა „ჩრდილს“ მიაქვს.

კორუფციის მკვლევარებმა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში დიდი ხანია დაადგინეს კანონზომიერება: რაც უფრო მასშტაბურია სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში საერთოდ და კეძოდ, მეწარმეობაში, „ჩრდილი“ მით უფრო ფართოა და



მოცულობითი. სახელმწიფო თვითონ აყენებს თავისთავს, ვინაიდან უქმნის ჩინოვნიკს ხელსაყრელ პირობებს კორუფციისათვის. ვერავინ ვერ იტყვის დაზუსტებით ჩინოვნიკების რამდენი პროცენტია „გასვრილი“ კორუფციაში. ფაქტია, რომ „ჩრდილში“, ისევე როგორც „მზეზე“, თავიანთი „ღარიბები“ და „ოლიგარქები“ საქმიანობენ. სახელმწიფო უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯიშის გზირების, პოლიცემისტერების, ბრანდერმეისტერების ჩარევას ეკონომიკაში და თვითონვე ამუხრუჭებს საკუთარ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

მსოფლიო გამოცდილება ამტკიცებს – საბაზრო ურთიერთობების პირობებში, ეკონომიკის პროგრესის დონე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების დონით განისაზღვრება. „ჩრდილი“ არა მარტო არ აძლევს მას ზრდის საშუალებას, არამედ არსებობის საშუალებასაც არ უტოვებს. ამასთან ჩრდილოვანი ეკონომიკის ცნება უფრო ფართო, ვიდრე კორუფცია, რის გამოც მარტო მიახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის ჭკუშმარტი მასშტაბები. ამავე დროს ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ მსხვილი ბიზნესისგან განსხვავებით, მცირე და საშუალო ბიზნესი არა მარტო ორგანულად უარყოფს ნებისმიერი ფორმის კორუფციას, არამედ უბრალოდ არ შეუძლია მისი გენერირება.

საქართველოში მსხვილი, ოლიგარქიული ბიზნესი განვითარდა მრავალდარგობრივ, მონოპოლიურ გაერთიანებებად. ბიზნესის ტერმინოლოგიაში ეს მოვლენა ცნობილია, როგორც „ჩეხოლი“ (კორეული), ან იგივე – ტეიპი (ჩეჩნური), რაც ოჯახურ, კლანურ სტრუქტურას ნიშნავს. ასეთი გაერთიანებების ფასადურ სამართლებრიობას და კეთილდღეობას, თან ახლავს დიდი და ბასრი „წყალქვეშა ქვები“, რომლებზეც შესაძლოა დაიმსხვრეს ნებისმიერი განვითარების დონის ეკონომიკა. ისინი თვითონ ქმნიან „ჩრდილს“, რომელშიც სულ უფრო ღრმად შედის ბიზნესის „პროლეტარიატი“ – მცირე მეწარმეობა. შემთხვევითი არ არის, მცირე და საშუალო საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპის შემცირება, ხოლო მათი შენატანი ქვეყნის მშპ-ში, 8,5%, დაუჯერებლად ცოტაა. ცნობისათვის, ეს მაჩვენებელი ევროკავშირის ქვეყნებში 60%-ს აღემატება, ხოლო საფრანგეთში მცირე და საშუალო საწარმოებად დარეგისტრირებული სუბიექტების 98% შეადგენენ.

საქართველოში, აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად, სხვადასხვა რეფორმის სახით გადადგმული ნაბიჯები, ჯერჯერობით შედეგს არ იძლევა. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ეკონომიკისა და ბიზნესის წინაშე მდგარი უამრავი

ხელოვნური, ბიუროკრატიული ბარიერის არსებობაა, რაც კერძო ინიციატივას გასაქანს არ აძლევს. ამასთან, ქვეყანაში 38 ოფიციალურად დარეგისტრირებული მაკონტროლებელი ორგანო ფუნქციონირებს. ზემოაღნიშნული, შესაძლოა, პირდაპირ კავშირში იყოს ქვეყნის ისტორიულ განვითარებასთან, ვინაიდან საქართველოში არ მომხდარა ბურჟუაზიული რევოლუცია, არ ყოფილა ბურჟუაზიის ჩამოყალიბების რენესანსის ხანა, როდესაც ხალხი ეჩვევა თვითმართველობას.

საქართველოს შემდგომი ეკონომიკური განვითარების უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს გამოზომილი, რაციონალური სამეურნეო პოლიტიკის გატარება. ქვეყნის ეკონომიკის ჯანსაღად და ღიად ფორმირებისათვის საჭიროა ლოგიკურად აგებული ეკონომიკური სისტემის და ეფექტური საგადასახადო საკანონმდებლო გარემოს შექმნა, რომელთა ერთობლიობა სწრაფი ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელი იქნება.

ეკონომიკური რეფორმების გატარებამ მეტ-ნაკლებად ჩამოაყალიბა მცირე მეწარმეობის მხარდამკერი სახელმწიფო სისტემა, რაც გამოიხატა შესაბამის საკანონმდებლო ბაზაში. ამავე დროს მცირე მეწარმეობაში უკანასკნელი წლების განმავლობაში შექმნილი სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ მცირე ბიზნესის განვითარებისა და მის მიერ ქვეყნის ეკონომიკაში სათანადო ადგილის დაკავებისათვის, მრავალი საკითხია გადასატრელი.

სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ 1998 წლიდან გამოქვეყნებულია ხუთი სტატისტიკური კრებული „მეწარმეობა საქართველოში“, სადაც განხილულია 1998-2002 წლების პერიოდი. ამავე დროს აღნიშნული დეპარტამენტი გამოსცემს სტატისტიკის რევიუს „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა“.

საწარმოთა რაოდენობა მატულობს, მაგრამ გარკვეული დამუხრუჭება რაოდენობის მომატების მხრივ მატებაშიც შეიმჩნევა. ამავე დროს, საწარმოთა ზრდა გავლენას არ ახდენს მათი საშუალო ბრუნვის ზრდაზე. პირიქით, ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე კლებულობს, რაც პარადოქსალურია და შეუძლებელი, განსაკუთრებით საწარმოთა ზოგადი ზრდის ფონზე. ასეთი მდგომარეობა მეწარმეობაში ბრუნვის ოდენობის ძალზე დიდ დამალვაზე მეტყველებს. აღნიშნული ფაქტი აგრეთვე პირდაპირ დამოკიდებულებაშია დღეს-ს ბრუნვიდან გადახდის დაკანონებაზე, მის მაღალ საპროცენტო განაკვეთზე, მეწარმისა და საგადასახდო სამსახურის წარმომადგენელს შორის უკანონო გარიგებაზე და უსუსურ ადმინისტრირებაზე.

ძალზე ნიშანდობლივია სამეწარმეო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის მანვენებლები წლების მიხედვით. შეუძლებელია დავიჯეროთ, რომ 1998 წელს, როდესაც სამეწარმეო სფეროში მოქმედი საწარმოთა რაოდენობა იყო 11911, მათში მომუშავე პერსონალის რაოდენობა შეადგენდა 376995 ადამიანს, ხოლო, როცა საწარმოთა რაოდენობამ 24009-ს მიაღწია, მათში მუშაობდა 379360 მუშაკი. საწარმოთა რაოდენობის შემდგომმა მომატებამ 2001 წელს გამოიწვია მუშაკთა რაოდენობის შემცირება?! დაუჯერებელია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მცირე საწარმოებში საყოველთაო ტექნიკური გადაიარაღება მიმდინარეობს და ამ მოვლენამ გამოიწვია მუშაკთა დათხოვნა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შრომის ანაზღაურების მონაცემები, რომლებიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. წლების განმავლობაში მისმა მანვენებელმა 6-ჯერ დაიკლო. ჩვენი აზრით, ეს მოვლენა პირდაპირ კავშირშია მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიღებასთან, განსაკუთრებით სოციალური გადასახადების მხრივ.

საყურადღებოა, რომ კრებული „მეწარმეობა საქართველოში“ არ ითვალისწინებს ფარული და არაფორმალური წარმოების მანვენებლებს და საერთოდ ხსენებული კრებულების მონაცემები ზოგ შემთხვევაში ძალზე საეჭვოა, განსაკუთრებით მცირე მეწარმეობის მონაცემების მიხედვით.

ექსპერტული შეფასებებით ვაჭრობა-მომსახურებაში საშუალო წლიური ბრუნვა 5 მლრდ. ლარს შეადგენს. ასეთი ბრუნვის რეალური აღრიცხვისას ბიუჯეტში ყოველწლიურად მარტო დღგ-ს სახით 1 მლრდ. ლარი უნდა შედიოდეს. ოფიციალური მონაცემების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ (იხ. ცხრილი №1), გამოდის, რომ ვაჭრობის ჩრდილოვან სექტორში ბრუნვის 100%-ზე ბევრად მეტია გადასული. ეჭვს იწვევს ის ფაქტიც, რომ ვაჭრობა-მომსახურებაში საწარმოთა რაოდენობის თითქმის 5-ჯერ გაზრდამ, ბრუნვა მხოლოდ 2-ჯერ გაზარდა.

ქვეყანაში წლების მიხედვით მრეწველობის მდგომარეობა განხილულია №2 ცხრილში, სადაც მცირე მეწარმეობის ექსპერტულ მონაცემებზე დაყრდნობით გავითვალისწინეთ ფარული და არაფორმალური წარმოების პროცენტული მანვენებლები. ცხრილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების მხრივ მეწარმეობაში და განსაკუთრებით მცირე მეწარმეობაში შექმნილია უმძიმესი მდგომარეობა. გაანგარიშებული და ცხრილებში წარმოდგენილი მანვენებლები, მაგ. ცხრილი №1, მე-7 პუნქტი და ცხრილი №2, მესამე პუნქტი, ჩვენი აზრით

წარმოადგენენ ზღვრულ მაჩვენებლებს, რომელთა შემდგომი გაუარესება საფრთხის ქვეშ დააყენებს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ასეთი დასკვნა ეყრდნობა მსოფლიო გამოცდილებას, ვინაიდან ცნობილია, რომ მსოფლიო მასშტაბებით ჩრდილოვანი ეკონომიკა შეადგენს მსოფლიო მშპ-ს 10–15%, ხოლო მისი დასაშვები მასშტაბები 5–6%-ია.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული დებულებების მკაფიოდ ფორმულირებისათვის და მათგან გამომდინარე კონკრეტული ზომების გასაშუქებლად და გამოსაყოფად, საჭიროდ ჩავთვალეთ აგვეჩინა თეზისური თანმიმდევრობა.

საგადასახადო პოლიტიკა მცირე მეწარმეობასთან შეხებაში.

1. ადამ სმიტმა, ჯერ კიდევ მე - 18 საუკუნეში, ჩამოაყალიბა ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ქვეყნის გონივრული საგადასახადო სისტემა: გადასახადების შეძლებისდაგვარობა და თანაშეზომილება, მათი აკრეფის დრო და მეთოდის ხელსაყრელობა, გადასახადის სიდიდის დასახვა და განსაზღვრა, საგადასახადო შემოსავლების შეფარდება მათი ადმინისტრირებაზე დახარჯულ სახსრებთან, ანუ გადასახადების ეფექტიანობა და ა. შ.

საქართველოს ბიზნესმენთა გაერთიანებები დაგვიდასტურებენ იმ ფაქტს, რომ ჩვენს ქვეყანაში საგადასახადო სისტემა ჯერჯერობით ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, მხოლოდ ფისკალურ ფუნქციას ასრულებს და ბაზრის განვითარების სტიმულირების ინსტრუმენტს არ წარმოადგენს.

2. მსხვილი და საშუალო ბიზნესისაგან განსხვავებით, მცირე ბიზნესისათვის არ შეიძლება ფისკალური როლის მინიჭება. საქართველოში მცირე ბიზნესი თავისი განვითარების დღევანდელი დონით, უპირველეს ყოვლისა, საფუძველია:

– მოსახლეობის თვითდასაქმებისთვის, რითაც მხარში ამოუდგება სახელმწიფოს ამ პრობლემის გადაწყვეტაში;

– ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის;

– მეწარმეობის კვალიფიციური კადრების და მათი ზრდისთვის;

– ინვესტიციების მოზიდვის და მათი ქმედითი ათვისების ბაზის შესაქმნელად;

– საგადასახადო არეალის შექმნის და მისი გაზრდისთვის;

– ბაზარზე ახალი საქონლის და მომსახურების მოქნილი და მობილური მიწოდებისთვის.

3. მცირე ბიზნესი - ეკონომიკის ის სექტორია, სადაც საგადასახადო სტრატეგია შემოსავლების ლეგალიზაციაზე

უნდა იყოს მიმართული და არა ფისკალურ კონტროლზე. სტრატეგიის ასეთი მიმართულება საშუალებას იძლევა მცირე ბიზნესის სუბიექტების რეალური რაოდენობის გამოაშკარავებისა და უზრუნველყოფს მათი საქმიანობის სტიმულირებას. მცირე ბიზნესისაგან საბიუჯეტო შემოსავლების წილის ზრდა უნდა მიუთითებდეს გონიერი საგადასახადო პოლიტიკის გატარებაზე.

სრულყოფილი და სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზა წარმოადგენს ერთერთ ძირითად ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს მეწარმეობის განვითარებაზე და აქედან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დონეზე.

ქვეყანაში დარეგისტრირებული საწარმოების სტატუსის კრიტერიუმის დადგენა საქართველოში არსებული თავისებურებებისა და მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილებიდან უნდა გამომდინარეობდეს. მაგალითად, ევროკავშირის სტატისტიკური უწყება გამორიცხავს საგადასახადო არეალიდან ისეთ საწარმოებს, სადაც მომუშავეთა რაოდენობა შეადგენს 1-იდან 19 ადამიანამდე. ევროკომისიამ თავის რეკომენდაციებში ჯერ კიდევ 1996 წელს, ჩამოაყალიბა საწარმოების სტატუსი: მიკრო საწარმოები – 10 კაცზე ნაკლები მომუშავე; მცირე საწარმოები 50 კაცზე ნაკლები და წლიური ბრუნვა არაუმეტეს 7 მლნ. ეკიუ; საშუალო საწარმოები: 250 კაცზე ნაკლები და წლიური ბრუნვა არაუმეტეს 40 მლნ. ეკიუ(გამოქვეყნებულია 1996 წელს).

საქართველოში დღეისათვის დარეგისტრირებულია 110 ათასი საწარმო, მათ შორის თითქმის 60 ათასი ინდივიდუალური საწარმოა. ქვემოთ მოცემული გაანგარიშებიდან ჩანს, თუ რა საგადასახადო ტვირთი ადევს ინდ. მეწარმეს 2003 წლის 8 აგვისტოს საგადასახადო კოდექსში მიღებული ცვლილებების საფუძველზე, სადაც დღეს გადამხდელად იქნა ცნობილი საწარმო, რომლის ბრუნვა აღემატება ასი ათას ლარს.

ინდივიდუალური საწარმოების საგადასახადო ტვირთი ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტის მიხედვით

100 ათას ლარიანი ლიმიტირებული ბრუნვის შემოღების შემთხვევაში ინდ. მეწარმეებიც ხდებიან დღგ-ს გადამხდელები. წლიური ბრუნვა—100 ათასი ლარი, დღგ - 18000 ლარი. ბრუნვა, დღგ-ს გარეშე - 82000 ლარი; მთლიანი საწარმოო ხარჯები ბრუნვის დაახლოებით 40%-ია ანუ 40 000 ლარია. დარჩა 42 000 ლარი.

ხუთი დაქირავებული მუშაკის წლიური ხელფასის ფონდი თვეში საშუალოდ 200 ლარის მიხედვით – 12000 ლარია, სადაც საშემოსავლო ნაზარდი ჯამის გარეშე – 1440 ლარია. სოც.ანარიცხები - 2400 ლარის ტოლია.

აქედან გამომდინარე  $42000-1440-2440-12000=26160$  ლარია, საიდანაც ინდივიდუალურ მეწარმეს გადასახდელი აქვს: საშემოსავლო-3140 ლარი და სოც. ანარიცხები – 5232 ლარია. ინდ. მეწარმის წლიური მოგება - 17800 ლარია.

ინდივიდუალური მეწარმეები გამოყენებული მასალების იმდენად პატარა პარტიებით სარგებლობენ, რომ უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ ამ მასალებზე დღგ-ს გადახდის ანგარიშ-ფაქტურები, რის გამოც დეკლარაციის წარდგენისას დღგ-ს ჩათვლები პრაქტიკულად არ ხორციელდება.

ინდივიდუალური მეწარმეების წლიური გადასახადების ჯამი:  $18000+1440+2400+3140+5232=30212$  ლარის ტოლია.. ამავე დროს მეწარმემ 100 ათასიანი ბრუნვიდან მიიღო 17800 ლარი, სახელმწიფომ კი, გადასახადების სახით წელიწადში 1.7-ჯერ მეტი თანხა მიიღო. გაუთვალისწინებული ხარჯების გათვალისწინებით (მხედველობაში გვაქვს დენის და წყლის საგადასახადო ტარიფების ზრდა და ა.შ.) მთლიანი საწარმოო ხარჯი სავარაუდოდ შეიძლება გაიზარდოს 15-20%-ით, რაც მეწარმის შემოსავლებს მკვეთრად შეამცირებს.

როგორც ვხედავთ ინდ. საწ. საგადასახადო ტვირთი მხოლოდ დაქირავებული მუშაკების და თვითონ მეწარმის შემოსავლების გადასახადებით 30%-ს აღემატება. იურიდიული პირის შემთხვევაში (მაგ. შპს) მეწარმეს ემატება ქონების და მოგების გადასახადები, რაც საგადასახადო ტვირთს 50%-ზე მეტს ხდის. ამავე დროს, მაგალითად ბრაზილიაში საგადასახადო ტვირთი (ყველა გადასახადის და მოსაკრეფლების ჯამი) არ არემატება 30%, აშშ-ში და იაპონიაში-29%, სამხ. კორეაში-21%, ხოლო მექსიკაში-17%.

ინდ. მეწარმეები არ წარმოადგენენ სახელმწიფო ფისკალური პოლიტიკის რაიმე მნიშვნელოვან შემადგენელს. ალბათ, რუსეთში ამ მოსაზრებით ისარგებლეს, როდესაც ჯერ კიდევ 1996 წელს ინდ. მეწარმეები საერთოდ გაანთავისუფლეს დღგ-ს გადასახადისაგან. სამწუხაროდ, ჩვენმა კანონმდებლებმა ამ ფაქტს იგნორირება გაუკეთეს და ისეთივე სიმკვირცხლე ვერ გამოიჩინეს, როგორც დღგ-ს რუსული ვარიანტის გადმოტანისას, რის გამოც ბოლო წლების მანქანების მიხედვით (იხ.ცხრილი) ინდ. მეწარმეები დაუკვირვებლად სექტორში გადაბარდნენ. წარმოუდგენელია, სხვა რითი უნდა ავხსნათ ინდ. საწარმოებში დასაქმებულების და თვითონ ინდ. საწარმოების რაოდენობათა კლება. ზემოთ

მოცემული გაანგარიშებიდან ჩანს, რომ ინდ. მეწარმეების მხრიდან გადასახადების კანონიერად გადახდისას (იხ. გაანგარიშება), სახელმწიფოს 1.7-ჯერ მეტი მიაქვს გადასახადების სახით ვიდრე ინდ. მეწარმეს სუფთა მოგების სახით, რაც უეჭველია იწვევს ბრუნვის ოდენობის დამაღვას და არაკანონიერ გარიგებებს საგადასახადოს წარმომადგენელთან

ზემოთ აღნიშნული მასალებისა და დაგეგმილი ღონისძიებების საფუძველზე აუცილებლად მიგვაჩნია მცირე მეწარმეობაზე მისადაგებულ საკანონმდებლო ბაზაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები თანახმად არსებული ნორმატიული აქტებისა:

1. პროექტი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ, შემუშავებულია „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის“ მე-3 თავის პუნქტ 3.2.2.1-ს და 3.3.5-ს მიხედვით; „ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების“ პროგრამის, მე-4,5,18 და 33 პუნქტების შესაბამისად;
2. პროექტი საქართველოს კანონში „მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ. შემუშავებულია „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის“ მე-3 თავის, პუნქტ 3.3.5.1-ს მიხედვით; ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების პროგრამის“ მე-18, 20 და 28 პუნქტების შინაარსის მიხედვით;
3. საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე, მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდაჭერის დეპარტამენტის შექმნის შესახებ. შემუშავებულია „ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის“ 3.3.5.1. პუნქტის დებულებების თანახმად.

**მეცნიერ-კონსულტანტი გურამ ჯოღია**

**ლიტერატურა**

- ლინდერტი პ.პ. საერთაშორისო ეკონომიკა. დევისის უნივერსიტეტი. თარგმანი. თბილისი 2001წ.;
- ფრიდმანი მ. კაპიტალიზმი და თავისუფლება. გამომცემლობა ლოგოს პრესი, თბილისი 2002წ.;
- როგავა ზ. გადასახადები და საგადასახადო სამართალი. თსუ გამომცემლობა, თბილისი 2001წ.;
- სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემები, 2004წ.;

- Кулишер И.М. Основные Вопросы международной торговой политики. Изд. Социум 2002.;
- Spencer M. H. Contemporary Economics. New York, 1993.;
- Samuelson P. Economics. New York, 1995. .

## **Gorg Kiknadze**

### **S U M M A R Y**

The article deals with the correlation of state economy policy and liberal system of taxing, which will facilitate developing small buissness and up-going the quality of national product. Author believes, that it is very necessary to have rational balance of import and export to avoid disbalance between internal and international markets. The theme is interesting for economists, political scientists, public administraters, lawyers as for other readers.

## **Георгий Кикнадзе**

### **Роль Государственного протекционизма в развитии экономики страны**

### **РЕЗЮМЕ**

Статья посвящена корреляции государственной экономической политики и либеральной системы налогообложения, что в свою очередь будет способствовать развитию малого бизнеса и улучшению качества национального продукта. По мнению автора необходимо иметь рациональный баланс импорта и экспорта, дабы избежать дисбаланса между внутренним и международным рынком.





**CONTENTS**

**The visitor of a magazine.....5**

**Mikhail Saakashvili - 2 years of presidency - 24 months,  
24 questions to the president.....7**

**Temur Todua**  
**From the history of Governmental  
Thinking ("Classical" Theories).....26**

**Otar Kochoradze**  
**Spatial consciouness, as a basis of state thinking.....37**

**Otar Bagaturia**  
**The Common Ground theory - Cradle of Georgian  
Solidary State Philosophy.....57**

**Rosa Gaprindashvili**  
**The Dialectics of the biological and social and moral dilemma.....78**

**Ketevan Khutsishvili**  
**Forms of Religious Activities in the United States of America.....87**

**Konstantine Abuladze**  
**Georgia in expect at for on great tourism.....99**

**Temur Kopaliani**  
**The reform of public policy system.....108**

**Jemal Janashia**  
**About the amendments and additions in the criminal Code of  
Georgia (on a condition of April 10, 2006) .....122**

**Shota Dogonadze**  
**Georgia in the Council of Europe.....137**

**Giorgi Bagaturia, Otar Bagaturia**  
**The Reasons of Crisis of State Governance in Georgia.....149**

**Student pages .....163-192**

**Teona Katamadze**  
**The role of State in potecting cultural inheritance.....163**

**George Kiknadze**

Role of State protectionism in development of a national economy.....175

## СОДЕРЖАНИЕ

Гость журнала.....	5
Михаил Саакашвили – 2 года президентства – 24 месяца, 24 вопроса Президенту.....	7
Темур Тодуа Из истории восприятия государственного управления ("классические" теории).....	26
Отар Кочорадзе Пространственное сознание, как основа государственного мышления.....	37
Отар Багатурия Теория Общей Почвы - Истоки грузинского Солидарного государственного мировоззрения.....	57
Роза Гаприндашвили Диалектика биологического и социального и моральная дилема.....	78
Кетеван Хуцишвили Религиозная активность в Соединенных Штатах Америки.....	87
Константин Абуладзе Грузия в ожидании большого туризма.....	99
Темур Копалиани Реформа системы государственного управления в Грузии.....	108
Джемал Джанашия О поправках и дополнениях в Уголовный Кодекс Грузии (по состоянию 10 апреля 2006 г.).....	122
Шота Догонадзе Грузия в Совете Европы.....	137
Георгий Багатурия, Отар Багатурия Причины кризиса системы государственного управления в независимой Грузии.....	149
Студентские страницы.....	163-192
Теона Катамадзе Роль государства в охране культурного наследия.....	163
Георгий Кикнадзе Роль Государственного протекционизма в развитии экономики страны.....	175

საგარელოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ-

ტექნიკური ფაკულტეტი

სახელმწიფო მართვისა და

საზოგადოებრივი

ურთიერთობების

დეპარტამენტის

სამეცნიერო ჟურნალი

**„ხელისუფლება და  
საზოგადოება (ისტორია,  
თეორია პრაქტიკა)“**

**GEORGIAN**

**TECHNICAL UNIVERSITY**

**HUMANITARIAN-**

**TECHNICAL FACULTY**

Scientific magazine

of Department of

PUBLIC

ADMINISTRATION and

PUBLIC RELATIONS

**“AUTHORITY AND**

**SOCIETY (History, Theory,**

**Practice)“**

**ГРУЗИНСКИЙ**

**ТЕХНИЧЕСКИЙ**

**УНИВЕРСИТЕТ**

Гуманитарный-

технический факультет

*Научный журнал*

*департаментна*

*Государственного*

*Управления и*

*Общественных связей*

**“ВЛАСТЬ И ОБЩЕСТВО**

**(История, Теория,**

**Практика)“**

**№ 1 2006**

## რედკოლეგია

**ნანა ავალანი** - აკროზის საზოგადოებრივი საქართვალოს მადრივი ნარმობადმანლის მოადგილე, აკროფასორი

**მეუფა ანანაში (მარმალა)** - დასავლათ აკროზის მიბროკოლიბი

**გიორგი ბალთარია** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის აკროფასორი

**ოთარ ბარათარია** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის უფროსი მანავლაბალი

**ანახანგ გურული** - თბილისის სახალმინიფო უნივარსიბაბის აკროფასორი

**შოთა დოლონაძე** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის სახალმინიფო მართვის ათადრის მამა, აკროფასორი

**თანიმარაზ თოლა** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის აკროფასორი

**როინ მებრავალი** - აადამიანოსი

**კათი ქოქარაშილი** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის კომანიარალ-ბაქანიური ფახალბაბის დანი, აკროფასორი

**ოთარ ქოქარაძე** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის აკროფასორი

**მანა ჩხიძე** - საქართვალოს ბაქანიური უნივარსიბაბის ინგლისარი დის ათადრის მამა, აკროფასორი

## ავტორები

**თემურ თოლა** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიბეტი სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის პროფესორი

**ოთარ ქონრაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიბეტი სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის ასოცირებული პროფესორი

**ოთარ ბალთარია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიბეტი სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის უფროსი მანავლებელი

**როზა გაფრინდაშილი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიბეტი ფილოსოფიის კათედრის ასოცირებული პროფესორი

**ქეთევან ხუციშილი** - ისტორიის, არქეოლოგიისა და კონოგრაფიის სამეცნიერო-კვლევიითი ინსტიბუტი მანქანი მეცნ. თანამშრ.

**კონსტანტინე აბულაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი

**თემურ კოპალიანი** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის უფროსი მასწავლებელი

**ჯემალ ჯანაშია** - იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, გენერალი.

**შოთა დოდონაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის პროფესორი

**გიორგი ბალაუჩია** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის მოხელის კათედრის ასოცირებული პროფესორი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა, მაგისტრანტთა და ასპირანტთა სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციაზე გამარჯვებული სტუდენტები :*

**თეონა ქათამაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი

**გიორგი კიკნაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სახელმწიფო მართვის სპეციალობის IV კურსის სტუდენტი